1872

მერვე და მეცხრე წიგნი

თფილისი

გ. წერეთლის ტ ასს. (ლუბელირის) სტამბა

Дозволено цензурою, Тифлисъ, 21 Іюля 1872 г.

№ 859.

შინაარსი

მერვე და მეცხრე წიგნისა

რამდენიმე ხანა პოემისა «აჩრდილი».	ილ. ჭავჭავაძისა.
ჩვენი ცხოვრების ყავალი.	გ. —თელიასა.
«ალმოჰხდა მზათა» (ლექსი).	ნ. ბარათაშვილისა.
პიერ ჰუგენენი (ყოფა ზანდას რომანი) თარგმანილი.	№№
იოსებ მაძძინი	მ. პეტრიაძისა.
სახალხო ლექსი (ერეკლეს გლოვა)	
პოემიდამ «უპედური».	გ. ჭალადიდელისა.
საქართველოს ისტორიული სურათები (მესუთე საუკუნე).	გ. გორგასელისა.
კითხვა (ლექსი).	ფაზელისა.
შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის.	მ. პეტრიაძისა.

(ასალ მეორე გვერდი)

სატრფოსადმი (ლექსი). ფაზელიანი.
საანხანაგო ბანკები, იმათი
მნიშვნელობა და დაწყობილება გ. წერეთლისა.
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. XX

დამატება

მიმომავალი ურია (ებრაული ქუჩნ სუხი) ფრანცუზულით გადმოლებული ხ. ალექსეევა-ტუსხიევისგან.

რამდენიმე სანა პოემიხა

«ყრდილა»

XIII

შრომისა შვილო! მძიმე ულელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთ მძიმეთ შემწუნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად.
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით ჭრწმენია,
მაგრამ ცხადად ჭსმობს მის წმიდა მცნება,
რომ მოობადი მარტო შენია.
შრომა, აწ ქვეყნად ტუვეთა პურობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებული,
სოლო რღვეულა მისი ბორკილი

და დასამსხვრევლად გამზადებული.
შრომისა ასსა—ეგ არის ტვირთი
მძეკვ მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ასსნისათვის მედგრად იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განასლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჯეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემოეერსებული კაცთა ცხოვრების,
და ასალს ნერგზედ ასლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღუვავდების.

XIV

შრომის სუფევა მოვა მაშინ
ჯეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინ
კაცთ-მოყვარების სასიერებით.
ეველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორად ნიჭთა მფენელი;

მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან ჩსძოგდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ-სიტყვად ალარა იქმნენ
თანასწორ-ძმობა, თავისუფლება;
ეკლის გვირგვინით ქვეყნად ალარ ვლენ
კაცთ-მოყვარება და სათნოება:
ალდო აიდო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე და ღამე მის წყობა ირღვევა
და ამ ზვიადმა საუკუნემ
ჩაისახა ის შრომის სუფევა,
რომლითც, მაშვრალო, შენ განჩვაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვითო ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლა ტუტუნი დაღონებული
მღერა, ვით კვნესა, საწყალის მეხრის
შორი ხმა მწყემსის დაობლებული,
მსიარულ ხმებად გარდაგეცვლების
და შენს გუთანზე გულით-ტმობილი
იტყვი სიმღერას თავის-უფლების, —

ეგ სიმღერაა, ვით ლოცვა, ტკბილი!..
მინდორნი, ტყენი ნასხვენი, ველნი
შენის ლხენითა განისარებენ,
შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილს სიმღერას ბასს გამოჰსცემენ.

XVII

აგერა მცხეთაც—სავანე გმირთა,
დიდი აკლდამი დიდის ცხოვრების,
სად ვირკელ ქართველის მორწმულთა შვილთა
განიბრწყინეს მზე თავისუფლების.
სად ის ხე ნაძვის მის სურნელისა (*)
ეკვალდა ქართლის წყლულთა კურნებად
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა
ვსცემდა იაზმას ერის ცხოვნებად;
სად იმ ხის წმიდის ფოთოლი შეფილი
საკვდავადც დაჭრილს ეკურნებოდა,
სად იმა წყაროს წყლით დაბანილი

(*) ნაძვის ხეზე თქმულობა იხილე ვახუშტის გეოგრაფიაში.

ქართლის ტკივილი დაუჩდებოდა.
ან ალარა ჭსჩქეთს წყარო ცხოველი,
ხეც ცხოვრებისა იგი დამშკნარა
და ქართველის დედა-ქალაქი ვრცელი
ან სამეგიტნო დაბად გამსდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა;
დღეს იმ ცხოვრების წმიდა ალაგნი
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა.

XX

ქართლის სამშობლოვ! მშვენიერო, ყოველად შე-
მკულო!
რამდენს კაებს შენსა თავზედ გარდაუვლია?!
კვარცმულის ღვთისთვის თვით კვარცმულო და
წამებულო
ეკლისა გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა
მედგარი
გამოევლოს და სრულიად მტკრად არ ალგვი-
ლიყოს!

კრბული

შენ სარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად
არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შეჰსძლებიოს?
ორისა დიდის საგნისათვის ძე შენი ბრძოლა,
მათთვისა ბრძოლამ სხვა საქმისთვის არ მოაცალა,
მამულისა და ჯვარისათვის იგი იდგწოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.
შენთა შვილთ გული მათსა მტერსა შეაკვდა
ზედა,
ორი ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი
ღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედ
არავისაწინ საძუდამოდ არ მოისარეს.

ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი ცხოვრების

უკაკილი

I თონიკე

ვუძღვნი ო... ნ....

ძალიან გაწკიპინებული ულვაშები არაგაქ, თონიკე.?--ციმციმა თვალებით შესცქეროდა ცხრა წლის ახალგაზდა ბატონის შვილი ერთ ზოწიფულს გლეხის წვერულვაშს.

—მე ეს თაგვის კუდები დაბადებიდგან ასე დამყვა—უთხრა გლეხმა და თან ტუჩები ისე ააცმაცუნა, მართლაც ყმაწვილს ულვაშები ორ თაგვათ გამოეხატა და თვალები კიდეკ უფრო გაუ-

ცოცხლდა. ის მიმინოსავით შეჰყურებდა ცმაცუნა ულვაშებს, რომლის გძელი კუდები ისე იკვლაკნებოდენ, თითქოს მართლაც თაგვის კუდები ყოფილ იყვნენ. ყმაწვილმა უეცრათ წაავლო ხელი მარჯვენა ულვაშში და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ისე ეწეოდა.

—ვაი, ვაი, ვაი—დაიღრიალა გლეხმა და დაჰხარა თავი ცალგვერდათ...

ამ ყვირილზე ყმაწვილმა გადიხარხარა დიდის მხიარულებით, თითქოს და მართლაც თაგვი დაეჭიროს.

—მე მართლა თაგვი მეგონა, თონიკე, შენი ულვაში.—უთხრა მხიარულებით კალთაში ჩამჯდარმა ყმაწვილმა.

—ხელი, ხელი გაუშვი, გენაცვალე, შენიჭირიმე,—ეხვეწებოდა ტკივილისგან წითლად აპრიალებული თონიკე.—ჩიტს დაგიჭერ, მტრედის ბახალას მოგგვრი.....

—თოფის წამალს თუმომიტან...—და თან კიდევ უფრო დასწია ულვაშს.

—კი,კი მოგიტან, მოგიტან.—კაი, კაი, შენი-

ჭირიმე.—იძახოდა თონიკე და რომ ალარა გაეწყო რა სიმწრით ხელი ხელში სტაცა ყმაწვილს, მოუჭირა ფრთხილათ და გააშენებინა ულვაში.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ხუთი ღერი ხომ მაინც მოძგლიჯეო, ხითხითით უთხრა შემაქცევარ თონიკეს ბატონის შვილმა.—ისე გირჩენია—რატომ თოფის წამალი არმომიტანე, შე მატყუარა. სულ მატყუებ, სულ და სულ. ეს ხუთჯერ მაინც მოსულხარ და აქამდის არ აგისრულებია, რასაც დამპირდი...

ამის თანაებს რომ ელაპარაკებოდა, დიტო—ასე ეძახოდენ ჰაწაწა ბატონის შვილს—თანდათან უმაღლებდა ხმას. ხითხითის მაგიერათ იმის ყმაწვილურს სახეს უცებ ღრუბელი გადაეკრა. ეს რომ თონიკემ შეატყო, შეშინდა არ იტიროს და გასამხიარულებლათ ერთი საოცრათ დაიჭყანა და ისე მარდათ მოჰყვა წვერ ულვაშების ქიცინს, რომ დიტომ მძაფრათ გადიკისკისა და ორივე ხელები წვერში წაავლო.

— ვაი, ვაი, წვერი, წვერი—დაიღრიალა თონიკემ და თითქოს ცხენისთვის საქაჩავი მო-

ეჭირებინოსთ ქვიქვირზე, იმნაირათ დაჰმონებოდა ყმაწვილსა, რომელსაც ორივე ხელები ჩაევლო სქელს შაკს წვერებში და რაც ძალი დაღონე ჰქონდა, ისე ეზიდებოდა თავისკენ.

— ჰი, ჰი, ეგ შენ! —მხიარულებით და ხითხითით დასძახოდა გაქაჩულს გლეხს დიტო. შომეტებულმა მხიარულებამ ყმაწვილის შავიწამწამები ცრემლით დანამა. ერთი ცვარი ცრემლი ლოყაზედაც ჩამოვარდნოდა და იქ ობოლსავით მარგალიტ თრთოდა, თითქოს გული შესტკივდა ასე უგნურათ გლეხის წვალებაზედ.

— დიტო, დიტო, მოვკვდი, შენმა გაზდამ, — ათს სროლას კიარა, ას სროლასაც მოგიტან, ოღონდაც ახლა კი გამიშვი. ასეთს ხის დამბაჩას გაგიკეთებ, რომ თავის დღეში არ გასქდეს. მერე რომ დაუნიშნო გაფრენილს ჩიტს არ მოარჩენს, მაშინვე მოჰკლავს.

— აბა, კარგი. ხის ტამბაჩასაც ხომ დამპირდი, ნუმოგიტანია და მაშინ ნახავ შენ სეირს. სულ ღერ ღერათ დაგაბდღვნი მაგ წვერ-ულვაშს. —ეუბნებოდა დიტო თონიკს. აქ ბატონის

შვილი და გლეხი შერიგდენ, პირობა დასდვეს, რომ თუ ერთი თოფის წამალს და ხის დამბაჩას არმოუტანდა, მეორეს იმისთვის წვერულვაშები სულ უნდა დაეგლიჯა.

თონიკე კვიმატაძე იყო ერთი ხნიერი ორმოცი წლის საეკკლესიო გლეხი, რიგიანათ ჩაცმული, თვალ ტანათ კარგი შესახედავი, ბეჭებ განიერი და ჩასუქებული.

მე ვწერ 185.... წლების ამბავს და მაშინ გლეხობაში ამისთანა კაცი ძვირი საპოვნელი იყო. თუ ხანში შევიდოდა, გლეხკაცი ან სულ შემოფლეთილი, თვალებჩაცვინული და წელში გახრილი უნდა ყოფილიყო, ან თუ არა და ახალგაზდა, კოპწია, ცხვირ აშვერილი სირმიანი ჩოხით, მაღალ ქუსლებიანი და გძელ ულვაშებიანი წაღებით. პირველ შეხედვა ზედვე დარწმუნდებოდით, რომ ამ ახალგაზდა კოხტა ბიჭს კახეთი მოუვლია და ხუთი ექვსი წლის ნაშოვარი სულ ტანზე მიუკოსებია. კახეთში ყოფნის მოწმობა თავზედაც ეხურებოდა: ბუხრული ცხვრის ქუდი. ისინი სოფლებში ახალგაზ-

ლობისათვის თითით საჩვენებელნი იყვნენ. გლეხის ქალები თავის პაწაწა შვილებს ეუბნებოდენ: «ჩემი კიკოც კი არ გადავარდება ერთ დროს კახეთში და არ დაიხურავს ჭრელს ქუდსაო. უფრო მოჩიტებული გლეხის შვილები საყდარზე, კვირა დილით, რომ მიგროვდებოდენ სულ ამ ყოჩალს გაკახელებულს, და გაქალაქებულს ბიჭს შესცქეროდენ და ჰქონდათ ერთმანეთში ამისთანა ლაპარაკი: «ივანია, შენ როდის გადავარდები კახეთში?—ჰკითხავდა ერთი.—მე სულ სხვანაირათ მოვირთები, თუ ღმერთი შემეწია,და ჩემ ბატონს თავი დავაძრე—იტყოდა მეორე. მე ვიყიდი ძალიან გძელს ხანჯალს. ჩემი სატევარი ისეთი უნდა იყოს, რომ, როცა დავიკიდებ, იმის წვერი შუა წვივს უნდა ჰხვდებოდეს» —ბიჭო, გოგიას ხანჯალი რავარია, რომ იცოდე, რკინის საქვაბეს შამოკრა და შუაში გასწყვიტა—იტყოდა მესამე და გულში კი ყველა ნატრულობდა, როდის იქნეს, მეც გადავვარდე და ისე გამოვეწყო, როგორც ის კოხტა ბიჭია. იმერეთის მებატონეები ჩუმათ კბილებს აღ-

რჭენდენ ყოველ ამისთანა კოხტა ბიჭის შეხვედრაზე: ამ მამა ოხრებმა სულ წაგვიხდინეს გლეხები. რასაც იშოვნიან, ტანზე ჩაიცმენ და მოსამსახურეებს გვიბრიყვებენო... სწორეთ ჭირივით სძულდათ ამისთანა ქალაქელი ბიჭების დანახვა, რადგან კარგათ იცოდნენ, რომ იმათი ხედვარეით თან და თან აკლდებოდათ მოსამსახურეები... არც ერთს მოხსენებულს გვარს გლეხებს და გლეხის ბიჭებსა არ ეკუთვნოდა თონიკე ის არც შემოგლეჯილი ტანსაცმლის ჩაცმას იკადრებდა და არც პრანჭიჟ ახალ მოსულებსავით გაჰკვირდა სირძიანი და მაღალ ქუსლებიანი წაღები. როგორც სახეზე იყო ჩასუქებული, შინ ოჯახობა და ბელელსასიმინდეებიც ისე ჰქონდა ჩასუქებული. იმის აფარასავით წინ წამოსულსა და გვერდზე გახრილს ცხვირზე რომ შეგეხედნა, მაშინვე იფიქრებდით: ეს თავის საქმეებშიაც ასე გახრილგამოხრილათ უნდა მოქმედობდესო. თონიკეს ჩვეულებათ ქონდა მიწაზე დაცქერება და თვალის ქუთუთოები ამის გამო ისე ძირს ჰქონდა

დაშვებული, რომ გეგონა ზეზე რომ დგას, მაშინაც ხძინავსო; მაგრამ როდესაც ვინმე საქმეზე დაუწყებდა ლაპარაკს და თუ კი იმის ხელის მოსათბობი რამ საქმე იქნებოდა, მაშინ უცფათ ამართავდა ქუთუთუებს, ერთ ელვასავით გამოანათებდა თავის ჭრომახსთვალებს, უცბათ გაზომავდა თავის მოლაპარაკეს, ყოველსავე მიუხვდებოდა, თითქოს თვალის ისრები ჩაუყარაო გულში თავის მუშტარს და შემდეგ ისევ დანაბავდა თვალებს, თითქოს ისევ დაეძინაო. მართლაც თონიკეზე იმის ბხრის კაცები ყველა ასე ლაპარმკობდნენ: არამც თუ ზეზე ქვეშკნელშიაც არა დარჩენიარა მაგას შეუტყობელიო.» იმას არ ჰყავდა ბატონი, მაგრამ დიტოს მამას ბატონს ეძახდა და იმის სახლობაში თონიკე შინაურ კაცად ირიცხებოდა. დიტოს მამა იყო უეზდის ნაჩალნიკი და თონიკეს ის უძახოდა ჭკვიანს და მოხუცებულს გლეხკაცს. თონიკეც სულ მუდამ დიტოს მამის ქებაში იყო და როცა დიტოს მამა იმას რასმე დასაქმებდა, ქვესკნელშიაც რომ ყოფილიყო ჩასაძრომი, თონიკე

უეჭველათ ისეთს არწივს მოსძებნიდა, რომ ზედ შემჯდარიყო და ქვესკნელის ამბავი მოეტანა უეზდის ნაჩალნიკისთვის. იმ ქვეყნის გლეხობა თონიკეს დიდს პატივს სცემდა, რადგან უეზდის ნაჩალნიკის შესული ყმა იყო და იმასთან შუამდგომელობა შეეძლო. დიტო სიხარულისგან ალარ იყო, როცა თონიკე გაჩდებოდა იმის მამის ოჯახში. თუმცა თონიკე ხშირად ატყუებდა ყმაწვილს რასაც დაჰპირდებოდა, მაგრამ ამის მაგიერათ ზღაპრებით და სასაცილო ამბებით ისე შეიყოლიებდა, ყმაწვილის გულს, იმდენათ გაართობდა, რომ დიტოს სრულებით დაავიწყდებოდა თონიკეს მოტყუება და ბოლოს მადლობის განსაცხადებლათ ჩაეკვრებოდა კისერში და ყმაწვილურის გულის სიწრფელით დაუკოცნიდა თონიკეს მქირდავს თვალებს. ამ დროს თონიკე დიტოს მამაც იყო და დედაცა. ის თუ მოვიდოდა, დიტოს ვერაერავინ მოაშორებდა. თითქოს კისერზე მსხვილი კუნძი ამოსვლოდეს ამ გლეხსაო, დიტო ისე ჰქონდა იმას ყოველთვის ხალთასავით ჩამოკიდებუ-

ლი. თვითონ თონიკესაც იმდენი მოთმინება ჰქონდა, რომ თუ თავისუფალს დროს შეიხვედრებდა, ამ პაწაწას ძალიან ემორჩილებოდა, უსრულებდა ყოველსავე იმის სურვილს და ამითი ყმაწვილს კიდევ უფრო ჰქონდა თავი გასული. ერთხელ თონიკე დიტოს ბიძის შვილს ეუბნებოდა ერთს ძალიან შესაქცევარს ამბავს, დიტოც იქ იყო. დიტოს ბიძაშვილს მეტის სიცილისაგან თვალიდგან ცრემლის კურცხლები სცვიოდა. დიტოს სიცილი თუნდა ერთ ვერმზე ისმოდა. თონიკეს ლაპარაკის დროს ვერას გზით ვერ გააცინებდი. დიტოს ის უფრო აცინებდა, რომ ხედავდა, რა ნაირათ აცმაცუნებდა წვერებს თონიკე. ის ლაპარაკის დროს ხან დაეჭყნებოდა დიტოს, ხან მიიღებდა დარბაისელს შეხედულობას, მაგრამ ისეთნაირათ გაიღიმებდა ულვაშებში, ისე ეშმაკურათ დანაბავდა თვალებს, მკვდარიც რომ ყოფილიყო, გაუცინებელი ვერ დადგებოდა. ამ დროს დიტოს თავში განუელვა ამ აზრმა: «რა კაი იქნება, თონიკე რომ ჯოლზე გავშხლარტოთ და რუსუ-

ლათ ხოზგი დაეკრათო. არ ეიცი რამ მოჰგვა-
რა თავში ამ ყმაწვილს ეს უხიკი ფიქრი; იქ-
ნება იმისთვის რომ ეგონა, თონიკე ამისთანა
მშვენიერს ანბებს რომ გვეუბნება, რათ გვიხ-
დენს კეთილს შთაბეჭდილებასო, ან იქნება
როცა თონიკე ლაპარაკობდა და იმანჭებოდა,
დიტოს ფიქრათ მოუვიდა, ახლა რომ ასე სასა-
ცილოთ პირის სახეს იგრეხს, მაშინ უფრო არ
დაიგრიხება, როცა იფნის ჯოხით უკანალს შე-
უხურეფო: მაშინ უფრო სასაცილო და შე-
მაქცევარიც იქნებაო. ამ სახით თონიკე რომ
ცხარე ლაპარაკში იყო, დიტო უეცრად წამოხ-
ტა და დაუძახა: «ხრიკა»—ასე ეძახდენ იმის ბი-
ძაშვილს—«ყური მაჩვენე, ყური»—სსუ! ბძა-
ნებით შესძახა იმან—ახლა არა მცალია: თო-
ნიკე ნუ შესწყვიტე გაათავე ეგ ამბავიო. თო-
ნიკე მაშინვე მიხვდა, რომ დიტოს ცოცხალი
გაძოხატულება კარგს არას მოიგონებდა, იმან
თითქოს წინათ იგრძნო თავის უკანალის შეხუ-
რება, შესწყვიტა ლაპარაკი და დაუკვირ-
და დიტოს სახეს. ყმაწვილიც მიხვდა, რომ

წყეულმა თონიკემ სწორეთ გულში ამოიკითხა ჩემი განზრახვაო და გადიკისკისა: «რას იყურები, კაცო, აქეთ, შენ მაგი ილაპარაკეო.» — დიტო, მიგიხვდი, ახლავე გავიქცევი — შეჰყვირა თონიკემ. — «ჰა, ჰა, ჰა, არა ღმერთმანი მე შენზე კი არ ვეუბნები, სულ სხვა მაქვს სათქმელი; ბიძია ყური მომე, რაცლას ჩაგიფუჩუნებ».

— ბიძიამ თავი დაუხარა: დიტომ გადახვია ორივე ხელები კისერზე და მისწვდა ყურზე ამ სიტყვებით: «შენი ჭირიმე ბიძია მომეხმარე, ერთი თონიკე გავროზგოთ, შენ უბრძანე გაწვეს და მე ამ იფნის სახრეს დავკრავ. — ბიძამ თანხმობის ნიშნათ თავი დაუქნია. დიტო მაშინვე მიტრიალდა, შეჰყვირა თონიკეს: გაწექი, ახლათ-ახლავე, გაწექი, მიახტა კუთხეს, სტაცა ხელი იფნის სახრეს და კიდევ დაიძახა: «გაწექი, როზგი უნდა დაგკრა. შენ ბევრი იეშმაკე დღეს, რუსული კანონი უნდა მოგახდევინო». თონიკე წამოვარდა ზევით და კარში გამოვარდნა დააპირა, მაგრამ დიტოს როგორ წაუვიდოდა, მაშინვე ჩოხაში მისწვდა და ფინია ძალლსავით ჩამოეკო-

წიწა: — აბა, — შენი აქედგან გაშვება არ შეიძ-
ლება. დაბრუნდი, თვარა ვაი შენ დღეს. მიჰკი-
ოდა უკან დიტო და ორივე ხელებით ჩააფრინ-
და ჩოხის კალთებში. დიტოს ბიძა ლოგინზე
სიცილით ფეხებს აფიჩინებდა. სული რომ მო-
ითქვა, მერე თვითონ დიტოს ბიძიაც მოეხმარა
თავის ძმისწულს: «გაწექო, უთხრა თონიკეს — რა
გაეწყობა უნდა დაემორჩილო, დიტოს განკარ-
გულებას, ხომ იცი ეგ როგორი ფიცხი კაციაო».
თონიკემ ჩაჰკიდა თავი, ვითომც მეტის მწუხარე-
ბით, გაწვა პოლზე დაუცდიდა თავის განსაცდელს.
დიტომ ჩოხის კალთა ახადა და ზურგზე გადა-
აფინა, მერე დაუწყო იფნის ჯოხით თონიკეს
ცემა ამ სიტყვებით: ერთი, ორი, სამი, ოთხი
ხუთი და სხვა. თონიკე თუმცა იმდენათ არაფ-
რათ მიიჩნევდა ყმაწვილისაგან ჯოხით ცემას,
მაგრამ განზრახ გაბა დაკლული ხარივით ღრი-
ალი, უნდოდა ამით მოელბო პაწაწინა მტარ-
ვალის გული. მართლაც ბიძამ ხარხარით და-
უძახა: «დიტო, კარგი, ეყოფა.»

ჯაფით გაჭარხალებულმა ყმაწვილმა თავი

დაანება როზგვას და როცა თონიკემ წამოდგომა დააპირა, ყმაწვილი უცებ ზურგზე მოახტა, შეჰყვირა როზგით გაუპატიურებულს თონიკეს: «აჩუ!..» და გაუქნია ქუსლი გვერდებში. თონიკემ ოთხზე გაატარა ყმაწვილი და მერე უცებ წამოხტა ზეზე. დიტომ ამდროს მოსჭიდა ხელები კისერზე და როცა თონიკე გაიმართა, ყმაწვილი გუდასავით უკან ჩამოეკიდა.

ამისთანა მოქმედებით თუმცა თონიკე ბევრს წვრილმანს წვალებას ითმენდა პაწაწა ბატონის შვილისაგან, მაგრამ მაგიერათ თვითონ ბატონის შვილსაც მეტი არ შეიძლებოდა, ისე უყვარდა ეს კაცი და დიტოს მამა რომ ხედავდა ამას, მით უფრო დიდს პატივს სცემდა თონიკეს და ყოველსავე იმის თხოვნას უსრულებდა. ამით თონიკეც თავის გულის წადილს მიმწვდარიყო.

II დიტო-მოწაფე

დიტო, თუმცა წლოვანებით პაწაწა იყო, მაგრამ მამის შემდეგ ოჯახში პირველი კაცი

იყო. ყველაზე უმცროსი შვილი დიტო თავ-
გასულობით ყველაზე უდიდესი ბძანდებოდა.
ოჯახში იმის უმცირესი სურვილიც არ დარჩე-
ბოდა აუსრულებელი. ყველანი იმის ბრძანების
მორჩილნი იყვნენ, რადგან ამ ყმაწვილს მამით
ჰქონდა ძალიან ზურგი გამაგრებული. თუ ვინ-
მე აწყენინებდა ,,ასმეო" ან უარს ეტყოდა, დი-
ტო თავის საცრემლე შტვირსა და ქამანჩას
მოამზადებდა, ერთს ასეთს შემოსძახებდა: «ვაი-
მე დედა მოვკვდიო», რომ ვინც გაიგონებდა,
მართლაც იფიქრებდა, ყმაწვილს სწორეთ თავი
გადახეთქესო. ბატონი თუ შინ იქნებოდა, ვაი
იმ გვამის ბრალი, ვისაც დიტო გადააბრალებდა
თავის შეწუხებას. ბატონი მაშინვე ძალიანი ხმით
გამოიძეოდა: ვინ ამიტირა ჩემი დიტოვო და თუ
დანაშაული მოსამსახურეთაგანი აღმოჩნდებოდა,
სულ ქოჩრისგან გაცლიდა და თუ თავისსახლობის
წევრი ვინმე იქნებოდა, მაშინვე ყვირილით და
მუქარით იქაურობას აიკლებდა. ამნაირათ დი-
ტოს ყველა დამორჩილებული ჰყავდა ოჯახში
და მართლაც იმისთანა თავგასული ყმაწვილი

იმის ხნისა ძნელად თუ სადმე მოიძებნებოდა. ერთხელ დიტო ოდის (სახლს) ჩალდაყში დანით ჯოხს ჩიგნიდა. უცბათ დანა დაიცილა, მოიხვედრა ხელზე და დიდი თითი ძვლამდის ჩაიჭრა, მაშინვე ჯოხი ხელიდგან გაუარდა და ერთი საშინელი დაიყვირა.—დედა მისს ელდა ეცა, სწორეთ შვილი მომიკლესო, უეცრათ შინიდგან გამოვარდა და რომ დაინახა ხელ გაჭრილი შვილი, ჯერ ხელი შეუხვია, მერე თავში ჩაჰკრა და თან მიაძახა: » აი, სიკვდილი შენ, თუ ერთ წამს მოისვენოვო». დიტომ უეცრათ ტირილი შესხლიტა, ერთი საშინელი მოიღრუბლა და დედას დანა წაუქნია ისე ლონივრათ, რომ ერთ მხრით ტანსაცმელი სულ ჩააფლითა. მადლობა ღმერთს დასცილდა, თორემ ბარძაყში რომ მოხვედროდა, მეორე მხრივ დანის წვერი თავს ამოჰყოფდა. დიტოს დედა შეკრთა, ნაცრის ფერათ გადაიქცა; ყმაწვილმა კი ლომის კნუტსავით გვერდზე დაიწყო ყურება და ისე მირბოდა. საღამომდის დიტო ალარავის უნახავს, შემდეგ შეჰქნეს ძებნა და ვაი უშველებელი. იმღამეს ყველანი მოკვდენ ძებ-

ნით, დედამისი შეშინდა არსად გადავარდნილი-
ყვესო მაგრამ მაინც ვერ იპოვების. მეორე დღეს
დილით ეს ცხრა წლის ყმაწვილი ერთს ვერსზე
ნახეს: ჰურის ყანაში ჩაწოლილიყო და ტკბი-
ლათ ეძინა, ათიწლის რომ შეიქნა, ძალა უნე-
ბურათ დიტოს გაუკეთეს ბარგი და გადაასახლეს
ქ....ში სასწავლებლათ; მაგრამ წინათვე ეტ-
ყობოდა ის დიდს წარმატებას ვერ ალმოაჩენდა
სწავლაში, თუმცა ბუნებით მკვირცხლი და კა-
რგი ნიჭიერი ყმაწვილი იყო: აბა სწავლას რა-
მოაგონებდა თვალ წინ სულ ხაბიძგინები, ალდ-
გომის კვერცხები, ხის დამბაჩა და კვიცზე ჯდო-
მა ეხატებოდა.

შეუსრულდა თუ არა ათი წელი, დიტოუნდა გა-
მოთხოვებოდა თავის ბატონობას მამის სახლში.
იმას მოუნდომეს შკოლაში შეყვანა და გა-
მოაწყვეს სამგზავროთ ქ...ს. იქ დიტოს ჰყავდა
ჩინოვნიკი ბიძა, რომელი პედაგოგათაც იყო
ნაქები: ამ კაცთან მრავალი შაგირდები იდგენ

და ხშირათ მოსდიოდათ ამბავი სოფლათ, რომ ესა და ეს შაგირდი ქვერიამ (ასე ეძახოდენ დიტოს ბიძას) წააქცია და იმდენი სცემა, რომ სულ სისხლის შადრევანები დაუკეთა უკანალზეო. დიტოს ეს ამბავები წინათვე გაგონილი ჰქონდა და არაფრათ მოსწონდა ქ....ს წასვლა. იმას წარმოედგინა თავის ბიძის სახე ერთ რაღაც ცხრათავიან დევათ, რომელიც ყოველ დილით სისხლს სწუწნის თავის შაგირდებს და იმითი რჩებაო. დიტომ რაღაც ძალიან მოიწყინა, როცა საგძალს ცხობა დაუწყეს და იმასაც ტანისამოსს უკერავდენ. ბოლოს გათენდა ის შავი დილა, როდესაც დიტო თავის ოჯახს უნდა გამოთხოვებოდა და ამ მოგონებამ კიდევ უფრო მოღრუბლა ყმაწვილს სახე. დიტოს ცრემლი მოერია თვალში: უნდოდა უარი ეთქვა, არ წავალო, მაგრამ მამის ხათრი ჰქონდა. საკვირველი იყო ამ ყმაწვილის ხაქმე, იმას ალერსის მეტი მამისგან სხვა არა ახსოვდა რა აკვნიდგან; მაგრამ მაინც მომეტებულათ ეშინოდა იმისი. დადგა უკანასკნელი წამი; დიტო დედამ ჩაიკრა

გულში გამოსათხოვრათ, შემდეგ ყველანი ოჯახის მდგმურები ერთი მეორის მიყოლით გამოეთხოვენ ამ პაწაწა ყმაწვილს, ბოლოს მამამაც ჩაუწყო ქისაში ერთი მანეთის უზალთუნები, ვითომ ამითი გული უნდოდა გაეკეთებინა თავის შვილისთვის, გაკოცნა და ცხენთან მიიყვანა შესაჯდომათ; მაგრამ დიტო ფეხს არ იცვლიდა. «დიტო, გენაცვალე, შეჯექ—ეუბნებოდა მამა—შეჯექ!..შეჯექ—აუმაღლა მამამ ხმა. რომ არც ამითი გაეწყობრა, გამყოლს უბრძანა შესვიო. ამ სიტყვაზე დასხლტა ხელიდგან დიტო და მოკურცხლა, მაგრამ მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ის დაიჭირეს. ყმაწვილი მოჰყვა ლრიალს კბენას და ფეხების ფხაკურს: ორი კაციც ძლივს იმაგრებდა. ამ სანახაობაზე მაშას დიდი გული მოუვიდა და ბძანა, «შეჰკარით ეგ ეშმაკის შვილი, ფეხები გამოუკარით ცხენზე და ისე წაიყვანეთო. მართლაც ისე მოიქცენ. დიტოს ხმა ზევით ცაში ისმოდა. ულეგამდის სულ ამ ყოფით გადაატარეს. ქ...ს რომ ჩავიდენ, დიტო ძალიან მოწყენილი

შეიქნა. თავისი ბიძა პირველს შემთხვევაში კოცნით მიეალერსა და უჩინა სადგომი სხვა მოწაფეებს შორის.

სამოწაფო სახლს ჰქონდა სიგძით ორ საჟენ-ნახევარი და სიგანით ორი საჟენი. ეს სახლი იყო ერთს არშინზე მიწაში ჩადგმული, წნელით შეღობილი, კედლები მიწით ჰქონდა გალესილი და მერე კირით იყო გათეთრებული. შიგნით კედლებს ჩამოუყვებოდა ტახტი და ორი საჟენის სიგანეზე ათ ყმაწვილს ჰქოდა საწოლი. იმათ ეგოთ საერთო ხალიჩა და ზედ ერთი მეორეზე შიეყრებოდენ გოჭებივით. ამჩაირი წოლა ზამთარში გამოსადეგიც იყო, რადგან ფაცხის კედლები ზამთრის ყინვებს ვერ იმაგრებდენ. რაც უნდა მშრალი ამიდი ყოფილიყო, ფაცხის იატაკი მაინც არ გაშრებოდა და თუ წვიმა მოვიდოდა, მაშინ იატაკზე წყაროები დაიწყებდენ დენას. თუ ფეხშიშველა ყმაწვილებს გარეთ მოუნდებოდათ გამოსვლა, ჯერ ტახტზე შედგებო-

დენ, იქიდგან კარის საფეხურზე გადახტებოდენ და მერე გავიდოდენ. როდესაც გამოიდარებდა, ერთი კვირის განმავლობამდის ყმაწვილები იატაკზე სულ ტალახს ზელდენ, მერე დადგებოდა ჩვეულებრივი ნამის სუნი. ეს მოწაფეების ოთახი ქვერიას სასტუმროთაც ჰქონდა გაკეთებული. თუ ვინმე სოფლიდგან ჩამოვიდოდა, მაშინვე მოწაფეებთან აღუჩენდა ბინას. გაზაფხულზე ყმაწვილების ფაცხაში ძნელი გასაძლისი იყო. ორჯერ რომ ვინმე დაწოლილიყო იქ, უეჭველათ ცხელებით ავათ გახდებოდა. ავათმყოფს მოუვიდოდა საშინელი მანჭვა და შინ ყველანი ასე ჰფიქრობდენ, სწორეთ ავი სულით უნდა იყოს შეპყრობილიო; ამისგამო ქვერია მოიყვანდა ღვდელს და წმინდა აიაზმის წყლით და ლოცვით აწამლებინებდა. თუ მანჭვა და ტკივილები უფრო გაუძლიერდებოდა, მაშინ წმინდა ზიარებასაც მიალებინებდა. ამით თავდებოდა ყოველი ნაირი წამლობა. რადგან მოწაფეების სადგომში ზემოხსენებული ავათმყოფობა გამოულქვეველათ იდგა, ამისთვის ყველა შინაურებს და

გარეულებს სჯეროდათ, რომ მოწაფეების ოთახში რომელსამე ბოროტს სულს: კუდიანს თუ ჭინკას დაუბუდნიაო და ხან ერთს ჩააფრინდება ყელში, დამანჭავს, ხან მეორესო. შესანიშნავი ეს იყო, რომ უფრო სტუმარს ეცემოდა ხოლმე ეს ავათმყოფობა: ან იქვე სტუმრობაშივე უწევდა და ან შინ რომ წავიდოდა, იქ დაემართებოდა. თვით მოწაფეები კი ძლიერ იშვიათად ჰხდებოდენ ავათ, თუმცა პირველს მისვლაზე ყველას დასცდიდა: ალბათ შინაური ჭინკა შეჩვეული ჰყავდათ. გამოცდილი კაცები ასე ლაპარაკობდენ, ეგ არც კუდიანისა და არც ჭინკის ბრალია, უფრო იმის ბრალია, რომ სადგომში ნიადაგ მომეტებული სინოტიეე დგას და რადგან შიგ ბევრი ახალგაზდები ცხოვრობენ, მუდამ ცუდი სუნი დგას, რომელიც ახდენს ჰაერს და ეს მყრალი ჰაერი ზაფრის ცხელებას აჩენსო. თვითონ შეგირდები იმიტომ არ ჰხდებიან ავათ, რომ აქ ცხოვრებას შეჩვეულანო და ახალ მოსულებს კი მაშინვე დასცდისო. ზემოხსენებულს

ფაცხაში ათი ყმაწვილი იდგა მუდამ. ისინი ქვერიას მახლობელნი ნათესავები იყვნენ. ზოგი ძმის წული იყო, ზოგი დის წულის შვილის-შვილები და ეს ნათესაობა თითქმის ყვავიჩხიკვის მამიდობამდის უწევდა. სოფლათ ძალიან განთქმული იყო ქვერიას სახელი. სუდში ის მეოთხე პირი იყო და ყველას ძლიერ ეშინოდა იმისი. ყველანი ფიქრობდენ, იმას კაცის გაკეთებაც და წახდენაც შეუძლიაო. ბევრს ცუდს ამბობდენ ამ კაცზე, თავის ჯამაგირს გარდა, ჩუმი ხელის მოსათბობი წყაროებიც ბევრი აქვსო და მართალი კი არავინ იცოდა. მხოლოდ ეს იყო ნამდვილი, რომ ნათესაობა ძალიან სარგებლობდა ამ კაცისაგან. ყველას უნდოდა შვილის ღემნაზიაში შეყვანა, იცოდენ, რომ ქვერია ქ....ში ცხოვრებდა და, როგორც ვისმე ათი თორმეტის წლის შეექნებოდა ყმაწვილი, მაშინვე დაუმზადებდა ბარგს, ერთს საპალნე ნამუშევარს და მიაყენებდა თავის მწყალობელს ქვერიას კარზე ამ სიტყვებით: «ჩვენო ხელმწიფე, ნათესავების და მეზობლების გამომაჩინე-

ბელო, ეს ერთი შვილი გამიზარდეო». ქვერიას, რასაკვირველია, გულში ჯრაფრათ იამებოდა ეს ახალი სტუმარი, უკმაყოფილების ნიშნათ პირს გააწლაკუნებდა და ბოლოს იტყოდა: » შაგირდების სადგომი ის გახლავთ, თუ ადგილია, დიდის სიამოვნებით, თქვენმა სიცოცხლემო; მაგრამ ერთი უნდა მოგახსენოთ, რომ მე არა ვარ კმაყოფილი ჩემი ნათესავებისაო: მოიყვანენ თავიანთ შვილებს, დაადგებენ აქ ჩემთან და მერე ალარ ფიქრობენ: საჭმელი უნდათ, თუ სასმელიო» —სანდურავსავით ჩამოუარაკებდა თავის ნათესავს. ისიც, რასაკვირველია, არწმუნებდა: —ბატონო, რაბრძანებაა, განა არ ვიცით, ქალაქის ადგილს რა ძნელია ცხოვრება. თქვენმა სიცოცხლემ ყოველ ორ თვეში თითო საპალნე ღვინოს და თითო საპალნე პურს გაკუჩენ ჩემს შვილს, სანამ ღმერთი შემაძლებინებს და თქვენთან იქნებაო.—შემდეგ, რა კი დაებინავებდა თავის შვილს, თუნდ თავი ქვაზედაც გიხლიაო, ეტყოდა გულში თავის ნათესავს ქვერიას. მაშ ტყულათ გეძლევა ჯამაგირი, რომ

შვილიც არ გამოიზარდოვო. მაშ რისი ნათესავი ხარ, თუ ეგეც ვერ ამისრულეო». ის დღე წავიდოდა და ქვერიას იმის მეტი აღარაფერი მიუვიდოდა თავის ნათესავის სახლიდგან. ამ ყმაწვილების საჭმელ-სასმელი და ზოგჯერ ტანსაცმელიც სულ ქვერიას საზრუნავათ გამხდარიყო. ამ სახით ქვერია სარგებლობდა თუ არა თავის მთხოვნელებისაგან, მე ეს არ ვიცი; მაგრამ ეს ნამდვილია, რომ თავის ნათესავები ძალიან სარგებლობდენ იმისგან. ყმაწვილების ფაცხაში ათი მოწაფე ნიადაგ გამოულეველი იყო. ყველა მეოზობლებს და შორეულს ნათესავებს თვალი ეჭირათ ამ ფაცხაზე. თუ კი ღმერთი აღირსებდათ და ალაგი დაიცლებოდა ფაცხაში, მაშინვე მერე კვირას ქვერიას ახალი შაგირდი კარს მოჯდგებოდა დასაყენებლათ. იმის ფაცხა სწორეთ მუქთი პანსიონი შეიქნა, სადაც შორეულის და მახლობელის ნათესავის შვილები მუდამ კანდიდატებათ იყვნენ ჩარიცხულნი და აღდგომასავით ელოდნენ ფაცხაში ვაკანსიის დაცლას. ყმაწვილები ამ ფაცხაში ძალიან მეგო-

რულათ ცხოვრობდენ; მაგრამ ისიც ხშირად მოხდებოდა, რომ რამე სასაცილო სახელის მოგონებისთვის, ან ერთ ნატეხ მჭადისთვის შეიტაკებოდენ და ერთმანეთს გვერდებს დაულილებდენ ცემით. ამას შემდეგ მაჩხუბრები დაეუბრებოდენ ერთმანეთს, მაგრამ მეორე, ან მესამე დღეს ისევ შეარიგებდენ და კვლავ მოჰყვებოდენ მეგობრულათ ცხოვრებას. ამ პატარა ფაცხის მცხოვრებლები თითქოს ერთ პატარა თემს შეადგენდენ, რომელთაც თითქმის ყოვლისფერი საერთოთ ჰქონდათ; ათს ყმაწვილს ჰქონდათ ერთი სავარცხალი, ერთი პირსახოცი და თითქმის ტანსაცმელიც საერთო, იმათში იქნება ორს, თუ სამს ყმაწვილს ებადა ორი ხელი ტანსაცმელი, თორემ დანარჩენებს ერთი ხელიც რიგიანი არ ეცვათ. თუ ვისმე შინ წასვლამდის ეს ერთი ხელი ტანისამოსი შემოაგჯებოდა, მაშინვე თავის შეძლებულის ამხანაგის შალვარს, ან ახალუხს, ან სერთუკს, ან ქუდს წაავლებდა ხელს და შიგ გამოიჯგიმებოდა.

გარემოებისა და შეძლების გვარათ ყველია

სინდისიანათ ზრდიდა ამ ყმაწვილებს. ის ძალიან გამაცადინებული იყო, რომ ყმაწვილებს, ან არა მოეპარათ რა, ან არა წაეხდინათ რა ქვერიას ოჯახში და თავისუფალს დროს ყველას ამუშავებდა თავის ბაღში და თუ შინ არ ექნებოდა სამუშაო, მაშინ თხების, ან ღორების მოსამწყესათ გაგზავნიდა. ყმაწვილების ჩვეულებრივი საზდო იყო ცივი მჭადი, ერთი მათლაფა წაქა, ან ნადული, ან რძე, ან ყველის ნაჭერი. ხორცი ხსნილში იშვიათად ჰქონდათ და მარხვაში ლობიო. ამ მცირე საკვებზე ყმაწვილები ძალიან წელგაწვრილებულნი და თვალებ ჩაცვინულნი იყვნენ.

ქვერია სარწმუნოებაში ბეჯითი კაცი იყო და დიდმარხვაში მოურავს ნაბძანები ჰქონდა, ყმაწვილებს თითო იჯრის მეტი არ ეჭამათ, ან სადილი და ან ვახშამი. მაშინაც ცარიელს მჭადზე უნდა გადაევლოთ, მარილიანი ლობიოს ჭამა და ღვინის სმა მძიმე ცოდვათ მიაჩნდა და ვერც არავინ გაბედავდა ამ წესის დარღვევას, რადგან ქვერიამ დანაშაულობისთვის სასტიკი დასჯა იცო-

და. ამას გარდა ქვერიამ დიდმარხვაში ხშირათ იცოდა ყმაწვილების ქადაგება, თუ მოთმენა და უჭმელობა რამდენათ საჭირო იყო ყოველი ქრისტიანისთვის. გაიხსენეთ თვით იესო ქრისტის მოღვაწეობა:—იმან ორმოცი დღე იმარხვა და ამ მაგალითით გვიჩვენა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ დიდმარხვაშიო. ვინც ამ მარხვაში, ან ღვინოს დალევს, ან ლობიოს სჭამს უშაბათკვიროთ, ის წაწყმდებაო. თუმცა დიდის გულს-მოდგინებით ასმენდა ქვერია ამისთანა საღვთო სიტყვებს თავის მოწაფეებს; მაგრამ მეტის მეტი შიმშილით გვერდებ შეფენთხილი ყმაწვილები კიდევ სხვანაირათ ლაპარაკობდენ:» აი გასწყდეს მაგის სახსენებელი, ჩვენი რჩენა ეზარება და იმიტომ გვიქადაგებს, ნურაფერს სჭამთო.»

ერთ დიდმარხვაში ყმაწვილებს შიმშილით არაქათი წაერთოთ და მარხულობა ველარ შესძლეს. იმ დროს ქვერია სადღაც გამოსაძიებლათ იყო წასული და ყმაწვილები შეუდგენ ერთ ღვთის საწინააღმდეგო საქმის ასრულებას. ქვერიას ჰყავდა ოჯახში დაყენებული ერთი ფეხმოტე-

ხილი მოურავი, რომელსაც თახჩები სულ ხაბიძ-
გინებით და ძღვნის გომიჯებით ჰქონდა გავსე-
ბული. სალამო ხანია და ყმაწვილებს მეტათ
მოშივდათ. ისინი შეკრბენ და ასე გადასწყვი-
ტეს: «მოდი, დავეცეთ იმ ჩახუნდარას — ასე ეძა-
ხდენ ქვერიას მოურავს, — წავართვათ მარნის გა-
საღები, თუ ხელი გამოიღოს, წავაქციოთ და
ბევრიც ვსცემოთ, გავაღოთ მარანი, ხაბიზგინე-
ბი და გომიჯები გამოვიტანოთ. ეს იყო იმ წე-
ლიწადს, როცა დიტო სასწავლებლათ ჩაიყვა-
ნეს ქ....სს და მაშინ ისიც სხვებში ერია. რაც
განიზრახეს, კიდეც აასრულეს. საწყალს ჩახუნ-
დარას ბევრი წიხლი და მუშტი მოხვდა იმ სა-
ღამოს. მეორე დღეს ყმაწვილები ჩვეულებრივ-
ზე ადრე წამოცვინდენ და გასწიეს ღემნაზიის-
კენ. ყველას გული უკრთოდა. რომელნიც
უფრო მშიშარანი იყვნენ და გამოეცადათ თავის
ხელის გულზე და უკანალზე ქვერიას წნელები,
ისინი განსაკუთრებით იყვნენ შეწუხებულნი.
— არ უნდა მოგვეხდინა ეს საქმეო, მე ქვე გითხა-
რით არ დამიჯერეთ, თვარამ.... ჩახუნდარა შე-

იძლებოდა, ძალიან კარგათ მოგვეტყუებინა— წამოიწყო გზაზედ ერთმა—აი, ჯიბეში მქონდა შამპანცკის ბოთლზე დაჭრელებული ქალალდი, ვეტყოდი, ეს ორ მანეთიანი ასსიგნაცია შინიდან მომივიდა წიგნების საყიდლათ, მაგრამ ისე მშია, რომ თუ ერთს კვირას ყოველდღე სამ-სამ ხაბიზგინას მოგვცემ, ეს ასსიგნაცია ღმერთმა მოგახმაროს-მეთქი. გათავდებოდა. ხომ იცოდით, ის რა თვალხარბია ფულებზე.

— კი დიახ, როგორ არა, მოგართმევდა— მაგ ქალალდსაც გამოგართმევდა და არც ხაბიზგინებს მოგცემდა. რას ეტყოდი, ვისთან უჩივლებდი?

ამისთანა ლაპარაკით მივიდნენ ღემნაზიაში ქვერიას მოწაფეები ჯიბე დატვირთულნი ხაბიზგინებით.

«თქვენ რალაც ალდგომა გაგთენებიათ დღეს, რომ ყველას ჯიბეები დაგიტენიათ ხაბიზგინებითო, თქვა ერთმა შაგირდმა დაცინვით—სწორეთ სადმე ან დუქანი გაგიტეხიათ და ან ვისიმე ოჯახი, თორემ თქვენ არ იყავით სულ ჩვენ

შემოგვლრიტინებდით დამშეულებსავით, გვაჭამე, შენი ჭირიმე, ბუბლიკა თუ პური გვაჭამეო, ჰა თქვე დამშეულებო!... გაწყდეს თქვენი დამშეული სახელი...» დასძახა იმ შაგირდმა და გაიქცა. ამ ლაპარაკზე დიტოს ისე შერცხვა, რომ კინალამ პირიდგან ლუკმა გავარდა და მაშინვე გულში გადასწყვიტა, თუ ღმერთმა შინ წასვლა მაღირსა, მანამდის არ აგაყენოსთ ღმერთმა, მე თქვენ დასაცინებლათ აქ აღარ მოგვიდეთო...

იმ დღეს თერთმეტ საათზე მოვიდა შინ ქვერია; ჩახუნდარა გამოეგება ცხენის ჩამოსართმევათ გულის-პირ ჩამოტრეტილი, კალთა ჩამოფლეთილი, თვალებდალურჯებული, ცხვირ სისხლიანი, დასივებული და ბამბა დაცმული. ქვერია გაოცდა ამ სანახაობაზე, გულში იფიქრა, ან თულები დასხმიან თავს და იმათ დაუჭრიათო, ან ვისმესთან ჩხუბი მოსვლია და იმას თავპირი დაუმტვრევია ამ საბრალოსთვისო.

— ეგ რა დაგმართნია — შესძახა ქვერიამ.

— ბატონო, ამისმეტი მოთმენა აღარ შემიძლია. მე აქ ველარ დავდგები... ტყუილა ყმაწვი-

ლები მომკვლენ და რათ მინდა.

— როგორ თუ ყმაწვილები, იმათ რა ხელი აქვთ შენთან.

— იჯრაზე ყოველთვის ჩხუბს ამიტეხენ, ცოტა კერძს გვაძლევსო. გუშინწინ ერთმა მჭადი მესროლა თავში: «ცივი და ისიც პირ ჩამოტეხილი რათ მომეციო». მე რა მაქ, შენი ჭირიმე, ოჯახში რაც იქნება, ის უნდა იკმაროს.

— ჰაი, ის ეშმაკის შვილები,—წაილუღლუღა მეტის მეტი ჯავრისგან ზაფრამოსულმა ქვერიამ.

— ახლა შენი ჭირიმე გუშინწინ თქვენ რომ წაბძანდით მას აქეთია მოსვენება არა მქონდა იმათგან, გვაჭამე რამე, გვშიანო. იჯრაზედაც ვერ ვუძლებ ამდენს ურდო ხალხს, თვარა უ-იჯრაოთ სად შემიძლია იმათი საზდოს ძლევა. გუშინ საღამოს თულებსავით თავს დამეცენ, წამაქციეს, მეც ბევრი მირტყეს, წამართვეს მარნის კლიტეები, გაალეს მარანი, შევიდენ შიგ, თახჩიდგან რაც რამე იყო, სულ ერთიანათ გამოხიკეს და წავიდნენ...

— ნადი ერთი კონა ბროწეულის წნელები

მოამიტეხე, შეჰკარი ხუთ როზგათ და შემინახე.

ქვერია დილით სამსახურში წავიდა და სადილის შემდეგ, როცა ყველანი შინ იყვნენ, გამოიცა ბრძანება: ყმაწვილები აქ მოვიდნენო. უნდა ვთქვათ, რომ ქვერიას ცალკე სადგომი ჰქონდა. ყმაწვილებს ტანში გააჭრიალათ. ერთმა იმათგანმა ჩუმათ პაწაწა ბალიშის ყური ჩაიდო შალვრის უბეში, თუ ვინიცობაა გამაწვინეს, საჯდომი მაინც არ მეტკინება როზგისაგანაო, მაგრამ სულ ტყუილათ წაუხდა თავის მოამზადება. ქვერიას დიტოს მეტი არავინ გაუწვენია; დანარჩენს სულ სხვა ნაირათ მოხადა კანონი.

ყმაწვილებმა მოიგროვეს თავი ქვერიას სადგომში. იმისი სახე სწორეთ კბილებ დახჭენილს მგელს ემგზავსებოდა. ის იყო ყმაწვილების გამკითხავი უკანასკნელსა საშინელსა მას დღესა განსჯისასა.

— თქვენ სცეთეთ ჩახუნდარას.

ამ კითხვაზე სული არავის აუბამს?

— როგორ გაბედეთ მარნის გაღება და ძალათ თახჩის გაცარცვა—მოამატებული ხმით

შეჰყვირა ყმაწვილებს. ჩახუნდარა იქვე იდგა საკინძ ჩამოტრეტილი, მეძავის თვალით უცქერდა თავის მტრებს და სიამოვნებით ელოდა, როდის მოითხოვდა ქვერია იმათ დასასჯელს როზგებს.

— როზგები მომეცით, დაიყვირა ქვერიამ.— ამ ხმაზე განსაკუთრებით დიტოს გააცივა; როგორც იდგა ერთს ალაგს, ისე გაჩერდა, თითქოს ვისმე სარსავით ჩაესოს მიწაშიო, განძრევაც ვეღარ მოიხერხა. ჩახუნდარამ სწრაფათ დაუწყო წინ ქვერიას ხუთი კონა როზგი.

გამოშალე ხელი—უბძანა იმას, რომელიც ყველაზე უფრო დიდი შეგირდი იყო, ესეევ ყველაზე უფრო გამოცდილი სულიერი ბრძანდებოდა იმ შაგირდებს შორის, რომლებინ უკანალსაც არა ერთხელ დაწნოდა ქვერიას ბროწეულის წნელები. ამანვე იგდო შალვრის უბეში ბალიშის ყური, მაგრამ სულ ტყუილათ დაურჩა თავისი ხერხიანობა. იმას გამოაშლევინეს ხელის გულები და იმდენი სცემეს, სანამ ხელის გულები სულ ერთიანათ არ აებერა და

შიგ წყალი არ ჩაუდგა. ბევრი ყვირილი და ვაი უშველებელი ისმოდა თითქმის ერთი საათის განმავალობაში ქვერიას სადგომში. იმათ ყველას დაუსივა ხელები როზგის ცემით და ბოლოს საქმე დიტოზე მივარდა.

— ეს პაწაწა ტკიპაც ერია ამათში?—მიაშვირა თითი დიტოს.

—კი, ბატონო, მაგან სულ თმები დამაგლიჯა.—უპასუხა ჩახუნდარამ.

— დიტო, მოდი აქ. გაწექი—უბძანა ქვერიამ.

დიტო არ ინძრეოდა, განა იმისთვის კი არა, რომ წინააღმდეგობის სურვილი ჰქონოდეს. არა. სხვა ყმაწვილების ყვირილ-ქივილმა და მწუხარებამ ისე გააშეშა ეს ყმაწვილი, რომ ადგილიდამ ველარ დაიძრა, სანამ ჩახუნდარამ არ მოჰკიდა ხელი, არ მიიყვანა ქვერიასწინ და არ გაშხლარტა. ქვერიამ დაუწყო ცემა და თვლა: ერთი, ორი, სამი.... ამდროს უცბათ გაშოისმა საეჭვო ხმა, რომელმაც ყველა ყმაწვილებს ტირილი გააწყვეტინა და გააცინა. ამ გარემოებამ ძალა-უნებურათ ქვერიასაც გააგდებინა როზგი.

— ადექიო დაუყვირა მსაჯულმა დიტოს და მერე ყველას ერთად შესძახა: მეორეთ აღარ გაჰბედოთ მაგისთანა ავაზაკური საქმე, თორემ ყველას ფეხებს დაგისერავთ და შიგ მარილს ჩაგაყრით, თქვე ეშმაკის შვილებო... ახლა წადით და ხვალინდელი უროკები მოამზადეთ, თორემ ვაი თქვენ დღეს!

დასჯილი ყმაწვილები გამოვიდნენ ქვერიას ოთახიდგან ერთობ შერყეულნი. რომელნიც უმცროსები იყვნენ, იმათ მალე მოიქარვეს ტკივილი და ჩუმჩუმათ კიდეც იცინოდნენ დიტოს ფათერაკზე. უფროსები კი მთელი დღე კვნესოდნენ. ჯავრისაგან გულზე ხელს იცემდენ; ერთმა თქვა: «ღმერთმა ნუ ჰქმნას, თუ ჩახუნდარას გული დანით არ გავფატრეო». იმდღეს შაგირდებს წიგნები აღარ გაუხსნიათ. უროკის საკითხავი ჯაგები იმდღეს დაცალიერებული შეიქნა იმათგან.

III. მოწაფეობა.

დიტო თან და თან უფრო და უფრო შედის გაჭირებაში, გულს იტრუებს და ცუდს საქმეებს ეჩეკვ-

პირველსავე შეყვანიზე დიტოს არ ეჭაშნიკა კლასის ამბავი. კედლებზე იყო ჩამოკიდებული ქალალდის ეტრატები (ტაბლიცები) და ზედ დაბეჭდილი იყო აზბუკა და პირველდაწყებითი ამოსაღები. დიტომ კლასში დაინახა ასამდის ყმაწვილი; მომეტებული ნაწილი იმათგანი ბევრათ უფრო დიდები იყვნენ დიტოზე. ნახევროზა ამ ყმაწვილებისა ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, გარშემოდგომოდენ ტაბლიცებს, ზოგი ხმა მაღლა ყვიროდა და ზოგი ჩუმათ თავისთვის ბუტბუტებდა, თითქოს ყველანი შეშლილიყვნენ. დაკლასის კედლებს შელაღადებდენ. ამათ შორის დიტოც ჩააყენეს და პირველსავე დღეს მიიღო დიდი უკმაყოფილება. რვა საათიდგან მოკიდებული, თორმეტ საათამდის სულ ფეხზე იდგა. ამას გარდა უჩიტელი ფოცხვერსავით ჩამოუარდა ხოლმე ყმაწვილებს, ჰყვიროდა დიტოს გაუგებარს რუსულს სიტყვებს, ხან ამას მივარდებოდა და გაქოჩრავდა, ხან იმას უშიშვლებდა ლინეიკას თავში ისე ლონიერათ, რომ ყმაწვილი ერთს იწივლებდა და გულწასული

მიეყუდებოდა იმ კედელს, რომელსაც უწინ ასე გულგამეხებული შელაადებდა. — ეს კიდევ ქვერიაზე უარესი ყოფილაო—იფიქრა გულში დიტომ—თურმე აკი ამიტომაც მაშინებდენ შინ: დაიცა შკოლაში მიგცემთ და ბარე ორიო-დეჯერ აგაწრიპინებენო. მართლაც სასწავლებელი კი არა აქ საწვალებელი ყოფილაო არა მე თავს უნდა უშველო როგორმე, თორემ აქ ორდღესაც არ მაცოცხლებენო—იფიქრა დიტომ და მაშინვე დააპირა შინისკენ მოკურცხლვა. ხამ თვესაც არ გაუვლია მას უკან, რაც დიტო გაიპარა. ერთ დილას ყმაწვილები კლასში წასასვლელათ მოემზადნენ და როცა გზას დაადგნენ, ნახეს, რომ დიტო იმათში აღარ ერია. დიტო რა იქნა,—იყვირეს ერთხმით ყმაწვილებმა—აქეთ ეცენ, იქით ეცენ, მაგრამ ვერსად ვერ ნახეს. მაშინვე ქვერიას აცნობეს ეს ამბავი. იმან აფრინა კაცი და დიტოს ხუთ ვერსზე მოუსწრეს ქ. .დგან. ის გაჰყოლოდა გლეხკაცებს, რომელთაც პური ჩამოეტანათ გასასყიდათ და უკან დაბრუნებულიყვნენ. ძალიან ბევრი ცრემ-

ლი დაჰლვარა დიტომ ამ პირველი დანაშაულობისათვის. იმას მიარტყეს შიშველზე ოცი როზგი და მერე ერთი დღე და ღამე ბელელში ჰყავდა ქვერიას გამოწყვდეული. კლასში რომ მივიდა, უჩიტელმა იქაც როზგი დაჰკრა. ამდენმა უბედურებამ დიტო სულ გამოალენჩა.

სანამშინ გაიპარებოდა, დიტო თავის ამხანაგებს არ ეკარებოდა, გვერდზე უყურებდა იმათ და მაინცა და მაინც იმათში ერია, თორემ ყველა შეატყობდა რომ ის არ იყო ამათი, აფსონი. ის ბევრს ისეთს დამცრობას ხედავდა თავის ამხანაგებში, რომ თვითონ საზიზღრათ მიაჩნდა. მაგალით: საერთო დასჯის შემდეგ, ერთ დღესაც არ გაუვლია, რომ ისინი ისევ დაუმეგობრდენ ჩახუნდარას და ერთი მჭადის ლუკმისთვის რასაც ის უბრძანებდა, იმას უკეთებდენ: წყალი მოჰქონდათ იმისთვის, საღამოს როცა მწყემსი შინ მოვიდოდა, ძროხებსა და თხებს უწველიდნენ, ბატებს ამწყვევდენ და სხ. შინ განებიერებულს და გაბატონებულს დიტოს ეს ანგარიშები არ მოსწონდა, ყველა ამაებს დიტოს

ოჯახში მარტო მოსამსახურე ბიჭები აკთებ-
დენ და ახლა რომ თავის ამხანაგებს ჰხედავდა
ამისთანა საქმეში, ეჭვი მიეცა, ვაი თუ გლეხ-
კაცების შვილებში ჩავვარდიო და კლასს გარეთ
იმათთან გავლაც კი ეზარებოდა. ყვერიას ყმა-
წვილებიც, რასაკვირველია, უმაგიეროთ არ აგ-
დებდენ ამისთანა შეურაცხებას. დიტოს უგო-
ნებდენ სხვა და სხვა სასაცილო სახელებს: ხან
«საელიობო თხას» ეძახდენ, ხან «სვიას», ხან
«თავკვატუშას,» «თავხოკერას», «თხის-ტვინას,» და
ვინ იცის რამდენს რას. ამასთანავე თავში ჩა-
კვრასაც არ აკლებდენ, რადგან ისინი ყველანი
დიტოზე უფრო დიდები იყვნენ. ამნაირი ყო-
ფაქცევით უნდოდათ დიტოს სიამაყე მოეკლათ
და მერე შეეამხანაგებინათ, რადგან ეშინოდათ
იმისი: საიდუმლოება არა გაგვამხილოს რაო.
«საიდუმლო» კი მრავალი ჰქონდათ ყვერიას
მოწაფეებს. მაგრამ ამისთანა მოქმედება დიტოს
ვერ გასტეხდა; ის კი არა თვითონვე შეაშინა ისინი,
უთხრა, რომ თუ ფხიზელს ვერ მოგერევით ძირში
დაგკლავთო». ვაი, რომ იმისი სიამაყე სხვა საქმემ

დაამცრო! პირველ გაპარვის შემდეგ სასტიკმა დასჯამ საშინლათ გატეხა დიტოს გული. ის დამორჩილდა თავის გარემოებას, შეუამხანაგდა ქვერიას მოწაფეებს და ყოველს საზოგადო საქმეებში—ჭირში და ლხინში—დიტო იმათი განუყრელი თანაზიარი შეიქნა.

ქვერიას მოწაფეებს ყოველს გამოზაფხულზე დაუდგებოდათ ბედნიერი დროება, რადგან ამდროს ისინი აგდებდენ მყრალს, ნამიანს თავის ფაცხას და ჭიებსავით დაიბნეოდენ მახლობელს ტყეებში. ყოველს მოწაფეს იქ ჰქონდა პაწაწა კარავი, სადაც მთელს დღეს თავისუფლათ ატარებდენ. საკითხავი წიგნები იქ ჰქონდათ შენახული, იქ სწავლობდენ თავიანუროკებს და იქვე იფარავდენ თავს ყოველ საიდუმლო მოქმედების შემდეგ. პაწაწა კარვებს გარდა იმათ ჰქონდათ დადგმული ერთი დიდი კარავი იქ, სადაც ძალიან სქელი ტყე იყო. ამ კარავს ახირებულათ ვერავინ მიაგნებდა, რადგან არც ერთი გზა არ მიჰყვებოდა იქამდის და გარშემო ეკლ-ნარათი

იყო შემოვლებული ეს საზოგადო საკუჭნაო. ყმაწვილებს გველებსავით უნდა ეფორთხათ ამ ეკლ-ნარიანში და ამგვარათ თუ მიაწევდენ დიდს კარავამდის, თორემ სხვა გზით ვერა. ამ დაბურულსკარავში ბევრ საიდუმლო მოქმედების ნაწარმოებს შენიშნავდა მეზვერე კაცი. აქ თქვენ ნახავდით ქათმის, ან ბატის ძვლებს, მიყრილ მოყრილს აქა-იქ ყურძნის მტევნის ღერებს, ვაშლის ან კომშის ნათლებს და სხ.

ყოველს ქვერიას მოწაფეს ძალიან უყვარდა ეს საზაფხულო სადგომები, რადგან აქ ჰქონდათ თავშესაფარავი ერთის მხრით ქვერიასა და ჩახუნდარას ძალ დატანებისაგან, მეორეს მხრით აქ იძლებდენ დაცარიებულ კუჭს სხვა და სხვა ნაწარმოებით, რომელსაც ხარკათ ართმევდენ გარეშე მეზობლებს. ხშირათ იკითხავდა ხოლმე ქვერია: «ეს ყმაწვილები სად არიან, მთელი დღე რომ არსად სჩანანო. საღამომდის, მაგრამ ისინი ყოველთვის თავს იმით მართლულობდენ, ვითომც უროკების სასწავლათ ამხანაგებთან ვიკრიბებითო. ეს კარვები ქვერიას

სახლიდგან ერთ ვერსზე ჰქონდათ გაკეთებული. მოწაფეები დიდ კარავში, ან საკუჭნაოში ინახავდენ დანას და პატარა კარდალს (ქვაბს), საკუჭნაოს მოშორებით იყო ერთი პატარა ველი, სადაც სიცხიან დღეში ისინი ბურთს თამაშობდენ; ეს ველი იყო გორის ფერდზე და ფერდს იქით იყო ფრეწი, სადაც მრავალი ტურის ხვრელები (სოროები) იყო დაკეთებული. ყოველს სოროს ძირში ზვინებათ იყო დაგროვებული ქათმისა და ბატის ბუმბული; მაგრამ, მკითხველო ნუ გგონია, რომ ეს აუარებელი ბუმბული ყოფილიყოს ტურების ნამოქმედარი. არა, ეს იყო ქვერიას მოწაფეების საქმე. მეზობლები კი სულ ტურებს უჩიოდენ: ქათმებისგან და ბატებისგან გაგვაწყალესო. ვინ იცის რამდენჯერ დაენთოთ იმათ წალმიის ცეცხლი ამ სოროებში და იმის პირზე. იქნება ის ოხერი ტურები თავისვე სოროებში გამოვახჩოთ. ვინ იფიქრებდა, თუ ამისთანა ამბებს ქვერიას ორფეხა ტურები სჩადიოდენ და მეზობლები კი მართლაც საწყალს ტურებს არც დღისით და არც ღამით მოსვენებას არ აძლევდენ.

ზამთრიდგან გამოყოლილი შეფენთხილი ფე-
რდები ყვერიას მოწაფეებს თან დათან ევსებო-
დათ გამოზაფხულზე. რაც ზამთარში ეთმინათ
შიმშილ წყურვილი, ამის მაგიერათ გაზაფხულ-
ზე დაიწყებდენ ღამით მოქმედებას და კვირაში
ერთხელ თუ ორჯერ შუაღამიდგან დაწყებული
დილამდის გაუსხლეტელი ლხინი ჰქონდათ შუა-
გულ ტყეში. რასაკვირველია, ისინი არც მღერო-
ბდენ, არც ხმას იღებდენ, მაგრამ მშვენიერი ქა-
თმის და ბატის კურტუმოებით ყოველთვის მდი-
დარი ჰქონდათ ღამის სუფრა. ერთი სიტყვით ესენი
დასდევდენ თათრის რამაზანს, მაგრამ ამათი რა-
მაზანი უფრო ხანმგძელი იყო. პირველ ძილს
შემდეგ ყმაწვილები ახტებოდნენ ლოგინიდგან,
უცბათ ჩაიცვამდენ და თითო თითოთ გაუტევ-
დენ თავის კარვებისკენ. პატარები შვიდ ყმაწვი-
ლამდის მივიდოდენ დიდ საკუჭნაოში, წაიღებ-
დენ იქიდგან დანას, პატარა კარდალს, გადავი-
დოდენ ხევში დაანთებდენ ცეცხლს იქ, საცა წალ-
მის ნაცეცხლარი იყო, ადუღებდენ კარდალ-
ში წყალს და უცდიდენ, სანამ ქათამს ან ბატს,

ან ინდოურს მოიყვანდენ დანარჩენი სამი შაგირდები, რომელნიც წასული იყვნენ ამათ მოსაპოველათ. იმათ ყოველთვის თან დაჰქონდათ ჯიბით ბატის და ქათმის ძვლები, და თუ ვინიცობაა ძაღლი შეუყეფდა, გადაუგდებდენ ძვლებს და ამ ნაირათ მოიგებდენ იმ:ს გულს; მერე გამოუთხრიდენ ძირს მეზობლის საქათმოს, ერთი შიგ საქათმოში შეძვრებოდა, რამდენსაც წაველებდა ხელს ერთ დაჭერაზე იმდენს დაახჩობდა, იქვე წასწყვეტდა თავს, რომ ფრინველებს არ ეჭყვირათ და გამოთხრილ ძირიდგან მისცემდა გარეთ მდგომ ამხანაგს. მერე თვითონაც გამოვიდოდა და გაუტევდნენ ერთად დანიშნულს ალაგისკენ, სადაც დაიმზადებდენ ვახშამს, მერე წამოვიდოდენ თავის დიდს კარავში, სადაც ხელ მწიფურად შეექცეოდენ დილის იჟრაჟამდის.

ამ მოქმედებას ეტყოდენ ს ა ნ ა დ ი რ ო თ წასვლას.

ამას გარდა ბაღებში რაკი ბალი, ვაშლი, ან ყურძენი დამწიფდებოდა, ჩვენი მოწაფეები კვირაში სამჯერ რომ მაინც არ სტუმრებოდენ,

ისე როგორ იქნებოდა. დაივსებდნენ ხელით კალთებს, ჯიბეებს, ორკალათს და სწრაფად გადმოვიდოდენ. ამ მოქმედებას ეძახდენ დ ა რ ბ ე ვ ა ს. დარბევაში ყველანი მიდიოდენ და სანადიროთ მხოლოდ ორი,ან სამი გამოცდილი უფროსი მოწაფე. დიტომ რაკი კარგათ გაიცნო თავის ამხანაგების ცხოვრება, ისე მოეწონა იმათი მოქმედება, ისე შეეჩვია ამნაირს ცხოვრებას, რომ სახლი სულაც აღარ აგონდებოდა და თუმცა კლასში ხშირათ სცემდენ ლინეიკებს; მაგრამ შინ გაპარვა მაინც აზრში აღარ მოსდიოდა. თუმცა წლოკანებით პატარა იყო, მაგრამ ისეთს სიმარჯვეს და სიმკვირცხლეს იჩენდა, რომ დიდ მოწაფეებსაც მალე დაუმეგობრდა და «ნადიროობაშიაც» დაიწყო სიარული. ამ საქმეში დიტო მართლადაც ძალიან სასარგებლო კაცი გამოჩნდა. საცა თავი გაეტეოდა კვერნასავით, იქ ტანსაც გაითრევდა. საქათმოებში ერთსაც არ დააყვირებდა ფრინველს, ისე უცებ კატასავით გაგუდავდა ბატი, ქათამი იქნებოდა, თუ ინდაური.

ის ისეთ ვიწრო ხვრელებში შეძვრებოდა,

რომ დიღლით მეზობლები რომ ნახავდენ თავის საქათმოს საძირკველის ხვრელს, აზრათაც როგორ მოუვიდოდათ, რომ აქ პატარა დიტოს უმუშავნიათ. ისინი სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ან ტურის, ან მელის ნაავაზაკევი უნდა იყოსო. მთელი ზაფხული ამნაირათ ატარებდა დროს ეს მოწაფეების ა ფ ს ო ნ ი. გარემს მცხოვრებლები სჩიოდენ: «ტურებმა გაგვაწყალესო ფრინველების განო» — და ყოველთვის ხვრელთან ხაფანგებს უგებდენ; მეორე დღეს ხაფანგი დასხლეტილი დახვდებოდათ და ტურა კიარსად იყო. ვენახების და ბაღის მცველები უფრო გონებიანი გამოჩნდენ ამ შემთხვევაში: ისინი აზრს იღებდენ, რომ სწორეთ ქვერიას აფსონები უნდა იყოსო ჩვენი ბაღის ქურდები; მაგრამ ჩვენი აფსონი ისე მოხერხებულათ იპარავდა ხოლმე, რომ ერთხელაც ვერავინ დაიჭირეს. მებაღე ხან და ხან მოვიდოდა საჩივლელათ ქვერიასთან, მაგრამ ის ეტყოდა, თუ ნახო ვინმე ჩემ ყმაწვლებთაგანი, დაიჭირე და მაშინ ვე ვაჩვენებსეირს, თორემ ეხლა მოდიხარ,

რა ვიცი, რამდენი ღამის ქურდი ბალში შევა, ყველა ჩვენი ყმაწვილი ხომ არ იქნებაო. (ქვერია უსაცილოთ მიმვხდარი იყო, რომ იმის ყმაწვილებიც გაერეოდენ ამისთანა საქმეში; მაგრამ მაგდენს ყურადღებას არ აქცევდა. ამისთანა საქმეებს ის ეძახოდა ყმაწვილობას და საწინააღმდეგოთაც არ უყურებდა ამნაირს მოქმედობას. რა უყოთ, თითო ოროლა ვაშლი, ან მტევანი ყურძენი რომ ვინმე მოსწყვიტოს, ვითომ ვის რა დააკლდება, ან ვის რაშეეძინებაო....».

როცა ზამთარი დადგებოდა, ქვერიას მოწაფეები სულ სხვა ნაირს ხელობაში გაერთობოდენ. ქართველები საზოგადოთ თავ შენახულები ბის დღეში არ ყოფილან და უწინ ხომ სულ არ იქნებოდენ. არცერთ იმ შეგირდების მამას აზრათ არ მოუვიდოდა, რომ იმის შვილისთვის მთელ ზამთრის განმავლობაში ორი კონა შეშა მაინც მოეტანა და რომ ეფიქრა, ვერც შეიძლებდა ამის ასრულებას? უნდა ვთქვათ, რომ ქვერიას მოწაფეები ყველანი თითქმის ერთი, ან ორი დღის სავალზე მაინც იდგენ ქ...გან. ამ სიშო-

რეზე ბიჭს ხომ ვერ ატარებდენ ორი ღერი შე-
შისთვის და საურმე გზა იმ სოფლებიდგან ქ...-
მდის არ იყო. განა არ შეიძლებოდა ყიდვაო?—
იტყვის მკითხველი, მაგრამ ფული კი არ უნდო-
და ყიდვას? იქ, სადაც ჩინოვნიკი შვიდი, მანე-
თის მიმღები თვეში, ითვლებოდა მდიდარ კაცათ,
რომელიც ამ შვიდი მანეთით თავის ცოლშვილ-
საც არჩენდა და თავის მეზობელ ნათესაობასაც,
უბრალო სოფლელ აზნაურისშვილს რაღა უნ-
და ჰქონოდა...პურ ღვინო, რასაკვირველია, ყვე-
ლას სარჩენათ ჰქონდა; შალის ჩოხას და სამოს-
ლის ნიფხავ-ჰერანგს ყველა შოულობდა, ან შინ
იკეთებდა, ან პურ-ღვინოს ძლევით ყიდულობ-
და. მაგრამ ფული რომ გეთქვა, კარგი შეძლე-
ბული აზნაურშვილი უნდა ყოფილო, ამ ოცი
ოცდაათი წლის წინათ, რომ უცბათ ხუთი მა-
ნეთი მოეხერხებინა. მაშინ ყმაწვილის შკოლა-
ში გამოზდას მხოლოდ ის იფიქრებდა, ვისაც
დაახლოვებული მონათესავე ქ...ს ეგულებოდა
რუსის სამსახურში. ცდილობდა როგორმე შვი-
ლი იმასთან დაეყენებინა და მერე იმის სმა-

ჭამაზე და ჩაცმაზედაც მშობელი არას ფიქრობდა. თუ კი ერთხელვე ჩამოუყვანდა შვილს, მერე მხოლოდ მაშინ მოეჩვენებოდა, როცა ყმაწვილს შკოლიდან დაითხოვდენ: ამ დროს ჩამოიყვანდა კეხიანს ცხენს, შეაჯენდა ზედ თავის შვილს და წაიყვანდა შინ; როცა გაიხანებოდა სწავლა იმგვარათვე კეხიან ცხენზე შემჯდარს ჩამოიყვანდა, ჩაუყენებდა თავის ბედნიერს ნათესავს სახლში და მერე თუნდ შიმშილითაც მოეკლათ, შვილის ანბავს მეორეთ დათხოვნამდის ალარ კითხულობდა. შვილის გაზდასა გრეთვეის იფიქრებდა მაშინ, ვინც შემთხვევით უეზდის ნაჩალნიკთან ან იმაზე მაღალ ადგილს ჩინოვნიკთან იყო გაცნობილი, რომ იმათის შემწეობით სახელმწიფოთ ჩაერიცხათ. სხვა ზრუნვა ჩვენს ქართველობას შვილის გაზდაზე არც ჰქონია და არც აქამომდე აქვს; თუ როგორმე ბედის წერა შეხვდა და ყმაწვილმა ისწავლა რამე კარგი, თუ არა და კაცად მაინც ხომ არ დაიკარგებაო. რაც მაგის მამა-პაპას უქნია, თავის დროზე ეგეც იმას ეზამსო: რასაც მოიყვანს,

იმასვე შეჭამს და ბოლოს მოკვდებაო». მოდი და ამისთანა შეხედულობის შემდეგ შვილის გაზდაზე ქვერიასთანა კაცები გაამტყუნე, თუ ისინი ყურში ბამბას იცომდენ, როცა შორიდან იმათ მოწაფეების მოქმედებებზე ცუდი ხმები იყო. ქვერიასთანა კაცები ამბობდენ: «აბა როგორ უთხრა ჩემ ნათესავს, შვილს ვერ შეგინახავო. მკვიდრობა და თვის-ტომობა რითი უნდა დავამტკიცოთ, თუ გაჭირვებაში ერთმანეთს ხელს არ გაუმართავთო — მაგრამ ესეც ახირებული იყო. რაკი ერთხელვე კარს გაულებდი სოფლელ ნათესავს, მეორეჯერ ათი, ან ოცი იმისთანა მოგადგებოდა კარს თავის შვილებით: მეც შემინახე ჭ....ს შვილი და მეცაო. მოდი და ამდონს ტყუილა მჭამელს ტურის ხროვას შენ გაუბელი! ძალა უნებურათ ამდენი ყმაწვილების ურდო ნახევარ ჯერ მშიერ მწყურვალი უნდა გყოლოდა. რასაკვირველია, ყმაწვილებიც შიმშილით ხრმ ვერ გაწყდებოდენ და თვითონ ეს გაჭირვება

აჩვენედა ხმათ «ნადირობასა, და დავლაში» სია-
რულს. ამას გარდა ქვერიას აფსონმა თავის ფა-
ცხის ტახტის ქვეშეთი გამოწნა, ასე რომ ერთი
ფიცარი ტახტისა რომ აგეხადნა, ქვეშ—მჯელ
სარდაფს დიანახავდი, სადაც შეიძლებოდა ერთი
საქენი შეშა ჩასულიყო. როგორც ქრისტეშო-
ბისთვე დადგებოდა და პირველი ზამთრის
სუსხი მოატანდა, ქვერიას მოწაფეები შეიმალე-
ბოდენ თავის ფაცხაში შემოდგომის ჭიეპსავით და
ლამით იწყებდენ მეზობლების ლობეების მოტ-
რეტას და შინმოტანას. თითო წასვლაზე მოგ-
ლეჯდენ ხუთ-საქენ სიგძე ლობეს, მოიტანდენ
ფაცხასთან, დაამტრევევდენ და ჰყრიდენ ლოგინ-
ქვეშ, სულ გაავსებდენ და მერე დაიწყებდენ
ნამიან ბუზრის ხურებას. ქვერიამ და ჩახუნდარამ
კარგათ იცოდენ, რომ ეს გამოულეველი ცეცხ-
ლი ყმაწვილების ფაცხაში იმათი ლამის ნამოქ-
მედარი იყო, მაგრამ ვითამც და, არც კი ვიცით,
ხმას არ იღებდენ. მოდიდა ამისთან ახროვავს გა-
უწყერი: სიცივით ხომ ვერ მოკვდებოდენ და,
თუ სხვის ლობის დაწვას აუკრძალავდი, მაშინ

ქვერიას ლობეს მიჰყოფდენ ხელს. არამც თუ ლობეს, რასაც კი გარეთ დაგდებულს მოავლებდენ თვალს: ურმის თვალი იქნებოდა, ან სალამფე ფიცრები, ან ძელები, სულ ესეები იმათ ბუხარს აძლევდა საკმაო ხარკს. მეზობლები სჩიოდენ დღენიადაგ ქვერიასთან; მაგრამ ის ხმასაც არ იღებდა. ერთხელ ერთი მჭედელი იმან კიდეც გალახა. ის შაჰოვარდა ეზოში და ასტეხა ყმაწვილების ფაცხასთან ჩხუბი. სამჭედურის გადასახურავათ ხუთი საპალნე ყავარი ვიყიდე და წუხელი თქვენმა ყმაწვილებმა ერთი საპალნე მოპარესო. ჩხუბის ხმა რომ შემოესმა (დილა იყო), ქვერია გამოვარდა სახლიდგან, მივარდა მჭედელს და შესძახა ფიცხათ. აბა, დაამტკიცე ყმაწვილებმა წაიღეს თუ არაო. მჭედელმა ბევრი უარა გარს ფაცხას, შინაც შევიდა, მაგრამ ვერა ნახა რა. ის საპალნე ყავარი ლოგინ ქვეშ იყო ერთ კუთხეში მიმალული. თუ ტახტის ფიცრებს აანგრევდა და იქ დაწყობილს ლობის ნამტვრევებს და ურმის თვლის სოლებს სულ გამოალაგებდა, რქნება მაშინ მიეგნო, თორემ უმისოთ ვერას

გაარიგებდა. საწყალმა მჭედელმა ბევრი იწრიალა, მაგრამ ვერსით ვერა შენიშნა რა:რა მოაფიქრებინებდა, რომ ყმაწვილებს ტახტს ქვეშ სარდაფი ექნებოდათ გაკეთებული. რომ ველარაფერი გააწყო რა, მჭედელმა დალუნა თავი და წასელას აპირებდა; მაგრამ ამდროს ყველიამაც კარგი სილა გააწნა ლოყაში ცილის დაწამებისთვის; მერე დავდევენ ყმაწვილები და სულ კირწის კერით გამოისტუმრეს. ყველაზე უფრო დიდი ფასი ყმაწვილების თვალში ედო ხმელ ფიჩხს, რადგან იმათ სანთელი სიზრმათაც არ მოეჩვენებოდათ, თუნდ ბონისაც რომ ყოფილიყო. ისინი სწავლობდენ თავის უროკებს ბუხრის ცეცხლზე. დაცხადია, რომ რაც უფრო დიდი ალი ექნებოდა ბუხრის ცეცხლს, ის აჯობებდა იმათთვის.

IV. ეფსის მეთოდი.

დიტოს გონება ზირგვლიშვილ კერშდება. ის ვერანაფერს სწავლობს, რადგან რასაც სწავლიან, უცხო ენაზე სწავლიან და ბრეულებიდ არა ენაზე.

დიტოს ნორჩი აგებულება მალე მოიქნა და ჩავარდა იმ წრეში, სადაც ადრიდგანვე ეჩვეოდენ მგლურ ხელობას და ამ ხელობით თავის გატანას. სამჯერ ოთხჯერ ლაზათიანად გაწკეპლამ დიტოს ბატონური ხასიათი ისე მოდრიკა, რომ სულ თასმასავით ეხვეოდა ყველას. ბუნებით მკვირცხლი და მარდი ყმაწვილი შეიქნა არამცთუ ჭერიას და ჩახუნდარას ყურ-მოჭრილი ყმა, თავის ამხანაგების მორჩილიც და გამგონე; როგორც მიმინო, ისე გაიწაფა თავის ამხანაგების ხელობაში და მალე იმათი სიყვარულიც მოიპოვა. თუ რაიმე სიმარდეს გამოიჩენდა-ან დასაქმებაში, ან თუ ჭიდაობაში თავის ამხანაგს როგორმე მუხლს დააკვრევინებდა. ყველანი ერთხმით დაუწყებდენ ქებას: ყოჩალ, დიტო. ეგ ისეთი ბიჭი გამოვა, რომ ტოლი არ ეყოლებაო. ამისთანა წაქეზება თან-და-თან აგულიანებდა და ჩქარაც ეჩვეოდა ლამის ხელობას. მაგრამ რამდენათაც უფრო წარმატებაში შედიოდა კანონის და ზნეობის წინააღმდეგ ხელობის სწავლათ, იმდენათ უფრო მძიმდებოდა იმისთვის წიგნის სწავლა....

კლასში ყოველთ ტაბლიცაზე იდგა ხუთი, ექვსი, ან შვიდი უმაწვილი. ამათ ჰყავდათ დაყენებული უჩიტლიესაგან სტარში, რომელსაც ეჭირა ხელში მოქნილი წნელი და იმითი აჩვენებდა თავის შაგირდებს ტაბლიცის ასოებს. დიტო ჩაუყენეს პირველ ტაბლიცის წრეში და სტარშმა გაუკვეთა ხუთი ასო: а (ა), б (ბ), в (ვ), г (გ), д (დ). სტარშს სამჯერ უნდა წაეკითხვინებინა და თუ ამის შემდეგ დიტო თავისით ვერ ჩამოთვლიდა, მაშინ ნება ჰქონდა მოქნილი წნელი ერთჯერ ხელზე დაეკრა დიტოსთვის. თუ შეუშლელათ ჩამოსთვლიდა ამ ასოებს, მაშინ შემდეგს ხუთს ასოებს გაუკვეთდა და სამჯერ ჩამოკითხვის შემდეგ ყველა ათი ასო უნდა ჩამოეთვალა. თუ ვერ ჩამოთვლიდა მაშინ ორჯერ ენდა დაეკრა სტარშს თავის წნელი. დიტოს თვალის წინ იმ ექვს უმაწვილში სტარშმა ორს ორჯერ აუსისხლა ხელები: ჯავრით გაჭარხალებულს უმაწვილებს გადმოსდინდათ თვალიდგან ცრემლის კურცხლები და მერე აწითლებულს ხელის გულებს დაუწყეს სულის

ბერეა. დიტო ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა და მით უფრო გულს მოდგინეთ ადექნებდა თვალს ტაბლიცაზე დახატულს რგვალს ასოებს. პირველი ხუთი ასოს დასწავლა მაგდენათ არ გაჭირებია, მაგრამ მეორე ხუთი ასოც რომ მიუმატეს და ერთად ჩამოთვლის დრო მოუვიდა, დიტოს გული აუთრთოლდა, ვაი თუ შემეშალოს და სტარშმა ხელები ამიწითლოსო. ამ ფიქრმა არია იმის გონება, თავი დაურეტიანდა და როცა სტარშმა დააწყებინა თავიდგან კითხვა, დიტოს ხმა აუთრთოლდა და პირველი ასოების გამოთქმა ღრიალათ გადაექცა: აააა.... ბბბბ.... გგგგ.... მეოთხე ასოზე კი მიასო ფეხი.—«მერე. ეს რა არის?... თქვი ეს რა ასოა?... თქვი, თვარა მოგვეხდა წნელი.—ჩასჩიჩინებდა სტარში. დიტო სრულებით დამუნჯდა, იმან მწუხარებით გაუსტერა თვალები სტარშს და ცრემლი მოერია.—«ხელი გამოშალე, შეჰყვირა სტარშმა.—დიტომ ამ სიტყვაზე, როგორც შეეძლო დაიყვირა. ამ ხმამ უჩიტელი გააოცა; იმას ეგონა, თუ ხარი წაუქცევიან და ყელსა

სჭრიანო.. მოვარდა უცბათ პირველ ტაბლიცასთან და აჩქარებით დაიწყო კითხვა: *что такое, что случилось, что съ нимъ?...*

— *Ело незнаетъ... не хочишь бить.* —უთხრა სტარშმა.

— *Ахъ, ты каналья какъ ты смѣешь ре-зѣть* —დაუყვირა უჩიტელმა დიტოს.

— *Дай руку.* —შეჰყვირა უჩიტელმა.

გამოაშლეკინეს აღრიალებულს დიტოს ხელი და ხუთჯერ ისეთი უშიშვლეს ხელის გულზე, რომ ყმაწვილს უნებურათ ხელები დაეკრუნჩხა. დიტომ გააბა საშინელი ყვირილი. რომ მთელი კლასის ყურადღება არ მიექცია ამ საგანზე, უჩიტელმა გაგზავნა ის სტოროჟის ოთახში და დაუკეტა კარები. იმ დღის შემდეგ დიტოს აღარა უსწავლია რა. ის ყოველთვის დარეტიანებულს ჰგავდა. ამის შემდეგ წინააღმდეგობა აღარავისი გამოუჩენია. ყველას ემორჩილებოდა; დიტო დაემზგავსა საპალნეში გაჩეულს ვირს, რომელსაც რაც უნდა ბევრი სცემო, თუ წელში გაიზნიქება, თორემ სიარულს ვერ მოამატებინებ-

კლასში თითქმის ამხანაგებმაც კი დაიბრიყვეს. ვინც იმაზე ხნით უფროსი იყო, თავის მოვალეობათ რაცხდა, თუ გვერდით გაუელიდა, თავში ჩაერტყა. რომ გეკითხნა, რისთვის სცემო? ის მოგიგებდა — ხათრის გულისთვისო, დიტოს თავზე ხელს კარგი ტკაცანი გააქვსო. ამ სახით დიტო შეიქნა დაბალი ლობე, რომელზედაც ბრალიანი და უბრალო ნიადაგ ზედ გადადიოდა. ამის შემდეგ დიტოს გონებამ იმის უნებურათ უარი სთქვა სწავლაზე. რამდენჯერ მოინდომა ამ პაწაწა ყმაწვილმა დიდი სურვილით დამახსოვნება ტაბლიცების ასოებისა თავიდგან ბოლომდის, ცდილობდა დაეცალიერებინა თავის მეხსიერება ყოველგვარ გარეშე ამბებისაგან და მხოლოდ ჩაეწყო შიგ ეს დაკვარახჭინებული რუსული ხმის ნიშნები თავის სახელებიანა; მაგრამ როგორც კი შეუდგებოდა ამ საქმეს, იმის ცხოველი გამოხატულება მაშინვე წარმოდგენდა მრისხანე სახეს უჩიტლისას და წყეულს სტარშს მოქნილი წნელით; მერე ყოველივე აერეოდა თავში და ასოების მაგიერათ ის მხო-

ლოდ ხედავდა გონების თვალ წინ თავის დაწითლებულს წნელით ნაცემს ხელს, რომელზედაც სულს იბერავდა ნატკენის გასაგრილებლათ. ამისთანა წარმოდგინებით მეხსიერება და გამოხატულება ამ მკვირცხლს ყმაწვილს სულ აერდაერია. აი, რითი აიხსნება ის სამაგალითო შემთხვევა, რომ ეს ბუნებითი ნიჭიერი ყმაწვილი გამოდგა კლასში ყველაზე უნიჭო. მთელი წლის განმავლობაში სულ მარტო ტაბლიცის ასოებს სწავლობდა და ბოლოს რათიც იქნა დაისწავლა კიდეც; მაგრამ იმის ამოსალების გაკვეთას კი არა ეშველა რა. მის დღეში ვერ წარმოედგინა, თუ ეს გაცალკევებული ხმის ნიშნები ერთმანეთთან რომ დაიწყობიან, წარმოსთქმენ მთელს სიტყვებსო.

ამ მდგომარეობაში იყო დიტო, როდესაც შინ ქვერიამ დააწყებინა ქართული ხუცურის სწავლა და ამ განზრახვით მიაბარა იგი თავის დიაკონს, რომელიც ქვერიას შუამდგომლობით ეპისკოპოსთან ცდილობდა ღვდლათ კურთხეულ იყო და ამ პირობით ორი წელი მეტიც

გასულ იყო, რომ იმას ყმასაითა ემსახურებოდა. თვითონ ქვერია ძალიან უკმაყოფილოთ იყო თავის ძმაზე, რომ იმას ამხელა შვილი ჰყავდა: ცხრა, ათი წლისა და ქართული წერა-კითხვა არ ესწავლებინა. «ეს ყმარწვილი მამა მისს სულ გაუტუნტრუკებიაო; ამტოლა ყმაწვილმა, რომ ახლა დავითნი ზეპირათ არ იცოდეს, დიდი სირცხვილიაო»—იტყოდა ქვერია. დიტომ რათიც იქნა ისწავლა ხუცური ასოები, მერე დიაკონმა დავითნი მისცა ხელში და «ნეტარ არს კაცი» გაუკვეთა. თუმცა დიტოს პირველათ ძალიან ეძნელა ამოსაღების სწავლა, მაგრამ მერე როდესაც თავის დასწავლული ასოების ერთმანეთზე მიწყობით და თან-და-თან იმათი ხმების გამოთქმით მთელი ქართული სიტყვები გამოუდიოდა, მაგალითად სიტყვა: «ნეტარი», «კაცი», «რომელი»—გამოუდიოდა ისეთი სიტყვები, რომელნიც დიტოს ულეიქებდენ გონებაში მრავალს მშობლიურს და თავის ბუნების ენის წარმოდგენაებს და ცოცხალს სურათებს. ამიერითგან თითქოს დიტოს გონების

თვალზე ჩამოცმული ფარდა ჩამოვარდა და ის ნათლად მიხვდა, რომ თურმე ამ ასოებს აკი იმისთვის მასწავლიდენ, რომ იმათი შეერთებით ჩემი ნაცნობი სიტყვები გამომეპატა და ამ სიტყვებით ყოველი აზრიც —სხვისი და ჩემი დაწერილი — შემეტყოვა!...ამ გამოძიების შემდეგ დიტო ძალიან გამხიარულდა, სწავლაში გულს მოდგინეობაც დაეტყო, ასე რომ ერთი კვირის განმავლობაში მთელი: «ნეტარ არს კაცი» ესე იგი მთელი ერთი თავი «დავითნის» კანონებისა ჩააბულბულა. საქმე მარტო ამით არ გათავებულა, დიტომ გააგრძელა შედარებითი ფიქრი: «თუ კი ქართული ასოები ერთმანეთთან შეწყობით წარმოსთქმენ მთელ სიტყვებს, იმისთანა სიტყვებს, რომელნიც კარგათ მესმის — ამბობდა თავის გონებაში დიტო—მაშ რუსული ასოების შეწყობას რა მოუშლის, რომ რუსული სიტყვები შეადგინოს». ამაების ფიქრში გაატარა მთელი ის კვირა და «ნეტარ არს კაცს», სწავლობდა დიტომ ქართული გაკვეთილის კითხვა რიგიანათ მოახერხა და ახალი

სასწავლი გვერდი დავითნისა, თითქმის თავისით გაიკვეთა ისე, რომ დიაკონი ბევრს აღარას ეხმარებოდა და მალეც უშვებდა სათამაშოთ, რა დაინახა, რომ იმის მოწაფე თავისით იკვეთდა ახალ გვერდებს. როდესაც დიტო დაწვებოდა ხოლმე გონებაში წარმოიდგენდა ყველა კლასის ტაბლიცებს, წარმოიდგენდა იმათზე გამოყვანილს ასოებს და აერთებდა აზრში ამ ასოებს და გრმოჰყავდა თავისებურათ რუსული სიტყვები. იმ კვირეში ყმაწვილებს ხშირად ესმოდათ ღამით დიტოს ბოდვა. ყმაწვილებმა დღისით დაცინებაც დაუწყეს: «ყოჩაღ, დიტო... ამ ბოლოს დროს ჩვენმა საელიობო თხამ ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ ძილშიაც კი ლაპარაკობს რუსულათაო. ერთხელ მივიდენ თუ არა კლასში, დიტო მივარდა მაშინვე მეთორმეტე ნომრის ტაბლიცას, მიათრია ხვეწნით თავისი სტარში, სანამ უჩიტელი შემოვიდოდა და ეუბნებოდა: აბა წამაკითხე, აბა, თუ კარგათ არ წავიკითხო.

— კარგი, არ წაგიკითხავს და მე შენ გაყურებინებ შენი თავის სეირს: კაი, კაის წაგარტყამ...— უთხრა სტარშმა.

— თუ ვერ წავიკითხო წამარტყი—უთხრა დიტომ. და მართლაც ამოიკითხა პირველი სიტყვა: *Богъ, Духъ, Благъ*... და სხვა.

— ბარაქალა თხის ტვინა, ბარაქალა—მე დღეს უჩიტელს ვეტყვი, რომ სხვა ტაბლიცაზე გადაგიყვანოს. რალა ბევრი გავაგრძელო. იმ კვირაში დიტომ ჩამოიარა ყველა ტაბლიცები. ალარც ჯოხი მოხვედრია და შაბათს დილით უკანასკნელს ტაბლიცაზე ყველაზე უფრო ძნელი სიტყვა ამოიკითხა: *Прейс-бы-то-чес-тву-ю-ще-му-ся*». წაიკითხა თუ არა ეს ლექსი, ერთი მტკაველი შეხტა. მეორე კვირას დიტო დასვეს სკამზე და უთხრეს, რომ იმას ეყიდნა «აზბუკა», სადაც რუსული ლოცვები იყო და «დრუგ დეტეი.» დიტო კითხვაში თან და თან იწაფებოდა და უჩიტელიც ემადლიერებოდა, მაგრამ ლოცვების ზეპირათ სწავლა, რომ დააწყებინეს, ამან კი საშინლათ გაუჭირა საქმე. ერთი სიტყვაც არ ესმოდა იმ ლოცვებისა და იმას კი ხუთ-ხუთი თუ ექვს-ექვსი სტრიქონი ზეპირათ ორჯერ მაინც უნდა მოემზადებინა კვირაში.

ვინ იცის, რამდენი ოფლი ღვარა საწყალმა ყმაწვილმა გაუგებარს სიტყვების დაზეპირებაში. ზეპირი სწავლა დააწყებინეს «ოტჩე ნაშით».

წარმოიდგინეთ ზაფხულის პაპანაქება სიცხე იმერეთში. ყველიას მოწაფეები სჭამენ თუ არა სადილს, მაშინვე გაემართებიან თავის საყვარელ ტყეში. ყოველი ყმაწვილი თავის კარავში შედის. კარავი კარავზე იმდენათ არის მოშორებული, რომ ერთმანეთის ხმა ძლივსლა ესმისთ. ერთი იმათგანი მესამე კლასის მოწაფეა, ყველაზე უფრო ღრიალა, მაგრამ ყველაზე უფრო გონება დარეტიანებული გაუგებარი ფრაზების მუდამ ზეპიროობით. იმას აქვს ძალიან შორს გაკეთებული კარავი და, შეეა თუ არა შიგ, გაშლის რუსულ ღრამატიკას და მოჰყვება ხარივით ღრიალს: «მესტოიმენიე ჩისლიტელნოე: მესტოიმენიე ჩისლიტელნოე, მესტოიმენიე ჩისლიტელნოე.... კოლიკი, ტოლიკი... პოკოლიკი, პოტოლიკი. ამ ოთხ სიტყვას ათ ჯერ მაინც გაიმეორებს და მერე ისევ მესტოიმენიიდგან მოჰყვება, ვითამ ერთბაშათ უნდა თქვას; მაგრამ

«პოკოლიკისა და პოტოლიკის« ზეპირობაში მესტიმენნიე ალარ ახსოვს, გადაშლის წიგნს, ჩახედავს და რომ ამოკითხავს მრავალჯერ ამონაკითხს სიტყვას, გაჯავრებული შამოიკრავს თავში ხელს, თავის მესხიერებას უჯავრდება, როგორ გაბედე შენ იმ სიტყვების ხელიდგან გაშვება, რომელიც ამ ერთი მინუტის წინათ მოგაბარეო. მერე შეჩერდება და ილანძღება: «ფუ, ჩემი მეხსიერებაც შეარცხვინა ღმერთმა. ეს მეექვსე ჯერ მაქვს ეს ოხერი უროკათ და ჯერ კიდევ ვერ მისწავლია... ან კი რა ოხერია ეს «კოლიკი», «ტოლიკი,» «პოკოლიკი,» «პოტოლიკი», ნეტა მაინც მე'მოდეს. ჩვენში შეკოლიკებას იმას ვეტყვით, ქვებს რომ ერთი ერთმანეთზე დააგროვებენ, გააკეთებენ მაღალს ზვინს და ისე სუსტათ არის ანაგები, რომ ერთი შებერვით წაიქცევა და დაინგრევა. მაგრამ თუ «პოკოლიკი» შეკოლიკებას ნიშნავს, რა ღმერთი გაუწყრათ, რისთვის არის გამოსადეგი ამის სწავლა, ან რაში უნდა გაჩოვიყენო, მერე უცბათ დაჭკრავს მუჯს თავის გრამატიკას, გადააგდებს

ფქით, წამოწვება ჰირალმა, მოსწყვეტს ბაბუსა-
გძალა ბალახის გახვრეტილს ღეროს, თაკს გა-
უპობს ოთხად, დაადებს ზედ დაგორგოლე-
ბულს მიწას და ღერის ქვედა თავიდგან დაუ-
წყებს ბერვას, სულის კამარა აიტაცებს ხოლმე
პაწაწა მიწის გორგოლას, რომელიც ღერზე
ძევს და ათას ნაირათ აბრუნებს ჰაერში. ეს
შექცევა თუნდ ერთს საათს მეტს გაგრძელდე-
ბა; მერე უცბათ გააგდებს სათამაშოს, სტაცებს
წიგნს ხელს და ისევ მოჰყვება: «კოლიკი,» «ტო-
ლიკი,» «პოკოლიკი» «პოტოლიკი»....

სხვა კარვებშიაც ყმაწვილები თითქმის ამ-
ნაირათ ატარებენ დროებას, მხოლოდ საზეპირო
კი სხვა აქვთ. ერთგან ისმის: «აზ უსმ...აზ
....აზ....აზ....ესმ ბოლ ტეოი...» მეორეგან:
«ქიზნუ....ქიზნუ...ზაჩემ ტი....ზაჩემ ტი....ზაჩემ
ტი.... მნე დანა.—ქიზნუ ზაჩემ ტი მნე დანა».
მესამეგან: «სტრეკოზაი მურავეი.» პოპრი-
გუნია,პოპრიგუნია, პოპრიგუნია.—ათჯერ მაინ
გაიმეორებს ამ სიტყვებს, მერე განაგრძობს:
«ლეტო კნასნოე...ლეტო კრასნოე პროპელა...

პროპელა...პროპელა» — სხვა კარვებშიაც ამისთანებს მღერიან თუ ზეპირ სწავლობენ, კაცმა არ იცის.

დიტო კი თავის პირველს გაკვეთილს ზედ აკვდება, მაგრამ არა ეშველარა, ხუთ სტრიქონში ორიც ძლივს დაუსწავლია. ის იძახის: «ოტჩე, ოტჩე, ოტჩე ნაში... იქე...იქე...იქე...ესი ან ნებესეხ...» რაკი ერთი ოცჯერ მაინც გაიმეორებს ამ სიტყვებს, მერე თავიდგან მოჰყვება და თუმცა ყველა სიტყვებს ამბობს, მაგრამ გადარეულ გადმორეულათ, რადგან არ ესმის რასაც ლაპარაკობს. ოტჩე.... იქე.... ნაშ. — ნანებესეხ ესი» — და სხვა.

ყოველ დღეს ნაშუადღევს სალამოდის ყველა ყმაწვილები ამისთანა ამბავში არიან; ყველას ამ უცნობს სიტყვების სწავლაში ტვინი აქვთ ადუღებული, თავი გამეხებული და მეხსიერება შერყეული; მაგრამ ისინი მაინც ოჩან ჯორსავით ზედ აკვდებიან ამისთანა თავის მომაბეზრებელს სწავლას. თუ ასე არა ქმნეს. კლასში უჩიტლის ლინეიკას ვერ გადაურჩებიან და

შინ ქვერიას წნელებს. ეს ძალიან სასტიკათ დასჯის ხოლმე იმათ, ვინც ერთ კლასში ორს, სამს წელიწადს დარჩება.

რამდენჯერ უტირნია საწყალ დიტოს, რომ საქმე გასჭირებია და თავის უცნობი სიტყვები და გაუგებარი აზრები ვერ დაუზეპირებია: «ნეტავი ქვე მაინც მესმოდეს ეს ოხერი. რაექნა, უაზრო სიტყვების სწავლამ ტვინი წამართოო» — იტყოდა ხოლმე დიტო და მაინც ბრალს თავის უნიჭობას ადებდა....

საკვირველი ეს იყო, რომ დიტო დაკითნისა და ქართული ლოცვების სწავლაში მეტად მარჯვე გამოჩნდა. სანამდის «ოტჩენაშს» თავიდგან ბოლომდის რუსულათ გაიზეპირებდა, დაკითნის ხუთი კანონი დაისწავლა და ლოცვები: «მრწამსი, მამაო ჩვენო» და «ღირს არსი».

ქვერიას როცა თავისუფალი დრო ექნებოდა, ძმისწულს მოსთხოვდა ხოლმე ქართულს სწავლაში ანგარიშს და ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა იმისი სწავლით. ერთხელ ისე კარგათ მიუგო ყველაფერი, ასე გასინჯე სიბრძნე-სი-

ცრუვიდგანაც კი დაესწავლა სამი ოთხი არაკი. ქვერია ძალიან კმაყოფილი დარჩა თავის ძმისწულს და სიამოვნების ნიშნათ თავზე ხელი დაუსვა.—გულში ჰფიქრობდა ეს ჩემი ძმისწული კარგი ნიჭიერების ყმაწვილია და იმედია რუსულშიაც კარგად ისწავლის. ის კი არა თუ რუსულში თითქმის ყველაზე უკანასკნელი იყო და უჩიტლისაგან ლინეიკის ცემით ხელის გულის კანი გასქელებული ჰქონდა და ამ კანის გასქელებას ტვინშიაც კი შეეტანებინა უაზრო, უგებარ სიტყვების ზეპირობის გამო....

გ—თელი.

(შემდეგი იქნება.)

* *

ალმოჭსდა მსათი ალმოსავალს, მზეებს ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუვარა ცასა ლრუბელი
დიდსამეფოსარო, საუდარო და მეც გლას გული
მსწრაფულ განმითენა, შავ ბედისაგან დალამებული.

ნუ თუ ალმიხსდი ცხოვრებისა ჩემისა მსათობლად
ნუ თუ შენ ჭეფინო შვების სხივი ჩემს გულსა კვალად
კვლავ ალმიტაცო გულის ჭირნი, მიერეებულნი
და განმიახლო ნეტარების დღენი წარსულნი.

მაშ გამობრწყინდი, მთვინე შუქი, ეგ სალცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი ესრეთ საზარი;
მეცა ხელი ვერ დაეანგებულს ჩემსა სასთურსა
დამეკარგოთ ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ტიურსა.

დავმღერდე მას დროს, რომ კარსკვლავი მშვენი-
ერის ცით
მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით.
მოკვთქვამდე, თუ ვით მიმეფარა იგი მჭსწრაფულ
ლრუბელს

ბოლოს ვუმღერდ შუქსა შენსა, შვების მომფენელსა

გჰფუცავ ძღიერსა სსიცსა შენსა, ჯი მნათო

ჩემო

ოდეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს კარემო,
მუის დაბილამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად ყოველი დიდება.

ნ. ბარათაშვილი

---

*
* *

არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგონსანსა გულისთქმა;
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა.
მინდა მზე კიეო, რომ სსიანი ჩემთ დღეთა გარსა მოვაკლო,
სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უიერო ვაცსოვლო.

მინდა, რომ კიეო კარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს ადმოსვლას ელოდენ ტკეთა მეგრინველნი და კარდი
მინდა შენ იეო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განცოცხლო, საამოდ, მდელო სიცსითა დამწვარი.

რომ მხოლოდ მზისა ციალი მას დილის ნამსა იშრობდეს

და ერთად შესხივებული შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს,
არეს ავსებენ ხიარით მცენარეთ განმაცოცხლებლად
იუვნენ მარადის, მარადის სოფლისა განსათავებლად.

ნუ თუ ამ სულის წადილსაც ჰრქვა სიყვარული
სხვათაებრ;
მაშინ მზეც უსხივ უცეცხლოდ, შეიძლებს სათვას
ვარსკვლავებრ;
მაშინ ვარდიცა განოიადს ვერღარა გარდაიშალოს
და ცისა ცვარმან მდელოი არღარა გაბიბინოს.

მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანოვანთ მიემსგავ-
სები
მაშ რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები.
მაგრამ მშვენიერება გაქვს, ციხერო, უსრწნელი,
და ჩემთა გრძნობათა შენდამი ვერ დაჰსდვან გაცთა
სასელი.

ნ. ბარათაშვილი

ბიერ ბუგენი

ჟორჟ ზანდის რომანი.

პირველი ნაწილი.

I თავი

როგორც ამბობდა ლერებური, სოფელი ვილპრე იყო უმშვენიერესი ალაგი ლუარის და შერის დეპარტამენტში. თვითონ ლერებურს ეგონა, რომ მთელ სოფელში იმაზე ჭკვიანი და ნიჭიერი არავინ იპოვება, რასაკვრელია მაშინ, როცა იქ არ იყო მშვენიერი ძველი — გვარის ვილპრეს ციხის მფლობელები. როცა ეს კეთილშობილნი წევრნი ვილპრეს გვარისა არ იქნებოდნენ თავიანთ მამულში, მაშინ მთელ სოფელში პირველი მწერალი მარტო ლერებური იყო; იმის ვაჟიც აგრეთვე ძალიან ჭკვიანი და გონიერი ყმაწვილი იყო. სოლონიის გზებზე

იარმუკაში მიმავალი, ვინ იქნებოდა ისეთი ვაჭარი ქვეითი, ან ცხენოსანი, ან ნავით მოსიარულე რომ ეგ სამაგალითო ოჯახის გამგებელი, ვილპრეს მოურავი და სეკრეტარი ბატონი ლერებური არ ენახოს!! ვისაც კი ჰქონია ბედნიერება იმის ცნობისა, სულ ყველას მოვაგონებ ლერებულის სახელსა. ლერებური იყო ძალიან პატარა ტანისა, გალეული, ფსევნასავით ყვითელი და მარდი. პირველ შეხედულობაზე ის იყო წარბ შეჭმუხნილი და ცოტა მოლაპარაკე, მერე კი თან დათან აიდგამდა ენას. უცხოსთან მუდამ ერთი ფიქრი აწუხებდა: ნუთუ ქვეყანაზე ისეთი ადამიანები არიან, რომ მე არ მიცნობენ? ამ ფიქრის შემდეგ მეორე ფიქრიც გაუვლიდა გულში: «საკვირველია, რომ ქვეყანაზე ისეთებიც არიან, რომ არ იციან, მე ვინა ვარ?» და თუ ისეთი უცხო კაცებიც გამოჩნდებოდნენ, რომ შეეძლოთ მაგ საკვირველი კაცის დაფასება და გაგება მაშინ, ასე იტყოდა გულში: «ერთი ჩემგანაც შეიტყონ და ვინა ვარ?» მაშინ, ჯერ ჩამოაგდებდა ლაპარაკს

მეურნეობაზე, და რომ უფრო დიდი ვინმე ჰგონებოდათ, უეჭველათ წარმოსთქვამდა ერთ რასმე უშვერ აზრს, რადგანაც ჩლენი-კორრესპონდენტი იყო სამაზრო ქალაქის მეურნეობის საზოგადოებისა, და თუ იმასთან მოლაპარაკე უფრო დაწერილებით დაუწყებდა ამ საქმეზე გამოკითხვას, ის ასე უპასუხებდა: მე თვითონ გამომიცდიან. ეს ჩ ე ნ მ ი წ ე ბ შ ი ო. რასაკვირველია, ამის შემდეგ იმასაც იკითხავდნენ, რანაირია მიწებიო და კითხვის პასუხიც მზათ ჰქონდა უფ. ლერებურს: მიწა სულ ყოველგან მშვენიერია. სიგრძე სიგანით ოთხ ვერსზეა გაწვდილი, მაშასადამე ყოველ გვარი მიწა საკმაოთ გვაქვსო: მშრალიც, ჭაობიც, მსუქანიც, მქისიც და სხვ. სოლონიაში ოთხი ვერსის მიწით კაცი ვერ გამდიდრდება, და ვილპრეს მამულ ძლივს 30 ლიერის მოსავალი მოჰქონდა წელიწადში. მაგრამ ვილპრეს ჰქონდა ორიც სხვა პატარა მამული, მიცემული იჯარით, სადაც წელიწადში ორჯერ მიდიოდა ლერებური. ამსახით ლერებურს ეჭირა სამი ალაგი, ჰქონდა სამნაირი ნიჭი და გამოუცდელი მეურნეობის ცოდნა.

როცა თავმდაბალი მოურავი ძალიან გააკვირებდა თავის მოსაუბრეს, ცოტაოდენი ყოყმანობის შემდეგ, ბოლოს სითამდაბლით ვილპრეს სახელიც მოიხსენებდა. ლერებური იმდენს იქნდა, რომ იმათი ქებით გააკვირებდა მოსაუბრეს და შემდეგ თვალის დანახვით იტყოდა: მაგათი მამული «მე მაბარია.» და თუ უეცრათ მოლაპარაკე გაბედავდა კითხვას: ვინ არიან ეგ კეთილშობილნი ვილპრეებიო? აბა სწორე შესაცოდავი ის იყო, რადგანაც ლერებური ვალათ მიითვლიდა უმეცრის განათლებას და დაიწყებდა გამოულეველ ამბებს ვილპერს შთამომავლობაზე;— ილაპარაკებდა იმის ბატონები ვისი შორეული ან ახლო ნათესავები არიან, ჩამოსთვლიდა ბიძაშვილებს და ბიძის შვილის შვილებს.

მერე მაჰულის სტატისტიკურის ცნობით თავისგნით მეურნეობის ანუ მიწის მუშაობით და სახლკარიანობის უკეთეს მდგომარეობაში მოყვანით, და სხვებით მოაბეზრებდა თავს, ბედნიერნი იყვნენ ლერებურის დილიჯნის მგზავრები: თუნდაც სრულებით გადმობრუნებულიყო

დილიქანი მაინც ვერ გამოილვიძებდნენ, — ისე ტკბილათ ეძინათ ლერებურის ლაქლაქისაგან. მთელი ქვეყანა რო გარს შემოეველოთ, ლერებური მაინც ვერ მოლეედა თავის ბატონებზე ლაპარაკს. როცა ლერებური პარიჟისკენ გასწეედა, ნალელიანათ ჰხდებოდა, რადგან ამ გიჟ ჯიანჭველების ხაროში ვილპრე არავის აგონდებოდა. მოურავს ძალიან უკვირდა, რომ ქუჩაში არავინ უკრავს თავს და თეატრიდგან გამოსელისას, ხალხი უპატიურათ ზედ აწვებოდა და თითქმის კინწიკერით მოჰყავდათ ის კაცი, რომელიც ასე საჭირო იყო ვილპრეებისთვინ. ამაოთ გამოჰკითხავდით მისი ბატონების ზნეებზე, ხასიათებზე, ან შინაურ ქცევაზე. ჩვენ არ ვიცით, მორიდებისგან თუ უცოდნელობისგან მოსდიოდა ლერებურს, მაგრამ ყოველთვის ამსახით უპასუხებდა: ვილაპრეანთ სახლობაში ესა და ეს უფრო მომჭირნეაო, ან ეს უფრო გამოცდილიაო, და სხვა ამისთანაები. იმის აზრით კარგი კაცი ის იყო, ვისაც ბევრი ფული ჰქონდა, და რომ ჰკითხავდნენ: როგორია ვილპრეს ქალიო, მაშინვე მზითევს

მოსთვლიდა: ერთის სიტყვით ჭკაუში ბატონებისა და იმათ ფულს გარდა სხვა არა მოსდიოდარა.

ერთხელ ლერებური ადგა ჩვეულებრივზე ადრე, თუმცა ეს ძნელი დასაჯერია იმიტომ, რომ ჩვეულებრივზე ადრე რომ ამდგარიყო, სრულებით არუნდა დაწოლილიყო. ის იყო ლერებური წამოხტა გარიჟრაჟისას, და გამოვიდა ერთად ერთ სოფლის ქუჩაზე, სახელათ კოროლის ქუჩაზე, მერე შეუხვია მარჯვნივ სუფთა შუკაში და დადგა ერთ უბრალო სახლის წინ.

მზე ძლივს ჯერ ოქროს შუქით ჰფარავდა ბანებს; ხრინწიანი ხმით ყივოდნენ მძინარე მამლები; ყმაწვილები პერანგა იდგნენ კარებთან, დადიოდნენ ქუჩაზე და თან ტანთ იცომდნენ. მაგრამ ბიძია გუგენის სახელოსნოდგან მაინც მოდიოდა რანდის და ხერხის ხმა, თვითონ ოსტატიც ხანდისხან დასძახოდა თაეის შეგირდებს, როგორც საკუთარს შვილებს:

—ოჰ, კიდეც ამდგარა ბაგონიმოურავი! სთქვა მოხუცებულმა დურგალმა და ლურჯი ბანბის ქუ-

დი თავზე აიწია. ლერებურმა საიდუმლოთ და შესაგონებლათ ანიშნა, და როცა დურგალი მოახლოვდა, უთხრა:

--- გავიაროთ თქვენ ბალში, მე თქვენთან მძიმე საალაპარაკო მაქვს. აქ თავბრუ დაესხმება კაცს, თქვენი შაგირდები, ასეგონია, განგებ აბრახუნებენ, როგორც გადარეულებიო. მოსაუბრენი მოშორდნენ სახელოსნოს, გაიარეს პატარა ეზო და შევიდნენ ბალჩაში, რომელშიაც ხეხილები არ იყვნენ დამახინჯებულნი ნამყენებით და მაკრატლით. გრილი დილის ჰაერი აესებული იყო ყვავილების სუნითა. ამწვანებული ხეების ლობე ჰფარავდა მოსეირნეს გამელელების თვალისგან. ბალში ლერებურმა უფრო დიდის საიდუმლოებით უამბო დურგალს ბატონების მალე ჩამოსვლაზე. მაგრამ ამ ამბავს მ�ა გუგენენზე ძრიელი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორც მოელოდა გამგებელი.

— მე რაში მეკითხება იმათი მოსვლა, უპასუხა დურგალმა, ეგ თქვენი საქმეა, ბატონო. მაგრამ ეგება პარკეთს უნდოდეს გადასწორება, ან შკაფს ლაქის წასმა.

— არა, ჩემო კეთილო, საქმე მაგაში არ არის! დააყენა მოურავმა. — ბატონებს გულში გაუვლიათ ერთი აზრი (პატივი თქვენთან მომიხდია ახირებული აზრი) სამლოცველოს გაახლება, და მე მოველი საკითხავათ, შეიძლებთ თქვენ ამ საქმის აღებას თუ არა?

სამლოცველოსა? დაიძახა გაკვირებულმა დურგალმა: სამლოცველის გაახლება უნდათ? მართლაც, რო ახირებული საქმეა. მე არ მეგონნენ მლოცავნი; მაგრამ, როგორცა სჩანს, ეგ მოდა გახლავს ეხლანდელ დროში. ამბობენ, რომ ხელმწიფე ლუდვიგი XVIII...

დამაცადეთ, დააყენა წარბის შეკვრით ლერებურმა: — მე თქვენთან არ მოვსულვარ დარბაისლურ სალაპარაკოთ, მე მხოლოდ მინდა შევიტყო: თქ ენ დიდი იაკობინელი ხომ არა ხართ, სამლოცველოს გადააკეთებთ და ბატონები მადლობელნი დაგრჩებიან, მეტი რა გინდათ.

მე ბევრჯერ მიმუშავნია უფალი ღვთისათვის; თქვენ ერთი რიგიანათ გამაგონეთ, საქმე სთქვა გუგენენმა და თავი მოიფხანა.

შაგას აგისხნით, როცა დრო მოვა; ეხლა გეტყვით მხოლოთ, მე დაბარებული მაქვს ტურს ან ბლუას წასვლა, კარგი ხელოსნების მოძებნათ. თუ ამ საქმის აღებას იკისრებთ, გნებავთ თქვენ მოგანდობთ. ეს ამბავი ძალიან მოეწონა ბიძა გუგენენს, მაგრამ რადგანაც იცოდა, რომ მოურავი ძალიან ხელ მოჭერილი კაცია, არ უჩვენა თავისი სიხარული.

—მადლობას მოგახსენებთ, რომ მამიგონეთ. ბატონო ლერებურო, უპასუხა —მაგრამ ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი საქმე მაქვს. ჩემი სამუშაო კარგათ მიდის, რადგანაც მთელ გარეთუბანში მარტო მე ვარ. მე რომ ჩემი შაგირდებით ბატონების საქმეზე დავადგე, მთელი სოფელი გამიჯავრდება და ვინ იცის იქნება მეორე დურგალიც მოიწვიონ, რომელიც წამართმევს სულ ყველა მუშტრებს.

—ჯიბეში ნაღდი ფულის ჩალაგება წელიწადში ან ნახევარ წელში თქვენთვისაც არ იქნება უსიამოვნო. მე მჯერა, რომ მუშტრები ბევრი გყავთ, მაგრამ, რა გამოვიდა, თუკი ფულს არ იძლევიან,

—მაგაზედ უკაცრავათ გახლავართ, გაფიცხდა დურგალი, რომელსაც არ მოეწონა, რომ იმის დემოკრატიულს სიამაყეს ასე ადვილათ ხელი წამოჰკრეს: ჩემი მუშტრები არიან სვინიდისიანი, და მაკეთებინებენ იმდენს, რომ მადლობის გადახდაც შეიძლონ.

—გაჭირებით კი იძლევიან! უპასუხა გამგებელმა და ჩაიცინა.

—ვისაც მე ვენდობი, მხოლოდ ისინი იძლევიან გაჭირებით. ჩვენ ერთმანეთში ჩვენი რჯულის კაცებთან ყოველთვის მოვრიგდებით; ზოგჯერ მეც დავუგვიანებ ხოლმე იმათ სამუშაოს და იგინიც ითმენენ.

—როგორცა ვხედავ, სთქვა მოსვენებით მოურავმა: ჩემი წინადადება არ დაგიჯდათ ჭკუაში. ვნანობ, რომ საქმეს მოგაცდინეთ, ბიძია გუგენ!

ამის შემდეგ, მოურავმა ცოტათ აიწია ქუდი, დაანახვა ვითამ წასვლას აპირებს, მაგრამ ნელ-ნელა წავიდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ დურგალი დააბრუნებდა. მართლაც

ხეივანის ბოლოს ლაპარაკი ისევ განაახლეს:

—რომ ვიცოდე, რა საქმეა, სთქვა დურგალმა ფარისევლურათ, კიდევ ჰო! ვინ იცის, იქნება ძნელია... ან იქნება ძველებური სახარატოა უწინდელ დროს უფრო ხელოვნურათ იცოდნენ მოხარატებადა, და ხელ-ფასიც შესაფერი იყო. ეხლა კი მაგისთანა საქმე დროს ბევრს მოითხოვს და გასამრჯელოც მაგდენი არა იქნებარა; სამუშაო იარაღებიც ყოველთვის ხელი არა გვაქვს. ესეც უნდა ვთქვათ, ბატონები თურმე გასაწყლებულან და ხელ-გაშლილნი აღარ არიან.

—კეთილშობილ ვილპრეებზე ეგ არ ითქმის, თავი აიღო და ისე უპასუხა ლერებურმა: ბატონები ისე გადაგიხდიან, როგორც შეჰფერის იმათ ღირსებას. ეგ ჩემი საქმეა, და დაჭირებაზე ხელოსნები ყოველთვის მიშოვნია, როგორც იყოს, უნდა წავიდე ვალანსენისკენ, იქ არიან, ამბობენ, კარგი დურგლები....

— ვნახოთ, თუ კათედრის ნაირია, სამრეკლო, რომელიც ეკლესიისთვის გავაკეთე... სთქვა დურგალმა, და მოიგონა შარშანდელი წლის საქმე.

—არა ეს იმაზე ცოტა ძნელი საკეთებელი იქ-ნება! — უპასუხა მოურავმა, თუნდა წინა დღეს გასინჯა და ვერაფერი წუნი შეამჩნია.

ამ ლაპარაკით მიეიდნენ კარებთან; მხოლოდ მა-შინ გაბედა ბიძია გუგენენმა და უთხრა: თქვენი ნებაა, ბატონო, ლერებურო, ამ საქმეს მე გავშინ ჯავ:—სწორე გითხრათ, კარგა ხანია, რაც არა ვყოფილვარ სამლოცველოში და სწორეთ მოგახ-სენოთ, სულაც არ მახსოვს რანაირი ვარაყი აქვს.

—ჰნახეთ, სთქვა ლერებურმა;—რამდენსაც მო-ხარატე უთმენდა, იმდენათ მოურავი უფრო გულ-გაგრილებით ლაპარაკობდა. ნახვისთვის ხომ ფულს არ იღებენ.

—არც გასინჯვა გახლავთ საქმის აღება.—ჩა-მოართო სიტყვა მოხარატემ.—მაშ მე წავალ....

—როგორციცით, მხოლოთ მოიფიქრეთ, მეტი დრო არა მაქვს. ბატონებმა მიბძანეს, რომ ამ სალამოს საქმე უნდა იყოს გადაჭრილი, და თუ ვინიცობაა ვერ მოვრიგდე, ვალანსენს უნდა წა-ვიდე.

—დასწყეველოს ღმერთმა! რა ძალიან ეშურებით! სთქვა არეულმა დურგალმა.—

—მაშ ეგრე. დღესვე წავალ.

—ეხლავე რო წახვიდეთ კარგი იქნება, მეც დრო მაქვს და თან გამოგყვებით! სთქვა მოურავმა.

თქვენი ნება იყოს. ვაჟსაც გავიყოლებ: ის პირველ შეხედვაზედვე გამოიანგარიშებს, რა დაჯდება, და რადგანაც ერთათ ვმუშაობთ...

—თქვენი ვაჟი საქმეზე კარგათ უდებს თავს? იკითხა ლერებურმა.

—ჩემი ვაჟიც რომ არ იყოს.... განა ჩემ თვალწინ და ჩემ ხელქვეით არ მუშაობს?

—ლერებურმაც კარგათ იცოდა, რომ გუგენენის ვაჟისთანა მუშა-კაცი ძნელათ იპოვება. იმან მოიცადა, სანამ ორივემ—მამა და შვილმა—გადიცვეს ახალუხები, მოიმზადეს სახაზავები, მოსაკეცი ადლი და ყარანდაში. მერე სამთავე გასწიეს;—გზაზე ცოტას ლაპარაკობდნენ და უცდიდენ ერთმანეთს, ვინ რას იტყვისო.

II თავი.

პიერ გუგენენი, მოხარატეს ვაჟი, მთელ უ-ბანში ყველაზე ლამაზი და (მშვენიერი) კაცი იყო. იმის სახეზე დაბეჭდილი იყო პატიოსნება; იმის სახის მოყვანილობა ისე სწორე იყო, რო-გორც ძეგლისა; პიერი იყო ტანადი და კარგი შეხედულობის კაცი; ფეხები, ხელები და თავი ჰქონდა პატარა, ეს ძვირი სანახავია გლეხში და კარგი გვარის კაცი ამ ნიშნებით დიდი ღონიე-რია ხოლმე; იმის დიდრონი შავი წამწმებიანი ლუკჯი თვალები და სახის [illegible] ფერი აძლევ-და ამ სახეს მშვიდობიანურს და დაფიქრებულ გამოხატულებას. თვითონ მიქელ-ანჯელო აღ-ტაცებული იქნებოდა იმის მოყვანილობით. მკითხველი გაიკვირვებს,—როცა შეიტყობს, რომ პიერ გუგენენი სრულებით არ ატყობდა თავს, იყო თუ არა ლამაზი, მთელ სოფელშია-ცა არავინ ნიშნავდა, არც კაცი, არც ქალი იმის სილამაზეს. ეს იმისაგან კი არ მოხდება, რომ გლეხობაში არ იყოს მშვენიერების გრძნო-ბა, მაგრამ ეს გრძნობა ეხსნება იმას, ვისაც

სწავლით გაღვიძებული აქვს სილაზათის გრძნობა და შეჩვეულია კარგი არსებების შედარებას. თავისუფალი და კარგათ გამართული ცხოვრება შეძლებულთ ხალხთა ნიადაგ წარმოადგენს საშაგალითო ხელოვნებითს ქმნილებას; ან თუ არა შალმალ შეადარებს ამ ქმნილებაებს იმ გვარ საშაგალითო არსებებთან, რომლებსაც საზოგადოების გახსნილი და გამოცდილი გრძნობა აფასებს.

ამ შედარებაზე და ზრახვაზე აფუძნებენ თავიანთ განსჯას. რაც უნდა ამაღლებული და გამშვენიერებული იყოს ან დაცემული ჩვენი დროის ხელოვნება, იმაში მაინც ბრწყინავს საუკუნო მშვენიერების სხივი. ამის გამო ამდროის ხელოვნებით გაწვრთვნილი დარბაისელი კაცები ადვილათ ჩგრძნობენ ამ უმშვენიერესს და უზენაესს ხელოვნებით გამოხატულ ქვეყანას, მაშინ როდესაც შეწუხებული და შეევიწროებული უბედური გლეხის ნიჭი დიდხანს იბრძვის და უფრო ხშირათ ზედ ეხეთქება, ასქდება და შიგ კი ვერ გაატანს: ისე კვდება, რომ ამ გრძნობას

ვერას მიხვდება! ამ სახით ბედნიერ დღეებში, ყოველი მხარ-ბეჭიანი, შავგვრემანი და თვალ მარჯვე გუთნის, მუშა უფრო მოსწონდათ ქალებს სოფლებში, ვინამც პატიოსანი და მშვიდობიანი გუგენენი. მაგრამ ქალაქელი ქალები კი შეაცქერდებოდნენ იმას და კითხულობდნენ: «ვინარის ეს მშვენიერი კაციო?»

ორს მხატვარს უნდოდათ იმის სურათის გადაღება, მაგრამ პიერს ეგონა, რო დასცინიან და არ დანებდა.

გუგენენი მამა თვითონაც იყო ლამაზი და ჭკვიანი კაცი,—იმასაც არ ეგონა, რომ იმის ვაჟი ყოფილიყო ძალიან ნიჭიერი ან სახით ლამაზი. იმას მიაჩნდა თავის შვილი კარგი ტანადი, კარგი მოყვანილი ჭაბუკი, მოსაქმე და მორჩილი, ერთი სიტყვით — თავისი მომხრე. ამ მოხუცებულს უყვარდა ახალი წესიერობა, მაგრამ ახლანდელი ლიბერალების აზრები არ უყვარდა და არც ის მოსწონდა, რომვაჟს ჰქონდა ხელში ჩაევარდნილი ახალი წესიერობის სიყვარული. რესპუბლიკის დროს ბევრი ეგდო ყური რომის ქა-

ლაქზე და სპარტაზე რომ ქადაგობდენ სოფლელი ორატორები. მაშინ იყო, რომ ჰუგენენმა შვილმა კასსიის სახელი მიიღო, მაგრამ ბურბონების მეფობაში ძალიან კეთილ-გონივრათ მოიქცა, — რომ ისევ გადითქვა ეს სახელი. ამ სახით, მოხუცებულ ჰუგენენს სწამდა თავისუფლება და თანასწორობა ძველი დიდებულიქამისა. და კონვენტის დაცემის შემდეგ იმის აზრით ყოველივე უკეთესმა წავიდა ქვეყანაზე; ამ აზრისა იყო მოხუცებული ჰუგენენი.—ის ასე იტყოდა ხოლმე: მართლ-მსაჯულობა 1793 წელიწადში მოკვდა და რაც გინდა მოიგონეთ იმის გასაცოცხლებლათ, თუ უფრო მალე დამარხავთ, თორემ ველარას უშველითო.

ცხადად სჩანს, რო მამა ჰუგენენს, როგორც ყოველს მოხუცებულებს საერთოთ, ერთი ჟინი სჭირდა და ის თუ მოუვლიდა, ველარაფერს დაიკავებდა ვერც დაბადებითგან დაყოლილი სიკეთე და ვერც წმინდა სვინდისი. ვაჟი გაზარდა ნამდვილ დემოკრატათ; მაგრამ ეს აზრები შეაგონა იმას რო-გორც საიდუმლო და თანაც დარწმუნებული

იყო, რომ აქედგან ხეირი არა გამოვიდოდა რა. მამა ჰუგენენი ამ აზრისა იყო, რომ ეს აზრები ისე უნდა ჩაემარხა შვილს თავში, როგორც თავის ღირსების გრძნობას შეინახავს კაცი, როცა უსამართლოთ მოექცევიან, ან დასჩაგვრენ.

პიერის ნათელი და თავგამომდები გონება დიდხანს ვერ დარჩებოდა კმაყოფილი. ამ მდგომარეობაში მალე მოინდომა თავის დროებაზე და სამშობლო ქვეყანაზე მეტის ცოდნა, რაც თავის სახლობისგან ჰქონდა გაგონილი. ჩვიდმეტი წლისა რო შეიქნა, იმან მოინდომა მგზავრობა, რომელიც ართმევს მრავალს ახალგაზდა ხელოსნებსა თავის სახლს და აგდებს იმათ მოუსვენარს არეულს ცხოვრებაში;—ამ მგზავრობას ჰქვიან «ფრანციის გარ შემოვლა.» საზოგადო ცხოვრების მოძრაობის ცოდნის სურვილთან, პიერს უნდოდა თავის ხელობის კარგათ შესწავლითაც პატიოსანი დიდების მოგება. პიერმა შეიტყო, რომ არის თეორია, რომელიც ბევრათ უკეთესია იმის მამის და სხვა მოხუცებული დურგლების ცოდნაზე. ერთმა გამვლელმა

კალატოზმა კედელზე დაუხატა სურათები, რომელნიც ბევრათ უადვილებდნენ იმის ჯანჯალ მუშაობას. მაშინ პიერმა გულში ჩაიგდო მხაზველობის სწავლა იმდენათ, რამდენათაც ეს გამოსადეგია ხუროთ მოძღვრებისთვის (არხიტექტურისთვის), დურგლის და ხარატის ხელოსნობისათვინ. ამისგამო მოსთხოვა მამას იმის სწავლის ნება და ფული, მაგრამ მამას ძალიან ეჯავრებოდა ეს თეორია და პიერს მთელი წელიწადი მოუნდა, რომ დაეთანხმებინა თავის აზრზე მოხუცი მამა. ამას გარდა მოხუცებულს სულ არ მოსწონდა მოგზაური შაგირდების წრეში იმის შეყვანა საიდუმლო რიგით, რომლის ასრულების შემდეგ მიიღებდენ მხოლოდ ისინი ყოველს ახალს შაგირდს თავის წრეში. მოხუცი ჰუგენენი იმ აზრისა იყო, რო დაფარული საზოგადოებანი სხვა და სხვა ხელოსნებისა, რომლებს ეძახიან «ერთობას,» არის ავაზაკების და გაიძვერების ყრილობა, რომელნიც ხელოსნის საფუძვლათ სწავლის მაგივრათ ლუპავენ ახალგაზდობას, იმითი რო ქალაქებში ჭუჩა-ჭუჩა ერთად დაეთ-

ჩრევიან, ან ავაზაკობენ სოფლებში, ან გზებს რწყვენ თავიანთ სისხლით რაღაც სულელურ აზრისათვის: არა მე ვარ პირველი და არა მეო. რასაკვირველია ერთის მხრით, მართალიც იყო; მაგრამ სოფლებში შაგირდების ამქროობას დიდ-პატივს აძლევდნენ;—ესეც დასაჯერებელია, რომ ჰუგენენს იმათი ჯავრიც სჭირებოდა. რასმეზე სოფლის მოხუცნი ამბობდნენ, რომ ვითომც ის ერთ-სალამოს შინ მოსულიყოს თავ-გაჩეხილი და ლუკმა-ლუკმათ შემოფხრეწილი ტანსაცმელით. ამის შემდეგ კარგა ხანი ყოფილიყო ავათ; თავის დღეში კი არავისთვის უთქოვს იმის მიზეზი, ისეთი გულამაყი იყო.

ჩვენ აქ გვგონია, რო მოხუცი დაეტაკა რომლისამე «თანხმობის» ამხანგობისგან დაგებულ მახეს და იქ ძალიან დაეზიანებინათ. ამას შემდეგ იმათი სიძულილი მოხუცს გულიდგან არ ამოხცლია. როგორც იყო ბიბლოს პიერის გამჭრიახობამ ისე გადმოაბრუნა საქმე, რო ერთ დღეს მამამ გაისტუმრა თავისი შვილი.

მოხუცი რომ თავის მშობლურს გულს აჭ

ყოლოდა, რასაკვირველია გაატანდა შვილს საკმაო ფულს, მაგრამ მისცა მხოლოდ 30 ფრანკი და მკაცრათ აუკრძალა მეტი ფულის თხოვნა, იმ იმედით რო სისაწყლე ისევ მალე დაბრუნებსო. ამითი უნდოდა მხოლოდ დეეშინებინა ვაჟი, გულში კი ასე ფიქრობდა: პირველ მოთხოვნაზე ფულს გაუგზავნიო. მაგრამ ამით ვერა გაარიგარა. პიერი ოთხი წლის შემდეგ დაბრუნდა. ამ ხნის განმავლობაში ერთი გროშიც არ ეთხოვნა მამისაგან. წიგნებში მხოლოდ სიმრთელეზე იწერებოდა, მოიწადინებდა მამისთვის ყოველს ბედნიერებას და ერთხელაც არ მოუწერია თავისს მუშაობაზე ან შემთხვევებზე. მამას ძალიან აწუხებდა ვაჟის ქცევა და გულს უმწარებდა; სიყვარულისგამო უნდოდა ეთქვა შვილისთვის, რომ ეგება დაარბილოს იმის სიამაყე, მაგრამ მაშინვე ჯავრი მოუვიდოდა, მამა ისევ სასტიკათ სწერდა. პიერი არც ჯავრობდა, არც ეშვებოდა, ნიადაგ სიყვარულით და მორჩილებით სწერდა, თავის საქმეზე კი მტკიცეთ იდგა. ვაჟის წიგნის წაკითხვაზე ლვდელი ძიეშვე-

ლებოდა ხოლმე დურგალს და ატყობდა, რო პიერის ხელ ნაწერი თან და თან კეთდებოდა, ლამაზდებოდა და გამოთქმა ჰქონდა თან და თან უფრო სწორე, პატიოსანი და ხანდისხან განსხვავებულიც. ერთ დილას სამი კვირის წინათ, ვიდრემც ლერებური გაურიგდებოდა, პიერი შინ დაბრუნდა. იმის მამა დაბერებულიყო, ცოტათ მოკუზულიყო, — დაღალულიყო მოულეველი მუშაობისგან, — და თუნდა არავისთან აჩენდა, — მაგრამ ხშირი ჩხუბი ბრიყვ და ურჩ შაგირდებთან ძალიან აწუხებდა; ამ დროს შევიდა იმის სახლში უცხო ახალგაზდა კაცი. პიერს ტანი ძალიან აეყარა; იმის თეთრ ყირმიზი მზისაგან დაუმწვარი სახე ოდნივ დაჩრდილული იყო შავი წვერით. ის იყო ჩაცმული, როგორც ხელოსანი, მხოლოთ ძალიან სუფთათ; ზურგზე ეკიდა გადაგდებული — ლორის ტყავის გუდა გატენილი მრავალ-გვარ იარაღითა. პიერი დადგა კარებში და შესცქეროდა მამის განკვირვებულს, და იჭვნეულს სახეს; მერე გაიცინა და იკითხა: «აქა დგას დურგალი ჰუგენენიო? — ჯანმთელს ხმაზედ

შეკრთა მოხუცებული მამა. იმას მოაგონდა საყვარელი პიერის ხმა — ხმაც ისეთი იყო, როგორც პიერისა. — მოხუცი იდგა რამდენიმე ხანი ჩაჩუმებული, და როდესაც შეატყო, რო სტუმარი გასვლას აპირებსო, გულში გაიფლო «რა ლამაზი ბიჭია, ჩემ უმადლო შვილს არა გავს!....»

— მოხუცებულმა უნებურად ამოიოხრა. პიერი იმავ წამს მოეხვია მამას და ასე იდგნენ გარდახეულნი; ერთმანეთს არ უყურებდნენ და არც ხმას იღებდნენ, ეშინოდათ, ერთმანეთისთვის ცრემლები არ შეემჩნიათ.

რაც ვაჟი დაბრუნდა, ბებერი რასაკვირველია გახარებული იყო, თუმცა ცოტათ კიდევ რაღასაც ნაღვლობდა და სწუხდა. მამა ძალიან კარგა ხედავდა, რო პიერი რიგიანათ იქცეოდა, ჭკუიანათ ლაპარაკობდა და გულ-დადებით მუშაობდა. მხოლოთ ბიძია ჰუგენენი ამ ეჭვში იყო: მიაღწია თუ არა ვაჟის ნიჭმა იმ წერტილს, რომელიც გულით სურდა შვილს წასვლისას? მამა ჰუგენენსაც ეს ჰსურდა, მაგრამ როგორც ყოველს ადამიანს, და მეტათ ხელოსანს, ეშინოდა იმისი,

რო შვილი იმაზე ნასწავლი არ ყოფილიყო, არ ეჯობნა. ჯერ მოელოდა, რო შვილი მოჰ-ყვებოდა კვეხნას თავის ხელოსნობით, შაგირ-დების შეძახებას, გადმოაბრუნებდა მთელ სახე-ლოსნოს; და ბოლოს თვითონაც როგორც ხუროთ მოძღვარი ურჩევდა შამას ძველი იარა-ღების გამოცვლას ახლებზე, იმ აზრით, რომ ვერ მოიხმარებდა; მაგრამ სულ სხვა გამოვიდა. პიერიც ხმას არ იღებდა თავის სწავლაზე, და როცა მამამ დააპირა გამოკითხვა, მხოლოთ ეს უპასუხა: მე ვცდილობდი რაკი შემეძლო, და კიდევაც ნამეტნავათ ვეცდები. — დაბრუნების პირველსავე დღეს შეუდგა საქმეს და მამას უჯერებდა, როგორც უბრალო შაგირდი. პიერი მოერიდა მამის ხელქვეითების მუშაობის გან-სჯას და უფლება დარჩა ისევ იმის ხელში, ვისაც ეკუთვნოდა სამართლით. მამა ჰუგენენს, რომელიც ემზადებოდა თავ-განწირულს ბრძო-ლას, მოეწონა ეს ამბავი; მხოლოთ წაიდუდუნა, რამდენჯერმე: სჩანს ისე ძრიელ არ გამოცვლი-ლა ქვეყანა, როგორც ამბობენ, და სჩანს ძვე-

ლი ადათები უწინდელათვე დარჩებიან უკეთესნი, ამაზე ისიცკი უნდა დათანხმდეს, ვინც აპირებდა სუყველას ახალნაირათ გამოცვლას. პიერს ვითამც არცკი გაუგონია ეს სიტყვები; ასრულებდა თავის საქმეს ისე, რომ მამას ძალა უნებუ. რათ უნდა გამოეცხადებინა, რომ პიერი მუშაობაში ძალიან სწორე და საკვირველი მარდი იყო.

— მიყვარხარ, იტყოდა ხოლმე,—რომ სწრაფათ და მტკიცეთ აკეთებ საქმეს.

— თუ თქვენ კმაყოფილი ხართ, მეტი რაღა მინდა, უპასუხებდა ვაჟი.—როცა ზემო-ხსენებულმა შიშმა გაუარა, მოხუცებული დურგალი ახალს ფიქრს შეუდგა. იმას უნდოდა ვაჟზე ცხადათ გაემარჯვნა; ჯავრი მოსდიოდა, რო პიერი არას ამბობდა როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, («მიმოსვლაზე,» არას ამბობდა.) «მართალია, მოხუცი ეტყოდა: «მიმოსვლას» არა უწყენიარა, მაგრამ არც იმდენათ გამოგდგომია, როგორც მოველოდიო.» საკვირველია რომ ვერა მოიგონერა და რაც გისწავლია, მაგისთვის არა ღირდა, ისე შორს წასვლა. მაგალ შინაც კარგა

ისწავლიდიო, ეუბნებოდა შვილს მოხუცი მამა — და ცოტ-ცოტათ ჯავრისაგან გახდა ისევ დალონებული და მიუნდობელი.

— ჰგავს, წაუჩურჩულა თავის მეგობარს, მეჩახმახე ლაკრეტს:

— ჰგავს, ჩემი ვაჟი მიმალამს რაღაც მძიმე საიდუმლოს. დავნაძლევდები, რო იმაზე ნამეტანი იცის, რასაც იჩენს. ასე ჰგონია, მუშაობით უნდა გადმიხადოს მოვალეობა; და ნიჭს ინახავს მანამ დაიწყებს თავისთვის მუშაობას, რომ ერთბაშათ გამაბედითოს.

— მეტი რაღა გინდათ, უპასუხა ლაკრეტმა. ეგ უფრო კარგი არ არის თქვენთვის? მაშინ სულ მოისვენებთ. ერთი ვაჟი გყავთ და ის არ შეგაწუხებსთ დაბინავებისათვის. თვითონ მოიგებს შეძლებას, და თქვენ ბოლოს ნახავთ კარგ ცხოვრების გემოსაც თქვენი საკუთარი მონაგებით. განა იმდენი შეძლება არა გაქვთ, რომ თავი დაანებოთ მუშაობას და განა მოინდომებთ თქვენი საკუთარი ვაჟის მუშტრების წართმევას?

— ღმერთმა დამიფაროს! მიუგო დურგალ-მა—მე დიდების მოყვარე არა ვარ და ვაქის ბედნიერება ისე მსურს, როგორც ჩემი, მაგრამ.... მეცა მაქვს ჩემი თავის მოყვარეობა! თქვენა გგონიათ, რო მე, სამოცი წლის კაცი, ადვილათ უყურებ, როგორც ყმარწვილი აბნელებს ჩემ სახელს და რომელმაც არცკი მოინდომა ჩემი განაკვეთით სარგებლობა? აბა, თქვენ როგორ უყურებთ იმ ვაჟს, რომელიც ყველა გამვლელ-გამომლელს უყვირის: შეხედეთ, მე ვაჯობე მუშაობაში მამას,—სჩანს მამაჩემს არაფერი გაეგება!

დაღონებული ამ ფიქრებით დურგალი კბილებს ჭრიჭენდა. ჩამოეკიდა შვილის მუშაობას, და თუ იპოვნიდა იმის ხარატობაში ახალს მოჯთულობას, იმავე წამს სასაცილოთ აიგდებდა. პიერი არა ჯავრობდა, რანდის ერთი გაქნევით მოსჭრიდა მარდათ, რომელიც ასე ჰგონია, უნებურათ გამოდიოდა იმის ხელითგან. პიერი სულ ყველაფერს უთმობდა მამას; საწყენი დამცრობა ერჩივნა მამასთან გაყრას,

პიერი კარგა იცნობდა მოხუცებულს, რომელსაც არ უყვარდა, როცა რასმეში აჯობებდნენ. პიერი კმაყოფილი იყო თავის ცდით მოგებულ ხელოვნებით და მოელოდა პირველ შემთხვევას, რომ გამოეჩინა თავისი ხერხი. შემთხვევაც მართლა მალე მიეცა. გამგებელმა წაიყვანა ორივე დურგლები ციხეში წინათ ნათქვამი საქმის საჩვენებლათ.

თავი III

გამგებელმა შეიყვანა ძველებურს შენობაში, რომელიც იყო ხან სხლოცავი, ხან საკითხი ოთახი, ხან თეატრი და თავლა. ამ ცლილების მიზეზი იყო წესიერობის გადატრიალება აზნაურობაში, ან სხვა და სხვა მეპატრონების გემო. ფრთედში გამართული იყო ზალა, რომელიც ჩაფერადებულიყო გოთური სილამაზით. ისარიანი თაღები აცხადებდნენ იმის პირვანდელ საღვთო დანიშნულობას. მაგრამ რადგან სხვა და სხვა დროს გამოსცვლოდა ნიშნულობა ამის და მსგავსათ შეცვლილიყო იმის მორთულობაცა. ამსახით მეოუხმეტე საუკუნეში გაკეთებუ

ლი ვარაყი მეთვრამეტე საუკუნეში მიეფარებინათ ფიცრებით და შპალერი გაეკრათ, რომ ამ ზალაშისცენური წარმოდგენები ყოფილიყო: «გურანდა მელანია» თხუზულება ლალარპისა». ეს მორთულობა რომ მოხსნეს, იმასიქით გამოჩნდა ჩალესილი კარი და ეს რომ გაალეს, გამოჩნდა შემოსავალი იმის გვერდზე მიშენებულ კოშკის ზალაში, რომელშიაც ცარიელი კედლების მეტი მორთულობა აღარა იყო რა. ეს კოშკი რომელლაც იმის პატრონს მოსწონებოდა. როგორც კი შეამჩნიეს ამ ოთახიდგან გასავალი კარი, მაშინვე ჰაზრათ მოსვლოდა იმის პატრონს ამ კარის შეერთება სამლოცველოსთან, მას კიბეს მეტი არა უნდოდა რა. კარიდგან საგალობოზე იყო შესასვლელი გაკეთებული, საიდგანაც კოშკის პატრონს შეეძლო წირვის მოსმენა და თვითონ კოშკი სამლოცველოთ იყო გადაქცეული. რეგენტობის დროს ამ საგალობელზე მიაყუდეს თეატრის მოსართავი რიდეები და კოშკი ხან წარმოდგენის მსურველი ტანთჩასაცმო ოთახათ იყო გაკეთებული, ხან ვინლაც დი

დი კაცის პრიმადონნის მოსართავ ოთახათ გადააკეთებდენ. სცენის გარეთ მოსაფარებელთან რომ ადგილი გასასვლელი ყოფილიყო, კიბე გაეკეთებინათ თვლებზე, კიბე იყო ულაზათო გაკეთებული და როცა დასჭირდებოდათ, ამისთანა კიბეს ადვილათ წააგორ-წამოაგორებდენ. ვილპრეანთ პატრონებს მოეგონათ ძველი კარავი ამ სადგომისა და განიზრახეს იმის განახლება, რომელიც პირველ რევოლუციიდგან ვირთაგვებისათვის და ბუების ამარა დაეგდოთ.

ამისგამო ქვემორედ დააწესეს: «ძველი საშუალო საუკუნოს სამლოცველო, ძველი ლუდოვიკ XIV დროს ბიბლიოტეკა, რეგენტობის დროს თეატრათ გაკეთებული და მერე ტერროროობის (შიშიანობის) დროს თავლათ გადაქცეული,—ამიერითგან უნდა გახდეს სამხატვროთ ანუ უკეთ ვთქვათ მუზეათ. იმაში იქნება შენახული ძველებური ვაზები და ძვირი ჭურჭლები, ყველა მამაპაპეული. სურათები და ძველებული მხატვრობები, ძვირფასი წიგნები, გრავურები, ერთი სიტყვით ყოველი ძვირი ხელოვ-

ნება, რომელიც კოშკშია მოგროვებული. ყველა ამაებისთვის საკმაო ალაგი იქნება, იქ აგრეთვე ტაბაკებისთვის (სტოლებისთვის), სახეებისთვის (*модель*) და სხვ, რომელთაც დადგმას თუ მოისურვებენ.»

«საცა საგალობელო იყო სამლოცველოს დროს და საცა სატანსაცმო იყო თეატრათ გადაკეთების დროს, იმ შენობას თავისი მორგვალებული სახე იმ რიგათვე უნდა დარჩეს, რომ იყოს ძველ ხელობის და ჩვეულების მოსაგონარი. რაც ვარაყი ჰქონდა სამგალობლოს, იგივე უნდა იყოს. ეს დახარატებული შავი მუხის ხისა უნდა განახლდეს იმავე გვარათ, როგორც ყოფილა უწინ. ძველი კარიდგან რომ სამგალობლოზე შესავალი იყო, ის ისე უნდა დარჩეს, მაგრამ ამ სამგალობლოს უნდა შემოეველოს ხარიხა და ზედ დაჭახრაკებული კიბე უნდა ადიოდეს, რომლის ნიმუშიც ბევრია დახაზული და რომელიც უფრო მოხერხებული იყოს, იმისთანა უნდა გაკეთდეს».

სამლოცველოს, კიბეს და კოშკს დიდი მნიშვნე-

ლობა აქეთ ჩვენს მოთხრობაში. აი ამისთვის ვცდილობთ ესე დაწერილებით წარმოუდგინოთ მკითხველს ისინი თვალწინ. ამას მიუმატებთ, რომ ეს კომკის ფრთედი მიყრუებულს ნაწილს ბალისა და ვიწრო ეზოს შუაა, რომელიც იყო ხან სასაფლაოთ, ხან საყვავილეთ, ხან საქათმეთ და იმ დროს, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, ის არის უბრალო ნაგავით გავსებული შუკა.

ამ სახით ეს ალაგი ყველაზე უფრო მიყრუებული ალაგი იყო კომკის არემარეზე. ფილოსოფოსის სადგომი, თუ სამხატვრო უნდოდათ გაეკეთებინათ, კარგათ ვერ ვიცი; მაგრამ ცხადათ სჩანდა რომ იმის პატრონებს ჰსურდათ ამ ალაგს თავის უდაბური და შულლიანი სახე დაჰკარგოდა, რომ მოხელე კაცს მყუდროთ ემუშავნა და თუ საჭირო იქნებოდა, მტრისგან თავი აქ დაემალათ.

აი ამ უდაბურს კუნჭულში მოიყვანა ლერებურმა თავის მოხელეები- ერთი იმათგანი იყო გულდამშვიდებული და მეორე კი ძალით არ იმჩნევდა სულის მღელვარეობას.

(შემდეგი იქნება.) №№

იოსებ მაძმინი

ამ წელს, მარტის დამდეგს, იტალიაში გადაიცვალა ერთი იტალიანელი, იოსებ მაძძინი. მრთელმა ევროპის გაზეთებმა დიდის პატივისცემით და მწუხარებით მოიხსენეს ამ კაცის სიკვდილი. მრავალი ქება და დიდება შეასხეს მკვდარსა და ხმას უიმისოთ არავინ იღებდა, რომ არ მიეცა მაძძინისათვის სახელი: «დიდი პატრიოტი» ესე იგი მამულის მოყვარე, «დიდი მოქალაქე», «სახელოვანი კაცი» და «შესანიშნავი კაცი.»

ნეტა ვიცოდეთ, რით იყო სახელოვანი, რით იყო დიდი, დიდებული და შესანიშნავი? არა ყოფილა მდიდარი კაცი ფულის პატრონი, არა ყოფილა გათქმული ადვოკატი, იურისტი, არა ყოფილა მინისტრი და სახელმწიფო კაცი, არა ყოფილა უბრალო გენერალი, ასე გაშინჯეთ, უბრალო აზნაურ შვილიც კი არა ყოფი-

ლა. რა არის მიზეზი ამ გადაცვალებულის ქებისა და შემკობისა ამჟამად? ადრე, ამ რამდენისამე წლის წინად, ისევ ის გაზეთები ისევ იმ კაცს ლანძღავდნენ, ყაჩაღების ყაჩაღს ეძახდნენ: 1858 წელს საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონის მოსაკლავად კაცი (სახელად ორსინი) გაგზავნეო, რომელმაც მეიდანზე ყუმბარები ესროლა იმ ხელმწიფესაო; იტალიის სხვა და სხვა ადგილებში თარეშებსა გზავნიდა ხალხის ასაღელვებლად მეფეების და მთავრების გადაგდებისათვის; ავაზაკებსა გზავნიდა იტალიის მეფეების, მთავრების მოსაკლავათაო, აი ამ აებს ამბობდნენ ის გაზეთები და სათაელ ეშმაკადა სთვლიდნენ. ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში კი სულ სხვა რიგად, კეთილგულობით დაიწყეს ლაპარაკი, და ახლა სიკვდილის გამოაქებენ და ადიდებენ ამისთანა კაცსა და იძახიან: ოსებ მაძინისთანა პატიოსანი, მართალი, ჭკვიანი, განათლებული, თავისის ხალხისათვის თავგადადებული კაცი არ იქნება ქვეყანაზედაო; მთელ ევროპის ხალხებში ისეთი მშრომელი

კაცი, თავისის ხალხისათვის ნზრუნველი და მოქ-
ქმედი კაცი არავინ არ მოიპოვება ამ ჟამათაო.

საკვირველი ხალხნი არიან ეს ევროპელები
და საკვირველი კაცები ყოფილან იმათი დაწი-
ნაურებული კაცებიცა, მეტადრე იტალიის კა-
ცები! ჩვენ ქართველ მკითხველებს წაკითხული
ექნებათ ამ იტალიის კაცების ამბავი «საქართვე-
ლოს მოამბეში» და «ცისკარში» *). ერთი მღვდე-
ლია, და შეხედეთ: საყდრებს გარდა, შეიდნებზე
და თეატრებში ქადაგებს! მეორე არის ყაჩაღი,
ყაჩაღების სარდალი! ჩვენ ქართველ მკითხვე-
ლებს უკვირდათ ამ კაცების ამბები აგრეთვე,
როგორც სხვა უცხო ქვეყნების დაწინაურებულ
კაცების ამბები ყოველთვის უკვირთ ხოლმე.
უკვირთ, მაგრამ სასიამოვნო საკითხავათ კი მი-
აჩნიათ. რადგანაც ასეა, სირცხვილი იქნებოდა
ჩვენთვისა, ევროპის გამოჩენილი კაცების ამბა-

*) «მამა ალექსანდრე გავაცი» იყო დაბეჭდილი
1863 წ. «საქართველოს მოამბეში» № 1, და «გარი-
ბალდი «ცისკარში» 1863 წ. პირველ ნომრებში.

ვი არ შეგვეტყობინებინა ჩვენი ბკითხველებისათვის, თორემ განათლებული კაცები უმეცარ ხალხათ ჩაგვაგდებენ ქართველებსა: ევროპის ცხოვრებისა და კაცების ვითარების შეტყობა არ უნდათო, იტყოდნენ. მოდი და ნუ შეგრცხვებოდა.

ერთი ხათაბალა ის არის, რომ ამ ევროპის კაცების ამბის თქმა რო გინდოდეს, იმისი ქვეყნის ამბავიც უნდა მოიხსენო; ეს კაცები და იმათი ქვეყნის ამბავი უერთმანერთოდ არ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, სწორედ ისე იმ გვარათვე, როგორც მეომარი კაცის თავ-გადასავალი ბევრ ომიანობის ამბავთან არის შეერთებული. ჩვენებური კაცის ამბავი, თავადია თუ აზნაური, ჩინოვნიკია თუ ვაჭარი ან ადვოკატი, ძალიან ადვილი მოსახსენებელია. იტყვი ამა და ამ წელს დაიბადაო, ამ წელს შკოლაში ანაბანა ისწავლაო, ამ წელს სამსახურში შევიდაო, ცოლი შეირთო, დაწვრილშვილდა, სახლი აიშენა, ან უფრო ხშირად ტორგით გაჭყიდა ვალში ადგილ-მამულიო და ბოლოს, ამდენისა და

ამდენის წლის სიცოცხლის შემდეგ, საუკუნო განსვენებას მიეცაო; დამარხეს და ქვა დაადეს ზედწარწერითა: «შენდობა მიბრძანეთო» ამდენის წლის ქვეყანაზედ ცხოვრებისთვისაო, თითქოს რომ დაეშავებინოს. მორჩა და გათავდა. შენიჭირიმე, წიგნებისა და ისტორიების გადაკითხვა მოგინდება იმის ვინაობის შეტყობისათვის. ევროპის კაცებს ამბავს კი ეს ისტორიები უნდება. მოდი და უიმისოდ რამა თქვი, მოკლედ სიტყვა მოსჭერი!

მაძმინის ამბის მოთხრობასთან იტალიის ისტორია არის შეერთებული. მაძმინის და იტალიის მთხრობა ცალ-ცალკე ვერ მოითხრობა. ამისთვის ცოტაოდე რამ მაინც უნდა მოვიხსენოთ იტალიის წარსულის ცხოვრებისა.

ამ თორმეტ-ცამეტი წლის წინად იტალია თუმცა ერთი ტომისა და ერთის ენით მოლაპარაკე ერით იყო დასახელებული,—დაყოფილი იყო შვიდ ნაწილად: სამ სამეფოდ, სამ სამთავროდ და ერთ სამფლობელოდ. დიდხნიდგანვე ზოგ ნაწილებში თავისი საკუთარი მთავარნი ანუ მეფენი

ჩყვანდათ იტალიელებსა, ზოგი უცხო სახელმწიფოებს ეჭირათ. უცხო სახელმწიფოებს ამ ქვეყნის ყველა ნაწილებში ისეთი ძალა ჰქონდათ, რომ თითქოს თავისი საკუთრება იყოსო. სწორედ იმ გვარად, როგოც ჩვენ საქართველოს სამეფოებში და სამთავროებში სპარსელებსა და ოსმალებს ბრძანება გაუდიოდათ, სწორეთ ისრეთა ბატონობდნენ იტალიაში ნემეცები, ფრანცუზები და ესპანიელები.

ორას-სამასი წლის განმავალობაში იტალიას მოსვენება არა ჰქონია ამ სამ ხალხისაგან, ნემეცებისა, ფრანცუზებისა და ესპანიელებისაგან. ერთმანერთს ებრძოდნენ შიგ იტალიაში, ნაწილებს იჩემებდნენ ხან ერთს ერთი, ხან მეორეს მეორე და ამ ერთმანერთთან და თვით იტალიის ხალხთან ბრძოლაში იტალიის ხალხი ფეხ ქვეშ იჭლიტებოდა. იმ დროს ერთობას არა ფიქრობდნენ იტალიელები, რომ შეერთებულის ძალით წინ დასდგომოდნენ მტერსა, და ამის გამო მტერს ყოველთვის თითო, ცალკე ნაწილთანა ჰქონდა საქმე. ქალაქები ლომ გმირებსავით

ომობდნენ, გლეხები იარაღს ისხავდნენ, მთებსა და ღელეებში თავს ესხმოდნენ მტერსა, თავის სოფლებში, თავის სახლში ებრძოდნენ. მაგრამ მტერი რიცხვით მეტი იყო და ამიტომ იტალიის ხალხი მარცხდებოდა. მტერთან იტალიანების ბრძოლა განაწილ-ნაწილებული იყო, დაქსაქსული იყო და ამიტომ ცუდი ბოლო ელებოდა. როგორც ადამიანს ღონე აკლდება და დასვენება უნდება, ხალხსაც დასვენება უნდა. ბოლოს იტალიის ერიც დაიღალა და მოქანცული, მტრისაგან ხელ-ფეხ შებორკილებული, უცხო ქვეყნელების სალდათებით დაჭერილი, მცირედის კაცურის აზრისათვის დასჯილი, მიეცა თავის შავს ბედსა, როგორც ბებერს ქმარს დაჰყვება მშვენიერი ახალგაზდა ქალი სიყვაულისაგამო კი არა, არამედ განწირულებისაგან და დაღალვისაგან. ორასმა წელიწადმა გადარა, შინაური და გარეული მტრები სისხლსა სწოვდნენ ამ ხალხსა, მაგრამ ვერ მოსწოვეს. ნამდვილი მოწამეობა გამოიარა იტალიამ თავისის ნაწილების ერთმანერთთან ბრძოლაში და უცხო ქვეყნის ხალ-

ხებთან ბრძოლაში! დაეცა მშვენიერი მხარე: ციხე-ქალაქები დაიქცა, გაოხრდა, გაცარცული შეიქნა, ყანა მინდვრები გახდა გაქელვილ-განადუგრებული, ფარა-ნახირი—წარტაცებულ იქმნა, აღარა გადარჩა რა!

იტალიის მთავრები და მეფეები უცხო ქვეყნელების ყურ მოჭრილ ყმებსა ჰგვანდნენ. რაც იმათა ნებავდათ, იმას ასრულებდნენ. ყოველი კეთილგონიერი მმართებლობა იმასა ჰფიქრობს, რომ ხალხს სიკეთე მოუტანოს; იტალის მეფეები თავის თავის ზრუნვაში იყვნენ, რომ უცხო ქვეყნელებს ტახტითგან არ გადაეგდოთ; ამისთვის ემორჩილებოდნენ და რასაკვირველია, რომ ხალხის სიკეთისათვის ზრუნვას ველარ შეუდგებოდნენ. კანონები ძალიან ავიწროებდა ხალხსა, სამართალი აღარ იყო, სწორეთ ცარცვა და ტაციობა იყო. ვისაც ცოტა ძალა ჰქონდა ხალხში, ის ართმევდა ულონოს სარჩო-საბადებელსა და ქონებასა. მმართებლობის კაცები საშინლად იპარევდნენ სახელმწიფო ხაზინის ფულსა, ხალხს ქრთამს ართმევდნენ და იკლებდნენ მდიდარსაც

და ლარიბსაც. ხარჯი სახელმწიფო და საზოგადო დიდი აწვა ხალხსა. ვაჭრობა და აღებ-მიცემა დიდს დაცემაში იყო, ფაბრიკები და ქარხნები ძალიან იშვიათი იყო და იტალიის მდიდარ და მომცემ ქვეყანაში ყოველივე საქონელი უცხო ქვეყნებითგან მოჰქონდათ. მამულის მეურნეობაც აგრეთვე დაცემულ მდგომარეობაში იყო. გზები არ იყო, რომ წასვლა-მოსვლით ვაჭრობა და აღებ-მიცემა ცოტარდნად მაინც გაჩაღებულ იყო. ამისაგამო საშინელი სიძვირე ჩამოვარდა ყოველგანა და ხალხი დიდს სილარიბეში ჩავარდა. განათლება და სწავლა ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ გონების დაბნელებას მიემსგავსებოდა და არა განსწავლასა. ყოველთვის პირველ ყმაწვილობაში სწავლა კაცს გულში ღრმათ ენერგება და ამ გარემოებაზე არის დამყარებული ხალხის და სახელმწიფოს ბედნიერება ან უბედურება. ამისაგამო ყოველ საგანს სწავლისას ისე ასწავლიდნენ ყმაწვილ კაცობას, რომ გონება დასჩლუნგებოდა. მმართებლობა იმასა ცდილობდა, რომ აღეზარდა მმართებლობის მო-

სამსახურე მონები, რომ არც თავისი სჯა ჰქონოდათ, არც პატიოსნური გრძნობა მოქალაქისა; ცოტაოდე რიგიან მასწავლებლებს მაშინათვე სასწავლებლითგან აგდებდნენ (მაგ. ნეაპოლში 1848 წ.), ამასთანავე სასწავლებლებში მოსწავლეების რიცხვს ამცირებდნენ. თვით სწავლის პროგრამმა და წესი თუმცა კარგათ იყო შედგენილები, მაგრამ საქმით სულ სხვა გამოდიოდა. მმართებლობა თვალ-ყურს ადევნებდა და ერთი რო თავისუფალი აზრი წამოსცდენოდა მასწავლებელს, მაშინვე ითხოვდნენ და სჯიდნენ, ისეთი მასწავლებლებიცა ჰყვანდათ, რომელთ ადგილიდგან არ აგდებდნენ იმპიროობითა, რომ ოღონც ნუ წაიკითხავთ სასწავლო საგნებსაო და ჯამაგირი კი აიღეთო; (ნეაპოლში სალიჩეტტი და სავარეზე). ფიზიკის სწავლა რა არის, იმაშიაც კი მმართებლობა ერეოდა. მხოლოდ ძველის ენების, ლათინურისა და ბერძნულის სწავლას აქეზებდა მმართებლობა, იმასაც გრამატიკულის და ფილოლოგიურის მხრით, (აკრძალული იყო არისტოფანეს, დემოსთენისა და ტაციტის კითხვა). ამ

ცხად შევიწრებასთან დაფარული შევიწრებაც ბევრი იყო, მაგალითად, მასწავლებლებს ცოტა ჯამაგირი ჰქონდათ, და სწავლისთვის საჭირონივთების მოპოებისაგან რომ ყოველ თავის სარჩოსა ხარჯავდნენ დასრულებითლარიბდებოდნენ, ბოლოს თავს ანებებდნენ სასწავლებელსა.

ამ გვარის ლონისძიებით სასწავლებლებში ყმაწვილ-კაცობას რა უნდა ესწავლა?

როდესაც სწავლა და განათლება შევიწროებულს მდგომარეობაშია და ადამიანის გონების საჭიროებას არ აკმაყოფილებს, ამისთანა მდგომარეობაში ლიტერატურა, ჟურნალ—გაზეთები, სასწავლებლის და ალზდის ადგილს იჭერს. საზოგადოება და ყმაწვილ-კაცობა რაკი შკოლაში და ლექციებში არაფერს სასურველს არა ხედავს, წიგნების კითხვასა ეწაფება. ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, ისეთ შევიწროებულს მდგომარეობაში იყო, რომ უნიჭიერესი მწერლები სამზღვარ გარეთ უნდა გასულიყვნენ და იქ ეწერათ თავისი თხუზულებანი; თვით იტალიაში მწერლობა დაცემულ მდგომარეობაში იყო.

ერთი მწერალი (აბბატი მიშონი) ამბობს ერთ იტალიის ნაწილზე (ნეაპოლზე), რომელიც მთელ იტალიასაც შეეხება: «ეს ქვეყანა, საცა აზრი ცენზურას*) ემორჩილება, რასაკვირველია პირ ჩაკეტილია. ვინ მისცემს თავის თხზულებას დასამახინჯებლად ჟინიანს ანუ ბრიყვ ცენზორსა? ამაზე უფრო უმეტესი ვთქვათ,—ვინ გაჰბედავს წერასა, ვინც იცის, რომ ერთი ფრაზა, ერთი სიტყვის გადაკვრა, ერთი საეჭვო სიტყვა კაცს დალუპავს... წიგნები ცოტა იბეჭდება....ეს კი არა ნიშნავს ხალხის უნიჭობასა; არა, ამ ნიჭსა დაჩაგრვა ჰკლავს; ეს ნიჭი ჰგავს სანთელს, დახურ-

*) ზოგიერთს სასულიერო-ში მმართებლობისაგან დანიშნული კაცები, ცენზორები, არიან ყოველგვარ თხზულების განსილვისათვის, რომ იმ სასულიერო-ს მმართებლობის და მთავრობის წინააღმდეგი არა დაიბეჭდოს-რა. რასაკვირველია სასულიერო-ზე ჭკიდია, ზოგში სასტიკი განსილვაა, ცენზურაა,—ზოგში უფრო მტირეა. არიან კიდევ იმისთანა სასულიერო-ები, სადაც არავითარი ცენზურა არ არის, სრული თავისუფლებაა.

ვისაგან გამქრალსა. ეჭვი არ არის, რომ განათ-
ლებულს საზოგადოების სურვილში, ერთი სურ-
ვილია, რომ ქვეყნიერობის საქმეებზე თავისი
აზრის გამოთქმის უფლება მიიღოს. ეს ხალხი,
თავისის მმართებლობისაგან პირუტყვსავით დამ-
ცირებული ფილოსოფიურ და ლიტერატუ-
რულ მოძრაობის შესახებ, მძიმეთ იტანჯების
ამ დამცირებისაგან. ეს ხალხი ჰგავს იმ ღარიბ
ყმაწვილსა, რომელსაც ლონისძიება არა აქვს
თავისი ნიჭი გაიხსნას სწავლითა და რომელიც
გულმწუხარედ უყურებს სხვა ხალხებს, სწავლის
მოპოვების ლონიძიების მქონებელთა».

სხვა მწერალი (მარკ მონიე) ამბობს კიდევ
ლიტერატურის მდგომარეობაზე: «იტალიელ
მწერალს თავის თანამშრომელად ცენზორი ჰყავ-
სო. თუნდა რომ ცენზორმა ხელიც არ ახლოს,
მწერალს თავის თხზულების წერის დროს ყო-
ველთვის წარმოდგენილი ჰყავს თვალ წინ ცენ-
ზორი და თვითონ მწერალი სჭრის, ამოკლებს
აზრსა, რადგანაც იცის, რომ ცენზორი არ გა-
თავებინებს. და ბოლოს მართლა ის კი არ გა-

მოდის, რაც მწერალს უნდოდა, არამედ ის გაი-
მოდის, რაც ცენზორის აზრებს ეთანხმება და
რისიც მოაზრების და გამოთქმის ნება აქვს.»
ბოლოს იმას ამბობენ, რომ მწერლობაში ყო-
ველგვარი გაბედვითი ანუ ახალი შემოღებული
სიტყვა, ცოცხლად გამოთქმული აზრი ცენ-
ზორს აშინებდაო. ერთხელ დაწერილი კომედია
აღკრძალეს, რადგანაც ორ-აზროვნად ნაწერიაო.
მწერლის დიდის ხნის მოლაპარაკების შემდეგ
დარწმუნდა ცენზორი, რომ სახელმწიფოს შე-
სახებ არაფერი წინააღმდეგობა და ზნეობის
გამრყვნელი არა არის რაო, მაგრამ ბოლოს
დაუმატა და უთხრა ავტორსა: «მაინც კი ამ
პიესაში მახვილ-გონიერება და სუსხი სიტყვა
ძალიან ბევრიაო. გაასწორეთ, დაატკბეთ და
მასუკან ვნახავთო.» ამისთანა ვაი ვაგლახით და-
ბეჭდილ წიგნის დამწერს შემდეგაც კი ახდევინებ-
დნენ. ერთს მოთხრობაში ერთმა მინისტრმა
თავისი სახე იცნო. ამისი დამწერი სამი თვით
დაატუსაღეს. მინისტრი სთხოვდა მეფესა, რომ
ან კატორღაში გავგზავნოთ, ან გიჟების სახლში

დავამწყვდიოთ სამუდამოთაო. მეფე როგორღაც ამ ოხოვნის დროს კარგ გუნებაზე იყო და მინისტრს სიცილით უთხრა: «დიახ-აგრე უნდაო, რომ ერთი მოთხრობაც კიდევ დასწეროს სამადლო ადგილზე და მოპარულ ფულებზეო.» ამ სამადლო ადგილის უფროსათ თურმე მინისტრი ყოფილიყო, და მეფის ხლებულებმა ამ სიტყვების ძალით გაანთავისუფლეს მწერალი.

ამ გვარს შეეიწროებულს მდგომარეობაში მართავდნენ იტალიაში საიდუმლო სტამბებსა და სამძღვარ გარეთიდამ კონდრაბანდით მოჰქონდათ წიგნები.

ლიტერატურას გარდა აკრძალული იყო ყოველგვარი კრება, რომ საზოგადო სახელმწიფო საქმეებზე არ ელაპარაკნათ, როგორც სხვა ევროპის სახელმწიფოებში იციან ხოლმე, შეყრილობაში ლაპარაკი საზოგადო საქმეზე, შეუძლებელი იყო. ყველგან მზვერავები და ენამტანიები დადიოდნენ და მთავრობას უზიდავდნენ ამბავსა. თვით სამღვდელოება გახდა მმართებლობის მსახური და აღსარების საიდუმლოებასაც

კი სტეხდა და ენამტანიობის თანამდებობას ასრულებდა ფულის გულისათვის. რაკი შეიტყობდა მმართებლობის საწინააღმდეგო რასმე, მაშინათვე ატყობინებდა. ამისაგამო ძმას ძმისა ეშინოდა, ნათესავს ნათესავისა და ერთმანეთთან გულდაჯერებით ლაპარაკი ველარ მოეხერხებინათ. ხალხი თვით ოჯახობაში და ნათესაობაში ერთმანეთს იყო დაშორებული.

აი ამ მდგომარეობაში იყო იტალიის ხალხი ორას წელზე მეტ ხანში. სილარიბე, უგზოობა, სიძვირე, უსამართლობა, ცარცვა და ტაცება, საწყლისა და ულონოს დაჩაგრვა, მცირე სწავლა და გაუნათლებლობა, ლიტერატურის და მწერლების შევიწროვება და დასჯა თავისუფალ აზრების გამოთქმისათვის, აი ესე გამოიხატება იტალიის ყოველი ნაწილის ვითარება. ამას უნდა დაუმატოთ იმავ ნაწილების ზემოხსენებული ერთმანერთთან ბრძოლა და სისხლის ღვრა, აგრეთვე იქ მოსულ უცხო ქვეყნელებისაც ერთმანეთთან და აგრეთვე იტალიის ხალხთან, ხშირი ომიანობა და დასრულდება სანახაობა ამ

ხალხის ბედ-შაობისა. კიდეც ეს გარემოება იყო, რომ ხალხი დაიღალა და მოიქანცა.

მაგრამ ადამიანს საჭიროების დაკმაყოფილებას ვერა მოუშლის რა. კაცი რაც უნდა სილარიბეს და შიმშილს იყოს დაჩეული, თავის თავის გაკეთების სურვილი უკვდავი აქვს; უსამართლოობას რაც უნდა ფესვები გაედგას, კაცში სიმართლის გრძნობა და სვინიდისი თავის დღეში არ გამოიღევა; რაც უნდა კაცს აუკრძალონ და დაუშალონ სწავლა და მოფიქრება, უაზრობას ადამიანი ვერ შეიძლებს. ამისთვის ხალხში ჩნდებიან ამისთანა კაცები, რომელთაც ძალიან სურთ ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება და ყოველს შემთხვევას ებრძვიან. იტალიაში ჩნდებოდნენ ამისთანა კაცები, რომელნიც სიტყვით და წერით უკმაყოფილებას აცხადებდნენ, ავრცელებდნენ თავიანთ აზრებსა, ამხანაგებსა შოულობდნენ და თავის მთავრობას უცხადებდნენ რასაც ნაკლულევანებასა ჰხედავდნენ და ითხოვდნენ კანონების შეცვლასა. ბევრჯელ აქა-იქ წინააღმდეგობასაც აჩენდნენ, ხან თითოობით,

თითო კაცი ცალკე, ხან კი მრთელის კრებით და საზოგადოობით. ამასობაში, რასაკვირველია, ბევრსა სჯიდნენ, ჰკლავდნენ, ახრჩობდნენ და საპყრობილეებში აგდებდნენ სიკვდილამდინ...

რამდენიმე შემთხვევა იყო როდესაც ხალხი ხანდისხან იღვიძებდა და ერთად აგდებდა უცხო ქვეყნელებს თავის მამულითგან, მაგალითად. ნემეცები და ისპანიელები გარეკეს სხვა და სხვა დროსა. ბაგრამ მრთელი იტალიის ნაწილები ერთად არ შეერთებულან ყველა მტრები ერთად მოეშორებინათ; ამისაგამო ერთის მაგიერად მეორე ჩათესლდებოდა ხოლმე. ბოლოს მრთელმა იტალიელებმა გამოიღვიძეს და თავი ერთად აიღეს, ნაპოლეონ პირველის დროს, ფრანცუზების განდევნისათვის. ეს გამოღვიძება ისეთი კი არ იყო, რომ იტალია კიდევ არ ჩავარდნილიყო იმავე ძილში, როგორც ადრე იყო; ბაგრამ ხალხში კაცები ჩნდებოდნენ, რომელნიც ამ გაღვიძებულს იტალიის საჭიროებას ხალხს უხსნიდნენ და ახალ თაობას აღზდას აძლევდნენ. ამისთანა კაცები ცოტანი არა ჩნდებოდნენ და

იმათში ერთი ყველაზე უმეტესათა ჩანს. თითქმის მრთელი ორმოც და ათი წლის იტალიის მდგომარეობა ამის სიცოცხლესთან არის შეერთებული. ეს კაცი იყო იოსებ მაძინი, შესანიშნავი კაცი იტალიისა უკანასკნელის სამასის წლის განმავლობაში.

1808 წელსა თიბათვის 28-სა ფრანცუზების დაჭერილ იტალიის ნაწილში, ქალაქ გენუაში ერთ საწყალ ექიმს მაძინის გაუჩნდა ვაჟი-შვილი, რომელსაც სახელად ჯუზეპპე (იოსებ) უწოდეს. ყმაწვილის მშობელნი ფბრალო, კეთილი გულის ადამიანები იყვნენ და მრთელ ახლო-მახლობაში ძალიან უყვარდათ, რადგანაც ყოველთვის ავადმყოფ კაცისა და ღარიბისაც შემწეობა იცოდნენ, თუნდა რომ მდიდარი ავათმყოფისა თავის-დანებება ყოფილიყო საჭირო. საღამოობით მაძინიანთ ოჯახში იყრებოდნენ მეგობრები, რომელთა შორის ყველაზე დაახლოვებული კაცი ანდრია გამბინი იყო. ამ მეგობრების საგულისგულო ლაპარაკი ფრანცუზების ომები იყო, ამ ომებისა იტალიელებს

ჯერ იმედი მიეცათ, მაგრამ ბოლოს კი იტალიის დამხობით გათავდა. პატარა იოსებ დიდის გულ-მოდგინებით ყურს უგდებდა იმდროს საქმეებ-ში ნამყოფ კაცების ლაპარაკსა. ამ ლაპარაკში სჩანდა ხოლმე მტკიცე სიყვარული მამულისა და უბრალო ხალხისა და იმათი მუსაიფი ყმა-წვილს ღრმათ ჩაენერგა გულში. კითხვა რაკი ისწავლა, მთელ დღეებს ძველ ჟურნალების კითხვას ანდომებდა. მამის წიგნებში იპოვნა რამდენიმე ნომერი ჟურნალისა «Chronique du mois», რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დროს გამოდიოდა ჟირონდისტების ხელთა. ან კიდევ დროს ანდომებდა ხოლმე ლათინური მასწავლებლისაგან მიცემულ ტიტ-ლივიის და ტაციტის თარგმნასა. ყველა ამაებისაგან ყმა-წვილს მკვიდრად ჩაენერგა გულში ვრცელი აზრი პოლიტიკურის თავისუფლებისა.

იოსებ მაძძინს ყმაწვილობისას დედ-მამა შინ ასწავლებინებდნენ კარგათა, და შკოლაში არა გზავნიდნენ; ადვოკატობას აპირობდა ისა და ამისთვის უნივერსიტეტში დადიოდა, რომელშიაც

ბოლოს იმისი მამა პროფესორად იყო. ოჯახობაში უბრალო ცხოვრებასა და დამუდმებულ გულიანათ საქმესა ხედავდა და არა ცუდაობასა. ამისაგამო ეს ყმაწვილიც უბრალო გულისა სასტიკი სიმართლის მოყვარე და მტკიცე, მაგრის ხასიათისა, მუდამ დაფიქრებული და წლოვანობაზე ადრე გახსნილის გონებისა გამოვიდა.

მაძძინის ყმაწვილობის დროს იტალიის სხვა და სხვა ნაწილებში არეულობა მოხდა და ბევრი ამ არეულობაში გარეული უნდა გაქცეულიყო სხვა და სხვა ქვეყნებში. ეს კაცები იყრებოდნენ მაძძინის დედა ქალაქში, გენუაში, რომელიც ზღვის ნაპირას არის და აქ გემებს ელოდებოდნენ. ერთ კვირა დღეს 1821 წელსა, ცამეტი წლის ყმაწვილი მაძძინი, იმისი დედა და გამბინი ახალ ქუჩაში დასეინებდნენ. უეცრად ერთი ახნე და მედგარის საბის კაცი, იმგვარის შეხედულობისა, რომ მაძძინის თავის დღეში არ დავიწყებია, წინ დაუდგა, თეთრი გაშლილი ხელსახოცი მიუშვირა და ჩუმათ უთხრა: «იტალიის განდევნილთაო». დედამა და გიმბინიმ ხელსა-

ამეცილებინა მკვლელის დევნისათვის. ნუ თუ აქედამცა-
ს

ამხანაგების დროს გატარებას არ ეწყინებოდა. იმისი განსაკუთრებული სიამოვნება მარტო წიგნები იყო, მუდამ პირში სიგარა და გასეირნება. აზრებითა და ცხოვრებით, საქციელით წმინდა იყო; ასე რომ ორ აზროვანი ლაპარაკიც კი სძულდა. აგეპულობით ძალიან სუსტი ლონისა, გონებით დაუღალავი მშრომელი იყო ჯერ ისევ უნივერსიტეტში. გულიანათ და ფიცხათა სწავლობდა ლიტერატურასა და ისტორიასა; ბევრსა სწერდა და კარგათაცა სწერდა პროზათაც, ლექსათაც; ყოველგვარ თხზულებასა სწერდა, არა დარჩენია რა: ისტორიულ საკითხავს (ეტიუდს), ლიტერატურულ კრიტიკას და სხვა. ყოველი იმისი თხზულების საგანი ყოველგვარი თავისუფლება იყო.

უნივერსიტეტში ყველაზე უფრო დაუმეგობრდა რუფინის, რომელმაც შემდეგში იტალიის მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო და ინგლისში გაიქცა; თავისი ყმაწვილობის დრო აღწერა რომანად სახელად: «შეგთქმელის წერილები» *).

*) ეს რუსულად არის ნათარგმნი სახელით «წერილები ლორეტოს ბერნინისა», 1861 წ.

ამ რომანში მაძძინი ფანტაზიოს სახელით არის გამოყვანილი.

ამ ორ კაცთან რუფინსა და მაძძინთან შესდგა პატარა ამხანაგობა, წრე ახალგაზდა ყმაწვილი კაცებისა იმ განზრახვით, რომ იტალიაში აკრძალული წიგნები და ჟურნალები უნდა ეშოვნათ, რომელიც სამზღვარ გარეთიდამ მოჰქონდათ კონტაბანდითა, ამ ამხანაგობაში, წრეში, რომელშიაც ნიჭიანი ყმაწვილი კაცობა იყო, მაძძინის ძლიერი გავლენა ჩანდა. ამისი მიზეზი იყო მაძძინის საფუძვლიანი სწავლა. მაძძინი შეხედულობით კარგი თვალს საჩინო იყო, მშვენიერი თავი ჰქონდა; დიდი გადატანილი შუბლი, შავი მოელვარე, დაფიქრებული, ნაღვლიანი თვალები, მქრალი და შავგვრემანი ფერისა, სახე შავი გრძელი თმით შემოსილი. დაფიქრებულ და მოლრუბლულ მქისე სახის გამოხატულებამ იმისმა მალე იცოდა ლიმილით გამოდარება და გადაწმენდა. ამ ლიმილში რაღაცა რამ თითქოს საიდუმლო იყოო. განიერი შუბლი, რომელზედაცა ეტყობოდა დიდი ძნებე-

ლობა და დაჟინება ერთის საქმის ასრულებისათვის, მოძრავი და ფიქრით ჩალრმავებული თვალები, საკვირველი მშვიდობიანური და დარწმუნებული გამოხატულება მრთელის ტანისა და რაღაცა ფანატიკური, დაჟინებული იერი სახისა უნებურად რაღაცა მომხილველს გრძნობას აწარმოვებდნენ იმასთან მდგომ კაცზედ.

ენამეტყველობით ძალიან ნიჭიერი იყო და ხშირად ლაპარაკობდა აღდგენაზე იტალიის ქვეყნისა და ლიტერატურისა. როდესაც ბაასს ფიცხად გაერთებოდა, სახე ბრძანებლობისა ეძლეოდა და მამენელები უნებურათა ჰკრთებოდნენ. ეს უფრო იმისაგან წარმოსდგებოდა ხოლმე, რომ საქმის ასრულებაზე ეჭვი არა ჰქონდა და რასმე ეჭვს თუ ვინმე შეიტანდა, ძალიან ეჯავრებოდა. მაგრამ საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მაძმინი ძალიან უბრალო გულისა და მიხვრა-მოხვრისა იყო ადამიანთანა. ამგვარი იყო მაძმინი გენუის უნივერსიტეტშიაც და შემდეგაცა. წელიწადებმა, რასაკვირველია, სახე შეუცვალეს, მაგრამ ხასიათი, — აღტაცება, რომელსაც აგრძნობინებდა

ახლო მყოფთა ცეცხლებრივი იმისი გული სიკვდილამდე უცვალებელი დარჩა.

1849 წელს მაძძინი რომ ხალხს მხურვალეთ ქადაგებას უკითხავდა, ხალხი ისე ისმენდა იმის ლაპარაკსა, თითქოს ეშინოდეს, სიტყვა არ გამოგვეპაროს. ამას ისე კითხულობდა მაძძინი რომ ერთი ძარღვი არ შერხეულა სახეზე, არც ერთი ხელის გაქნევა და ტანის მოძრაობა არ დახმარებია იმის აზრების გამოთქმასა, აზრებს წყალსავით ბრსთქვამდა ადვილად, უბორძიკოდ, არც შეყენებით და არც გამეორებით. მხოლოდ თვალები უელავდნენ. ამგვარათ უნახავთ ყოველგან მოლაპარაკე, როდესაც ხალხის კრებაში სიტყვას იტყოდა.— საკვირველი მშვიდობიანობა იცოდა მაძძინმა. ხალხის დიდ მღელვარობაშიაც ისეთი გულდაჯერებული და დამშვიდებული იყო ხოლმე, როგორც მუდმივ ცხოვრებაში. ერთხედ 1860 წელს ნეაპოლიდამ რომ უკანასკნელი მეფე გააგდეს, მაძძინს დაქრთამებული ცუდა ყარტა-ყურტა ხალხი მიასევინა მაშინდელმა სარდინიის მინისტრმა, კავურმა,

რადგან რესპუბლიკელების თავიდამ მოშორება უნდოდა. ხალხი მივიდა მაძინის სადგომთან და მოჰყვა ყვირილსა: «სიკვდილი მაძინსაო». მაძინი სახითაც კი არ შეიცვალა. ერთ წამს კი შესწყვიტა ლაპარაკი, იმის თაობაზე რომ იქ მყოფი იტალიელების თხოვნაზე პასუხი მიეცა, როდესაც ისინი სთხოვდნენ რომ დამალულიყო, და უთხრა: «ტყვილად ნუ სწუხართ, არ მოგკლავენ, მარტო ყვირიანო.» ამ სიტყვების შემდეგ ისევ გააგრძო თავისი წინათ დაწყებული ლაპარაკი.

ამ დამშვიდებულის სიფხიზლისაგან იყო, რომ თითქმის მრთელი ევროპის პოლიციებს ხელითგან უსხლტებოდა ეს იტალიის პატრიოტი, რომლისაც მარტო ერთი შეხედულობა ძალიან განსხვავებული რამ იყო.

აი ორი ამბავი მაძინის მოგზაურობისა, 1854 წელს შვეიცარიაში დგომა აკრძალული ჰქონდა, მაძინი კი მოგზაურობდა სამის სხვა და სხვა სახელის პაშპორტითა და ეს ამბავი მმართებლობამ შეიტყო, ძებნა და დაჭერა დაა-

პირა, მაგრამ ვერდაიჭირეს. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ პოლიციამ იმდენი აღარ იფიქრა, რომ მეოთხე პაშპორტის შოვნაც შეეძლო მაძძინისა და სწორეთ ასე მოხდა. ერთ სტანციაში სადაც ძალიან ფხიზლად ელოდებოდნენ, თითონვე მიუტანა პაშმორტი და გულნებიერად შეუდგა გზასა. მეორეთ კიდევ 1859 წელსაც მოგზაურობდა შუა იტალიაში, მაგრამ მაინც ვერ დაიჭირეს, თუმცა კი ბოლოს შეიტყვეს პოლიციის ჩინოვნიკებმა, რომ თურმე მაძძინისთან ბევრჯერ ულაპარაკნიათ, ვერ უცნიათ კი. ამ საზოგადო აღწერის შემდეგ, მაძძინის შეხედულობისა და ხასიათისა დროა დავიწყოთ მაძძინის მოქმედების ამბავი.

მაძძინიმ პირველი თვისი მოქმედება დაიწყო მწერლობაში, ლიტერატურაში. თუმცა ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში იყო ლიტერატურა, იმდროს ერთად ერთი ასპარეზი ეს იყო, რომ კაცს იტალიის საზოგადოების სურვილი და საჭიროება გამოეთქვა, გადაკვრით, გადასხვაფერებით, ალეგორიულად მაინცა და გაეცხოვ-

ლებინა საზოგადოების იმედი, და ღონისძიება ეჩვენებინა იმ დროს მდგომარეობის შეცვლისა.

იმ დროს ლიტერატურაში არეულ-დარეულობა იყო შეცილებისაგამო ძველისა და ახალის მწერლებისა. ძველი მწერლები უფრო ხელოვნებისათვისა სწერდნენ, ახლები უფრო ხალხის ცხოვრებისათვის. ამ ახალ მწერლებსაც კი თუმცა ეპარებოდათ სიძველის ხასიათი, მაგრამ ბევრი სარგებლობა მოუტანეს იმ დროს საზოგადოებასა მამულის სიყვარულის ჩანერგვითა და უბედურობის მდგომარეობის შეძულებითა. ამათში იყო გამოჩენილი ლეოპარდი, რომელიც ქვეყანას ადარებდა სატირელ სავაგლახო სამყოფსა. ამისავე მსგავსად სხვანიც ამავე აზრებს ადგენენ (მანცონი, გროსსი, პელიკო, და ზელიო) და იტალიის ხალხს ეუბნებოდნენ: «ილოცევდე, იყავ მორჩილი უბედურებაში, რადგანაც საქაო ცხვრება ყურადღების ღირსი არ არისო: სწავლა ცოდნა ამაოებაოო, მართლ მსაჯულება ცნებაოო; შენი სასოება და იმედი ზეცას დაამყარეო, ის არის შენი სამშობლოო.»

ეს ქადაგება მორჩილებისა, რასაკვირველია, არ დააკმაყოფილებდა საზოგადოებას, უკეთესის ცხოვრების მსურველსა საქართველოსა და იტალიელებს ვერ დაარწმუნებდა, რომ ვითომც იმათი მშვენიერი მიწა-წყალი რაღაცა კაცის საწვალებელი საყოფელი ყოფილიყო, როდესაც გვერდით ხალხები თავისუფალის ცხოვრებითა ცხოვრებდნენ.

ამისაგამო სხვა მწერლები გამოჩნდნენ, რომელნიც ქადაგებდნენ ნიადაგ ქამს, მუდმივს ბრძოლასა კაცის უფლებისა და სიმართლისათვის, თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებისა და გონების გაზსნისათვის, ქადაგებდნენ ბრძოლას ოჯახობაში ჩაგრვასთან და უცხოქვეყნელთ გავლენასთან, როგორიც უნდა ყოფილიყო ეს გავლენა. ეს მწერლები ცდილობდნენ იმ დროს სუსტი კაცები გაემხნევებინათ მაგალითებითა, თუ რა შეუძლია ძლიერის ნებისა და მოწადინე კაცსა. ამ მწერლების თხზულებებში გამოყვანილი კაცები დიდებულები, დიდები არიან თავისის ავ-კაცობითა, ანუ კაი-კაცობითა,

სურვილითა, და იმათი ხასიათები არა ჰგვანან უბრალო კაცების მქრალს უღონო სიკეთესა და მქრალს უღონო ავობასა. ამ მწერლებში პირველი ადგილი დაიჭირა გვერაცციმ, რომლისაც თხზულებებში სჩანს დიდი უკმაყოფილება იმისა, რაც კი სჩაგრავს და ფეხქვეშა სთელავს იტალიის ცხოვრებასა. ერთ თხზულებაში ამბობს გვერაცცი, რომ ეს თხზულება იმისგამო დავწერეო, რომ იტალიის მტრებთან ომის გამართვა არ შემეძლოვო.

გვერაცცის ძველი თავობისაგან იმედი აღარა ჰქონდა, რომ საბრძოლველათ გამოსულიყო და ახალი ცხოვრება დაემყარებინა; ამისათვის ყოველი თავისი იმედი ყმაწვილ კაცობაზე დაამყარა და თავისი წადილი ერთ რომანის («ფლორენციის თავდასხმა») წინასიტყვაობაში გამოსთქვა (რომანი დასწერა საპყრობილეში, რომელშიაც ჩააგდეს ერთ არეულობაში მონაწილეობისათვის.)

ეი რას ამბობს წინასიტყვაობაში:

გამოცდილებამ მალე მასწავლა ჭაღარა თმოსანი ბრძენად აღარ მიმაჩნდეს; ყოველი წელიწადი კაცს

თითო სიკეთეს, თითო სათნოებას ვკარგავინებს და ყველანი სიკვდილზე უფრო ადრე მკვდრებს ვემგზავსებით. ეოველთვის, როდესაც სალსს ველაპარაკები: მარტო ემაწვილ-კაცებს ველაპარაკები და ვეუბნები: «ძმანო, ეძებდეთ დიდებულებასა და დიდებასა. შეუძრწუნებლად არ გეძასიოთ, მაგრამ შიშით ჩემს: აზრს არ დაგიშალავთ. ჩვენ კისრად გვედო ეს მძიმური განჩინება: ეუკვი დიდებული და საუკუნოდ ოტანჯებოდეო. მაგრამ ნუ დაიგიწყებთ, რომ ჩვენ ყველას დაბადებიდამვე განჩინება გვადევს, რო უნდა მოვკვდეთ. ამ ბედს თქვენში ვერავინ ვერ ასცილდება; რალასთვის გასწირავთ პატიოსნებას, რომ რამდენიმე დღე კიდევ გადასდოთ ისა, რაც უეჭველად უნდა ასდეს? ნუ თუ ჭუდიანი ვარსკლავის ათასი წლის სუსტ სსვიან ეოფნას ირჩევთ, რომელიც ერავისაგან არ შემცნეული ჭქრება? ნუ თუ ათი ათასი წლების ამისთანა არსებობას უფრო არ ამჯობინებთ ჩიტის ერთ წამს სიცოცხლესა, რომელიც მუდამ დაფრინავს და გალობს, არ ამჯობინებთ ერთ წამს სიცოცხლეს ელვისას, რომელიც ყველას შიშის ზარსა სცემს და თავის ერთ წუთის არსებაში ამტკრევს

ასი წლის მუსის სეებსა, მე თქვენ მოგიწვევთ სა-
შინელ სატანჯველსა და უბედურობისათვის: გულ-
დაგეფრიწებათ და თქვენ მოკვდებით, მაგრამ სიკვ-
დილის უამს მოიგონებდეთ დანტეს განდევნას მა-
მულითგან, ქრისტეფორე კოლუმბოს ბორკილებსა,
მაქიაველლის დატანჯვასა, გალილეის საჭურობილესა,
ტორკვატო ტასსოს ჭკუიდამ შეშლასა,—და ეს მო-
გონებანი მოგცემენ ასალს ძალასა, შეგმოსავენ თით-
ქოს აბჯრით, რომელსაც ვერ გააბოლებენ თქვენთა
მდევნელთა გესლიანნი ისარნი. ის თუჯის კოლოსსი,
რომლისაც წინაშე თრთოდით და დაუმარცხებელი
გეგონათ, თქვენს თვალში დაჭკარგავს ძლიერების
ყოველსავე მსგავსებას, თქვენ ისე ადვილად შეჭმუს-
რავთ, როგორც დანტეს ანგელოზმა გაიბერტყა მტვე-
რი და კვამლი ჯოჯოხეთისა.»

ამ ახალ მწერლებში კიდევ სხვანიც იყვნენ (ბერკეტო და ჯუსტი), რომელნიც აცხადებ-ლნენ წინააღმდეგობასა და ჯავრსა იტალიის და მონებისათვის და მსუსხავის სატირიკულის ენით სდევნიდნენ უცხო ქვეყნელთა, იტალიის დამამ-ხობელთა. მაგრამ ამათ თხზულებას დიდხანს

ვერა ჰბეჭდდნენ; მარტო ხელ ნაწერები იყო ხალხში.

ამ მწერლების რიცხვში გამოვიდა მაძძინი და პირველშივე სცდილობდა გარკვევით სამზღვარი დაედო, რას უნდა დამყარებოდა, და აი როგორ განსაზღვრა იტალიანელ მწერლის ვალდებულება: «უნდა განვისწავლოთ ჩვენი ისტორიული ამბები, დავიწყებული ანუ გაუგებელი თხზულებანი ჩვენთა სახელოვანთა კაცთა; უნდა განვისწავლოთ იტალიის ხალხის სურვილი და მეცადინეობა წარსულს დროებში, უნდა ველაპარაკებოდეთ იტალიის ახალ თაობას ჩვენ წინაპართა დიდებულებაზე; მოუთხრობდეთ წინაპართ დაცემასა და ამის მიზეზსა; განვაღვიძებდეთ პატივისცემას იმ კაცებისადმი, რომელთაც თავის ვალდებულების აღსრულებისათვის ტანჯვა გამოუვლიათ, და შევაძულებდეთ ამ ვალდებულების ორგულთა, რომელთაც ნივთიერი სიტკბოება ირჩიეს თავის ვალდებულებასა; უნდა ჩავაგონოთ, რომ მარტო ზნეობითი საფუძველი შეჰქმნის დიდებულს ხალხსა, უნდა

ვქადაგებდეთ კაცისა და დედაკაცის თანასწორ კავშირით სიყვარულსა, — აი ეს არის წმინდა მოვალეობა ჩვენის დროების მწერლისა.» ამ აზრებს ავრცელებდა თავის თხზულებებში 1826 წლითგან დაწყებული. პირველი იმისი თხზულება იყო დიდი სტატია: «დანტეს სიყვარული მამულისა.» იმ დროდამ მაძმინიმ დაიწყო იტალიანურ სხვა და სხვა ჟურნალებში მონაწილეობა; თუმცა ამ სტატიებს წმინდა ლიტერატურული სახელი ერქვა, შინაგანის თვისებით კი სახელმწიფო და საპოლიტიკო საქმეებზე ლაპარაკობდა და სჯიდა. მხოლოდ რამდენიმე სიტყვის გამოცვლა იყო საჭირო, რომ მკითხველი ამას მიხვედრილიყო. იმ დროს იტალიაში ისეთი პოლიციური ცენზურა იყო და ისე თავლყურს ადევნებდნენ, რომ ლიტერატურაში საკუთარი გადაკვრითი ენა შესდგა, რომელიც ცოტა ოდენად ლიტერატურის საიდუმლოების მცოდნეთა-თვის ადვილი გასაგებიც იყო. ეს ენა ისეთი იყო, რომ ნემეცებზე, ავსტიელებზე რო ლაპარაკი სდომოდათ, ფრანცუზებზე ლაპარაკობდნენ.

პირველად მმართებლობას ეს არ ესმოდა, ბოლოს კი მიხვდა და აკრძალა რამდენიმე ჟურნალი, საცა მაძძინის თანამშრომელები, კორრესპონდენტები და მეგობრები ჰყვანდა, რომელთაშორის გვერაცციც იყო. ამას შემდეგ მაძძინიმ ორს მაშინდელ ჟურნალში დაიწყოს თანამშრომლობა და ორი სტატია დასწერა: ევროპის ლიტერატურაზე და ისტორიულ დრამაზე.

ამ უკანასკნელ სტატიაში ამბობდა მაძძინი: «ისტორია მოგვითხრობს ამბავთა და მოიხსენებს კაცების სახელებსა და იმათს მოქმედებასა, და ხელუხლებელ მასალას აძლევს კაცის ბუნებას შესამუშავებლადა. დრამა, რომელიც ცოცხალის წარმოდგენით მოქმედებს კაცზე და ორატორის მეტყველების ძალას გარდაემატება, დრამა უნდა გვიხსნიდეს, გვითარგმნიდეს ისტორიის ფაქტების აზრსა და ნათლად დაგვანახვებდეს მოხდენილ შემთხვევის მნიშვნელობასა და ერთმანეთთან კავშირსა.» მაძძინის აზრით დრამის მწერალი უნდა იყოს ალმზრდელი ხალხისა და არა ცრუპენტელა შემაქცევარი; დრამა უნდა

იყოს სახალხოდ გასაგები, ლიბერალური და ნაციონალურიო და უნდა იყოს მიქცეული ერთ განსაზღვრულ მიზანზე.

ასეთს დიდ მნიშვნელობას აძლევდა დრამას მაძძინი და სასარგებლოთა ჰხედავდა უკეთესი დრამატიკული მწერლების გაცნობასა. ამისთვის დააპირა უკეთესი ძველი და ახალი დრამატურგების თხზულებათა გამოცემა, რომელთაგან სრულად უნდოდა დაებეჭდა თხზულებანი ესხილისა, შექსპირისა და შილლერისა; სხვებისა კიდევ ნაწყვეტ ნდწყვეტები.

ამ გვარად მაძძინიმ პირველსავე დროში დაიწყო საზოგადოების სასარგებლო შრომა ლიტერატურაში. აქედამა ვხედავთ, რომ მაძძინი ისე ცუდ უბრალოდ მწერლობაში მიდებ-მოდებისათვის კი არა შრომობდა, რომ რაც მოხვედროდა დაეწერა; არა, ისა შრომობდა ერთის განსაზღვრულის, გამორკვეულის აზრითა, რომ ლიტერატურა უნდა ეხმარებოდეს მრთელს იტალიის საზოგადოებისა და ახალი თავობის ზნეობითს აღზრდასაო.

მაგრამ ევროპის კაცი, როდესაც საზოგადოების სარგებლობისათვისა ზრუნავს, მარტო ლიტერატურას არა კმაყოფილდება, სხვა საზოგადო ასპარეზზედაცა შრომობს. იმ დროსა, სხვა ასპარეზი დახშული იყო, არ არსებობდა იტალიაში ამ ლიტერატურულ ასპარეზს გარდა, და ამისგამო პირველადვე მაძძინი მწერლობაში შეიდა. მაგრამ ლიტერატურული საქმე არ აკმაყოფილებდა მაძძინის ცეცხლებრივ ბუნებას. ის ჭქებდა უფრო ვრცელს პოლიტიკურს მოღვაწეობასა, საქმიან მოღვაწეობას მრთელის იტალიის ერისათვის. რაკი ცხადათ ამისთანა ასპარეზი არ იყო, ის შეიდა საიდუმლო საზოგადოებაში, რომელსაც «კარბონარების საზოგადოება» ეწოდებოდა.

ეს საიდუმლო საზოგადოება შესდგა პირველად მთავრობისაგან განდევნილ კაცებისაგან, რომელნიც მთებში თავს ირჩენდნენ ნახშირის დაწვითა და ამიტომ სახელად მიეცა კარბონარები (კარბონე იტალიანურად ნახშირია, კარბონარი—მენახშირეები). ეს კარბონარების საზოგა-

დოება ფრიად ვრცელი საზოგადოება იყო და მრთელი იტალიის ქალაქებში ყველა ცოტაოდე განათლებულიცა, უბრალო, გაუნათლებელი მა-მულის სიკეთის მოსურნე კაცი ამ საზოგადოებაში შედიოდა. ეს საზოგადოება დაარსდა და გაძლიერდა ნაპოლეონ პირველის დროს, როდესაც ფრანცუზებს ეჭირათ მრთელი იტალია და განზრახვა ის იყო, რომ ფრანცუზები გაედევნათ, გაეგდოთ და გაენთავისუფლებინათ იტალია. ფრანცუზების გაყრის შემდეგ, ეს საზოგადოება თუმცა დარჩა, მაგრამ ძალიან დასუსტდა. ისეთი გარკვეული აზრი და მიზანი აღარა ჰქონდათ წევრებს, როგორც პირველად. ეხლა ამ საზოგადოების მიზანი იყო თავისუფლება და დამოუკიდებლობა იტალიისა. მრთელი იტალიის შეერთებას არა ჰფიქრობდენ, არა ჰქონდათ გარკვეული, როგორი თავისუფლება უნდა ჩამოეგდოთ იტალიაში. ამისგამო ზოგი ნაწილი საზოგადოებისა ერთს არჩევდა და ზოგი მეორესა, თანხმობა აღარა სუფევდა. ახალი თაობა ოცნებობდა ომსა, რესპუბლიკასა, დიდება-

სა და ამათი წინამძღვრები ძველი თავადების კაცები იყუნენ; შეგულიანებისა და წაქეზების ნაცვლად, ისინი ლაგამსა სდებდნენ და გულს უტეხდნენ.

კარბონარების რიცხვი, როგორცა ვთქვით, ძალიან დიდი იყო. მრთელს საზოგადოებას შეადგენდა ოც-ოცი კაცი. ყველას უფროსი ოცი კაცი საფრანგეთში, პარიჟში იყო. საზოგადოებაში შესულს უნდა შეეტანა 25 ფრანკი (თითქმის 6 მანეთი) და თვეში 5 ფრანკი (თითქმის 1 მან. და 5 შაური). მაძძინის ეს ფულის შეწირვა ძალიან მოსწონს და ამბობს, რომ «ჩვენი დროს კაცები საშინელი თავის მოყვარენი არიანო და ხუთი შაურის გულისათვის მზათ არიან ბევრი იბაასონო ამისთანა საქმეში, როგორც მამულის აღდგენა და თავისუფლებااო. და ისე კი მუდამდღე ჩიტის უკან მანეთებს ისროლენო. მაძძინის მოსწონს ისა, რომ ყოველ გვარ დევნულებას არას დასდევდნენო, თავის მიზნისაკენ მიმართული ჰქონდათ ყოველი მოქმედება და ერთ ადგილს რომ შეთქმის კვალს არღვევდა მმარ-

თებლობა, მაშინვე მეორეს იწყობდნენო. ეს კმარ იყო ჩემთვის, რომ ამ საზოგადოებაში შევსულიყავიო. ეხლაც თმა-თეთრი ვფიქრობ, რომ მიზანზე მიყვანის სიმარჯვის შემდეგ, დიდი ღირსებაა უკან მიყოლა იმისთანასთან, ვისაც კი სიკეთისადმი მივყევართ. მორჩილება ჭეშმარიტის და კეთილი უფლებისა, ნება-ყოფლობით მიღებულისა, უკეთე'ი იარაღია ცრუსა და ძალავრობის უფლების საწინააღმდეგოდ».

თვეში მაძძინის დანიშნული ფული შეჰქონდა, თუმცა კი იმისთანა უბრალო ღარიბ სტუდენტისათვის, ძალიან სამძიმო იყო. ამაზე ამბობს მაძძინი: ამას სასარგებლოთა ვხედავო, სხვის ფულის მოგროვება ცუდის რისთვისმე კარგი არარის, მაგრამ ცუდზე უარესი ის არისო, თუ კაცი ყოყმანობს ფულის შეწირვასა, როდესაც იმედია, რომ სარგებლობას მოიტანსო.

მაძძინი ყოველშიე ემორჩილებოდა ამ საზოგადოების ბრძანებასა; მაგრამ კი გარკვევით არ იცოდა საზოგადოების აზრი და მოქმედება. მალე მაძძინი მიხვდა, რომ მართლაც არა

იყო რა კარბონარები თავიანთ კრებაში იტალიაზე ისე ლაპარაკობდნენ, რომ თავისუფლათ ალდგენისათვის ღონე არა აქვსო. ამას შემდეგაო, ამბობს მაძძინი, ახალი წევრები რო შემომყვანდა კარბონარებში, იმასა ვფიქრობდი, რომ რაკი ჩემი აზრების კაცები საკმაოდ გაბევრდებ, მაშინვე ამ დასუსტებულ და დაშლილს საზოგადოებაში სიცოცხლე და სიახლე შემეტანაო».

მაძძინიმ გენუაში მალე ბევრი თავისი ამხანაგები შემოიყვანა ამ საზოგადოებაში, რადგანაც იმის გავლენას, მეტყველებას და ამხანაგების პატივისცემას დიდი ძალა ჰქონდა მცნობებში. ამას შემდეგ კარბონარებმა გაგზავნეს ტოსკანაში, რომ იქაც წევრები მოეპოვა.

ბოლოს პოლიციამ შეიტყო, რომ მაძძინი კარბონარების წევრია და დაიჭირეს ჰყვანდათ დატუსაღებული ჯერ კაზარმაში. კაზარმაში შინითგან გამოგზავნილ საჭმელში კარანდაშის ნაჭერი იპოვნა და მოჰყვა მიწერ-მოწერას თავის მეგობრებთან. ქაღალდის მაგიერათ სალფეტზე სწერდა, რომელსაც საღილს უკან მაშინათვე

შინა გზავნიდა. ამგვარათ რუფინის ძმებსა და თავის დედას შეატყობინა, რომ ზოგიერთი იმისი სასაფრხო წერილები დაეწვათ.

ერთს ღამეს გენუის ქუჩებში წაიყვანეს; ბოლოს ცხენის ფეხის ცემა შემოესმა, მიხვდა, რომ შორს სადმე უნდა მგზავნიდნენო. ამასთანავე თავისი მამის ხმა მოესმა, რომელიც ამხნევებდა, ყოჩაღათ იყავიო. სალდათებმა ხელი ჰკრეს მამასა და ახლოს არ მიუშვეს; ერთმანეთის ხელის ჩამორთმევა ძლივს მოახერხეს. შვილი კარეტაში შეაგდეს და წაიყვანეს საოინის ციხეში. ციხის უფროსი დასცინოდა, ეუბნებოდა, ციხეში ჯანის სიმროელეს და სულის სიმშვიდეს მოიპოვებო. მაძძინი არაფერს არ უპასუხებდა ამ დაცინვასა და ერთხელ კი ციგარა სთხოვა, რომლისაც წევას ძალიან შეჩვეული იყო. უფროსმა ამაზე უპასუხა, რომ გენუის გუბერნატორს უნდა დავეკითხო ნება - რთვაო. მაძძინი მარტო რო დარჩა, ატირდა. ის ამბობს: ეს პირველი ცრემლი ჩემს დატუსაღებაში გაცოფიანებულის ცრემლი იყოვო, რომ ჩემი თა-

ვი ასე ჩემ საძულველელი კაცის ხელთ დავინახეო».

ერთ თვეს უკან ციხეში ახალი უფროსი უფრო კაი გულისა დანიშნეს. არამცთუ ციგარის შოწევისნება, წიგნებიც მისცა საკითხავი: დაბადება, თხზულება ტაციტისა და ბაირონისა. ამ დატუსაღების დროს იმასთან არავის არ უშვებდნენ და ალაპარაკებდნენ. დატუსაღების წინათვე რაკი ალღო აიღო, რომ იქნება დამატუსაღონო, თავის მეგობარ რუფინისთან დააწყო, როგორ უნდა შეეტყობინებინათ ერთმანეთისათვის საიდუმლო რამ. ამისათვის პირობა დასდვეს, რომ წიგნში წერტილის შემდეგ დაწყობილის ასოთი უნდა შეედგინათ საჭირო სიტყვები. ამ სახით მაძძინი და იმისი დედ-მამა რუფინის შემწეობით ერთმანეთს მოკლეთ ატყობინებდნენ ამბებსა. ამ ღონის ძიებით მაძძინი კიდევ რჩევას აძლევდა თავის ამხანაგ კარბონარებსა. მაგრამ ამ დროს ისეთი დევნა იყო მმართებლობისაგან, რომ კარბონარებმა შიშისაგან ყური მოიყრუეს, არც მაძძინის პლანს დასდიეს და არც თვით მაძძინის ბედსა.

ბოლოს მაძძინი დარწმუნდა, რომ ამ საზოგადოების განახლება და გაცოცხლება აღარ შეიძლება; ისევ სჯობია ახალი და ცოცხალი საზოგადოება შევადგინოთ, და თავის ექვსი თვის ტუსაღობის დროს შეადგინა პლანი საიდუმლო საზოგადოებისა «ახალგაზდა იტალიისა.» ამის განსჯის დროს გადასწყვიტა მაძძინიმ, რომ იმის დაწყებულ საქმეს მარტო სახელმწიფო, საპოლიტიკო ცვლილების განზრახვა კი არ უნდა ჰქონდეს,—არამედ ზნეობის და სარწმუნოების ცვლილების განზრახვაც უნდა ჰქონდეს.

ამასობაში მაძძინის საქმე სასამართლოში გათავდა და გამართლებული გამოვიდა. მაგრამ გენუის გუბერნატორს ეფიქრებოდა ხალხის ჯავრის ამოყრისა მაძძინის დაჭერისათვის და სთხოვა მეფეს კარლო ფელიჩეს, რომ სამზღვარ გარეთ გაეგდოთ. ეს ამბავი მამამ მოუტანა მაძძინის, რომლისაც ნახვა მეფის ბრძანებით ყველა ნათესავებისთვის აკრძალული იყო. მაძძინი ამგვარათ გაგდებული იქმნა თავის სამშო

ბლო ქვეყნითგან 1830 წელსა. ამ დროს ოცდა-ორის წლისა იყო და ამ დროთგან ეს ყმაწვილი კაცი სამშობლოსაგან განდევნილი, ნათესავებს, სწორ ამხანაგებს მოშორებული, სცხოვრებდა მრთელს თავის სიცოცხლეს უცხოობაში. თითქმის ორმოცდა ორი წელიწადი. არ დაეცა სულითა; პირიქით უფრო გაძლიერებული და გამხნევებული ამ უბედურებაში დაიწყო მედგრად დაუღალავის შრომით თავის მამულისათვის შრომა.

1830 წელიწადი ხალხის იმგვარი მოძრაობის წელიწადია, რომელიც დრო გამოშვებით ათსა და ოცს წელიწადში ერთხელ მოხდება. ეს მოძრაობა მოხდება ხოლმე ძველის კანონების და წესის შეცვლისათვის. იმ წელს საფრანგეთში ფრანცუზებმა ძველი მეფის გვარი გასდევნეს და ახალი გვარის შეეე დასვეს უკეთესის მმართველობისათვის. პორტუგალიაში მეფისაგან მოშლილის კონსტიტუციის კანონების აღდგენისათვის არეულობა მოხდა; გერმანიაში ხალხმა მოითხოვა, მიცემული და აუსრულებელი პირობა აესრულებინათ მმართებლობათა; ბელგიას უნ-

დოდა გოლლანდიისაგან გაცალკევება და თავისუფლება; შვეიცარია თავის კონსტიტუციის კანონების შეცვლას აპირებდა; ინგლისში თხოულობდნენ თავისუფლების გაფართოებას და მშიერმა ხალხმა უკმაყოფილების ხმა ამოიღო.

რასაკვირველია რომ ეს მოძრაობა იტალიასაც უნდა შეეხებოდა და არეულობა, რევოლუცია უნდა მომხდარიყო, რადგანაც ყველა ქვეყნებზე მძიმე მდგომარეობაში იყო და დამჩაგრველი კანონები ჰქონდა. ხალხი დიდ შეწუხებაში იყო ყველა იტალიის სამეფოებში და სამთავროებში. ამისგამო კარბონარებს შეთქმა ჰქონდათ, მრთელ იტალიაში ხალხი აეყენებინათ და ცვლილება შემოეტანათ. არეულობა მოხდა თითქმის ყოველგან, მაგრამ სხვა და სხვა მთავრებმა და მმართებლობათა ავსტრიელების ჯარი მოიწვიეს და, რადგან ამდგარ ნაწილებს ერთობა არა ჰქონდათ, ყოველგან ხმლით და ცეცხლით დაამშვიდეს აჯანყებული ხალხი. ისევ ის მმართველები დარჩნენ.

ამ არეულობის დროს საფრანგეთის იმედი

ჰქონდათ იტალიელებსა, მაგრამ ფრანცუზებმა არაფერი შემწეობა არ მისცეს. მართალია სხვა და სხვა საფრანგეთის ქალაქებში კარბონარებს არა სდევნიდნენ, ასე რომ ქალაქს ლიონში ცხადათ თოფ-იარაღით ჯარს ამზადებდნენ იტალიაში გასაგზავნათ, მაგრამ ფრანცუზებმა გამოაცხადეს, რომ ამ ჯარმა თუ იტალიაში გალაშქრებაჰ დააპირა, მაშინვე გაფანტვენ.

ამ დროს მაძძინი ის-იყო მამულითგან გამოაგდეს და გზაზე შეიტყო, რომ ლიონში ჯარი შემდგარაო. მოვიდა ლიონში და ზემოხსენებული ბრძანება რო შეიტყო, კარბონარებს ურჩია, რომ საჩქაროდ ჯარი შეჰკრიბონ ფრანცუზების მუშაკაცებისაგან და გაგზავნონ რაზმი გამოსაცდელათ, მართლა მმართებლობა ეწინააღმდეგება, თუ ისე სხვა სახემწიფოების წინაშე თავის გამართლებისათვის გამოუცია ეს ბრძანება. ამ რჩევით ლაშქარი გაემგზავრა, მაგრამ რაკი დაიძრა, მაშინათვე მმართებლობამ ცხენოსანი ჯარი გამოუყენა და სულ გაფანტა. სხვა ქალაქებშიაც ამისთანა ამბები მოხდა. მაინც

კიდევ იმედი არ დაჰკარგეს შემთქმელთა, და კორსიკაში წავიდა მაძძინი, საცა ორი ათასი კაცი სალაშქროთ მზათ იყო შემთქმელებს გაჰყოლოდა. კორსიკელები ცოლშვილისათვის ფულს სთხოვდნენ და აგრეთვე ნომალდების პატრონებიცა. ფული, ეს ყველა საქმისათვის საჭირო რამ, კი არა ჰქონდათ და საქმე ისე დარჩა აუსრულებლად.

ამასობაში ავსტრიელებს უნდოდათ მაგრა ფეხი ჩაედგათ იტალიაში და თუმცა სხვა და სხვა ქალაქებში ჯარები ჰყვანდათ, ჩდილოეთს იტალიაში უნდოდათ სამუდამოთ თავის მეჯნასთან ადგილები დაეჭირათ. ამისათვის მიწერ-მოწერა ჰქონდა ავსტრიის მმართებლობას პიემონტის მეფესთან კარლო ფელიჩესთან, რომელიც მალე 1831 წელს მოკვდა და კარლოალბერტი გამეფდა. ავსტრიელები ძალიანა სძულდა და ამისგამო იტალიელებს ამისი დიდი იმედი მიეცათ, ომს გამართავს იტალიის გასათავისუფლებლათაო.

ამ ჟამად მაძძინი საფრანგეთში მარსელიაში

სცხოვრებდა და დაბეჭდა თავისი პირველი პოლიტიკური თხზულება. ეს თხზულება იყო წერილი მეფეს კარლო-ალბერტისადმი, რომელშიაც უცხადებდა იტალიელების სიხარულს იმის გამეფებისა გამო. ამ წერილით მაძძინი მეფეს ორ გზას აჩვენებდა: ხალხის დაჩაგვრისას და თავისუფლების მინიჭებისას. ხალხის დაჩაგვრის საფრთხეობაზე ეუბნებოდა, რომ «სისხლი სისხლს აჩენსო და შემოქმელის ხანჯალი ისე საშიში არას დროს არ არისო, როგორც მაშინ, თუ წამებულის საფლავის ქვაზედ არის გალესილიო.» მაძძინი ამ წერილში ლაპარაკობს სამმართველოს გაუმჯობესობას და გაზვავებულ ბოროტმოქმედების მოსპობასა და ამბობს:

ხალხი ესლა ალარა კმაყოფილდება წვრილ-წვრილ ცვლილებასა, თხოულობს კეთილ-შობილს უფლებასა, სიმართლესა, კანონიერებასა და თავისუფლებასა, დამოუკიდებლობასა და ერთობასა... ყოველგანა ხმანს ავსტრიელების ძულვა, და იტალიის ხალხი იქნება უკეთესი მომხრე საფრანგეთზედაც და ავსტრიაზედაც. თუ თქვენ არ ითავებთ იტალიის განთავისუფ-

ლებასა, სსვანი იკისრებენ, და იკისრებენ უთქვენოდ და თქვენს წინააღმდეგ. სალსის აღტაცებულის მოგებებაზე ნუ მოსტეუვდებით; ეცადეთ იპოვნოთ ამ სიხარულის სათავე და მეიტეობთ, რომ სალსს თავის იმედის და სურვილის წარმომადგენლადა ჭგონისართ... ხელმწიფეო, ეე მართალი გითხარი, თავისუფლების კაცნი თქვენს პასუხს თქვენის მოქმედებით, საქმით მოელიან. როგორიც უნდა იყოს თქვენი პასუხი, დარწმუნებული იყავით, შთამომავლობა დააფასებს და თქვენი სახელი განითქმება, ან ისე როგორც დიდებულის კაცის სახელი, ანუ ისე როგორც უკანასკნელი იტალიის მტარვლისა. არჩევანი თქვენ ხელთ არის.

ეს წიგნი ძალიან გავრცელდა მრთელს იტალიაში, არ მოეწონა კარლო ალბერტსა, იტალიის სხვა მეფეები გააცეცხლა, დიდკაცობამ, არისტოკრატიამ, თავის შეურაცყოფად მიიღო, რადგანაც აქამდინ ხალხში ყველა სიკეთის ჩამომგდები თავისი თავი მიაჩნდა და ეხლა კი მაძძინი თვით ხალხზე ამყარებდა იმედსა. რესპუბლიკის მომხრენი და თავისუფლების მოყვარენიც ემდურებოდნენ მაძძინს, ჰგონებდნენ, რომ რესპუბლიკის იმედს თავს ანებებს და მეფობის უფლებას მიემხროეო. მაძძინი კი სულ სხვასა ჰფიქ-

რობდა. იმდროს ისა და იმისი ამხანაგები აპირობდნენ ახალი საზოგადოების დაფუძნებასა. მაგრამ კარლო-ალბერტის გამეფებამ ხალხს დიდი იმედი მისცა იმისი, რომ მრთელი იტალია შეერთდება ერთს სახელმწიფოდ, ერთის მეფითაო; ხმა გავარდა ხალხში, რომ ვითომც კონსტიტუციის დაწესებას აპირობსო, ავსტრიასთან ომს დაიწყობსო, სახელმწიფო დამნაშავეთ აპატიებსო. ამ ჭორებმა მრთელი იტალიის ქვეყანა მოიარა და ხალხი დიდს აღტაცებას მიეცა. ამისთანა დროს საიდუმლო საზოგადოების შედგენა ვერ მოხერხდებოდა და სანამ ეს აღტაცება არ დასცხრებოდა, რესპუბლიკურ აზრებს მალე არავინ მიემხრობოდა. აი, ამ დროს მაძინიმ ზემოხსენებული წიგნი დასწერა, რომელშიაც თავისი აზრი არ გამოუხატავს. მაძინი ამბობს ზემოხსენებულ წიგნზე, იმას ამიტომ ხელი არ მოვაწერეო, მე ყოველთვის მრწამდა, რომ იტალია პრინცის შემწეობით კი არ განთავისუფლდებოდა, არამედ ხალხის საკუთარის ძალითაო.

ამ წერილის შემდეგ ბრძანება გაეცათ მაძი-

ნი დაეჭირათ, თუ ვინიცობაა დაბრუნებულიყო მამულში. ამას თურმე თითონ მაძინიც მოელოდა დაწერის დროსვე. ასე ხალხის იმედი სრულებით გამტყუნდა და გაქრა.

რამდენისამე თვის შემდეგ, როდესაც აღტაცების კორიანტელი დაგდა, მარსელიაში გამოვიდა ახალი ჟურნალი, სახელად — «ახალგაზდა იტალია.» ამის პირველ ნომერში იყო გამოთქმული საფუძველი აზრები ახალის საპოლიტიკოს საზოგადოებისა.

სანამდის ამ ახალ საზოგადოებაზე რასმე ვიტყოდეთ, საჭიროა მოვიხსენოთ, საზოგადოდ იტალიაში როგორ მართავდნენ შეთქმასა. ძველის ძველადგანვე, ქრისტიანობის წინათვე იტალიის ხალხი სახელმწიფო საქმეებისათვისა ჰფიქრობდა და ამისაგამო, როდესაც რომელიმე მმართებლობა ცუდ კანონებსა სდებდა, ან ხალხს ავიწროებდა, მაშინვე კაცები გამოდიოდნენ იმ მმართებლობის გადაგდების, ან იმ კანონების შეცვლის მსურველნი და ამ სურვილის ასრულებისათვის მოქმედებდნენ. ეს კაცები ჯერ

თავის ახლო მცნობებს, შეგობრებს, ტოლებს უცხადებდნენ თავის აზრებსა და იმხრობდნენ; მერე ეს ამხანაგები თავისის მხრით ამხანაგებს შოულობდნენ და ერთმანეთს პირობას აძლევდნენ, შეუთქვამდნენ და ამგვარათ შეთქმას მართავდნენ, საიდუმლო საზოგადოებას მართავდნენ მმართებლობის, ანუ კანონის გადაგდებისათვის და წინააღმდეგობისათვის. როდესაც საკმაოდ ამხანაგობა, ანუ საზოგადოება იმართებოდა ერთს რომელსამე ქალაქში, მასუკან მეორე ქალაქში გზავნიდნენ საკუთარ კაცსა, რომ იქაც გაემართათ ამხანაგობა შემთქმელთა. ამ ქალაქითგან კიდეე სხვა ქალაქებში გზავნიდნენ, ისე რომ, ბოლოს თვით სოფლებშიაც კი იმართებოდა შემთქმელთ ამხანაგობა. ამგვარად რომ მოიფინებოდა რომელიმე ნაწილი იტალიისა შემთქმელებითა, მერე მრთელი ხალხი დგებოდა თოფ-იარაღითა და ცვლილებას ჩამოაგდებდა ხოლმე. ან კანონებსა სცვლიდა, ან მმართებლობასა და ხან შემოსულ ხალხს, ისპანიელებს, ფრანცუზებს აგდებდა. ყოველივე საქმე ამ სა-

ზოგადოებათა დიდათ დაფარულად, საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო უკანასკნელ წამამდე, ცხადად ადგომამდე, რომ მმართებლობას არ მოეშალა შემთქმელთ განზრახვა. ამიტომ ამისთანა საზოგადოებათ უწოდებდნენ საიდუმლო საზოგადოებას. კარბონარების საზოგადოება მეტისმეტი საიდუმლო საზოგადოება იყო და თითქმის ყოველი მოქმედება ამ საიდუმლოებას მოანდომა. მაგრამ მაინც კი კარბონარები მმართებლობის თვალყურის დევნას ვერ ასცდომოდნენ და ილუპებოდნენ სახრჩობელაზე და სატუსაღოებში. ამ გარემოებისაგამო იმათ ფიცათა ჰქონდათ, რომ ორგული და გამცემის კაცისათვის შური უნდა ეგოთ და მოეკლათ; ამისათვის გავრცელებული იყო საიდუმლო კლვა, მოწამლვა, დახრჩობა ისე, რომ შემთქმელს საზარელ საქმეთ არ მიაჩნდა და მკლავი არ უთრთოდა.

მაძძინის კარბონარების საიდუმლო საზოგადოება არ მოსწონდა, არც თავისის მიზან-აზრით, არც ღონისძიებით, რომელსაც ხმარობდა,

ამისათვის მაძძინიმ დააარსა ახალი საზოგადოება, რომელსაც უწოდა სახელად «ახალგაზდა იტალია.» ეს საზოგადოება თითქმის საიდუმლო არ იყო, რადგანაც თავის აზრსა ცხადათა ჰბეჭდავდა იმავე სახელის ჟურნალში «ახალგაზდა იტალიაში» და აგრეთვე წერილ წიგნებათა და ცალკე ფურცლებათა. ამ დაბეჭდილ თხუზულებით ელაპარაკებოდა ყველას, ვისაც კი იტალიის განთავისუფლება ესურვებოდა და უქადაგებდა, რომ მეფეებისა და მღვდლებისა კი არ უნდა იყოს იტალიაო, ხალხისა, ერისა უნდა იყოსო, ესე იგი ხალხმა უნდა განაგოს თავისი საქმე, თავისი ცხოვრება: სახელმწიფო, საზოგადო და სათვითაო ოჯახობისა, ანუ კაცადკაცადისა. ამის ასრულებისათვის «ახალგაზდა იტალიის» საზოგადოება საჭიროთა სთვლიდა თოფ-იარაღით ხალხის ადგომას უცხო ქვეყნელების გასადევნათ და შემდეგ უნდოდა იტალიის ქვეყანაში ახალი წყობის კანონები დაედვა. ამ საზოგადოებასაც კარბონარებსავით იტალიის განთავისუფლება უნდოდა, მაგრამ უნდოდა

რესპუბლიკა დაეარსებინა და უმაღლესი უფლება მრთელის ხალხისათვის მიეცა: კარბონარებს კი კონსტიტუცია უნდოდათ და ხალხის დანდობა არა ჰქონდათ. ყველა სასურველ წადილის აღსრულებისათვის საჭიროდა ჰრაცხდა მაძძინი ხალხის პოლიტიკურ აღზრდას, რომლისათვისაც საჭიროა ხალხში ქადაგება და სასურველი აზრების გავრცელება, მოფენაო.

«ახალგაზდა იტალიის» საზოგადოებას იმ გვარი შედგენილობა არა ჰქონდა, ისეთი წესები არა ჰქონდა, როგორც კარბონარებსა. ამ საზოგადოებაში ორ გვარად იყვნენ დაყოფილი წევრები. ერთნი იყვნენ ის წევრები, რომელთაც შემოჰყავდათ საზოგადოებაში ახალი წევრი, და მეორენი იყვნენ მარტო ის წევრები, ვინც შემოსულნი იყვნენ. ამ საზოგადოებას ერთი შუაგული, ცენტრალური კრება, კომიტეტი ჰქონდა მრთელი საზოგადოების საქმეების მართვისათვის და გამგეობისათვის. ყოველ ქალაქებშიაც კომიტეტები იყო და ამ ცენტრალურ კომიტეტს ყოველთან საქმე უნდა ჰქონოდა და უფ-

რასაკვირველ უნდა ყოფილიყო. თვითო ქალაქის კომიტეტს თითო თავმჯდომარე წევრი უნდა ჰყოლოდა, თითო ორგანიზატორი. ამ საზოგადოების ნიშნად მაძინიმ ამოარჩია კვიპაროზის შტო და ნიშან-სიტყვად «აწ და მარადის» ora e sempre, «ღმერთი და იტალია.» ეს ნიშნავდა იმას, რომ სამუდამო აზრი და საწადელი ფიქრი უნდა ჰქონოდათ ყველა იტალიელებს იტალიაზე. მუდამ ყოველ იტალიელს თავის ვალდებულებად უნდა მიაჩნდესო იტალიის სამსახური, როგორც ღვთის სამსახურიო.

პოლიტიკური პროგრამმა ამ ახალ საზოგადოებისა, იმისი რწმენა და საწადელი მიზანი ასე გამოსთქვა მაძინიმა «ახალგაზდა იტალიის» პირველს ნომერში.

«ახალგაზდა იტალიის» საზოგადოება სრულიად ცალკე შესდგება სხვა საიდუმლო საზოგადოებათაგან. თავის აზრებს ბეჭვდით ავრცელებს, მხოლოდ მომზადებას ადგომისათვის საიდუმლოთ იცავს, როდის და როგორ უნდა მოხდეს. ყოველი სიკვდილით შურის გება გამ-

ცემისა და ორგულისა აღარ უნდა იყოს.

«ასალგაზდა იტალია» არის ძმობა იმ კაცებისა, რომელთაცა სწამთ, რომ იტალიას თავისის ღონით შეუძლია თავისუფალი შეიქნას. ადრინდელი ცდა განთავისუფლებისათვის წარმოსდგა უძლურებისაგან კი არა, არამედ მოუსერსებლობისაგან. ამისათვის ყველას მეცადინეობა ერთ დიდ საქმეს უნდა მიემართოს, რომ იტალია ჭქმნას განთავისუფლებული, დამოუკიდებელი და თვით-მბურობელი.

იტალიას მიეჯნა არის ჩრდილოეთს ალპის მთები, სამხრეთს ზღვა, დასავლეთს კარის წყლის შესართავი და აღმოსავლეთს ტრიესტის ქალაქი, და აგრეთვე კუნძულები, რომელთაც ერთი სასელმწიფო უნდა შეადგინონ.

იტალიის ნაციას, გვარს შეადგენენ ყველა იტალიელები.

საზოგადოების საფუძველი: რამდენათაც განსაზღვრული და ცხადია საზოგადოების განზრახვა, იმდენად უკეთესია, მკვიდრია და ხამდვილია იმისი ბრძა. ძალა საზოგადოებისა მდგომარეობს ერთგვარობაში წევრთა, იმათ თანხმობაში და არა ამათ რიცხვში.

თუ სხვა და სხვაობა არის საზოგადოებაში და განსაზღვრული აზრი არა აქვთ წევრებსა, იმათ მარტო საქმის მოშლაში შეუძლიათ თანხმობა და მოძრაობაში სელმძღვანველობა კი არა. ვინც უნდა იყოს სათვითოდ კაცი, ანუ საზოგადოება, უნდა იცოდეს მიზანი და წადილი მოძრაობისა. ვინც სალხს ცმალს აღებინებს, უნდა შეეძლოს, რომ სალხს უთხრას, რისთვისაც აღებინებს. ვინც განახლების საქმეს ხელსჭიდებს, უნდა სწამდეს განახლება. თუ არა და ამისთანა კაცი არის არეულობის, ანარქიის მომხდელი. სალხი საოძრად არ გამოვა, თუ არ ეცოდინება თავის გამარჯვებას საყოველად რა მოჭვება.

ამისათვის საზოგადოება აცხადებს თავის წესსა რომლითაც უნდა დამყარდეს ეროის აღზრდა და რომლისაგანაც უნდა ელოდეს იტალია თავის დახსნასა და განახლებასა.

«ახალგაზდა იტალია» უნდა იყოს რესპუბლიკური და ერთობისა.

რესპუბლიკური ამიტომ უნდა იყოს, რომ ყოველნი კაცნი ღვთისა და კაცის კანონით უნდა იყვნენ თავისუფალნი და თანასწორენი. მხო-

ლოდ რესპუბლიკური წესები აძლევენ კაცს ამ მომავალსა, რადგანაც უმაღლესი უფლება უნდა ეკუთვნოდეს თვით სალხსა.

«ასალგაზდა იტალია» უნდა იყოს ერთობისა, ამიტომ რომ ერთობის უქონლად ერი ნაცია არ არის; პოლიტიკურის, მოქალაქობრივის, სისხლის სამართლის ერთობის უქონლად, აღზრდისა და ამორჩეულის უფლების ერთობის უქონლად იტალიის ერის წინ წასვლა შეუძლებელია.

ამასთანავე «ასალგაზდა იტალიის» წევრნი უნდა იყვნენ კეთილის ზნეობისა და სათნოებით შემკულნი. კეთილ-მოქმედებით შეუძლიათ წევრთა მოიზოვონ სალსის ნდობა. თუ ამაებს მოკლებულნი იქნებიან წევრნი, ისინი იქნებიან თავრისეკულნი. «ასალგაზდა იტალიის საქმე არ არის» თავრიზეკლობა ანუ სექტა, არამედ რწმუნებაა და მქადაგებლობაა (მოციქულობაა).

«საზოგადოების მოქმედების ღონისძიება ჯერის აღზრდა და აღდგომა, ორივ ეს ღონისძიებანი უნდა ეთანხმებოდნენ ერთმანეთსა. აღზრდამ უნდა დაარწმუნოს სალსი ადგენის საჭიროებაზე თხზუ-

ლებით, მაგალითით და სიტყვით. ჯერ უნდა იყოს აღდგომა, მერე რევოლუცია.»

როდესაც აღდგომით იტალია განთავისუფლდება, მაშინ დაიწყობა, რევოლუცია ესე იგი ასალი კანონების შემოღება მთელი იტალიის სალსის ამორჩეულ კრებისაგან.

ყველა, ვინც კი შევიდოდა «ახალგაზდა იტალიის» საზოგადოებაში, თავის დამლოცველის წინაშე ეს ფიცი უნდა დაედვა:

სახელითა ღვთისათა და იტალიისათა.

სახელითა იტალიის წმინდათა წამებულთა, მტარვალთა კვეთებათაგან მოწყვეტილთა.

ვფიცავ ჩემს ვალდებულებასა ქვეყნისადმი, ს

ლაქობრივი, ვფიცავ ორთოლვასა ჩემის სულისასა, შექმნილისას თავისუფლებისათვის და უძლურისასა იმის სარგებლობისათვის,—ვფიცავ ხსოვნასა აწინდელის დამცირებისასა, ვფიცავ ცრემლთა იტალიის დედათასა, დაღვრილსა—სასრჩობელაზე, საპყრობილეებში და ექსორიობაში მოწყვეტილ შვილთათვის, ვფიცავ სიღარიბესა მილიონთა კაცთა.

მე. . . .

ვუერთდები «ასალგაზდა იტალიის» საზოგადოებას და ფიცსა ვდებ:

სრულიად შევსწირო სამუდამოდ ჩემი თავი იტალიის აღდგინებასა ერთ სანიად, დამოუკიდებელ, თავისუფალ და რესპუბლიკურ ერად.

დავეხმარო ყოველის ღონისძიებითა, სიტყვითა, თხზულებითა, მოქმედებითა—აღზრდასა ჩემთა ძმათა იტალიელთა, «ასალგაზდა იტალიის» წესის თანასმად.

ალარ ვეკუთვნო დღეითგან სხვა რომელსამე საზოგადოებასა.

მოვიქცე თანასმად ბრძანებისა, რომელსაც მომცემენ «ასალგაზდა იტალიის» აზრისამებრ და დავიცავ სიდუმლოდ, სიცოცხლის დაუზოგველად.

შევეწიო საქმითა და რჩევით ჩემთა მოძმეთა საზოგადოებისათა.

ეწ და მარადის!

ამასა ვფიცავ; მოვუწოდებ ჩემს თავზე რისსვასა ღვთისასა, წყევასა კაცთასა და უპატიოსნობასა ფიცის მგმობელისასა, უკეთუ უარვყო რაიმე ამ ფიცისა.

ეს აზრები, განზრახვა და პლანები იყო თვით მაძინისა. ეს აზრი ამოქმედებდა უკანასკნელ თავის სიკვდილამდე და არც ერთხელ უარი არ უყვია ამ აზრებისათვის.

მაძინის ეს აზრები ისე სწამდა, როგორც ფიცხ ფანატიკოსსა და სარწმუნოებად მიაჩნდა. იტალიის განთავისუფლებას, შეერთებას ერთ სახელმწიფოთა და რესპუბლიკის დამყარებას ის აძლევდა მსოფლიო მნიშვნელობას, მრთელი ევროპის, მრთელი კაცობრიობის გამაახლებელ ძალათა. იმისის აზრით ყველა სახელმწიფოებზე ადრე, რესპუბლიკა იტალიაში დამყარდებაო, რადგანაც იტალიის წარსული ცხოვრება ამას ბევრს საფუძველს აძლევსო. მასუკან

იტალია იქნება ყველა ხალხების განთავისუფლების შემწე და დამხმარებელიო. ეს აზრი ორ ხალხსა აქვს ევროპაში, ფრანცუზებსა და იტალიელებსა. მაგრამ მაძმინი უფრო იტალიის ხალხს უწერდა ამ განმათავისუფლებელის ხასიათსა, რადგანაც ძველადგანვე, რომაელებითგან დაწყობილი აქამომდე, იტალიის ხალხსა ჰქონია გავლენა მრთელ განათლებულ ქვეყნებზე. ძველს დროში რომაელებმა კანონი მისცეს მთელს ქვეყანასა; მერე საშუალო საუკუნეში ქრისტიანობა გაავრცელეს მრთელ ევროპაში და ყველა ხალხები შეაერთეს, შეაკავშირეს ამ სარწმუნოებითა; მასუკან ძლიერი სწავლის და ფილოსოფიის მოძრაობა დაიწყო იტალიითგან, ბოლოს ხელოვნება (მხატვრობა, ქანდაკება, მუზიკა) გაავრცელეს იტალიელებმა ნახევარ ბარბაროსულ ევროპიელებში და ამგვარათ მოამზადეს უკეთესი მდგომარეობის მილებისათვის, რომელშიაც უკანასკნელ საუკუნეში ჩადგნენ.

აი ამ სახით მაძმინი იტალიის აღდგენას რა მსოფლიო მნიშვნელობას აძლევდა. შემდეგში

ამ აზრების ძალით და მაძძინის შემწეობით და ფუძნდა «ახალგაზდა გერმანია», «ახალგაზდა ვენგრია», «ახალგაზდა პოლშა» და სხვანიც. აზრათ ისა ჰქონდა, რომ ყველა ხალხები ერთმანეროს დახმარებოდნენ განთავისუფლებისათვის და ბოლოს ევროპაში დაყოფილ სახელმწიფოების ნაცვლად, ყველა ხალხებს დაემყარებინათ ერთი ერცელი თავისუფალი, ძმობრივი სახელმწიფო, ანუ რესპუბლიკის შტატები, რომელშიაც სხვა და სხვა ხალხები თავ-თავის საქმეს შინაურად გაიმართავდნენ და მოისპობოდა ომი. ეს აზრები ჩვენს დროს ისე გავრცელდა, რომ როდესაც 1860 წ. გარიბალდიმ იტალიის საბრეთინაწილის განთავისუფლებისათვის ლაშქარი წაიყვანა, იმის ჯარებში სხვა და სხვა გვარის ხალხი იყო შეერთებული იტალიელებს გარდა: ფრანცუზები, ნემეცები, ვენგრები, პოლშელები და სხვანი. აგრეთვე შარშან წინ საფრანგეთის რესპუბლიკა რო დამყარდა, იმის დახმარებისათვის შეიყარა იმავე გარიბალდის წინამძღვრობით ამგვარიცე ჯარი და დიდის სიმამაცითა ომობდა პრუსსიელებთან.

ამგვარად მაძმინის ოც-და-ათი წლის შრომით იტალიის შეერთებისა და განთავისუფლების აზრთან, მთელი ევროპის ხალხების შეერთების აზრიც ერთ ძმურ ხალხად, ეხლა გავრცელდა თვით ევროპის ყველა ხალხებში და იმის ასრულებისათვის ლაშქარიც კი შესდგა, ლაშქარი ევროპის შეერთებულის შტატებისა, რომელიც მრთელს მსოფლიო ისტორიაში პირველი შესანიშნავი და პირველად მოხდენილი ამბავია. იყო ერთხელ კიდევ შემთხვევა, თითქმის ამ შვიდასის წლის წინათ, როდესაც მრთელი ევროპის ხალხებმა: იტალიელებმა, ფრანცუზებმა, ინგლისებმა, ისპანიელებმა, ნემეცებმა, ბერძნებმა (ამათში ქართველებმაც) დიდი ჯარი შეადგინეს იერუსალიმის განთავისუფლებისათვის. ახლა ეს მეორე მაგალითია, რომ ხალხები თავისფლად სხვის ძალა დაუტანებლათ, თავის ნება-ყოფლობით ჯარს ადგენდნენ ერთი აზრისა ასრულებისათვის.

ეს ყოველივე მაძმინის აზრები დიდად აგუ-

ლიანებდა იტალიელებსა. მაძძინი ამ აზრებთან ავრცელებდა იტალის განთავისუფლების აზრს თავისის ჟურნალით და იტლიელებს ეუბნებოდა ყველა ხალხებს თავისი მამული აქვთ და თქვენ კი არაო, იმიტომ რომ თქვენ არა გაქვთ რწმუნება, არა გაქვთ იმედი თქვენის თავისა და თქვენის ძალისა ყველანი ერთმანერთს დაშორებულნი ხართო; ეს ცოდვა თქვენ წინაპართაგან დაგყვათო, რომელთაც ერთობა არ იცოდნენ, მამულის სახელი არ იცოდნენ; ყველა თავის ძალას, ღონეს, თავის ქალაქს და მაზრას ენდობოდა და თავის დაცვისათვის ნემეცები, ფრანცუზები და ისპანიელები მოჰყვანდათ და ესენიც თავიანთში იყოფდნენ თქვენს მიწა-წყალსა, როგორც ქრისტეს ჯვართმცმელთა განიყვეს კვართხი მისი: ზოგი ზემო იტალიაში გახდა მფლობელი, ზოგი შუაში, ზოგი ქვემო იტალიაში. აქამდინ თქვენ მაინც კიდევ უცხო ქვეყნელების იმედი გაქვთ, რომ გაგანთავისუფლონ. მაგრამ სტყუვდებით და მოტყუებული დარჩებით, სანამ თქვენ ეე თქვენ თავს არ უშვე-

ლით. თქვენ ეს შველა შეგიძლიათო, რადგანაც იმ უმრავლესმა აქ მოსულმა ხალხებმა ვერ ალხოცეს სახელი იტალიისა, ვერც სიმხნე ხალხისა; იტალიელების ცხოვრება ჰმუსრავდა სხვების სხვა და სხვა სარწმუნოებათა, ჩვეულებათა, გამარჯვებულთა სურვილთა, და ყოველსავე თავის ბეჭედს ადებდა. სხვა ხალხები ერთდებოდნენ და თქვენც შეგიძლიათ შეერთდეთო და განთავისუფლდეთო.

ეი ეს აზრები ძალიან მალე გავრცელდა მთელს იტალიაში, თუმცა კი ყოველ გვარ კანონებსა სდებდნენ «ახალგაზა იტალიის» ჟურნალის გაუვრცელებლობისათვის. ამ ჟურნალის მომფენელთ ატუსარებდნენ და «ახალგაზდა იტალიის» საზოგადოების წევრებს სიკვდილითა სჯიდნენ. თვით მაძინის 1833 წ. ოქტომბერში განჩინება მიაყენა სამართალმა ისეთი, რომ უნდაჩამოხრჩოთ, და ყველას მისცეს ნება იმისი მოკვლისა. ეს განჩინება კისრად აწვა მაძინის ოცდა ათი წელიწადი. ასე სჯიდნენ. მაგრამ მაძინის საზოგადოება ვრცელდებოდა და ჟურნალი

დამოჭნებს ეპარებოდა. ჟურნალებს ხშირად ფისის ბოჩკებითა გზავნიდნენ. ეს ისე რიგათ შემოჰქონდათ იტალიაში, რომ თვით მყიდველმაც არ იცოდა, რა ძევს იმ ფისით სავსე ბოჩკაში. წევრები, ადრევე მცოდნენი, მოდიოდნენ, არჩევდნენ დანიშნულ ნომრების ბოჩკებსა და ყიდულობდნენ.

პირველად ჟურნალის გამოცემის შრომა და ხარჯი მაძძინისა იყო და ამისათვის ხელის მოწერა გამართა იტალიითგან განდევნილ კაცებში. მერე კი თანამშრომელები მოიპოვა.

ბოლოს საფრანგეთის მმართებლობამ ამ ჟურნალის გამოცემისათვის აუკრძალა საფრანგეთში ცხოვრება და მაძძინი თავის ამხანაგებით გადასახლდა მარსელითგან შვეიცარიაში. ამასობაში ეს საზოგადოება «ახალგაზდა იტალიისა» და მაძძინის აზრები ისე გავრცელდა ყველა იტალიის მაზრებში, რო თვით იტალიაში მართავდნენ საიდუმლოდ სტამბებსა და თავიანთ აზრების გასავრცელებლად ჰბეჭდავდნენ წიგნებსა და ფურცლებსა.

მაძინი კმაყოფილს არ დარჩა მარტო აზრეების გავრცელებასა, და შეუდგა თვით მოქმედების თადარიგსა, რაკი რომ მომხრეები ბევრი იშოვნა და იტალიის ხალხში ყველგან მმართებლობის სამდურავიც გაძლიერდა: დააპირა ადგომის მოხდენა. ადგომა ჩრდილოეთ იტალიაში (სავოაში) უნდა დაეწყოთ იტალიის განდევნილთა და უცხო ქვეყნის კაცების შედგენილ ჯარებსა. დროებითი მმართებლობა იტალიის ყველა ნაწილებისაგან ამორჩეულ კაცების კრებისათვის უნდა მიენდოთ და როდესაც ავსტრიელებს გარეკდნენ, რომში უნდა შეკრებულ-ყვნენ მთელი იტალიის ახალი ამორჩეული კაცები და იტალიის ბედი იმათ უნდა გადაეწყვიტათ.

რაკი მოძრაობა დაიწყო ხალხში ამ აზრის ასრულებისათვის, მმართველობამ დაუწყო დევნა «ახალგაზდა იტალიის» წევრებსა და მრავალი დაატუსალა. ეს მოხდა 1833 წ.. წევრების რიცხვი დაცოტავდა, მაგრამ მაძინის მაინც და მაინც მოქმედება უნდოდა, რადგან იტალიის ძველ შე-

თქმათ - მოუხერხებლობას—საქმის დაგვიანებას აბრალებდა, ხალხის დრტვინვაც ისე გაძლიერდა, რომ იმედი ჰქონდათ ადგომა ადვილათ მოხდება და ყველგან მოხდებაო.

ამ დროს შვეიცარიაში ბევრი ნემეცები და პოლაკები იყვნენ მოსულნი და ესენიც მხარს აძლევდნენ მაძძინისა.

ბოლოს მრავალის დაბრკოლების შემდეგ, აჯანყების რაზმი შეუდგა გზას. იმაში თვით მაძძინიც დაგარიბალდიც თოფი მხარზე მოდიოდნენ. გზაში ერთი სარდალი, რომელმაც რვა ათასი თუმანი ტყილათ დახაჯა და ჯარი ვერ მოამზადა, უკუდგა, რადგანაც იმისი რაზმი ალარ გაუშვა შვეიცარიის მმართებლობამ. მაძძინი თავისის რაზმით ოცდა ოთხი საათი ტბის ნაპირს მიდიოდა იტალიის სამზღვართან და შეწუხებულს ჯარს გულს უკეთებდა. აქაც დააყენეს შვეიცარიის ჯარებმა. პირველი თოფის ხმა რომ შემოესმა მაძძინისა, ასე ეგონა ეს-ეს-არის დაიწყო ომიო, და სიხარულით თოფი ხელში წინ გაიქცა, მაგრამ დალაპვისაგან და მოქანცულობისაგან უგონოთ წაიქცა. როდესაც შვეიცარიის მიჯნას

გადაიყვანეს ამხანაგებმა, გონს მოვიდა და ნახა, რომ ზოგი იმისი ჯარისა პიემონტის, ჩრდილოეთ იტალიის, მმართებლობის ბრძანებით დაეხვრიტათ, ზოგი დაეტუსაღებინათ, ვინც კი ხელში ჩავარდნოდათ.

ეს საქმე ასე გათავდა. მაძინიმ ნახა, რომ უფრო დიდი მომზადება ყოფილა საჭირო და მეცადინეობა დაიწყო თავის აზრები უმეტესად გაევრცელებინა იტალიის ხალხშიაც და ევროპიელებშიაც. ამ განზრახვით, როგორც ზემოთა ვთქვით, შესდგა ამ დროს ძველა და სხვა საზოგადოება »ახალგაზდა ვენგრია», «ახალგაზდა პოლშა», «ახალგაზდა გერმანია» და სხვანიც.

ამ ახალთა საზოგადოებათა ისე დააშინეს მაშინდელი ევროპიის მმართებლობანი, რომ შვეიცარიის მმართებლობას მოსთხოვეს მაძინი გაეძია იქიდგან, და მაძინი 1837 წ. გადასახლდა ინგლისში, ლონდონში. ამას შემდეგ მიძინს მრთელ თავის სიცოცხლეში ხან შვეიცარიაში ჰქონდა ბინა და ხან ინგლისში, უმეტესად უფრო ინგლისში. პირველ გადასახლების

შემდეგ ლონდონში, მრთელი წელიწადი ძალიან სიღარიბეში იყო მაძძინი, ისე რომ ლუკმა პურის საყიდათ თან წაღებული ნივთები და ტანისამოსი უნდა გაეყიდნა ხოლმე. ამ დროსვე საშინელს მდგომარეობაში იყო თავის აზრების ეჭვისაგან. იმას ეჭვი ეწადიოდა, რომ ჩემი მდევნელები არა სტყუიანო. აგონდებოდა ერთის მხრით აბხანაგები, რომელნიც იმის ნომხრეობის გულისათვის დახვრიტეს იტალიაში, იმათი დამტირებელნი ცოლშვილნი,—და მეორეს მხრით იტალის ერთობა და განთავისუფლება ოცნებად ეკანდებოდა. ამ მდგომარეობაში მაძძინი კინალამ გაგიჟდა, ანუ აპირობდა თავის მოკვლასა. მაგრამ, ბოლოს ისევ მტკიცე განსჯითა და მოფიქრებით «ისევ ჩემს აზრებს დაუბრუნდიო, ამბობს მაძძინი; და ფიცი დავსდე რომ ქვეყანაზე ჩემს განზრახვას ეღარა მომაშლევინებს რაო». ამასობაში ინგლისური ენა შეისწავლა და დაიწყო წერა ინგლისურ ჟურნალ გაზეთებში და ამისთვის კარგა მილებულის ფულით სცხოვრებდა. მაძძინი სცხოვრებდა ძალიან ღარიბუ-

ლათა. ეჭირა ყოველთვის ერთი პატარა ოთახი, რომელიც საწოლიც, კაბინეთიც და სასტუმროც იყო. ჭამა-სმა და ჩაცმა ჰქონდა ძალიან ნაკლები. ყოველს თავის ნაშრომევს ფულს იტალიის საქმეზედა ხარჯავდა, ისე რომ ხშირად თვით საჭმლისათვისაც ფულს არ იმეტებდა და თითქმის მშრალ პურზედ გადადიოდა.

ლონდონში ის ისევ ისე მუშაობდა, როგორც წინათ იყო და თანდათან მოძმრეები უმატებოდა, თან-და-თან «ახალგაზდა იტალიის» საზოგადოება დიდდებოდა იტალიაში. ერთი ერთმანეთზე სხვა და სხვა გაზეთებსა და ჟურნალებსა ავცრელებდა, მრთელს ხალხში გავარდა ხმა მაძძინისა და იმის საზოგადოების წევრები ყველგან მოედვენენ, დიდ კაცობაში და ღარიბ მუშებში, სასახლეებში და ქოხებში, ქალაქებში და მიყრუებულ მთიულ გლეხებში. სოფლის მღვდლები, ფოჩტალიონები, თავადები, კონდრაბანდისტები, მიკიტნები და მეტრაქტირეები, დედაკაცები, ავაზაკები სულ თითქმის მაძძინს ემხრობოდნენ და ამის ხმას ემორჩილებოდნენ.

და აი მაძძინი ერთის განსაზღვრულის აზრით დაჭინებული არ ისვენებდა დღისით და ღამით და პლანებს აწყობდა, როგორ მოეხდინა ადგომა ხალხისა მრთელ იტალიაში, აგროვებდა ფულსა, თოფ-იარაღს შოულობდა და გზავნიდა მრთელი ხალხის ასაყენებლად პატარ პატარა ჯარებს, როგორც ადრე თითონ მიდიოდა. ამ ჯარების გალაშქრება ძალიან გაახშირა; მიდიოდნენ წვრილი ჯგუფა კაცები, თითქმის ადრეევე თავის სიკვდილის მგრძნობელნი, ხოლო მიდიოდნენ და იღუპებოდნენ. მაგრამ დღეს დამარცხებული მაძძინი ხვალისათვის სხვას ლაშქრობას ამზადებდა. რამდენსაც მეგობრებსა ჰკარგავდა და თავს ძლივს აღწევდა ტუსაღობასა და რამდენსაც უბედრებას ჰხედავდა, იმდენს უფრო და უფრო უმატებდა მედგრად თავის შრომასა; აგროვედა ახალად ფულსა, ეძებდა ახალ მეგობრებსა, ყველსფერს იკლებდა თითქმის საჭმელსა და ძილსაცა, მრთელს ღამეებს ატარებდა ახალი ლონის ძიების მოგონებაში და უეჭველად ყოველთვის რასმე მოიგონებდა,

და იწყობდა ბრძოლას, კიდევ მარცხდებოდა და კიდევ გიჟურის სიფიცხით თადარიგს შეუდგებოდა ხოლმე.

თვით იტალიაში და ლონდონში რაკი მამულის მოყვარენი იყვნენ მაძძინის გარს ეხვივნენ: ძველი გვარის თავადები და მღვდლები, ჯარის კაცები და უბრალო გლეხის შვილები ერთის სიტყვით ყველა წოდებიდგან გამოსულები. ეს იმისთანა კაცები იყვნენ, რომელნიც იტალიის ცხოვრებაში ყოველთვის ყოფილან. ესენი არიან სიყმაწვილითვე შემთქმელნი, მოუსვენარნი, ყოველთვის თავგადასავლის მძებნელნი, ყოველთვ,ს გაჭირებულს საფრხეს ეძებენ და სიხარულით უხვდებიან; იმათ უყვართ დიდება, სახელი, ქება. ყოველსავე საფრხესა და განსაცდელს ისე მოელიან, თითქოს რაღასაც სიტკბოებასა ჰგრძნობდენ ამ განსაცდელში, და ამისათვის ყოველს მხვერპლს და თავის განწირვას არ ერიდებიან. თავის განწირვასთან იციან საშინელი შურის გება, მაგიერის გადახდა; ბევრი რამ გულის სიკეთე სჭირთ, მაგრამ ბევრი

მცბიერობა და მზაკვრობაც იციან. ისინი აღზ-
დილნი არიან რომაელების ძველ ამბების მოხ-
სენებით და როგორც შთამამავალთა იმათი
სიკეთე სჭირთ; მაგრამ ამასვე ქამს ისინი გან-
სწავლულნი არის იეზუიტების მცბიერებაში. იმა
თი კეთილი მხარე აკვარვებს კაცსა და იმათს ავ-
კაცობას ვერავინ ვერ ჩაიდენს. კლვა და მოწამლვა
იმათთვის ძნელი საქმე არ არის. თავის აზრის ასა-
სრულებლად ავსა და კარგს გზას და ღონისძიებას
არ არჩევენ, არ ერიდებიან. ამისგამო არა ზოგვენ
არც თავის სიცოცხლეს და არც სხვისას. ამის-
თანა კაცების შეყენება ვერასფრით ვერ შეიძს-
ლებოდა. რაკი ერთ საფრხეს ასცდებიან მა-
გალითად, თუ ბორკილიდამ და საპყოლიდამ
თავი გაინთავისუფლეს, მეორეს დღესვე ახალ
განზრახვას შეუდგებიან. დახრჩობის და მოკვ-
ლის განჩინებას ქვეშე, რომელსაც 24 საათში
აუგებენ, თუ ჩაუვარდა ხელში მმართებლობასა,
ეს კაცები დადიან ქალაქებში და საზოგადოე-
ბაებში, მოქმედებენ ახალის ადგომისათვის.

ამისთანა კაცები გამოდიოდნენ, ლაშქარს

ადგენდნენ და მაძინის ჩვენებით მიდიოდნენ იტალიის აღსადგენად. რამდენი ლაშქრობა მოუხდარა პირდაპირ მაძინის განკაგულებით, ან უმაძინოთ, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია და ჩვენს სტატიას უიმისოთაც გრძელს უფრო გაგრძელებდა. მხოლოდ საკმაო იქნება ორიოდე მიეიხ'ენოთ. 1844 წელს დიდი მწუხარება იყო მ'ითელს იტალიაში, როდესაც ყველა საპყრობილეები სავსე იყო მამულის მოყვარეთაგან' და იტალიელებს თითქოს იმედი დაეკარგათ განთავისუფლებისა. ამ დროს ორნი ძმანი ბანდიერანი თკრამეტის ამხანაგით გამოჩნდნენ. ამათ წასვლას მაძინიც ეწინააღმდეგებოდა თუმცა, რადგანც იცოდა იტალიის მდგომარეობა, მაგრამ მაინც კი არ დაიშლეს. წასვლის წინათ მაძინის მისწერეს წიგნი, რომ «თუ ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ, ჩვენს მოქალაქეებს უთხარით, ჩვენ მაგალითს მიჰბაძონ, ამიტომ, რომ სიცოცხლე სასარგებლოდ და კეთილის საქმისათვისა გვაქვს მოცემული, ხოლო ჩვენი საქმე, რომლისთვისაც ვიბრძოლეთ და დავიხოცენით, ეს საქმე ყოვლად სალმრთო' და წმინდა საქმეა: ეს არის საქმე თავისუფლებისა, თანასწორობისა, ეაკუბრიობისა და დამოუკიდებლობისა». ძმანი

ბანდიერანი მივიდნენ იტალიის სამხრეთ ნაწილში, კალაბრიაში. უნდოდათ ჯერ პოლიტიკური ტუსაღები გაენთავისუფლებინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ბოლოს მთებში მთავრობის ჯარი თავს დაესხა და თიბათვის 25, 1844 წ. ორნივ ძმანი ათის ამხანაგით დახვრიტეს. უკანასკნელი იმათი სიტყვა იყო: «ადლეგრძელოს იტალია!»

მეორე შემთხვევა კიდევ 1857 წ. იყო. მაძინიმ მოამზადა პატარა ლაშქარი, რომ ნეაპოლში ხალხი აეყენებინა. ამ ლაშქრის წინამძღვარი იყო კარლო პიზაკანე; ოცდა შვიდის კაცით ხომალდში ჩაჯდა, ხომალდი დაიმორჩილა, მიადგა ზღვის პირსა, პონცის კუნძულზე; სახელმწიფო დამნაშავენი ციხიდგან გაანთავისუფლა და კუნძულითგან, 323 კაცით მიადგა ნეაპოლის ნაპირსა. გამოვიდნენ ხმელეთზე ძახილითა «გაუმარჯოს იტალიას, გაუმარჯოს რესპუბლიკასაო». მალე ამ ერთ მუჭა ჯარს, რომელსაც უნდოდა გამოეღვიძებინა ხალხი ნეაპოლისა, მმართებლობის ჯარი დაესხა და დაჭრილი წინამძღვარი ექვსი ამხანაგით დახვრიტეს და სხვანი სამუდამოთ კატორღაში გაგზავნეს. ამას დიდი გავლენა ჰქონდა იტალიაში და ხალხში ამ ლაშ-

ქარზე გავრცელდა მერკანტინის ლექსი «საპრის მომკალი ქალი» *) აი ნაწყვეტი ამ ლექსებისა.

მოვიდნენ ნავბირს იარაღით, და არ გვეომეს. მსოლოდ სამთსკევად მიწას დაემსვნენ. თითო-თითოს სახე გაუშინჯე, ყველას თვალში ცრემლი უელვდა და სახე უტანოდა. ამბობდნენ იმითსას ავაზაკნი არიან, სვრელთაგან გამოსულნიო; მაგრამ საგზლათაც კი ერთად ერთი ბური არ წაურთმევიათ ჩვენთვისა; ჩვენ მსოლოდ ერთი ძასილი გვესმოდა მათგანა: «მოვსულვართ სასიკეთოთა ჩვენი ქვეყისათვისა!» იყვნენ საძასნი, იყვნენ ჭაბუკნი და მამაცნი, და დაიხოტნენ.

ამისთანა წვრილი ლაშქრების შემოსევა ხან აგულიანებდა იტალიელებსა, ხან ასუსტებდა. მაგრამ მაძძინი დაუძინებლად მუშაობდა და მუშაობდა. მარტო ერთს ნაწილში იტალიისა, ნეაპოლში, თითქმის მუდამ წელს არეულობა, ან ლაშქრების შემოსევა, ანუ თითოობით წინააღმდეგობა არ შემდგარა. ამისავე მსგავსად სხვა ნაწილებში იყო. ამისგამო ბევრჯერ თვით მეგობრებიც (იმათში გარიბალდი) უწყრებოდნენ მაძძინსა იმდე-

*) ეს ლექსად დაბეჭდილია დროებაში 1868 წ. № 46 ლექსად, ნათარგმნი რუსულით გ. წერეთლისაგან.

ნის უბრალოდ სისხლის დაღვრისათვის და ხალ-
ხის გაწყვეტისათვის. მაძინი ამათ არას დასდე-
ვდა და იმ აზრისა იყო, რომ ეს მაგალითები
ხალხს აღზრდისო და ბოლოს სარგებლობას
მოიტანსო. ამ დროებში მაძინი ძალიან და-
ბერდა და თმა გაუთეთრდა ერთის მხრით თა-
ვის მეგობრების სიკვდილისაგან, მეორეს მხრით
მეორე მეგობრების შემოწყრომისაგან. მაგრამ
მაინც და მაინც მაძინი დაუძინარი და დაუღა-
ლავი, როგორც ამბობს შერრი თავის «კომე-
დიაში,» ათს ადგილას დამარცხებული მეთერთმე-
ტეს დამარცხებისათვის ემზადებოდა».

1847 და 48 წლებში მოძრაობა დიდი მოხ-
და მრთელს იტალიაში. ჩრდილოეთს მილანი
და ვენეციაც აჯანყდნენ ავსტიის წინააღმდეგ,
შუა იტალიაში მმართებლობა შესცვალეს და
თვით რომში რესპუბლიკა დაწესდა. შუა იტა-
ლიაში ამ დროს მაძინი დეპუტატათ ამოარჩიეს
და იქ მისული ურჩევდა შეერთებას ყველა ნაწი-
ლებსა, მაგრამ მრავალმა მიზეზმა, ფულის უქონ-
ლობამ, ჯარის დაღალვამ და თვით ხალხის და-

ლალვამ ეს წადილი ვერ აასრულეს. ამავ ჟამს მაძინი ცხრა ათასმა კაცმა რომის რესპუბლიკის თავათ ამოარჩია.

ამ დროს ჩრდილოეთ იტალიაში სარდინიამ დაუწყო ავსტრიას ომი და მეფე კარლო-ალბერტი აქამდინ წინააღმდეგი, ეხლა გახდა იტალიის განთავისუფლების მომხრე. ყველა ნაწილებიდგან ხალხმა დაიწყო ჯარების კრება და გზავნა. რომში ეწინააღმდეგებოდნენ ამასა, რესპუბლიკა მეფეებს არ უნდა შეელიდესო. მაძინი ამისი წინააღმდეგი იყო, როდ ეხლა ჩვენ სუყველანი ერთნი ვართ, ან ომის მომხრე უნდა ვიყოთ და იტალიის განთავისუფლებას შევეწიოთო, ან თუ არა და ვეწინააღმდეგოთ ომსაო. ამას შემდეგ მრთელი რომის საბჭოლობელოს ხალხი მოიწვიეს შეიარაღებისათვის ავსტრიელებთან საომრად. მაგრამ ამ დროს სარდინიის მეფე დამარცხდა.—რომში მაძინიმ დიდი წესი ჩამოაგდო და კონსტიტუციის კანონები თითქმის მარტოდ მარტომ შეადგინა.

ავსტრიელებმა რომ გაიმარჯვეს, შემოვიდნენ

იტალიის სხვა და სხვა სახელმწიფოებში და ძველი მეფეები და კანონები აღადგინეს. ამასთანავე ფრანცუზებიც ნაპოლეონ მესამის წყალობით რომში შემოვიდნენ პაპის დასაბრუნებლად, რომის ჯარი მრთელი თვე ლომსაებ ეომებოდა და ჯარის წინამძღვარმა გარიბალდიმ დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. მაგრამ ბოლოს რომი უნდა დამორჩილებოდა ფრანცუზებსა, რომელთაც დააბრუნეს პაპი და ძველი წესები. რომში შემოვიდნენ აგრეთვე ავსტრიის და ესპანიის ჯარები და დარჩნენ 1850 წლამდინ.

მაძინი დაბრუნდა შვეიცარიაში, მაგრამ იქიდგან გასდევნეს და ისევ ლონდონში წავიდა. ლონდონში მაძინიმ იტალიის კომიტეტი შეადგინა. ფრანცუზების შემოსვლის დროს რომში, ხალხმა მისცა მაძინის უფლება, რომ ფულის სესხათ აღება შეეძლოს იტალიის გასანთავისუფლებლად, რომელსაც შემდეგში რომს უნდა გადაეხადნა. 1850 წ. ამ კომიტეტმა გამოაცხადა იტალიის სესხის აღება და ფულის მსესხებელნი მრავალნი გამოჩნდნენ. მარტო

ერთმა წევრმა «ახალგაზდა იტალიისამ» ორას თუმნამდე მოაგროვა ორს თვეში იტალიის ერთ პატარა ნაწილში, ტოსკანაში. მაძინის ლონდონში ყველა ამბავი მისდიოდა იტალიიდგან, რაც უნდა ადგომა, ანუ შემთხვევა ყოფილიყო, უიმისოთ არა ხდებოდარა და ყოველი მოძრაობის წევრი იმას ხელთ ეჭირა.

1853, 54 და 57 წლებში მოამზადა ლაშქრობა, პირველ ორ წლებში ორსინის წინამძღვრობით; მაგრამ ეს ლაშქრობა ვერ მოხერხდა და ავსტრიელებმა დაატუსაღეს ორსინი, რომელიც შემდეგ განთავისუფლდა ერთი ქალის ემმა გერვეგის შემწეობით.—1857 წელს როგორცა ვთქვით, პიზაკანე ნეაპოლში მოვიდა, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. ამავე წელს გენუაში არეულობა მოახდინეს, კაზარმა აიღეს და 500 თოფი იშოვნეს შემთქმელთა, მაგრამ ბოლოს ესენი სულ დაატუსაღეს. განთავისუფლებული ორსინი ლონდონითგან პარიჟში მოვიდა და 1858 წელს იანვრის 14-ს ყუმბარები ესროლა ნაპოლეონს, თეატრში შესვლის დროსა. ნაპო-

ლეონი გადარჩა, მაგრამ რვა კაცი მოკვდა და საშინელი თავზარი დასცა საფრანგეთის მმართებლობასა. ორსინის სამართალმა სიკვდილით დასჯა განუჩინა. იტალიისათვის ზრუნვა სიკვდილის წინათაც არ დაავიწყდა ორსინის და მისწერა ნაპოლეონს წიგნი: «რაც სამართალში მითქვამს, კმარა რომ სიკვდილით დამსაჯონ; თავს არ დავიმცირებ, რომ ჩემი უბედური ქვეყნის ახლად-შობილ თავისუფლების მამკვლელს პატივება ვთხოვო. მე, მომაკვდავს, ჩემის მამულის შემწეობა მინდა მხოლოდ... ევროპაში სიმშვიდე არ დაწესდება და შენი სიცოცხლეც საფრთხეშია, სანამ იტალია არ განთავისუფლდება. მე არ ვითხოვ იტალის განთავისუფლებისათვის ფრანცუზების ჯარსა. არა. საჭიროა რომ ფრანცუზები არ უშლიდნენ განთავისუფლებასა. ნუ უგულებელს-ჰყოფ მამულის მოყვარე მომაკვდავის ხმასა და მიეც თავისუფლება ჩემს სამშობლოსა.»

ამასობაში სარდინიის მეფე ვიქტორიო-ემმანუელმა თავისის კეთილგულობით და თავის-

ო

მაძძინიმ მაშინ შესძრა თავისი «ახალგაზდა იტალიის» საზოგადოება და მილიციის შესადგენათ შეჰკრიბა ხალხი გარიბალდის წინამძღვრობით. გარიბალდის ლაშქარმა საკვირველი სიმხნე და მამაცობა გამოიჩინა, თუმცა კი სარდინიის მმართველობა არ ეხმარებოდა და თითქმის იმისი წახდენა უნდოდა, რადგანაც იმისი სურვილი იყო ძარტო თავისი ძალა ეჩვენებინა ხალხისათვის. მალე ფრანცუზებმა და იტალიელებმა გაიმარჯვეს და ნაპოლეონმა რაკი ძლევა შემოსილობის სახელი იშოვნა, მორიგდა. და ავსტრიელებს ხელში ისევ დიდი ნაწილი დარჩათ—ვენეცია. ამ გვარად ამ ომმაც იმდენი სარგებლობა არ მოიტანა, რაც იმედი იყო.

მაძძინის მეცადინეობა ამ ომიანობის დროს დამყარდა შუა იტალიაში, რომელშიაც ხალხმა დიდის მშვიდობიანობით გზა უჩვენა თავის მთავრებსა და სამი ტახტი დაიცარიელა იმათგან. ამასთანავე რომის საბძანებელში ორი მაზრის მცხოვრებლებმა აღარ მოინდომეს პაპის მბრძანებლობის ქვეშე ყოფნა და ყველა ამ ად-

გილებმა მოისურვეს სარდინიის სამეფოსთან შეერთება. ნაპოლეონს უნდოდა აქ თავისი ნათესავი პრინცი ნაპოლეონი ჩაეთესლებინა, რომ იტალიის ბედი ხელში სჭეროდა და ამისთვის ბევრი მეცადინეობა იხმარა. სარდინიის მთავრობას ფრანცუზებისა ეშინოდა და ხალხის შეერთების სურვილს ყურს არ უგდებდა. მაგრამ მაძინის პარტიის მომხრენი ძალას ატანდნენ, აცხადებდნენ, რომ ჩვენ მარტო ვიქტორ ემმანუელი გვინდა მეფეთაო.

ამასობაში 1860 წელს გარიბალდი, ერთ დროს მოწინააღმდეგე მაძინისა, გაემგზავრა ათასის კაცით, როგორც ბანდიერა და პიზაკანე სამხრეთ იტალიაში და სამის თვის განმავლობაში დაიპყრა მთელი ნეაპოლის სამეფო, რომელშიაც ცხრა მილლიონი სულია. ამ გალაშქრებას სარდინიის მმართველობა დიდათ ეწინააღმდეგებოდა. მაძინი ამ დროს დიდს შრომას ეწეოდა თავისის ახლო მყოფებით და ისე დახლართა «ახალგაზდა იტალიის» საზოგადოების შემწეობით მთავრობა, რომ ველარა გა-

აწყო რა; ვიქტორიო-ემმანუელთან იმის მთავ-
რობის წინააღმდეგ, საიდუმლოდ მაძინის და
გარიბალდის მიწერ-მოწერა ჰქონდათ და იმას
რაც კი შეეძლო, გზის სიძნელეს უადვი-
ლებდა. როდესაც ნეაპოლში შევიდა გარიბალ-
დი, მაძინიც იქ იყო. თუმცა გარიბალდისთან
ის ცხადათ არსადა ჩნდა, მაგრამ საქმის გამგე-
ობაში დიდი გაცლენა ჰქონდა. ხმები დააგდეს
ვითომც მაძინის უნდოდა რესპუბლიკის დაარ-
სებაო, მაგრამ იმ ჟამად ეს ტყვილი გამოდგა. ამ
დროს რაკი სარდინიის მმართებლობამ ნახა, რომ
ფრანცუზები აღარ ერევიან და მეორეს მხრით
რაკი ერიდებოდა, რომ მართლა რესპუბლიკა
არ დააწესონო და მთელი იტალია იმათ არ
მიემხრონო,—კაცებსა გაგზავნიდა ნეაპოლში
და ხალხს აგულიანებდა ჩქარა შეუერთ-
დით სარდინიის სამეფოსაო. მაძინის და
გარიბალდის უნდოდათ ჯერ-ჯეროობით კარგი
ჯარი შეედგინათ და რომზე წასულიყვნენ იმის
შესაერთებლად. რომში თუმცა ფრანცუზები
იდგნენ, მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ გავიდო-

დნენ. ეს იყო მიზეზი რომ მაძინი და გარიბალდი არა ჩქარობდნენ ნეაპოლის შეერთებასა სარდინიასთან. ხალხი ძალიან ღელდებოდა და ითხოვდა საჩქაროდ შეერთებასა და რაკი სხვა გზა ველარა ნახეს, დაჰყვნენ. ამასობაში სარდინიის ჯარი შემოვიდა და გარიბალდიმ გადასცა მმართებლობა ვიქტორიო-ემმანუელის კაცებსა.

ამ გვარად ასრულდა იმედი მაძინისა და იმისმა ოც და ათი წლის შრომამ ნაყოფი მოიტანა. იმ დროებში მაძინის სახელს თითქმის აღარცკი ახსენებდნენ, ისე დაავიწყდათ: მარტო გარიბალდი ჩანდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, ის დიდს აღტაცებაში იყო, რომ იტალიის შეერთების საქმე თავდებოდ. იმას თავისი თავი არ ახსოვდა, მარტო იტალია ახსოვდა. გარიბალდი ნეაპოლის სამეფოში თვითო ომის შემდეგ ყველა ქალაქებში ისეთი დიდებით შეჰყავდა ხალხსა, რომ თითქოს დაგიჟებულან სიხარულითაო. იმას კალთას უკოცნიდნენ, ხელს, მკლავს და ამ დიდებაში გარიბალდისაც თი-

თქოს მაძძინი დაავიწყდა, რომ დიდების გვირგვინი მარტო იმას არ ეკუთვნოდა. მაგრამ გარიბალდის არც თავისი თავი მოჰგონებია და არც მაძძინი. ამ ორთავე ამდროს დიდი მეგობრობა ჰქონდათ და მარტო იტალია ახსოვდათ: ერთს ყველასაგან დავიწყებულსა და ჩუმათ მომქმედსა და მეორეს ყველასაგან თაყვანცემულსა და დიდებულსა.

დარჩა რომი და ვენეცია გაუნთავისუფლებელი. მაძძინის როგორც ადრე უქადაგნია, ისევ ისე უქადაგებდა იტალიის ახალგაზდობას. გარიბალდი 1862 და 67 გაელაშქრა რომზე, მაგრამ ერთის მხრით ფრანცუზებმა და მეორეს მხრით იტალიის მმართებლობამ გზა შეუკრა ჯარსა და გარიბალდი 1862 წ. ტყვიით მძიმეთ ფეხში დაჭრილი შეიქნა. 1866 წ. ვენეცია დაუბრუნდა იტალიას პრუსსიის და ავსტრიის ომების ქამსა, რომელშიაც გარიბალდი ომობდა. ბოლოს შარშან-წინ, როდესაც ფრანცუზებმა ჯარი გაიყვანეს, რომში შემოვიდა თვით მმართებლობის ჯარი.

ამ ქამად იტალია სრულიად. შეერთებულია

ცოტა ნაწილებს გარდა, სამხრეთი ტიროლი, რომელიც ავსტრიელებს უჭირავთ, ფრანცუზებს სავოა, ნიცცა და კორსიკა. მრთელი იტალია შეერთდა ერთ სამეფოდ, საკოროლოდ, ოც და ოთხი მილიონი მცხოვრებლით. დანარჩენის შეერთების იმედიცა აქს იტალიის ხალხსა.

ძალიან იშვიათად მოხდება ქვეყნიერობაზე რომ რომელსამე კაცს თავის აზრის ასრულება თავისსავე სიცოცხლეში ენახოს. მაძინის პირველ ხანებში შეშლილს ეძახდნენ; მაგრამ არა ჰკარგავდა იმედსა. იტალიის ხალხს თავის ქვეყნის შეერთება დიდ შრომად და სისხლად დაუჯდა, მრავალი დედა ატირდა. მაძინის ორმოცის წლის დაუძინარმა ბრძოლამ ნაყოფი მოიტანა. ეხლა იტალიის ხალხი და სახელმწიფო პატივისცემით იხსენიება ევროპის სახელმწიფოთაგან.

მაძინი მაინც კი უკანასკნელ ჟამამდი ისევ ინგლისში სცხოვრებდა და ძალიან ემდურებოდა ეხლანდელს იტალიის მმართებლობას, რომ რომის აღებას აგვიანებდა. ამასთანავე შინაგან

სახელმწიფოს კანონები არ მოსწონდა და იმის სურვილი იყო რესპუბლიკის დამყარება იტალიაში. წლის წლობამდე მოძრაობაა ხოლმე სხვა და სხვა ქალაქებში და მაზრებში რესპუბლიკისათვის. ხალხიც იმდურება მეტის მეტის გადასახადისათვის, რომელიც ამ უკანასკნელ ქამში უფრო მოემატა, რადგანაც მმართებლობა დიდს ვალებშია ევროპაში თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ მაძინის აზრისამებრ იტალიაში მალე რესპუბლიკა გაიმართება, მეტადრე თუ ფრანცუზებმა თავიანთი რესპუბლიკა არ მოშალეს.

ჩვენ ამ სტატიაში ბევრი ადგილი არ მივეცით მაძინის ზოგიერთ აზრების მოყვანასა, რომელიც ჩვენ შეგვხვდა იმ თხზულებაში საიდამაც უფროსი ერთად შევადგინეთ ეს სტატია. (სახელდობრ ჟურნალში *Вѣстникъ Европы*, *1869* წ. *Италія и Мадзини*, წიგნი 1, 2, 5 დ. 7). გვერიდებოდა სტატიის სივრცისა.

მ. პეტრიეკ.

ქუთაისი 9.

სახალხო ლექსი *)

(ერეკლეს გლოვა)

ზერ გაიგითა, ქართველნო, შეგესმნათ რკინის
კარია!
მეფე ალარ გყავთ ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია!
ალარ გყავთ ბაირაღები, ალარ სდგანს ზარბაზანია;
დაშავებულან კარავნი, შემქ�ეკალია!
ლმერთს შესტირიან თავ-ღონი, რად შეგვიკერნეს ბრა-
ლნია, **)
შავი დავიცვით ტანზედა, გავსწირეთ საწირავია.
დედოფალი ატირდება, იმერელთ მეფის ქალია:
«მეფის ერეკლის სიკვდილი ~~ვინ~~ თქვა, რა სათქმელ-
ია?....»
მეფე ერეკლე ზეცას არს, ღმერთთან არს წილ-
ნაყარია.

---

*) ეს ლექსი შედგენილია ბ. უმიკაშვილის შე-
გრებილ სხვა და სხვა ვარიანტებისაგან.

**) ბრალნი—შავები

მცხეთაში ოქრონს კუბო სდგას, შიგ ნათობს კელაჭ
ტარია;
შიგა წევს მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია.
«შვილებს დაუგდი ბეგთარი, სიხსლში ნაწდომა
სმალია:
«მანამდინ ვიყავ, ცხენს ვიჯდეგ, მიეხმარენ და მოეხმარენ
ზღვანია!
«ესლა კი თქვენ გაგიწირეთ ეგსა სიხსლიანი სმალია.
«შეინახიდით, შვილებო, ქალაქის მეიდანია;
ერთმანერთს ნუ ულალატებთ, მტერმა არ გთხარონთ
თვალია!»

პოემიდან «უბედურნი»

უმაწვილი ვიყავ მაგრამ ვეფიცვით,
მახსოვს მე ის დრო მწველი გულისა;
დრო საშინელი, დრო საზარელი
ამშფოთებელი კაცის სულისა.—
უმაწვილი ვიყავ; მაგრამ ასლა ვგრძნობ,
რომ კაცის გული ბალის ველია
რაც რომ გრძნობითა იქ ჩანერგულა
მისი გაქრობა მეტათ ძნელია.—

÷

უმაწვილი ვიყავ და შავზღვის პირად
გასთი, ძმობილო, სშირი სტუმარი,
მე იქ გავზდილვარ, ჩემი კეთილო,
ჩემი საზღვარი ასლაც იქ არი
და შავზღვისპირად ვსახე ქალწული,
ჩემი დამწველიც ანა ის არი;
ანა თვალები, ის შავ თვალები
ახლაც გულს მბსვლეტენ, როგორც ისარი!

კრებული

უთხარ მას: დიო, რათ მოგწყენია,
ასე შემგრთალი ზღვას რათ დასცქერი,
წამო შინისკენ. ძმობას გაგიწევ,
ვიმხიარულებ, თარსაც დავმღერი.
რისთვის ჩაგიცვამს ეს ძაძიანერი,
ან ასე მწარედ რისთვისა ძგერი.
წამო დობილო, თვესა კარგი მაქვს,
ცრემლიც შეიშვრე, დაგცინებს მტერი...
მაგრამ კეკლუცმა შავი თვალები,
როგორც ისარი, თვალს გამიყარა.
ბასუსი მოშცა გულის საკლავი
და თვალებიდან ცრემლები ღვარა.
მითხრა კეკლუცმა, დაღონებული:
შენ ჩემი ძმა ხარ დიდი ხნით ვიცი;
მაგრამ არა მწამს მე შენი ძმობა
არც შენი თხოვნა და არცა თვიცი.
შენ მამაჩემსა სანჯღლითა კლავდი
და ჩემსა ძმებსა ოოფვითა ზდევდი,
არ გწამდა ჩემი ხასლი და კარი
და მოძმებისა სიხსლსაცა ხვამდი.
შენ არ იყავი, რომ ჩემსა მტერსა

სმალ ამოლებულ მსარში უდექი?
შენ არ იცავი, რომ ჩემსა ძმასა
ამოსთესრობათ სასლში უჯექი.
შენ საჭშობლოსა დარდი არა გაქვს
გსედავ: მოძმებიც გაგიყიდია
და ძმების სასლიან სატვალ საჩუქრათ
გულზედა ეკარ დაგიკიდია.
ასლა მოდ სარ ძმობას მიქადი!
მე შენი ძმობა დიდი სნით ვიცი;
მაგრამ არა მწამს მე შენი ძმობა
არც შენი თსოვნა და არცა ფიცი.
ამ სიტუვებითა მან გაათავა
და ჩამოუარა ცსელი ცრემლები.
ასლაც მალონებს მე ის სიტუვები,
ასლაც გულს მიგლავს შავი თვალები!
მას აქეთ ვეძებ მე იმ შავთვალებს,
მას აქეთ მე ის მიკიდებს ალებს;
მაგრამ ჩრდილოეთს, აბა მითსარი,
მე იმ შავ თვალებს ვინ დამანახვებს,
სადაც არ ვსედავ, ჩემო ძმობილო,
სულ ბრეული თვალი ჩამჩქერებია;

კრებული

თორემ რომ ვეძებ ისშავი თვალი
ჯერ მე ლანდათაც არ მჩვენებია.
და ასლა კი ვგრძნობ, რომ ვაცის გულ
ვით ნოუერი ბალის ველია;
რაც რომ გრძნობია იქ ჩარეგულა,
მისი გქონია მეტად ძნელია.—

გ. ჭალადიდელი

ბეტერბურღი.

მეხუთე საუკუნე

I

ფარსმან V (405—408 წ.)—არჩილ I (413—434 წ).—მირდათ მესუთე (434—446 წ). გონების წარმატება.—ბრძოლა ქრისტიანობასა და ზენდასსარწმუნოებასშუა.

მეოთხე საუკუნეში სპარსეთმა განიზრახა სომხეთისა და საქართველოს სამეფოების დაპყრობა და ქრისტიანობის მოშლა, რომ ამ სახით სპარსეთის სახელმწიფოს სრული უფლება ჰქონოდა მთელ მცირე აზიაზე საშუალ ქვეყნის ზღვამდის და ეგვიპტემდის. სომხეთის სამეფო სულ გაქელა, მერე მოადგა საქართველოს და დაუწყო ხარჯის თხოვნა. სომხები იმ დროს ძალიან მხნე და მეომარი ერი იყო. მამულის თავისუფლების-

თვის და სარწმუნოებისთვის თავს არ ზოგავდენ *). იმათ გამოუგზავნეს ელჩები საქართველოს მეფეს: ერთად შევკავშირდეთ, მოვიწვიოთ ხაზარის ხალხი და წინააღუდგეთ სპარსეთის უსამართლოებასაო. მაგრამ ქართლის მეფე გამოჩნდა მხდალი და ყოვლად საძაგელი კაცი. (**) კავშირის მაგიერათ, როდესაც სპარსელების ურიცხვმა ჯარმა მოაოხრა სომხეთი და მოაწია საქართველოს საზღვარზე, მეფე თავის ცოლ-შვილით შეიმალა კახეთისხევის ციხეში და თავის ერს თავი დაანება. ამის გამო სპარსელებმა გააკეთეს შურის ციხე იმის მახლობლათ, საცა ახლა თბილისის ქალაქი დგას, დააყენეს სპარსეთის დარაჯი ჯარი და კახეთიდგან მოკიდებული ლიხისმთამდის (სურამის მთამდის) ხელში ეჭირათ და ყოველ წლობით ხარჯს იღებდენ. ქართლის მეფე შეიქნა უბრალო სატრა-

(*) მეითხველებს ვურჩევთ, წაიკითხონ ელიშე ვართაპეტისა და ლაზარე ფარბის ისტორია, რომელნიც იყვნენ გამოჩენილნი სომხეთის მწერალნი მესუთე საუკუნეში.

(**) ვარაზბაკარი, ბაქარ მეფეს შვილის შვილი,

ჰეთ (ეროსთაკეთ). ლიხის მთის გადალმა ალაგი სამ-ცხე-საათაბაგო, ბასიანი, აბხაზეთი, შავზღვამდის ბერძნებმა ჩაიგდეს ხელში, რომ სპარსეთსა და საბერძნეთის იმპერიას თანასწორი გავლენა ჰქონდათ მცირე აზიაზე. კავკასია ისეთი სტრატელიული ქვეყანა იყო, რომ ვისაც ის ექნებოდა ხელში, მცირე აზიაც იმისი იქნებოდა. აი, რისგამო აიხსნება დაუცხრომელი ბრძოლა სპარსეთსა და საბერძნეთს შორის კავკასიაში.

ამ დროს ალმოსავლეთის საქართველოში ქრისტიანობას ავი დღე დაუდგა. ზენდის სარწმუნოების მღვდლებმა თავი წამოყვეს სპარსეთის ჯარის შემწეობით და უქადაგებდენ ერს თავის სარწმუნოებას. ამ დროდგან იწყება სასტიკი ბრძოლა ორს სარწმუნოებას შუა. მაგრამ სანამდის ცოცხლათ გამოვხატავდეთ ამ ბრძოლის სურათს, ორიოდე სიტყვას ვიტყვი სხვა მეფეებზედ.

405 წელს ფარსმან მეფის დროს იმდენათ მოლონიერდა საქართველო, რომ შემთხვევით ისარგებლა. როცა სპარსელები საბერძნეთის იმპე-

რიას ეჩხუბებოდენ, ფარსმანმა ხარჯისძლეკაზე
უარი უთხრა და სპარსეთის დამოკიდებულები-
საგან განათავისუფლა აღმოსავლეთის საქართვე-
ლო. მაგრამ იმისი მემკვიდრე *) სრულებით
არ იყო მამის ღირსი კაცი, თუმცა ამაყობა ორი
იმდენი ჰქონდა. ისე უგნური გამოჩნდა, რომ
ვერ მოიფიქრა, თუ სპარსეთის მეფე იმას თავის-
უფლებას არ შეარჩენდა. როდესაც დიდძალი ჯა-
რი მოაყენა კარს მეფე სრულებით მოუმზადებელი
დახვდა. სპარსელებმა სტაცეს ხელი და ცოლ-
შვილიანათ ბაღდადს გაგზავნეს. აღმოსავ-
ლეთის საქართველო სპარსეთის ჯარმა და მო-
გვებმა აიკლეს: ერს დიდი ხარჯი წაართ-
ვეს, ეკკლესიები დააქციეს და ცეცხლის ქუ-
რები ისევ გამართეს სალოცავათ.

ამ მდგომარეობაში იყო ქართლი შვიდს წე-
ლიწადს. ბოლოს როდესაც სპარსეთის მეფე სხვა
ტომის ერებზე განელაშქრა სამღვდელოება და
ერისთავები შეკრბენ 413 წ. ამოირჩიეს მეფედ

---

*) მირდატ IV.

არჩილ I. ამ მეფემ პირველათ სცნა, რომ საქართველოს თავისუფლებისთვის მიუცილებლათ საჭიროაო საბერძნეთთან კავშირი. შემდეგ იმის პოლიტიკას მისდევდენ ყველა საქართველოს მეფეები, სანამ საბერძნეთი მახმადიანობამ არ დაამხო. არჩილმა გაყარა მოგვები, დააქცია კერპთ-საყდრები და უბრძანა ქართველსა და ბერძნის მწიგნობრებს საღვთო წერილი გადაეთარგმნათ ქართულს ენაზე. ამდროს იყო გადათარგმნილი სახარება, ლიტურგია, სადღესასწაულო, ლოცვანი ჟამნი, და ძველი აღთქმა. ამ მეფემ გახსნა არქიეპისკოპოსის კათედრა მცხეთას; მღვდლების კურთხევა მცხეთასვე დაიწყეს, იმათი ანტიოქიაში ჩასვლა აღარ იყო საჭირო. და ამ ღონისძიებით საქართველოში გამრავლდა სწავლული საღვდელოება და შკოლები. მოგვების ურდოებს აღარ ედგომებოდათ ჩვენში. ისინი გაიქცენ სპარსეთს და აღძრეს ადრიბეჭანის მმართველი ბარზაბოდი.

არჩილ-მეფე დახვდა იმათ ბერთუჯის მდინარეზე, დაამარცხა ბარზაბოდი, ჩაესია იმის ქვე-

ყანას, გაცარცვა და დიდი ნაშოვრით დაბრუნდა საქართველოში 434 წ., მისშემდეგ მირდატს V დარჩა საქართველოს ტახტი. ამან შეირთო ბარზაბოდის ქალი სანდუხტი, მტერი მოყვრათ გაიხადა და ამით კიდევ უფრო გაამაგრა სამეფო. მაგრამ სომხეთის და საქართველოს საუბედუროთ ამ დროს სპარსეთის ტახტზედ შეეიდა ქრისტიანობის მდევნელი იეზდიგერდ II, რომელმაც ამ ორს საქრისტიანო ქვეყანას შავი დღე დაუყენა.

მეოთხე საუკუნის განმავლობაში ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებლებმა საქართველოს ერის გონების წარმატებისთვისაც დიდი საქმე ჰქონეს. ამ პერიოდში ცხოვრობდენ საბერძნეთიდგან მოსული მეცნიერი ეპისკოპოსები იოანე, იაკობ და იოსები. საღვთო წერილი სულ იმათ ხელმძღვანელობით ითარგმნა. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ღვაწლი ამ საუკუნეში სომხის ერს და ქართველებს დასდვა ერთმა მეცნიერმა სომხის ბერმა სახელათ მესროპმა. იმან მოიგონა სომხური ანბანი. მერე გადმოვიდა საქართვე-

ლოში და ქართველი მეცნიერის ჯაყელის შემწეობით ქართული ხუცურიც გააკეთა. (*)

(*) საქართველოს ისტორიაში სწერია, რომ მხედრული წიგნი თარგნაზ მეფემ შემოიღოვო. მაგრამ სუცურისა და მხედრული ასოების მგზავსება იმდენათ დაასლოკებულია, რომ ჩემის აზრით მხედრული სუცურისგან არის გადაკეთებული. კინც იცის ორიკე ასოების წერა, ის ადვილათ დარწმუნდება ამაში. როგორც ვფიქრობ, მესროპზე ადრე ესე იგი მეოთხე საუკუნეზე ადრე ჩვენი ასლანდელი ანბანი არც ხუცური და არც მხედრული. ქართველებს არ უნდა ჰქონიოთ. მაგრამ ამით კერც იმას დაკამტკიცებთ, რომ ქართველებს მეოთხე საუკუნეშდის ასოები არა ჰქონოდესთ საწერათ. ამ აზრის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ სომხის ისტორიკოსის დაზარეს პარბის სიტყვებსა, რომელიც თითქმის მესროპის თანამედროვე იყო. ის ამბობს, ერთმა კაცმა უთხრა მეფეს ვრამშაფუსო: «მესროფის ასოების მოგონებამდის ბევრათ ადრე სომხური ასოები ვუნახე ერთს ეპისკოპოსს სადღაც ხოფელშიო» მეორე

იეზდიგერდი იყო მცბიერი პოლიტიკი. იმან შეატყო, რომ კავკასიაში და სომხეთში ქრის-

---

ტიანობის დამკვიდრებით ზემოხსენებული ქვეყნები საბერძნეთს მიემხრობოდენ და სპარსეთის სახელმწიფო უეჭველათ ადრე თუ გვიან დაჭარგავდა თავის ძლიერებას, რადგან მცირე აზია კავკასიის მიმხრობით საბერძნეთის იმპერიას ჩაუვარდებოდა ხელში. ამისთვის იმან გულში გადასწყვიტა სომხეთში და საქართველოში ქრისტიანობის მოსპობა. თავის სახელმწიფოს ძალა სულ ამ საქმეს მოანდომა. ამისგამო სომხეთში აღიძრა საშინელი და დაუცხრომელი ბრძოლა თავისუფლებისა და სარწმუნოების დასაცველათ. ამ ბრძოლამ გადაიტანა სომხეთის პოლიტიკური თვითარსებობა, მაგრამ თავისი ნაციონალური სიკვდილით ჩვენ დაგვიფარა. რომ სომხები არა, საქართველოს სახსენებელი ახლა

და მესრობის დროს, როგორც სომსური ასოები შესრულდა, ისე ქართულსაც შესრულებდენ. მსგავსი ასოები კი მესრობის შემდეგ მერვე, თუ მეცხრე საუკუნეში უნდა გადაკეთებულიყოს ხუცურიდგან ჩქარ წერისთვის. ავტორი

ქვეყანაზედაც არ იქნება. იეზდიგერდის დროს სომხეთის მეფობა თითქმის აღარ არსებობდა, მაგრამ ერი კი ძალიან განათლებული და მხნე იყო. იმასჰყავდა სამაგალითო სამღვდელოება და თავად-აზნაურობა. ეს ორი წოდება თავისი მაღალი ღირსებით სწორეთ ნამდვილი წინამძღოლი ელი შეიქნა ნაციონალურს ბრძოლაში და არამცთუ ჩვენთვის შეიქნა სამაგალითოდ, არამედ მთელის კაცობრიობისთვისაც გახდა ნეტარ სახსენებელათ? არ შემიძლიან არ გადმოვთარგმნო რამდენიმე ალაგი ელიშეს ისტორიიდგან: არამც თუ მარტო კაცები იყვნენ გაცოფებულნი სამშობლოს დასაცველათ, ქალები კიდეე უარეს შეურებოდნენ. — «როგორ შემიძლია სათითოოთ მოვთვალო იმ პატიოსანი დედაკაცების სახელი, რომელთა ქმრები დაეცნენ სომხეთის დამამხობელს ბრძოლაში. მარტო სახელი რომ ვიცი, იმისთანა ქალები ხუთასამდის იქნება და რამდენნი სხვანიც იყვნენ, რომელთა ცნობა არა მაქვს. უფრო მეტი ნაწილი იმათგანი რომელთაც მე ვიცნობ, წარჩინებულის შთამო-

მაკლობისანი არიან, სხვანიც დაბალს წოდებას ეკუთვნიან. იმათ ყველამ ანგელოზებრივის სიმშვიდით ხელი აიღეს ამ სოფლის სიამოვნებაზე და კეთილ. ცხოვრებაზე. მცირეთა და წარჩინებულთა დედათა ერთნაირათ შეიმოსეს ძალი სარწმუნოებისა, სიმტკიცისა და სიმამაცისა. ისინი მოთმინებაში ხედავდენ თვის სიკეთეს. რაც რომ მოაგონებდა იმათ უწინდელს განცხრომას და სიმდიდრეს, ყოველივე დაივიწყეს. აუტანელს სილარიბეს და გაჭირვებას ისეთის მხნეობით ითმენდენ, თითქოს ყმაწვილობიდგან ყოფილიყვნენ შეჩვეულნი მძიმე შრომას. ჩვეულებისამებრ ყოველს წარჩინებულის ოვარის დედაკაცს ჰყავდა მოახლენი, რომელნიც ყმაწვილობიდგან იყვნენ თან შეზრდილნი ბატონისშვილთან მდიდარი სასახლეში—ახლა კი ბატონის შვილებს მოახლეებში ველარ გამოარჩევდით. ისინი იმოსდენ შავს ხადაგებს და სასთუნლათ ქვის ლოდი ჰქონდათ, როგორც უკანასკნელს გლეხის ქალებსა. ერთი მეორეს აღარ უგებდა ქვეშსაგებს; ბატონის შვილისა და მოახლის საფენი ერთი

იყო — შავი თივა. ყველას შავი სამოსლის საბურველი ეხურა თავზე. მდიდარს შეჭამადს ალარავინ უმზადებდა იმათ და მრავალი ფარეშები თან ალარ ახლდენ. ამ წარჩინებულ კაცების ცოლებს ალარავინ მოართმევდა ხელსაბანსწყალს და წმინდა ხელსახოცს. მუშკით და მურასათი ალარავინ იმკობდა თავს. იმათ სუფრაზე ალარ ბრწყინავდენ ოქროს ჭურჭლები; მეკარე ალარ იდგა დიდებულს სასახლეების წინ სტუმრების მისალებად; სასახლეების კარები მუდამ ჩაკეტილი იყო. — მდიდრულათ მოართული იმათი ტახტები და ოქროს ტახტრევანები დაქცეულიყო. მდიდარი საშინაო ჭურჭლისა და სამკაულისაგან მხოლოდ ნამტვრევები და ნამზვლევები ეყარა კარზე. დიდებული დარბაზები და სამეფო პალატები ერისთავებისა მხოლოდ ღამის ცხოველების სადგურათ გამხდარიყო. ბოლოს იმათს მაგარს კოშკებს სპარსეთის მეფის ბრძანებით საძირკველი გამოუთხარეს და მტვრათ აქციეს. სუნნელოვანი ყვავილები მშვენიერი წალკოტებისა დაჭკნა, ყურძნის ვაზები დაითხარა. წარჩინებული გვარის დედა-

კაცები საკუთარი თვალით ხედავდენ, როგორ
ცარცვავდენ და აქცევდენ იმათ ოჯახებს. კვნესა
გოდების ხმა დატანჯულთა მეგობართა და მე-
ზობელთა ესმოდათ მათ. შინაური სიმდიდრე
და მორთულობა ქალთა სულ მეფემ წააღებინა
თავის სალაროს გასამდიდრებლათ. ერთი ობოლი
მარგალიტიც აღარ დარჩენილა იმათის მამაც
მკერდის დასაშვენებლათ და კეთილშობილის
სახის შესამკობათ. დარბაისელი სომხის ქალები,
ყმაწვილობიდგანვე სიმდიდრით და განცხრომით
გასათუთებულნი, მდიდარს და რბილს საწოლს
შეჩვეულნი ახლა მიწის გომებიდგან უფეხ-საც-
მოთ გამოდიოდენ, მიისწრაფოდენ ტაძრათ და ი-
თხოვდენ ღვთისგან სათნოების და ძალის
მოცემას, რომ ეს გაჭირებული და დატან-
ჯული ცხოვრება შეემსუბუქებინა ამათთვის.
რომელნიც ყმაწვილობიდგან იყვნენ შეჩვეულ-
ნი ნაზსა და მდიდარს საზდოსა, ახლა შიმში-
ლით შეწუხებულნი სიამოვნებით იკვებდენ თავს
ბალახითა, ბოსტნეულითა და სულაც არ მო-
ივონებდენ უწინდელს სუფრასა. დადნა და გა-

ყვითლდა იმათი სახე, გაუმსხვილდათ ტანის კანი, მთელი დღე სულ პაპანაქება სიცხეში დადიოდენ თავდაუფარავი და ღამით ეყარნენ ნოტიო მიწაზე გაგებულს ტალახიანს თივაში. იმათი ბაგე მხოლოდ ფსალმუნების საღაღადებლათ განიპებოდა.—განაგდეს დედაკაცური უძლურება და შეიქნენ მხნე და მამაცნი მებრძოლნი სულიერს ომში.—თავისი ცხოვრებით ისინი დაემგზავსენ წმინდა მოწამეებს, რომელნიც იბრძვიან უკანასკნელს სულის ამოსვლამდის....» ასეთი იყვნენ სომხეთის დედაკაცები. ისინი შეურყეველი სიყვარულით და მოთმინებით შთაბერვიდენ გმირულს სულს და ძალას მამულის მებრძოლს ვაჟკაცებს. მრთელი ერთი საუკუნე გაგრძელდა ეს საშინელი ბრძოლა და არ დასცხრა მანამდის, სანამ სომხეთის მიწაზე უკანასკნელი ვაჟკაცი არ იწამა. ამ სახით სომხეთის ერი შეიქნა, როგორც ყველაზე პირველი ქრისტიანი ერი ქვეყანაზე, აგრეთვე უპირველესი მხედროობაც ქრისტესი, და თავის სამშობლოსი. ამ ერმა თავისი წამებული ცხოვრებით ასწავლა საქართველოს

ერს, თუ როგორ უნდოდა ბრძოლა მამულის და სარწმუნოების დასაცველათ.

იმ დროს სპარსელები ჩვენც იმავე ნაირათ გვექცეოდენ, მაგრამ რადგან უმთავრესი სპარსეთის ძალა სულ სომხეთის ბრძოლაში შთაინთქა, ჩვენში მაგდენი ველარა ჰქნეს რა, თუმცა რაც მოახდინეს, იმანაც დიდი ხნით მოსწყვიტა წელი საქართველოს. 449 წელს იეზდიგერდმა გამოსცა ბრძანება სომხეთში და საქართველოში: რაც ამ ქვეყანაში ჯარის კაცები თავადნი და აზნაურნი იყვნენ ყველანი სწრაფათ წამოდით სპარსეთში, კუშუნებზე (მონგოლებზე) საბრძოლელათო; გულში კი სხვა აზრი ედვა: სპარსეთში რომ ქრისტიანი ჯარი გაიტყუა, სომხეთში და საქართველოში მოგვების გუნდი გამოგზავნა, რომ ზენდის სარწმუნოება ექადაგათ, ერი გაერყვნათ და არავისგან კი დაშლა არ ჰქონოდათ; ჩვენ ქვეყანას ამ ჯარის გატყუებამ ერთიოლრათ ავნო. ოსებმა რა კი ხელთ იგდეს მარჯვე დრო, ჯარი ქართლში აღარ ეგულებოდათ, დაეცნენ საქართველოს, გაცარცვეს, მრავალი ტყვე წაიყ-

ვანეს, მერე აქედგან გადავიდენ არანს, ისიც
დააქციეს, გადაიარეს დალისტანი და მობრუნ-
დენ თავის ქვეყანაში. იმ ქართველის ჯარიდგან, რო-
მელიც წავიდა სპარსეთში, თითქმის აღარავინ მოსუ-
ლა უკან. სულ იეზდიგერდმა დაახოცვინა, იმისთვის
რომ უარი თქვეს ზენდის სარწმუნოების მიღე-
ბაზე.

ქრისტიანები ამ უსამართლოების შემ-
დეგ მაინც არ იშლიდენ სპარსეთის მეფის
ერთგულებას უნდოდათ სათნოებით მოელბოთ
იეზდიგერდის გული, მაგრამ იმის გულს ეს ზნე-
ობის სიმაღლე სომეხ-ქართველთა უფრო აბრა-
ზებდა და გულ ცხარი მოქმედებით რომ ვერა
გაარიგარა, შემდეგ გამოსცა ბრძანება რაც სო-
მხეთში და საქართველოში დიდებული კაცებიაო
ყველა აქ გამოგზავნეთო. სომხეთის პატრი-
არქმა წმინდა იოსებმა შეკრიბა ერი არტაშა-
დში და იქ გადასწყვიტეს უარის შეთვლა. მერი
დიდი და პატარა, ვაჟი და ქალი სულ ერთიანათ შემ-
ზადდენ მტერთან საბრძოლათ. ამავე დროს ჩვე-
ნში მოგვები ძალიან არყევდენ დაბალს ხალხს.

ქრისტიანობისთვის ყველაზე უფრო საშიში მოგვის მობიდახის მოქმედება იყო საქართველოში. ეს კაცი იყო ძალიან სწავლული როგორც თავის სარწმუნოებაში, აგრეთვე ქრისტიანულს მცნებაში. ერისათვის რომ ეჩვენებინა, მეც ქრისტიანი ვარო, მოინათლა და ცოტახანს შემდეგ გახდა არქიეპისკოპოსათ. რაკი უმთავრესი ალაგი დაიჭირა სამეფოში, მაშინ იწყო იდუმალ მოგვების მფარველობა, სხვა და სხვა თხზულებების წერა ქრისტიანულ სარწმუნოების დასარღვევათ და იდუმალ ზენდის სარწმუნოების გავრცელება განსაკუთრებით დაბალს ხალხში. სოფლობამ დაიწყო ქრისტიანობაზე უარის თქმა, ერი შეირყა. ამ დროს საქართველოში მმართველათ იყო დედოფალი სანდუხტი ვახტანგ გორგასლანის დედა. თვითონ ვახტანგი პატარა იყო და ჯუანშერს ერისთავს ებარა გასაზდელათ. დედოფალი საშინლათ შეშინდა ამ ამბით და დაიბარა საბერძნეთიდგან ერთი მეცნიერი ბერი-სახელათ მიხაილ, გამართეს კრება მცხეთას და მიხაილმა დიდებულების წინაშე მობიდახი გაამტყუნა. იქვე ახადეს ყოველი ღირსება,

შეაჩვენეს და იმისი თხზულება სულ ერთიანათ დასწვეს. ამ მრავალნაირს უბედურებას ისიც დაემატა, რომ აბხაზეთი ლიხის მთამდის სულ ბერძნებმა დაიპყრეს. რვა წელი დაჰყო ქვეყანამ ამ ცუდს მდგომარეობაში, სანამდის ვახტანგ გორგასლან არ ავიდა საქართველოს ტახტზე, რომელმაც სულ სხვა დანიშნება მისცა საქართველოს.

ვახტანგ-გორგასლანი

454—499 წელს.

— ვახტანგის უმაწვილობა.—საქართველოს სუ-ბეთოს სიკვდილ იმისდროს.—ვახტანგის პოლიტიკა.— გალაშქრება ოსეთზე.—საბერძნეთთან ომის გამართვა.—სამსედრო დაწყობილება.—ომი სპარსეთთან.—სინდეთში გამგზავრება.—ინდოელების გაგლესა.— წმინდა მამების მოსვლა საქართველოში.—საერო უფლების და სამღვდელოების ბრძოლა.—საქართველოს ეკლესიის განთავისუფლება საბერძნეთის დამოკიდებულებისაგან.—მეორე ომი სპარსეთთან და ვახტანგის სიკვდილი.

როცა ვანხტანგს მამა მოუკვდა, ის იყო მაშინ სამის წლისა. დედამ ჯერ მიაბარა გასაზდელათ ქართლის ერისთავს და სპასპეტს საურმაგს. ამის სიკვდილს შემდეგ მეფისწულის გაზდა შეხვდა ჯუანშერ ერისთავს და მიხაილ

არხიეპისკოპოსს. ჯუანშერი იყო ძალიან ჭკუიანი კაცი და დაწვრილებით იცოდა თავის ქვეყნის მდგომარეობა. კარგათ იცოდა, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა მთელი ქართველის ტომის ერთ ერათ გახდომა, იცოდა, რომ მოხერხებული კაცი ძალიან ადვილათ ისარგებლებდა საბერძნეთისა და სპარსეთის ძალით, ერთს მეორეს გააქელვინებდა და შემდეგ ორივეს მოუძლურებით თვითონ გახდებოდა მთელი კავკასიის უფალი. ჯუანშერ ჰხედავდა, რომ თავის გაზდილს დიდი ბუნებითი ნიჭი ჰქონდა: — შორს გამსჭვრეტი ჭკუა და მაგარი ტანი. ის მხოლოდ ცდილობდა, ევარჯიშებინა ეს ორი ნიჭი თავის გაზდილისა. ამისთვის ხშირათ დაჰყავდა სანადიროთ, წვრთნიდა ჯირითობაში და იარაღის ხმარებაში. ხშირად ელაპარაკებოდა სომხეთის დიდ მხედართ მთავრის ვართან მამიკონიანის ქველმოქმედებაზე და დიდი ტიგრან მეფის მხნეობაზე. მცხეთის არქიეპისკოპოსი მიხაილიც თავის მხრით გულსმოდგინეთ არიგებდა ქრისტეს სარწმუნოებაზედ, უღვიძებდა გონებას

ქრისტიანული ფილოსოფიით. ჯუანშერ იყო კაცი ფრთხილი და მოხერხებული. იმის დროის ერისთკები ყველანი ემტერებოდენ იმას და უნდოდათ იმისი დალუპვა, მაგრამ ჯუანშერ თავისი მოხერხებით ყველას თავისსავე მახეში აბამდა. ნიჭიერმა გაზდილმა სრულათ შეითვისა გამზრდელის ცბიერება და თუთხმეტის წლისამ გადააჭარბა გამზრდელს ამ ხელობაში.

ვახტანგი შევიდა ტახტზე თუთხმეტი წლისა. თუმცა წლოვანებით პატარა იყო, მაგრამ ტანით და სახით სრულ ვაჟკაცს ჰგავდა. მალალი, მოსული, განიერი ბეჭები, დიდი და წარმოსადგენი სახე ამწვანებული ულვაშებით. შავი თმა, დიდი თვალები და ღაჟ-ღაჟი ლოყები სწორეთ უნებურათ იმორჩილებდა ყოველს მის შემხედავს. ჩვეულება იყო, როდესაც მეფე ტახტზე დაბძანდებოდა სამეფო წარჩინებულნი და დიდებულნი გვამნი ყველანი გარს უნდა შემოდგომოდენ. იქ არავის შეეძლო დაჯდომა. მაგრამ ვახტანგ მეფემ ორი სარწმუნოების წარმომადგენელი გვამი მიხაილ არქიეპისკოპოსი

რემ თვითონ თავის ღონით არაფრის მოხერ-
ხება არ შეეძლო. ამისთვის ის უნდა ყოფილი-
ყო დიდი მოხერხებული პოლიტიკი კაცი: ყვე-
ლა მოეტყუებინა და ყველასგან ესარგებლები-
ნა. მართლაც ვახტანგისთანა ვერაგი და ცბი-
ერი მეფე საქართველოში არ ყოფილა.

ჯერ განიზრახა ოსების დამარცხება და სა-
ლაშქროთ ის ხალხები მოიწვია, რომელნიც
ოსებისგან დაზიანებულნი იყვნენ: არანელები
დალისტნელები და მთიულეთლები. ამ სახით
იმან შეაგროვა კარგათ დიდი ჯარი მუხნარის
ველზე, არაგვის პირათ. მსწრაფლათ გადაესია
დარიალის ხევში, მოჰკლა თავის ხელით ორი
იმათი წინამძღოლი—თარხან ხაზარელი და ბაყა-
თარ ოსი, გაირეკა ჩაჩნების ველზედ დაამარცხა,
ააოხრა მთელი ოსეთი, განვლო ჩაჩანი, მიადგა
კირკასებს (ჩერქეზებს), გადაიარა კავკასიის ქედი,
გამოატარა თავისი ჯარი აბხაზეთზე და მობ-
რუნდა დიდი ნაშოვრით მცხეთას. ამ პირველი
გამარჯვებით ვახტანგმა შეაშინა კავკასიის ერე-
ბი, სპარსეთის მეფე გააკვირვა და იმის ჯარი, რომ

დააბრუნა სპარსეთში, თავის ნაშოვრის მეხუთე-
დი ნაწილი სპარსეთის მეფეს მიართვა ძღვნათ
და თან ორმუზდის დაჲ ითხოვა ცოლათ. მეფე
გააკვირვა ვახტანგის მოქმედებამ, და სიამოვნებით
მიიღო იმისგან გაგზავნილი საჩუქარი, თანახმა
გახდა თავის დის ცოლათ მიცემაზე და გულითა-
დი მეგობარი გაუხდა. ამ პირველმა წარმატე-
ბამ ფრთები შეასხა მეფეს და მაშინვე განიზრა-
ხა სპარსეთის მეფის შემწეობით ბერძნების
გაყრა კავკასიიდგან და აბხაზეთის დაპყრობა
სამცხესაათაბაგოიანა.

ამ დროს ორმუზდს განუდგა სპარსეთში იმი-
სი ძმა ფირუზი და თითქმის ნახევარი სახელ-
მწიფო ააყენა, ასე, რომ სპარსეთის მეფეს ყვე-
ლაზე უფრო საყვარელი და მეგობარი დაურჩა
თავის სიძე ვახტანგი. ბერძნებმა კარგი დრო
აღირჩიეს და ემზადებოდენ სპარსეთთან ომი-
ანობას მცირე აზიის წასართმევათ. ორმუზდი
ძალიან გაჭირებაში ჩავარდა და თითქმის ნახე-
ვარი თავის ჯარი გამოუგზავნა ვახტანგს, რომ
ბერძნებს დასცემოდა. ვახტანგსაც ეს უნდოდა,

სომხები, ალანები, ადრიბეჟნელები და ქართველები სულ ვახტანგის ხელქვეით მოგროვდენ. ვახტანგმა დრო აღარ დაჰკარგა და ჯერ ბერძნებს არც კი შეეტყოთ ქართველების გალაშქრება, რომ ვახტანგი კარახპოლისს ქალაქს მიუხტა. ეს ციხე შემოზღუდა და თვითონ უმთავრესი ჯარით მივარდა კონსტანტინის ქალაქს, რომელიც მდებარებდა შავი ზღვის პირას, ამ დროს ლიხის მთას იქით საბერძნეთის მფარველობის ქვეშ გაკეთებულ იყო ჭანეთის, ანუ ლაზეთის სამეფო, რომელსაც მთელი აბხაზეთიც დაეჭირა და იქ მეფედ ვინლაც გუბაძე იყო. ამისთანა უეცრის თავს დაცემით შეძრწუნებულმა გუბაძემ ჯარის შეგროვებაც ველარ მოასწრო და გაიქცა კონსტანტინოპოლს, თვითონ კონსტანტინის ქალაქი ძალიან გამაგრებული იყო, ისე რომ ვახტანგმა შეტაკებით ველარ აიღო და შემოზღუდა. უნდოდა შიმშილით დაეძლია, მაგრამ ამ დროს საბერძნეთის ჯარმაც მოუსწრო. იქაური ერი რომ ხედავდა ბერძნის ჯარის თან და თან გაძლიერებას, თვითონაც ხელი გამოი-

ლო და ვახტანგის ჯარს დარბევით დიდს ზარალს აძლევდა. რაკი შეატყო, რომ საქმე ცუდათ მიდიოდა, კოსტანტინის ქალაქის სამლვდელოების საშუალებით ვახტანგმა დაიწყო საბერძნეთის იმპერატორთან ჩუმათ მოლაპარაკება: თუ საბერძნეთის იმპერატორი მოკავშირეთ გამიხდებაო, ომს თავს დავანებებო და სპარსეთის ჯარს მოგცემ ხელში გასაწყვეტათაო. კიდევ უფრო მჭიდროთ შეკავშირებისათვის იმპერატორის ლეონის ქალი ითხოვა ცოლათ. იმის პირველი ცოლი ორმუზდის დაჲ ძეობაში მოკვდა. იმპერატორს დიდათ იამა ეს ამბავი და ყოველივე აღუთქვა. მაშინ ვახტანგმა კოსტანტინის ქალაქი განათავისუფლა და სომხეთისკენ მიიქცა. სპარსეთის მხედართმთავრებმა დაუწყეს მეფეს ყვედრება, გაცემას ეწამებოდენ და ამისათვის მოკვლასაც უპირებდენ. მეფემ მაშინვე განაკერძოა თავის ქართველი ჯარი და ცალკე დადგა, საბერძნეთის მხედარი პოლიკატროსი დიდ ძალი ჯარით გამოედევნა უკან დაბრუნებულ მეფის და სპარსეთის ჯარს. მოსწვდა იქ, საცა ჯარი ორათ იყო გა-

ყოფილი, შეება სპარსელებს და დაამარცხა. ვახტანგს შიში მიეცა, თუ ახლავე მეც არ შეუტევ ამ დალალულზე და დრო მივეცი, შემდეგ მეც დამამარცხებს და ჩემი შრომა სულ უქმათ ჩაივლისო. ამისათვის როდესაც ბერძნებმა გამოაქციეს სპარსელები და ქალაქოცვით მოსდევდენ უკან, ვახტანგ მეფე გამარჯვებულებს ქორივით მოეტოვა და საშინლათ დაამარცხა. ბერძნები გაიქცენ ზღვისკენ და იმათი მხედართ მთავარი პოლიკარტოსიც ბრძოლაში მოკვდა. რომელთაც ხომალდებში მოასწრეს შესვლა, მხოლოდ ისინი გადარჩენ; სხვანი ზოგი მოკლეს ქართველებმა და ზოგი ტყვეთ წამოიყვანეს. ამ სახით ვახტანგმა ერთი ხერხით ორი მტერი მოიშორა თავიდგან. ამ დროს იმპერატორი ლეონიც მოვიდა პონტოს ვახტანგ მეფის სანახავათ და, ჯარი რომ შემუსვრილი დაუხვდა, თავს ზარი დაეცა. იმას ეგონა ვახტანგი კოსტანტინეპოლს შეუტევსო, მაგრამ ამ დროს ვახტანგის ელჩები შეხვდენ და მოართვეს იმას წიგნი, რომელშიაც მეფე ბოდიშს სწერდა იმპერატორს ჯარის

დამარცხებისთვის და ბრალს პოლიკარტოსს ადებდა, რომელიც უკვე მკვდარი იყო. ლეონი გამხიარულდა და, რომ მალე მოეგო გამარჯვებული მეფის გული, მაშინვე დასდვეს ცოლქრმობის პაემანი მეფესა და იმპერატორის ქალს შუა. ლეონმა თავის ქალს ამზითვა აბხაზეთი და ამასთანავე საქართველოს მეფეს შერიგების წერილი მისცა, რომლის ძალით საქართველოს დაუბრუნდა ყველა ადგილები, სადაც კი ქართველები ცხოვრობდენ. გუბაძემ უარი სთქვა მეფობაზე და კოსტანტინეპოლს დაბრუნდა. ვახტანგმა უმთავრესი ნაწილი ჯარისა სომხითით საქართველოში დააბრუნა, თვითონ კი შემოიარა აბხაზეთი, დაადგინა იქ უფროსი მხედართ-მთავრები ერისთვებათ და მისცა გამგეობა თავის სამეფოს წესზე, გამოაწყებინა რამდენიმე ციხეები, გახსნა მონასტრები და შემდეგ დიდის სიხარულით მოიქცა მცხეთას.

ამ ბედნიერი ომიანობის შემდეგ ვახტანგ გორგასლანს მიეცა ლონისძიება მუდამი ჯარის შენახვისა, რომელიც გააწყო საბერძნეთის ჯა-

რის წესზედ და ომიანობის დროს ამ ჯარს ყოველთვის შუაგული ეჭირა. იმის მხედართმთავარი იყო თვითონ მეფე და ჰქონდა ორი დროშა. მოწინავე ჯარათ იყვნენ მესხები და იმათ უფროსათ სამცხესაათაბაგოს ერისთავი. მარჯვენა მხარეზე დადგებოდნენ იმერნი და აბხაზნი, მარცხენა მხარეზე იყვნენ კახელები. როცა უკან მოიქცეოდენ, მაშინ მესხების ლაშქარი შეადგენდა უკანა ჯარს. მეოდამ ჯარს გარდა შუაგულს ზლვაზს იდგა ქართლის ლაშქარი, გარდა საუდამო ჯარისა, რომელნიც იყვნენ მთის ხალხებისგან და დანარჩენი ცეფისწულებისგან (თავადებისგან) შემდგარნი, ჯარი ყოველთვის გამოწვევით იკრიბებოდა ნოლმე და ომის გათავების შემდეგ შინ ბრუნდებოდენ. ამ ჯარს ეწოდებოდა ლაშქარი და იმათ უფროსებათ იყვნენ ერისთავები. ისინი ჯარის წინამძღოლობის გარდა შემდეგს სახელმწიფო მოვალეობასაც ასრულებდენ: უნდა შეეკრიბათ სახელმწიფო ხარჯი, ბეგარა და სხვა გადასახადი, შეფის სახელით საშართალი უნდა გაეჩინათ, მოეგროვები-

ნათ ჯარი და ეწინამძღვრათ. ისინი სხვა ჯარის უფროსების მზგავსათ უნდა დამორჩილებოდენ სპასალარსა (მხედართ მთავარსა). იმათ ამოირჩევდა ხოლმე ხელმწიფე თავადებისგან, ან აზნაურებისგან და გამოიცვლებოდენ იმისგანვე.

მხედრებს თავს ეხურათ მუზარადი (რკინის ქუდი), ტანთ ეცვათ ჯავშანი (რკინი პერანგი), ხვათთანი ანუ პლოტიკნი (რკინის მკერდსაფარი), საბარკული (ბარკალზე დასაფარებელი რკინისა) და ფარი. ფარაღათ ჰქონდათ გძელი შუბი, ბოძალი (რკინის წვეტიანი მოკლე ისარი ხელით სასროლი), მახვილი, რკინის კეტი, თოფუზი (რკინის მოკლე კომბალი თავზე დასარტყმელი), ხანჯალი და შვილდ-ისარი. ზემოხსენებულს ჯარს გარდა მეფეს ჰყავდა დარჩეული თავადების შვილებისაგან შედგენილი ერთი რაზმი, რომელიც მუდამ თან ახლდა და ამ ჯარს ეძახდენ სეფისწულებს. საქართველოს ჯარი სულ ცხენოსნები იყვნენ, მაგრამ დაჭირების დროს მუდამი ჯარი დაიქვეითებდა და, თუ იბრძოდა შეტაკებაზე, სამ ვუთხათ დაიწყებდა და როგორც

სოლა ისე შესჭრიდა მტრის შუაგულს, გაჰყოფდა ორ ნაწილათ და გააბნევდა. ომიანობის დროს დაჰქონდათ საყვირი, ბუკი და დაფ-დაფი.

საბერძნეთთან ომის გათავების შემდეგ მოკვდა ორმუზდი და სპარსეთის ტახტი დაიჭირა ვახტანგის მტერმა ფირუზმა. ვახტანგმა წინათაც კარგათ იცოდა, როგორი თვალით უყურებდენ სპარსელები ღალატისათვის, იცოდა, რომ სპარსელები ამას არ შეარჩენდნენ და დიდი ხნიდგან შეუდგა თადარიგსა: იმან აიშენა ციხეები იმ მხრით, საიდგანაც სპარსელები უნდა მოს დგომოდენ საქართველოს ყოველს მთის გასავალში და მაღლობზე მცხეთიდგან მოკიდებული კახეთის გაყოლება კავკასიის მთამდინ. ყოველი ციხე მორთო სამხედრო სამზადისით და შიგ მცველი რაზმები დააყენა.

სანამ ფირუზი კუშუნებზე (მონგოლებზე) იყო გალაშქრებული ომიანობის ამბავი არა ისმოდა რა, მაგრამ როდესაც იქიდგან დაბრუნდა, მთელი სახელმწიფოს ძალა საქართველოს დასაპყრობათ მოამზადა. თუმცა შორს გამჭ-

ვრეტი ვახტანგ ძალიან ცხადათ ჰხედავდა ამ ომსა, მაგრამ საზოგათოოთ კი არა ისმოდარა. ქვეყანა გულდამშვიდებული იყო, როცა ერთმა უბრალო შემთხვევამ დასძრა სპარსეთი. უმთავრესმა მოგვმა შეიტყო მეფის და საბერძნეთის იმპერატორის მოყვრობა და მაშინვე მისწერა წიგნი სპარსეთის ხელმწიფეს, რომ ზოროასტრის სჯული ძირიანათ ამოიკვეთა საქართველოში, რომელიც გახდა საბერძნეთის მოკავშირე და მთელი კავკასია იმის გავლენის ქვეშ ჩავარდაო. მეფემ წიგნის გაგზავნამდის შეიტყო ეს ამბავი, სტაცა ბინქარს ხელი და საპყრობილეში ჩააგდო; სადაც კი მოიძებდა მოგვის სახსენებელი, ყველა გაყარა და გამოიცა საქართველოში სასტიკი ბრძანება, რომ ცეცხლის ქურა და ცეცხლის მადიდებელნი აღარ იყონო. ამ ამბავმა სპარსეთის მეფე საშინლათ გააჯავრა და მაშინვე გამოემართა მთელი თავის ჯარით საქართველოფი.

არც ვახტანგი იყო ხელგულდაკრეფილი. იმან წააქეზა სომხები აბუნტებულიყვნენ თაკის-

უფლების მოსაპოებლათ და შეჰპირდა მთელს საქართველოს და კუშუნების ჯარს მოგახმარებთო. დაიმედებული სომხები შეიარაღდენ, მხედართ-მთავრათ გახდა ვაღან მამიკონიანი, რომელმაც მრავალჯერ დაამარცხა სპარსელები და მთელი ერთი წელიწადი შეიმაგრა სპარსეთის ძალა. ამითი ვახტანგს დრო მისცა კიდევ უკეთესად მომზადებულიყო. ბოლოს ახორის სოფლის მახლობლათ ვაღანმა სამასი კაცით დაამარცხა შვიდი ათასი სპარსელი. მაგრამ რაც უფრო დრო მიდიოდა, ისე სპარსეთის ჯარს თუ ემატებოდა, თორემ არ აკლდებოდა. ერთი მუჭა ჯარი სომხებისა კი თან-და-თან გაჭირებულს მდგომარეობაში შედიოდენ და მოციქულს მოციქულზე უგზავნიდენ ვახტანგს მოხმარებისთვის. საქართველოს მეფე მარტო დაპირებით აძლევდა პასუხს და სრულებითაც არ ფიქრობდა მისვლით ომის დაწყებას სპარსელებთან. იმან კარგათ იცოდა, რომ იმის ჯარი ბევრათ ნაკლები იყო სპარსელებისაზე და გაშლილს ველზე იმათთან შებმა ძალიან საშიში ეგონა. იმას სულ სხვა ნაირი

ომი უნდოდა. ჯერ უნდოდა მთელი სომხეთის ჯარი შეკვდომოდა ბრძოლაში; ამით დიდი ზიანი მისცემოდა სპარსეთს და ბოლოს, როცა საქართველოს მოადგებოდა, თავის ციხეებისა და მთების სიმაგრეებში დახვედროდა და იქ დაელური ომით (*партизанская война*) წაეხდინა მთელი სპარსეთის ჯარი.

სომხებმა რომ შეუტყვეს ვერაგობა საქართველოს მეფეს, მაშინვე უკან დაბრუნდენ და მიჰმართეს არარატის მთებს თავ შესაფარად. საქართველოს საზღვრები კი სპარსელებისთვის კარგაღებული დააგდეს. ვახტანგმა აფრინა მოციქულები სომხებთან, გაგზავნა სამასი კაცი შესაწევნელათ და ისევ მოაბრუნა თავის ალაგას. მეფე სწერდა კუშუნების რაზმებიც და მეც ჩემი ჯარით ვისწრაფით თქვენთან შეერთებასო. ამისთანა მლიქვნელობით სომხეთის ჯარი გააჩერა თავის საზღვარზე იმდროამდის, სანამ სულ მთელი სპარსეთის ჯარი ზედ არ წააწყდა. შეიქნა საშინელი ბრძოლა. მთელი დღე ვერ გასდრიკა ეს ერთი მუჭა სომხის ჯარი მთელმა სპარსეთის

ჯარმა, ბოლოს სომხები მაინც დამარცხდნენ. ვალან მამიკონიანი მოჰკლეს, მთელი სომხის ჯარი და სამასი ქართველი სულ ერთიანათ გასწყდა.

მეფემ ამ დროს სიმაგრეებს გარდა მოამზადა ორი დიდი ჯარი ერთი დააყენა მცხეთას, მეორე არმაზზედ. სპარსელები ბოლოს მოადგენ საქართველოს, მაგრამ საითკენაც მივარდენ საზღვრის შესალეწათ, ყოველგან უძლეველი სიმაგრე დაუხვდათ. ციხეები ერთმანეთზე ისე ახლოს იყვნენ აგებულნი, რომ საითაც სპარსელები შეუტევდენ, დანარჩენთ ციხეთაგან მომეტებული ნაწილი ჯარებისა სულ იქითკენ მოიყრიდა თავს და მცხეთის ჯარიც საჩქაროთ მოეშველებოდა. არიქნა ვერსად ვერ მოახერხეს ციხის კარების შელეწვა. თვითონ ვახტანგი თავის მუდამი ჯარით და მეფის-წულებით საშინლათ სწრაფათ მოქმედებდა. საითკენაც უნდა წასულიყო სპარსეთის ჯარი, ვახტანგიც იქ გაჩნდებოდა და სასტიკათ იბრძოდა. აი, ამ ომიანობაში სპარსელებმა დაარქვეს იმას გურგ-ასლანი (მგელ-ლომი *).

(*) შემდეგ როცა შეორე ომი აღიძრა სპარსელებთან, თვითონ ვასტანგმა გააკეთებინა მუზარადი და ზედ გაძოსტვინა წინ მგელი და უკან ლომი.

ოთხი თვის განმავლობაში სპარსელის ჯარი სულ ამისთანა წვალებაში იყო, მაგრამ ვერა გაარიგარა. მხედართ მთავრები დაღონდნენ, პური და ღვინოც შემოაკლდათ. ჯარმა დრტვინვა დაიწყო და გული წაუხდა. ამდროს ვახტანგმაც კარგი ამბავი მიიღო საბერძნეთიდგან. იმპერატორი იწერებოდა: «ოთხმოცათას კაცს გიგზავნიო» და მელიტენიდგან მოკიდებული კარნუქალაქამდის (აზრუმამდის) რაც მცხოვრებლებია სულ ვახტანგს დაუმორჩილა ამ ომიანობის დროს. ეს რომ სპარსეთის მეფემ გაიგო, მაშინვე შერიგება დააჩქარა, იმან გაუგზავნა ვახტანგს დიდებული ძღვენი და ძვირფასი თვალითა და მარგალიტით შემკული გვირგვინი, ვახტანგმა სიამოვნებით მიიღო ეს ძღვენი და სამაგიეროთ 500 მონა, 1000 მხევალი და ხუთასი თავი ძვირფასი ფარჩა გაუგზავნა. შემდეგ ერთმანეთიც იხილეს. ვახტანგს თან ახლდა საბერძნეთის მხედართმთავარი ანტიპატრიკი, თავისი სპასპეტები და სეფის წულები. ამ ხილვის დროს გააკეთეს შერიგების წერილი, რომლის ძალითაც

ჯარმა, ბოლოს სომხები მაინც დამარცხდნენ. ვალან მამიკონიანი მოჰკლეს, მთელი სომხის ჯარი და სამასი ქართველი სულ ერთიანათ გასწყდა.

მეფემ ამ დროს სიმაგრეებს გარდა მოამზადა ორი დიდი ჯარი ერთი დააყენა მცხეთას, მეორე არმაზზედ. სპარსელები ბოლოს მოადგენ საქართველოს, მაგრამ საითკენაც მივარდენ საზღვრის შესალეწათ, ყოველგან უძლეველი სიმაგრე დაუხვდათ. ციხეები ერთმანეთზე ისე ახლოს იყვნენ აგებულნი, რომ საითაც სპარსელები შეუტევდენ, დანარჩენთ ციხეთაგან მომეტებული ნაწილი ჯარებისა სულ იქითკენ მოიყრიდა თავს და მცხეთის ჯარიც საჩქაროთ მოეშველებოდა. არიქნა ვერსად ვერ მოახერხეს ციხის კარების შელეწვა. თვითონ ვახტანგი თავის მუდამი ჯარით და მეფის-წულებით საშინლათ სწრაფათ მოქმედებდა. საითკენაც უნდა წასულიყო სპარსეთის ჯარი, ვახტანგიც იქ გაჩნდებოდა და სასტიკათ იბრძოდა. აი, ამ ომიანობაში სპარსელებმა დაარქვეს იმას გურგ-ასლანი (მგელ-ლომი *).

(*) შემდეგ როცა მეორე ომი აღიძრა სპარსელებთან, თვითონ ვასტანგმა გაიკეთებინა მუზარადი და ზედ აშოლატვინა წინ მგელი და უკან ლომი.

ოთხი თვის განმავლობაში სპარსელის ჯარი სულ ამისთანა წვალებაში იყო, მაგრამ ვერა გაარიგარა. მხედართ მთავრები დალონდნენ, პური და ღვინოც შემოაკლდათ. ჯარმა დრტვინვა დაიწყო და გული წაუხდა. ამდროს ვახტანგმაც კარგი ამბავი მიიღო საბერძნეთიდგან. იმპერატორი იწერებოდა: «ოთხმოც ათას კაცს გიგზავნიო» და მელიტენიდგან მოკიდებული კარნუ-ქალაქამდის (აზრუმამდის) რაც მცხოვრებლებია სულ ვახტანგს დაუმორჩილა ამ ომიანობის დროს. ეს რომ სპარსეთის მეფემ გაიგო, მაშინვე შერიგება დააჩქარა, იმან გაუგზავნა ვახტანგს დიდებული ძღვენი და ძვირფასი თვალითა და მარგალიტით შემკული გვირგვინი, ვახტანგმა სიამოვნებით მიიღო ეს ძღვენი და სამაგიეროთ 500 მონა, 1000 მხევალი და ხუთასი თავი ძვირფასი ფარჩა გაუგზავნა. შემდეგ ერთმანეთიც იხილეს. ვახტანგს თან ახლდა საბერძნეთის მხედართმთავარი ანტიპატრიკი, თავისი სპასპეტები და სეფის წულები. ამ ხილვის დროს გააკეთეს შერიგების წერილი, რომლის ძალითაც

საქართველო თავისუფალ სახელმწიფოთ შეირაცხა. ვახტანგი ამითაც არ დაკმაყოფილდა. იმან ითხოვა, რომ ხელმეორეთ განეახლებინათ ის საზღვრები, რომელნიც იყვნენ მოხსენებულნი ნიზიბისის შერიგების დროს 296 წელს ქრისტეს აქეთ დიოკლეტიანსა და სპარსეთის მეფეს ნერსეზს შუა. თავისი მხრით ვახტანგ მეფე დაჰპირდა მუდამი ჯარით ფირუზს თან გაყოლოდა სინდეთში საომრათ. რომ ეს პირობეები უფრო მტკიცე ყოფილიყო, ფირუზმა შეირთო მეფე ვახტანგის და. ამ სახით აღმოსავლეთსა და დასავლეთს-შუა საქართველოს მეფის შუამდგომლობით მშვიდობიანობა დამყარდა.

სპარსეთთან ომის შემდეგ ვახტანგმა დააყენა ერისთვებათ თავის მხედართმთავრები და იმათ გაუნაწილა განსაგებლათ თავის სამეფო. შემდეგ აკურთხა მეფეთ თავისი შვილი არჩილ, რომელიც იყო პირველი ცოლის შვილი, ჩააბარა ერისთავებს, რომელთ კრებასაც უნდა ეზრუნა საქართველოსთვის და თვითონ თავისი მუდამი ჯარით ათი ათასი კაცით წავიდა ჯერ იერუ-

სალიმს და შემდეგ გაჰყვა სპარსეთის მეფეს სინ-
დეთში საომრათ.

ყოველი ისტორიკოსისთვის ამისთანა დონკი-
ხოტური მოქმედება იმმეფისაგან, რომელმა თავისი
დიდი ჭკუით ერთი მუჭა ქვეყანა ამისთანა ძლი-
ერებაში შეიყვანა, წარმოუდგენელი და მოგო-
ნილი უნდა ეგონოს.

თუ არ გიჭი, სხვა მეფე ვინ დააგდებს თავის
ქვეყანას, რომლის კეთილ მდგომარეობაც იმაზეა
მხოლოდ დაკავშირებული. მაგრამ ჩემის აზრით
ვახტანგის სინდეთს წასვლა თავისი მუდამი ჯა-
რით დიდს პოლიტიკურს და სახელმწიფო მო-
საზრებას გვიჩვენებს. ამითი იმან განათავისუფ-
ლა თავის სახელმწიფო სამხედრო ხარჯისაგან,
რომელიც საქართველოს უნდა ეძლია ათიათასი
ტყულა მჭამელის სარჩენათ. საქართვე-
ლოს კი უვახტანგ-მეფოთაც არა გაუჭირდე-
ბოდარა იმდროს. საბერძნეთის იმპერატორი
იმის მოყვარე და მოკავშირე იყო, სპარსე-
თის მეფე სინდეთს იყო გალაშქრებული
და მტრობა კი არა, საქართველოს ჯარის შენა-

ხვაც თავის კილერზე იდვა მოხმარებისათვის. შიგნით საქართველოში ერისთვებათ ვახტანგის მხედართმთავრები იყვნენ, რომელნიც ვიდრე მეფე ცოცხალი იყო, იმისთვის სიცოცხლესაც არ დაიშურებდნენ.

ვახტანგი თავისი ჯარით შორს ქვეყნებში რამდენიმე წელი დარჩა, ბოლოს ის დიდი ნაშოვრით დაბრუნდა საქართველოში. ამ მოგზაურობას ზოგს შემთხვევაში კარგი გავლენა ჰქონდა საქართველოს ერის ფონებაზე. ერმა გადმოიტანა ინდოეთური რწმუნება, იქაური ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიმღერები რამიანის პოემიდგან, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში სპარსულ ენაზე გადაკეთებული ითარგმნა ქართულათ «ყარამანიანის» სახელით. გადმოიტანეს აგრეთვე რამდენიმე მოთხრობა მშვენიერის ინდოეთურის ზნეობითი სწავლისა, რომელსაც ჰქვიან «ქილილა და დამნას» და რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში სრულიათ ითარგმნა სპარსული ენითგან ქართულათ. ამას გარდა ქართველებმა მოიტანეს ინდოეთიდგან აბრეშუმის თესლი და ამითი გაამრავლეს ერის კეთილმდგომარეობის ღონისძიება.

ვახტანგის მეფობაში 480 წელს მოვიდნენ ასურეთიდგან ცამეტი ბერი *), რომელთაც თავისი წმინდა ცხოვრებით და მეცნიერებით მტკიცეთ დაამკვიდრეს ქრისტიანობა. იმათ ააშენეს მონასტრები, რომელთა შორის მეტად წარჩინებულნი იყენენ თავისი შკოლებით. ნეკრესის მონასტერი, მარტყოფისა, გარეჯისა, იყალთოსა და ულუმბისა. ამ მონასტრის შკოლებში ასწავლიდენ ახალგაზდა ქართველებს საღვთო წერილს, საქრისტიანო ფილოსოფიას, ბერძნულს და სირიულს ენებს.

სასულიერო წოდება ქრისტიანობის შემოღებიდგანვე შეიქნა დიდათ პატივცემული და უმაღლესი წოდება საქართველოში. იმის ხელში იყო განათლება და სრული გონების საუნჯე. საუკეთესო მეცნიერები, საუკეთესო მქადაგებ-

(*) ამ ბერების სახელები ესენი არიან: იოანე, ანტონი, ზენონ, ისიდორე, იესე, ბიბონ, ანტონი, დავით, იესებ, მიქელ, პირრონი, სტეფანე, შიო და თადეოს. იმათი მონასტრები ზედაზენი, ნეკრესი, მარტყოფი, გარეჯი, იყალთო, ხამთავისი, წილკანი, ულუმბის ბარეთი, ხარხი, მღვიმე და სტეფან წმინდა.

ლები და საუკეთესო ზნეობა სულ იმათში იყო. ამისთანა წოდება, რასაკვირველია, ადრე თუ გვიან უმაღლესს უფლებასაც ხელში ჩაიგდებდა. მართლაც საღვდელოებამ თან და თან იწყო გაძლიერება საქართველოს ნიადაგზე. საუკეთესო მიწები იმან ჩაიგდო ხელში, უმაღლესი თანამდებობა სასულიერო წოდების კაცებს ეჭირათ. მეფის შვილების გამზდელი და მოძღვარი მცხეთის ეპისკოპოსები და არხიეპისკოპოსები იყვნენ. ბოლოს საქმემ იმდენზე მიაღწია, რომ ვახტანგის დროს საღვდელოებამ იფიქრა მეფის უფლების დამცირებაცა. საღვდელოების თავმა მიხაილ არხიეპისკოპოსმა განიზრახა მეფეზე უფროსობა და ისარგებლა შემდეგის შემთხვევით: როდესაც ვახტანგ-გორგასლანი დაბრუნდა ინდოეთიდგან, იერუსალიმს გაგზავნა ელჩები, რომ საქართველოს დედოფალი ლეონ კეისრის დაჲ მოეყვანათ და ითხოვა დედოფლის მოძღვრის პეტრე ეპისკოპოსის თანგამოყოლება, რადგან ჰსურდა იმისი კათალიკოსათ გახდომა და საქართველოს ეკკლესიის სრულათ განთავისუფლე-

ბა ეს რომ მიხაილმა შეიტყო, თავ-მოყვარეობის გამო ძალიან გაჯავრდა და გასცა ბძანება თავის სამღვდელოებში, რომ ერისათვის შეეგონებინათ, მეფე ქრისტიანულს სჯულს გადადგომია და ზენდის სარწმუნოებაზე მიქცეულაო, ქართლის ცხოვრებაში 144 გვერდზე სწერია: როცა მეფე თავისი ჯარით შემოვიდა მცხეთას ეფისკოპოსმა: «იწყო რეკა ამბოხებად და მიზეზობად და მიუვლინა მეფესა, ვითარმედ: «შენ დაგიტოებია ქრისტე და ცეცხლსა ესავ:» ხოლო ვახტანგ მოუვლინა, ვითარმედ: «ძალითა ქრისტესითა შევედ და სიმთელით გამოველ: უბრალო ვარ, იცის ღმერთ-მან, მაგრამ წარმივლენიეს მოყვანებად კათალიკოზისა და ეპისკოპოზთა:» და ვითარცა ესმა ესე ეპიზკოპოზსა, დაიდასტურა და ჰგონებდა, რომელ შფოთითა დააცადოს საქმე იგი და მოსლვა მათი და კრულჰყო მეფე და ყოველნი ყმანი მისნი: ხოლო მეფე-მან რქვა: «დაღაცა თუ უბრალო ვარ, სიმდაბლე ჯერ არს ჩემგან:» და მივიდა მეფე და

ლები და საუკეთესო ზნეობა სულ იმათში იყო. ამისთანა წოდება, რასაკვირველია, ადრე თუ გვიან უმაღლესს უფლებასაც ხელში ჩაიგდებდა. მართლაც საღვდელოებამ თან და თან იწყო გაძლიერება საქართველოს ნიადაგზე. საუკეთესო მიწები იმან ჩაიგდო ხელში, უმაღლესი თანამდებობა სასულიერო წოდების კაცებს ეჭირათ. მეფის შვილების გამზდელი და მოძღვარი მცხეთის ეპისკოპოსები და არხიეპისკოპოსები იყვნენ. ბოლოს საქმემ იმდენზე მიაღწია, რომ ვახტანგის დროს საღვდელოებამ იფიქრა მეფის უფლების დამცირებაცა. საღვდელოების თავმა მიხაილ არხიეპისკოპოსმა განიზრახა მეფეზე უფროსობა და ისარგებლა შემდეგის შემთხვევით: როდესაც ვახტანგ-გორგასლანი დაბრუნდა ინდოეთიდგან, იერუსალიმს გაგზავნა ელჩები, რომ საქართველოს დედოფალი ლეონ კეისრის დაჲ მოეყვანათ და ითხოვა დედოფლის მოძღვრის პეტრე ეპისკოპოსის თანგამოყოლება, რადგან ჰსურდა იმისი კათალიკოსათ გახდომა და საქართველოს ეკკლესიის სრულათ განთავისუფლე-

ბა ეს რომ მიხაილმა შეიტყო, თავ-მოყვარეობის გამო ძალიან გაჯავრდა და გასცა ბძანება თავის სამღვდელოებში, რომ ერისათვის შეეგონებინათ, მეფე ქრისტიანულს სჯულს გადადგომია და ზენდის სარწმუნოებაზე მიქცეულაო, ქართლის ცხოვრებაში 144 გვერდზე სწერია: როცა მეფე თავისი ჯარით შემოვიდა მცხეთას ეფისკოპოსმა: «იწყო რეკა ამბოხებად და მიზეზობად და მიუვლინა მეფესა, ვითარმედ: «შენ დაგიტოებია ქრისტე და ცეცხლსა ესავ:» ხოლო ვახტანგ მოუვლინა, ვითარმედ: «ძალითა ქრისტესითა შევედ და სიმთელით გამოველ: უბრალო ვარ, იცის ღმერთ-მან, მაგრამ წარმივლენიეს მოყვანებად კათალიკოზისა და ეპისკოპოზთა:» და ვითარცა ესმა ესე ეპიზკოპოზსა, დაიდასტურა და ჰგონებდა, რომელ შფოთითა დააცადოს საქმე იგი და მოსლვა მათი და კრულჰყო მეფე და ყოველნი ყმანი მისნი: ხოლო მეფე-მან რქვა: «დაღაცა თუ უბრალო ვარ, სიმდაბლე ჯერ არს ჩემგან:» და მივიდა მეფე და

გარდახდა სახედარსა, რათამცა შეემთხვია ფერ-
ხთა ეპისკოპოზთა და განხადა მან ფერ-
ხი და მიამთხვია პირსა მეფისასა, ფანდაკითა
შემუსრა კბილი მისი. ხოლო მეფე-მან რქვა:
«სილაღე ესე ამპარტავანებისა არს საცდური
ეშმაკისა. უკეთუ სიმრავლემან ცოდვათა ჩემ-
თამან აღგძრა, არა გაქვს ხელმწიფება ბოროტ-
ისა, არამედ შენდობისა, ვითარცა იტყვის სა-
ხარებაჲ: «არა დაშრიტო პატრუქი გაბნდღვი-
ნვარე, არცა გასტეხო ლეღწამი დაჩეჩქული.»
ხოლო შენ ჰგონებ, ვითარმედ შენითა სიძერა-
გითა ჩვენ დაგვაცადენ სიყვარულსა ქრისტესსა:
მაშინ გამოგაჩნდა ცხადად, რა-ჟამს გესმა უმთა-
ვრესისა შენისა ქართლად მოყვანება- და აღეგ-
ზენ შურითა ბოროტად, ვითარცა იუდა პეტ-
რესითა, რამეთუ შენ ხარ ვითარცა იუდა, და
ეკკლესია ვითარცა პეტრე, ვეცხლის მოყვარე
ხარ. რამეთუ შენცა მეგვადრუცე ხარ ქრისტე-
სი: აწ მიგავლინო შენ პატრიარქისა, კოსტან-
ტინეპოლედ და ვითარცა ჯერ იყოს განგიკი-
თხოს:»

მიხაილს ეპისკოპოსს თავის საღვდელოებანა უნდოდა საქართველოზე ბატონობა ისე, როგორც კათოლიკების პაპები იყვნენ მთელი ევროპის უფალნი საშუალ საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ის ძალიან მოსტყუვდა, რადგან არ იცოდა ვისთან იწყებდა ბრძოლას. ვახტანგ-გორგასლანს კეისრისა და სპარსეთის მეფის ბატონობა არ მოუთმენია, თორემ საღვდელოების ბატონობას როგორ მოითმენდა.

როდესაც ვახტანგი დაბრუნდა ინდოეთიდგან, გულსმოდგინეთ შეუდგა საქართველოს კეთილ-დღეობას მომავალში. იმას ჰქონდა განზრახვა მთელი აღმოსავლეთის და სამხრეთის მხარე საქართველოისა ისე გაემაგრებინა, რომ ცოტა ჯარითაც შესძლებოდათ ქართველებს დიდ-ძალი მტრის მოგერეტა. ამ შემთხვევაში ის თფილისს დიდს მნიშვნელობას აძლევდა. იმის აზრში ტფილისის ციხე უნდა ყოფილიყო შუაწერტილათ მთელი აღმოსავლეთის და სამხრეთის სიმაგრეებისა. ის უნდა ყოფილიყო უმთავრესი ბურჯი, რომელზედაც დაებჯინებოდა აღმოსავ-

ლეთის და სამხრეთის წყება სიმაგრეებისა. ამ-
სახით თფილისი იქნებოდა ამ ორი წყება სიმა-
გრეებისგან შედგენილი შორს გაწეული კუთხის
წვერი.—სანამ თფილისი ქართველებისა იქნება,
სპარსელები ფეხს ვერ მოიკიდებენ საქართველ-
ოშიო—ფიქროობდა ვახტანგი—და მით უფრო
გულსმოდგინებით ცდილობდა იმის გამაგრებას.
ამდროს სპარსეთის ტახტზე იჯდა დიდების მო-
ყვარე კობადი, რომელმაც განიზრახა სპარსეთის
სახელმწიფოს გაძლიერება ძველებურათ. იმან
დაიმორჩილა არაბები და მონგოლები, გაიმრავლა
ჯარი და დაიწყო საბერძნეთთან ბრძოლა:
მესოპოტამია და მცირე აზიის ციხეები სულ-
ერთიანათ დააქცია. შემდეგ გამოუგზავნა ვახ-
ტანგს ელჩები, რომ იმის მოკავშირე გამხდარ-
იყო და რაკი კავკასიით ზურგი მაგარი ექნებო-
და, უნდოდა ერთის დაკვრით მთელი მცირე
აზია ხელში ჩაეგდო, რომ საბერძნეთისთვის სამუ-
დამოთ ფეხი ამოეკვეთნა აზიაში. სპარსეთის მეფის
მოციქულები მოვიდნენ თფილისს მეფესთან იმ-
დროს, როცა ვახტანგი დიდს მუშაობაში იყო-

მეფემ რომ წაიკითხა კობადის წიგნი, სთქვა: «მჭედელო განმახვე მახვილი, რათა განგეწონოს გულსა შენსა.» მერმე მიუბრუნდა ელჩებს და უთხრა: თქვენს მეფეს უნდა ჯერ ჩემით დასცეს საბერძნეთი და მერე ჩემივე ხელით წაუკიდოს ცეცხლი ჩემს ოჯახს. წადით თქვენს ხელმწიფეს უთხარით, ჯერ ჩემზე მოვიდეს და შემდეგ საბერძნეთზე. ამდროს საბერძნეთის ხელმწიფეთ იყო ანასტასი მწვალებელი, რომლის შემწეობის იმედი თუმცა სრულებით არ ჰქონდა ვახტანგს, მაგრამ როგორც მოკავშირეს, მაინც აცნობა თავის გაჭირება.

ვახტანგმა კარგათ იცოდა, რომ კობადის ურიცხვს ძალას მარტო თავის ღონით ვერ გაუმაგრდებოდა და ამისთვის გასცა ბრძანება, რომ მთელი ქვემო ქართლის ერი კავკასიის მთებში და კახეთში გადახიზნულიყო. იმდროს კახეთი შეუალი ტყით იყო შემოსილი. განყო თვის ჯარი ორათ. ერთი დააყენა მცხეთას და ჩაბარა დიმიტრი, ნერსეს და ბივრიტიანს — ერისთავებს; მეორე თვითონ წაიტანა, თანახლდენ ჯუანშერ, ადარნასე — ერისთავები და დადგა უჯარმოს.

მართლაც კობადი მთელი თავის ჯარით ჯერ კავკასიაზე გამოემართა, რადგან იცოდა, რომ თუ კავკასია ხელში არ ექნებოდა ვერას გაარიგებდა; ის კი არა, შეიძლებოდა კიდეც დამარცხებულიყო, რადგან, წინ რომ გაწეულიყო საბერძნეთისკენ, კავკასია უკან დარჩებოდა და ორს მტერს შუა ჩავარდებოდა. კობადი აღმოსავლეთით მოადგა საქართველოს, დაიჭირა კამბეჩოვანი (ქიზიყი და მთელი სიღნაღის უეზდი) და უმთავრესი ძალა დააბანაკა იორზე. ვახტანგმა დაიჭირა ციხე-დარპაკი მტრის პირდაპირ. ქვეითი ჯარი დააყენა მაღლობზე და ზურგი მთით გაუმაგრა; შუა ალაგას თვითონ მოექცა და მეორე მხრით დაბლობზე დააყენა ცხენოსნის ლაშქარი. სამიდღეიბრძოდენ ასე გაცხარებით ქართველები და სპარსები, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაჰხარეს ერთმანეთი. ბოლოს მეოთხე დღეს საღამოს მეფემ პეტრე კათალიკოსის შემწეობით გაამხნევა თავისი ჯარი, უთხრა: სპარსელები განა ხარჯის აღებისთვის კი არ გვებრძვიან, იმათ უნდათ სარწმუნოება წა-

გვართვან და სახლკარიანა აგვიკლონო. მეფემ წარმოსთქვა: ან სულ უნდა გავსწყდეთ, ან გავიმარჯოთო. ჯარმა ალტაცებით შებღავლა თავის მეფეს.

იმ ღამეს ვახტანგმა ომის რიგი გადიხადა და განთიადზე, ჯერ კიდევ ღამე იყო, რომ თავს დაეცა სპარსელებს, მსწრაფლათ შესჭრა ჯარის შუაგული და მივიდა ხოცვით კობადის კარავამდის. სპარსეთის მეფემ მოასწრო მხოლოდ თავის სახლობის გატაცება, კარავში მარტო შვილი დარჩა, ვახტანგ შეიჭრა შიგ და მოჰკლა იმის შვილი. ამდროს ერთმა სპარსელმა ვახტანგს დასცა გულზე ისარი....

გამხნევებულნი მეფის სიმამაცით, დანარჩენი ქართველებიც მძლავრათ მოეტრეენ შერყეულს სპარსეთის ჯარს და ზურგს აბრუნებინეს. სპარსელებმა სიჩქარით დაიწიეს უკან ალუსთავისკენ და თითქმის მთელი სპარსეთის ბანაკი (ლაგერი) სულ ქართველებს დარჩათ. მაგრამ ქართველებმა ამ დამარცხებით ვერ ისარგებლეს, რადგან ვახტანგი მალე მოკვდა თავის

ჭრილობისაგან. სპარსეთის მეფემ რომ ეს, შეიტყო გაბნეული ჯარი შეაგროვა, გული მოიცა და მოადგა ისევ საქართველოს. იმან ორათ გაჰყო თავისი ჯარი: ერთმა ნაწილმა მიჰმართა მცხეთას და მეორემ კახეთით გადაიარა კავკასიის ქედი. მცხეთის ჯარი დიმიტრი ერისთავის მხედართმთავრობის წყალობით ძალიან მარჯვეთ იბრძოდა. აქ სპარსელებმა ვერა გაარიგეს რა, მაგრამ მეორე ნაწილმა კი დაიჭირა დარიალის კარი. ამ რიგათ სპარსეთი მაინც გახდა ზემო ქართლის ბატონათ და დაადვა დაჩ მეფეს დიდი ხარკი. ამდროს საბერძნეთის იმპერატორმაც აღირჩია დრო, სთხოვა კობადს შერიგება და წარუდგინა დიდი ფული საჩუქრათ. კობადი თვითონაც გრძნობდა თავის ჯარის დასუსტებას და დიდის სიამოვნებით შეურიგდა იმპერატორს. ამ დიდმა ომმა მარტო საქართველოს მისცა ზიანი, საბერძნეთს არა წაუგიარა, თუმცა ეს ომი სულ იმის ბრალი იყო.

მეფე ვახტანგმა დაჩს დაუტოვა ტახტი და მთელი საქართველო. დანარჩენი ორი პაწაწა

შვილი: ლეონ და მირდატი, რომელნიც მიეცენ იმას იმპერატორის ლეონის დის ხელში, ჩააბარა ნერსეს და ბივრიტიანს—ერისთავებს. იმათ მიუსაკუთრა ტაშის კარი, წუნდა და აბხაზეთი; მაგრამ იმ პირობით რომ ისინი ყოფილიყვნენ დაჩის მორჩილნი, როგორც საქართველოს ერისთავები. ერმა მოიყარა თავზე ნაცარი ამ გმირის საგლოვათ. როგორც ქართლის ცხოვრება ამბობს, ვახტანგ-გორგასლანი დამარხულია მცხეთას სვეტი ცხოველთან, სიკვდილის ჟამს მეფემ უანდერძა თავის ქართველებს, რომ ისინი ყოფილიყვნენ მტკიცეთ ქრისტეს სარწმუნოებაში და საბერძნეთთან კავშირი არ მოეშალათ.

ამ სახით ვახტანგი თავის მეფობაში გახდა სრული ბედნიერი. იმან აისრულა ყოველი თავის გულის წადილი. სპარსეთიცა და საბერძნეთიც ერთმანეთისვე ძალით დაამარცხა, ორივეს ამოადგმევინა ფეხი კავკასიიდგან და შემდეგ ორივე დაიმოყვრა. ვახტანგში სრულათ გამოიხატა ქართველის უმაღლესი ბუნება: სიმამაცე კახელისა, მხნეობა ქართლელისა, ვერაგობა

და გამბედაობა იმერლისა, სისწრაფე და პატივისმოყვარება გურულისა. ისეთი ახოვანი შეხედულება ჰქონდა და მომხიბლავი სიტყვა-პასუხი, რომ მტერსა და მოყვარეს თანასწორათ იმორჩილებდა. ამისთანა კაცი რა დროსაც უნდა გამოჩენილიყო, უეჭველათ, ყოველგან დაარჩენ, და თავის კვალს ქვეყანაზე ეს იყო სწორეთ ალექსანდრე მაკედონელისებური კაცი. მაგრამ იმაზე უფრო ვერაგი. ესეც გარემოებით აიხსნება: იმისთანა ერთი მუჭა ერის გაძლიერებისათვის, როგორც საქართველოს ერი, მართლაც დიდი ვერაგობა, სიფრთხილე და შორს გამსჭვრეტელობა იყო საჭირო.

დახურა თუ არა თვალები, მეორეს დღეს ვახტანგის დიდების კვალიც ალარ დარჩენილა საქართველოს ნიადაგზე. დასავლეთის საქართველო ლიხის მთას იქით უცბათ მოსწყდა ქართლ-კახეთს. ლეონმა და მირდატმა თავის დედის მფარველობის ქვეშ სრულებით დაივიწყეს მამის ანდერძი: უფროსის ძმის დაჩის სახელი არც კი ახსოვდათ. ისინი მაშინვე მიე-

საკუთრენ თავის სადედულოს—საბერძნეთის იმპერიას. ქართლ-კახეთში ერისთვებათ დადგენილი წარჩინებული ვახტანგის მხედართ მთავრები გროშათაც არ ადგებდენ სუსტს და უხასიათოდ დაჩსა. ვახტანგის შემდეგ ყოველი იმის მხედართმთავრის საერისთავო შეიქნა თავისუფალი მაზრა და ყოველი ერისთავი ითვისებდა მეფის ღირსებას. ისინი შეიქნენ მთავრებათ, გაძლიერდა თავადობა და მკვიდრი მეფეები კი გახდენ მოძულებულნი. დაჩის მემკვიდრეებს ეჭირათ ხელში მხოლოდ ტფილისი და იმასაც ჯერ სპარსელები ართმევდენ და მერე არაბები. ამიერითგან იწყება თავადების გვარებს შორის დაუცხრომელი ბრძოლა უპირატესობაზე, რომელმაც გასტანა მთელი ოთხი საუკუნე, სანამ ბიზანტიელთ გვარმა მეხსეთისამ არ სძლია ყველანი.

ამ სახით ვახტანგ ფორგასლანის მოღვაწეობას არავითარი ნაყოფი არ გამოულია საქართველოს ერის ცხოვრებისათვის შემდეგში, სანამ ვახტანგი გამოჩნდებოდა საქართველოს ერიხეობ-

ებში იყო გაბნეული. გვარი გვარს ვერ ეხმარებოდა შიშიანობის დროს და ყველანი დაწუხებულნი იყვნენ გარემო მტრისაგან. ვახტანგის მაღალმა გონიერებამ მაშინვე სცნა თავის ქვეყების სისუსტის მიზეზი და რაკი პირველსავე შემთხვევაში თავი ჩაჩინა, ყველა ქართველები სიხარულით მიეგებნენ ამ დიდი ნიჭის კაცს. ამისმა პირველმა საქმემ ერთბამათ გაიტაცა მთელი ერი, რომელიც შემდეგ მოგროვდა ერთად და არწმუნა იმას თავისი სვე. მართლაც სანამ ის სცოცხლებდა, მთელი ერის სული და ყველა თემების ერთმანერთთან დამაკავშირებელი ძალა მხოლოდ ეს ერთი კაცი იყო. ყველანი იმით იქებდენ თავს, ყველანი იმისგან იყვნენ გამოჩენილნი, გამდიდრებულნი და ყველანი თავგანწირულნი იმის გულისთვის. ვახტანგის სახელი თანასწორათ ამეგობრებდა ქართველს, ოსს, ავარელს, კირკასს იმერელს, აბხაზს, სვანს და სხვ. სანამ ვახტანგი სცოცხლებდა, ეს სხვა და ხსვა ტომის ერებიც ერთს ხალხს, თითქმის ერთს ოჯახს შეადგენდენ. მთელი კავკასიაც ერთი უძლეველი ძალით

იყო შეჭეღილი. მაგრამ რაკი ვახტანგის სახელი გაჰქრა კავკასიაშიჯ, რაკი გასწყდა ის მტკიცე ჯაჭვი, რომლითაც მობმულნი იყვნენ ერთმანერთზე ამდენი სხვა და სხვა გვარის და თვისების ერნი, მაშინვე ყოველი ერი თავის ხეობაში მიიქცა, ერთობა დაიკარგა და კავკასიის ძლიერებაც სიზმარსავით გაჰქრა ქვეყნის არე-მარეზე.

კაცობრიობის ცხოვრებაში ყოველთვის ასეა: რაც უნდა დიდს შემთხვევას და საკეთილ დღეობამბავს შეესწროს ერი, სულ ყველა ფუჭათ ჩაივლის, თუ ის ამ კეთილდღეობისთვის და დიდებისთვის მომზადებული არ არის. ყოველი ცვლილება და წარმატება ერის ცხოვრებაში იმის გამოცდილების ნაყოფი უნდა იყოს. თორემ შეიძლება კარგმა დრომ კიდეც გაუზნევოს და ადრევე წაახდინოს მოუმზადებელი ერის ცხოვრება. ჩაუგდე ხელში ბევრი ცხოვრების საშუალება, ბევრი ფული იმისთანა კაცს, რომელსაც ორი მანეთი ერთად მის დღეში არ

უნახავს და უეჭველათ გაირყვნება. მთელი ერიც ასეა. ვახტანგ გორგასლანის დროს საქართველოს ერი სრულებით არ იყო მომზადებული შეერთებულათ ცხოვრებისათვის და პოლიტიკური მნიშვნელობისათვის. გამოჩნდა თუ არა ეს დიდი ნიჭის კაცი, იმან მაშინვე მოინდომა თავის შესაფერი ძალის მოპოება, დახედა, რომ ქართველის ერი თემებათ იყო ჩასახლებული სხვა და სხვა კავკასიის ხევებში, შენიშნა სპარსეთის და საბერძნეთის დაუცხრომელი მტრობა და შური კავკასიის დასაჭერათ, შენიშნა აგრეთვე, რომ თვითონ საქართველოს ერს ~~ძალიან სძულდა~~ ~~როგორც ბერძნები, ისე სპარსელები, რომელნიც~~ კავკასიაში იმისთვის მოდიოდენ, რომ ერი ეცარცვათ, შეევიწროებინათ და იმის სიმდიდრის გატანით თავის ჯიბეები ევსოთ. ყველა ამ გარემოებებით შორს გამსჭვრეტმა ვახტანგის გონებამ ძალიან კარგათ ისარგებლა: ის ჯერ გაუხდა სპარსეთის მეფეს მხედართმთავრათ და იმისი ჯარით ოსები შესტუქსა. ამ პირველმა გამარჯვებამ გაამხიარულა მთელი საქარ-

თველოს ერი, ამას შემდეგ ყველანი სიამოვნებით ცდილობდენ ვახტანგის ხელქვეით ყოფნას და იმის წინამძღოლობით ბრძოლას, რადგან ყველას დახარბდა ის ქონება და სიმდიდრე, რომელიც ოსეთიდგან გამოიტანეს ვახტანგის ჯარის კაცებმა. შემდეგ სპარსეთისავე ჯარით საბერძნეთის იმპერატორი დაჩაგრა, მერე დაჩაგრულს დაუმოყვრდა და იმისვე ხელით გასწყვიტა მთელი სპარსეთის ჯარი. ამ საბით ეს ორი დიდებული სახელმწიფო ერთმანერთს შეაკლა და თვითონ დარჩა კავკასიის უფალი. მაშ კავკასიის ერების დამპყრობელი, იმათი ერთ-ერათ გამხდომი მხოლოდ ვახტანგი ყოფილა. იმისი ხმა თემების უთანხმოებას აქროლდა, სხვა და სხვა თვისების ერებს ერთმანეთში მტრობას არ აჩენინებდა, ყველანი ვახტანგის ქველმოქმედებით იყვნენ გამდიდრებულნი, სახელოვანნი ყველანი ამიამონებით კისრულობდენ იმისულელს, იმისბატონობას, ყველანი ვახტანგს შეჰყურებდენ, იმის საქმეებით იყვნენ განკვირვებულნი და დროც არ ჰქონდათ, შინაური უთანხმოების გამოცხადებისათვის. მაგრამ

იქვე ეტყობოდა, რომ როგორც ეს ცხოვრების მომცემი მზე ჩასვენდებოდა, მაშინვე კავკასიის ხალხების ერთობაც უნდა დარღვეულიყო, იმის ძლიერების და დიდების კვალიც უნდა წაშლილიყო.

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ერთი კაცი ვერაფერს მკვიდრათ ვერ მოიქმედებს ამ სოფლათ, თუ იმის თანამედროვენი, იმისი მოძმენი, იმის გვაროობა არ თანაუგრძნობენ, არ ესმისთ იმის მოქმედება და ვერ მოიხმარებენ იმისგან მოტანილს სარგებლობას, როგორც შესაფერისია. საქართველოს ერს არ ესმოდა, თუ რა დიდი სარგებლობა მიეცემოდათ, ერთმანეთთან თანხმობით რომ ეცხოვრათ; რაკი ერთხელვე შეაერთა ვახტანგმა, მაშინვე უნდა მიმხედარიყვნენ, რომ იმათი ძლიერებისა და ბედნიერების მიზეზი ეს ერთობა და ერთმანეთთან სიმტკიცით პირის დაჭერა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამისგასაგებათ, საჭირო იყო ხანგრძლივი ერთად ცხოვრება, საჭირო იყო ამ აზრის დამამყარებელი სახელმწიფო კანონების შემოტანა საქართვე-

ლოში და ამ კანონების ასრულებაც თვითონ ერს ჩვეულებათ უნდა ჰქონოდა გადაქცეული. ამასთანავე თითოეული ქართველიც ამისთანა კანონებში და აზრებში უნდა ყოფილიყო განვითარებული. ყოველს კაცს დაბადებიდგანვე დედის რძესთან უნდა შეჰრგებოდა ეს აზრები: «თუ ყველა კავკასიის მცხოვრებნი ერთად ვიქნებით, მტკიცე ძმობა გვექნება, მაშინ ყოველი ჩვენი მეფე ვახტანგისთანა დიდი ნიჭიერებისაც რომ არიყოს, მაინც იმისთანავე ძლიერი იქნება ჩვენის ერთობითო». იმდროს ეს აზრები ყველასთვის ახალი იყო, კარგათ არავის ესმოდა, და ამისგამო ვახტანგის საქმეებსაც კეთილი ნაყოფი არა გამოულიარა: იმან თავისნი საქმენი თანვე წაიღო სამარეს.

ბ. ბორისელი

კითხვა

ნეტავ რაძინდა, რას ველოდები.,
რათ ლელავ სიხსლი, გული რათ სტება?
რაღას უეურებ, რათ არ მოგგვდები,
ნუ თუ სოფლისგან კვლავ რამ გარდმსდება?

ბრძოლას, ტრიეიალსა, ლოთობას, ლხენას
გარდაუსადე საკმაოდ ვალი;
ტანჯვა, ნაღველსა, შურსა და წყენას,
ზეჭვ, ვემსახურე მათაც მრავალი.

რაც მისგან მქონდა მე მოტემული,
სულ მიუბრუნე მოუკლებელად;
მსოლოდღა დამრჩა სული ტანჯული
სოფლის მწიკვლისგან შეუსებელად.

მაშიდ სურეილი ერთი საამო,

კრებული

რომელსაც, ვიცი, ვერ აღვისრულებ,
უძლიერესად მიუკვრს მისკამო,
მსიარულებით ველი, უყურებ.

ფაზელი.

შეერთებული ძრომა

ჩვენის ლიტერატურისთვის

(ფიქრები ამ უკანასკნელ ოცის წლის ლიტერატურაზე.)

აი აგერ ოცი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ქართულ ენაზე დაიწყო გამოსვლა პირველმა ჟურნალმა. ოცი წელიწადი და ქართული ჟურნალი! ადვილი სათქმელია. მაგრამ აბა დააკვირდით, კარგად მოიფიქრეთ — რამდენი შრომა უნდება თითო წიგნის ბეჭდვასა, არა თუ ჟურნალის გამოცემასა, და მიხვდებით, რომ ეს საქმე უბრალო საქმე არ უნდა იყოს ჩვენთვისა.

ჩვენს მწერლებს თითქოს ფიქრათაც არ მოსვლიათ, რომ ამ შესანიშნავ შემთხვევისათვის

ყურადღება მიექციათ, გადაეცლოთ თვალი ამ ოცი წლის ლიტერატურისათვის, ნაწერი გაერკვიათ, ან ავი, ან კარგი ეთქვათ და ერთი რამ აზრი გამოეყვანათ ჭკუის სასწავლებელი. შენც არ მომიკვდე, იმათ არა ეთქვასთ რა. ეს გვაჩვენებს ჩვენი მწერლების საკვირველს სიფხიზლეს და გამჭრიახობას: როდესაც იმათ ნაწერს ვინმე შეეხება, მაშინ საკვირველი სიფხიზლე იციან; წამოცვივიან, ერთ აყალმაყალს შექნიან, მიჰკრავენ აქეთაც, იქითაც, მოედებიან ლობე-ყორეს, აინთებიან საშინელს სიფიცხითა, ისეთის სიფიცხითა, რომ თეთრს შავში ველარ გაარჩევენ და შავში თეთრსა. გაივლის ძრიელ ცოტახანი, და მშვიდდება ცხარეთ მოლაპარაკე ლიტერატორი; ყველანი, მკითხველებიც, მწერლებიც ივიწყებენ ალიაქოთსა,—ძველ სიტყვების ჰენტვისაგან ალარა რჩება რა, ალარც თვით მწერლის ტვინში და ალარც მკითხველისაში. რა არის ამისი მიზეზი? რასაკვირველია, წვრილმანობა, წვრილი ვამოკიდება მწერლისა თავ-მოყვარებისაგამო. ჩვენს მწერლობაში და მწერლებში თითქმის

ყოველთვის ისეა, რაკი მწერალმა დაინახა, ჩემზე წინააღმდეგს ლაპარაკობენო, მაშინვე აერევა და უბნელდება გონება, ჰკიდებს ხელს კალამსა და მოჰყვება ბოდვასა. იმდენი ღონე არ მოსდევს თავი შეიმაგროს, რომ უფრო ფხიზლად გაარჩიოს საქმე და მასუკან მოჰყვეს წერასა.

ეს ყოველი გვაჩვენებს ჩვენი მწერლების წვრილმანობასა, რომლისაგამო კარგა ძირიდამ თავამდინ და თავიდამ ძირამდინ კი არა სინჯვენ საგანსა, არამედ ისე შინჯვენ, როგორც ბრმა-ყრუდ მიაწყდებიან და ან როგორც სხვები მიაწყვეტენ. ამისაგამო იმათი სჯა და ლაპარაკი ქარის მოტანილსავით ქარსვე მიაქვს. წვრილმანი რამ ყოველთვის წვრილმანათა რჩება ყველგანა და ჩვენში ხომ უფრო მომატებულად. ჯერ ჩვენში, საზოგადოდ ლიტერატურაში, თუ რამ ლაპარაკი თვით ლიტერატურისავე შესახებ ყოფილა, მარტო პოლემიკური, საზოგადოდ კრიტიკული ლაპარაკი ყოფილა, და ისიც პაწაწკინტელა კრიტიკული. თუ ულაპარაკნიათ ერთ

ჯერ მწერალზე ან მწერლობაზე, ორიოდე სიტ-
ყვით, გაკვრა-გამოკვრით ულაპარაკნიათ.

ჩვენი მწერლებისთვის რომ მართლა ნამდვი-
ლად ძვირფასი ყოფილიყოს ლიტერატურა,
ლიტერატურის არსებობა, ლიტერატურის მო-
მავალი ბჭედი, განა ასე წვრილმანი დაჭლერ-
ქი იქნებოდა ჩვენი კრიტიკა და ლაპარაკი,
განა ასე წვრილი იქნებოდა საკრიტიკო და სა-
ლაპარაკო საგანი? ვინ უნდა გაიწვრთნას, ვინ
უნდა აღიზარდოს ამ წვრილმანის ლაპარაკითა?
ნუ თუ მკითხველს რასმე ასწავლიო ამაებითა?
რა სამწუხარო შეცდომაში უნდა იყვნეთ, ჩვე-
ნო მწერლებო. რაღა კრიტიკას ვახსენებთ,
როდესაც თქვენ იქამდინ მიხვედით, ისე ლაპა-
რაკობთ ხოლმე, რომ გავიწყდებათ ჩვენი უბ-
რალო მკითხველი; თქვენ იქამდინ მიხვედით,
არ ვიცი, რა უბედურის შემთხვევით, რომ
ვერცკი მოგიხერხებიათ ისე სწეროთ, რომ მკი-
თხველიც თქვენ მოგდევდეთ თქვენს სჯაში და
მონაწილეობა მიიღოს თქვენის ფიქრის დროსა;
ვერ მოგიხერხებიათ, რომ თქვენის ნაწერის კი-

თხვის დროს ისიც თქვენთანა ჰფიქრობდეს. მკითხველს თქვენი არა გაეგებარა. აი სად არის თქვენი უბედურება.

ერთი უპირველესი პირობა მწერლისა ის არის, რომ მკითხველისთვის გასაგები იყოს იმისი ნაწერი. ეს რო არ ესმოდეს მწერალსა, იმასა ნიშნავს, რომ მწერალს თავისი მნიშვნელობა არ გამოურკვევია; თუ გვეტყვის ამგვარი მწერალი, რომ ქვეყნისათვის ვწერო, ნუ გჯერათ, ის თავის თავის შექცევისათვისა სწერს და არა სხვებისთვის.

სხვებისთვის რომ სწერდეს, მკითხველისა და ლიტერატურისთვის რომ მართლა ზრუნავდეს, ასე არ იქნებოდა. ჩვენს მწერლობას განა მარტო ერთის წერით წაიყვანთ წინა, მარტო ამ ნაწერების გარკვევით წაიყვანთ წინა? რატო სხვა მხარეებს ყურადღებას არ მიაქცევთ, რატო საფუძველს არ მოუძებნით ლიტერატურის არსებობასა და განმტკიცებასა? ლიტერატურას შესაძლოდ მტკიცე საძირკველი უნდა, რატო ამ საძირკველს არ გამოვიკვლევთ: რა არის? რატო არ დავაკვირ-

დებით ეხლანდელ მწერლობის ვითარებას, რა-
ტო არ მივსცემთ ნამდვილ შესაძლებელ საზრ-
დოს და არ გამოვიყვანთ ეხლანდელ საეჭვო და
საფიქრებელ მდგომარეობისაგან? შორს რომ არ
წავიდეთ, ყურადღება მივაპყროთ ამ გარემოებას:
რა ბევრი იბეჭდება წიგნები, რა ბევრი მკითხვე-
ლები გვყავს? რატო ამას არ დავაკვირდებით
და ლონისძიებას არ უძებნით და არა ვხმაროობთ
ამ ორის საქმის გავრცელებისათვის? პასუხი
ადვილია, ამიტომ რომ ეს საქმე ცარიელ სტა-
ტიების წერასავით ადვილი არ არის. ამას შრო-
მა უნდა დაუღალავი, შეუწყვეტელი და სვინიდი-
სიანი.

მაგრამ აქ უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა ლი-
ტერატორებზე ვლაპარაკობთ, რათგანაც ყველა-
ზე ახლოს ლიტერატურასთან ისინი არიან,
მაგრამ ეს სხვებსაც შეეხება, ვინც თავის თავს
ლიტერატურის მონათესავეთა სთვლის, და ამის-
თვის ვიტყვით, რომ ლიტერატურის წინ წაყვა-
ნა მარტო სტატიების წერაში ხომ არ არის,
ის სხვა საქმეებშიაც არის, რაც კი ცოტაოდენად

ახლოდ შეეხება მწერლობასა. ლიტერატურას ორი მხარე აქვს ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებული; ერთია თვით ნაბეჭდი თხზულება, რომლისაც წაკითხვა შეგვიძლია, და მეორე მხარე ვრცელი, რომელიც წიგნის ბეჭდვამდე და დაბეჭვდის შემდეგ გავრცელებისათვის არის. პირველი მხარე უფრო გარეგანია, და მეორე უფრო შინაგანი, დაფარული.

უფრო კარგათ ავხსნათ: ვიდრე წიგნი დაიბეჭდებოდეს, რამდენი შრომა უნდა იმის ბეჭდვასა? კაცი უნდა იყოს წერის მცოდნე, რომელსაც სწავლა უნდა ჰქონდეს მიღებული, უნდა იყოს გახსნილი, ნივთიერი ღონისძიება უნდა ჰქონდეს წერისათვის, გადადებული დრო, წიგნები, ქაღალდი, კალამი, ეს კაცი უნდა იყოს წევრი საზოგადოებისა, უნდა ჰყვანდეს ამხანაგები. იმის ნაწერს ბეჭდვა უნდა, სტამბა, ქაღალდი, ყდის შემკვრელი, ამასათანავე საჭიროა ფული, ფულს შოვნა, მოპოება უნდა, და სხვა და სხვა. აი, ეს ერთი საქმე გათავდა და გამოვიდა წიგნი, რომლისათვისაც ის წინა შრომა და

ხარჯი იყო. ამ წიგნის გამოსვლას შემდეგ უფრო მომატებული შრომა მოსდევს წიგნის გავრცელებას და ხალხში მოფენას: სანდო, გამჭრიახე კაცები არიან საჭიროანი, ქალაქებში და სოფლებში გაგზავნ-გამოგზავნა უნდა, წიგნის საწყობი ადგილია საჭირო, წიგნის მაღაზიები, ანგარიშების გაწევა და სხვა წვრილი და წვრილი საქმეები. ეს ყველა შეეხება ჟურნალ-გაზეთებსაც და ცალკე გამოსულ წიგნებსაც ამ გვარათ ორი საქმეა აქ შესანიშნავი: შრომა, რომელიც წიგნის დაბეჭდვას წინ მოსდევს და დაბეჭდვას უკან მოსდევს. თვით ის შეკრული დაბეჭდილი ფურცლები კი არ არის ძვირფასი, არამედ ის არის ძვირფასი, რაც ამ შეკრამდინ შრომა გაუწევია კაცსა და რასაც მერე გასწევს. აი აქ რამდენი სალაპარაკო რამ არის ამ შრომაზე, ამ უუსაჭიროესს და ყოვლად უპირველესს საგანზე. სად არის ამაზე ყურადღების მიპყრობა? სად გვესმის ამაზე ლაპარაკი? თუ შეგვხვდება რამე, ისიც ორიოდ საზოგადოდ გაკვრით ნათქვამი სიტყვა შეგვხვდება სადმე და ამითი თავდება ყოველი სჯა.

მაგრამ აბა მიიხედ-მოიხედეთ, რა ბევრს კაცსა ნახავთ, რომ თავისი თავი ქართული ლიტერატურის ბურჯად მიაჩნდეს. აი, ერთს დაუწერია ორიოდე საქურნალო ანუ საგაზეთო სტატია და ისე გამოსახული აქვს ფიქრში, რომ ლიტერატურისთვის დიდს, დიდს შრომას ეწევა და ეს შრომა კმარა, რომ სალიტერატურო სხვა საქმეს აღარას დასდიოს; მეორეს ერთი ორიოდ ოდესმე წიგნი დაუბეჭდია, თავის თავს საკმაო მშრომელადა ჰგრძნობს და ისევენებს; მესამე დიდგულად იხედება, რომ ქართულ სპექტაკლებში მონაწილეობა მიუღია, ამით ვითომც დიდი ღვაწლი დაუდვია ლიტერატურისთვის და აღარაფერში არ ერევა; მეოთხე დუქანსა მართავს ქალალდისას, მელნისას, კარანდაშისას და დიდის სიამპარტავნით იხედება, ლიტერატურას ვეწევიო. მეხუთე სტამბასა მართავს, და ლიტერატურის კეთილმყოფელად მოაქვს თავი. მეექვსე ჟურნალ-გაზეთებისთვის ანუ წიგნებისთვის თარგმეტოდ მანეთსა ხარჯავს და ისიც თავის თავს მწერლობის წამქეზებლადა სთვლის;

მეშვიდე შვიდს კვირას, შვიდს თვესა და შვიდ წელიწადს ლიტერატურაზე ლაპარაკობს ლიტერატორებთან შინაურობაში, ესეც მოღვაწეა ლიტერატურისა; მერვეს, რვა ანბანის გაყიდვას არ დახმარებია რვას თვესა, რვას წელიწადსა და თავისი თავი წერა კითხვის გამავრცელებლადა ჰგონია. მეცხრენი, მეათენი, მეთერთმეტენი და მეასენი დაგვრჩებიან, რომ ლიტერატურის ბუჯებად ჩავთვალოთ: სახლის გამქირავლები, რადგან ზემოხსენებულნი ლიტერატურის მოღვაწენი იმათ სახლში დგანან, მკერვალი, რომელიც იმათ ტანისამოსს უკერავს, ხარაზი, რომელიც წაღას უკერავს და ვაქსის გამკეთებელი, რომელიც იმათზე ვაქსსა ჰყიდის! სულ ესენი ლიტერატურის მოღვაწენი არიან, ლიტერატურის წამქეზებელნი, ლიტერატურის ბურჯნი!

ნეტავი იმ ლიტერატურას, რომელ ლიტერატურასაც ამისთანა ბურჯები აღმოუჩნდება!

ამ ბურჯებს თავისი თავი მართლა ისეთ ბურჯებად მიაჩნიათ, რომ უნებურათ მოლა მასრა-

დინის ერთი ზღაპარი აგონდება კაცს. მოლა-მასრადინმა ხალხში ხმა დააგდო, სოფელს გარეთ ნესვ-საზამთროს მუქთად არიგებენო; მოუსვა ხალხმაც და მორბის ნესვ-საზამთროს საშოვნელად. დაფიქრდა მოლა მასრადინი, იქნება, მართალი იყოსო; ცოლს მოსთხოვა ხურჯინი და ხალხს უკან გამოუდგა. ჩვენი ლიტერატურის მოლა მასრადინებიც ერთხელ ბაქიბუქობდნენ და აპიროობდნენ შრომასა. მკითხველი ხალხი გამოჩნდა კითხვის მსურველი; ლიტერატურის მოლა მასრადინებმა ჭკუაში გამოისახეს, რომ მართლა ლიტერატურა უთუოთ ჩვენ მიგვყავს წინაო და ამ აზრისანი დარჩნენ ჯქამდინ. ის კი ეელარ მოიფიქრეს, თავისი შრომაც გეზომნათ, და ბოლოს ვერც დაინახეს, რომ გარეშე ხალხი ამათ დასცინოდა. ეხლა დაცინვა ამ მოლა მასრადინებმა მიაწერეს იმათ შურსა, უსვინიდისობასა, ფლიდობასა, ანგაარებასა და ათას გვარ ადამის დროთგანვე შეძულებულს თვისებასა. სწორეთ რო ეთქვათ, ძალიან კი სწყრებიან, მაგრამ, მკითხველების და ლიტერა-

ტურის ბედათ, ხო იცით, ნაცარ ქექიების წყრომა, რა წყრომაა? ეს კაცები აქამდინ ორს საქმეს აკეთებენ, თუ აკეთებენ: წყრებიან, ჯავროობენ, ჰკიცხვენ, სძრახვენ, ჭორიკანაობენ და მეორეს საქმეს იმას აკეთებენ, რომ სულ ნიადაგ დღე და ნიადაგ ქამს რაღასაც აპირობენ გააკეთონ, აპირობენ, აპირობენ და ერთს დიდს გასაჭირში არიან და ძლივს-ძლიობით ათასში ერთხელ ამ ვაი-ვაგლახის აქლემს წყალს აშოებინებენ. ჩვენი საზოგადოება, რასაკვირველია, ამ ვაი-ვაგლახით დაბადებულ წყალს არც კი აღარსებს თვალს შეხედვას. ამაზე ნაცარ-ქექიები ებუტებიან დიდ ხანს, სანამ კიდევ ახალ წყალსა შოებენ და ახალად გაებუტებიან. საზოგადოებაც რასაკვირველია ბოლოსა ხვდება, რომ ეს ხალხი მასხარა ხალხი ყოფილა და ცრუპენტელობაში ატარებს დროსაო. და აი ჩვენი მკითხველი საზოგადოება და ჩვენი ლიტერატურის მოამხრე კაცები ამისთანას გზაზე ეყრებიან ერთმანერთსა. ერთს მეორე სულელათა ჰყავს მიჩნეული, მეორე პირველს ებუტება და თავი მოაქვს თავისის ამაო შრომითა.

მაგრამ რათ დაევმდურონთ? ეს თვისება ყოველ დაძველებულ და ხანგადასულ თავობის თვისებაა. ახალგაზდა თავობას რომ ეძახოდნენ აქამდის, ეს ახალი თავობა დაბერდა, დაძველდა.

ათი თორმეტის წლის წინად ამ თავობას ცოტაოდე შრომა ერგო ჩვენს ლიტერატურაში. ამ თავობის კაცებმა დაიწყეს ლაპარაკი საზოგადო სარგებლობაზე, საზოგადო სიკეთეზე, ყველანი ხალხისთვის უნდა ვფიქრობდეთო. რაც ლიტერატურაში იყო, საზოგადოებაში უფრო მომატებრლადა ლაპარაკობდნენ. ეს აზრები ახალი აზრები იყო, ყველა ჰგრძნობდა ამ აზრების სიმართლეს და პატივის ცემა დაუწყეს. ვინც კი ორიოდე ახალს რასმე იტყოდა ამ აზრების შესახებ. საზოგადოებაში დაუწყეს ყურება ამ კაცებს ისე, რომ ამათგან ახალს ბევრს კარგს რასმე უნდა მოველოდეთო. ეს კაცები სულ ლაპარაკობდნენ და აქამდინ ლაპარაკობენ მედიდურათა სხვა და სხვა ბალალ აზრებს ქვეყნიერებაზე, ცხოვრებაზე, კაცის დანიშნულებაზე და ლიტერატურაზე. წელიწადებმა გაიარა ამ ლაპარაკში,

მაგრამ საქმე სად არის? საქმე! საქმედ, სწორედ გითხრათ, დიდი რამ ეგონათ, ვინც თავის შემოსავლითგან წელიწადში თუმანზე ორშაურს გამოიმეტებდა წიგნების ან ჟურნალ-გაზეთის საყიდლად და ორიოდ რასმე დასწერდა; თორემ სხვა ვერა მოახერხა რა და ვერა გააკეთა რა. წავიდნენ დრონი და წელიწადნი. ის კაცები დარჩნენ ისევე უსაქმონი, მხოლოდ თავისი თავი დიდ ბობოლებად კი ეგონათ. ამასობაში მოიზარდა უკანასკნელი ახალი თაობა და, სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ ეს თაობაც იმათ გაჰყვა და, ცოტაოდენს გარდა, იმათ მიეკედლა. ამათ უფრო გამჯდარი აქვთ კაცური აზრები ძვალში და რბილში და საქმისათვის სწყურიანთ. მაგრამ ძველ თაობას გვერდით უდგანან და აქამდინ ვერ გამოურკვევიათ რომ დროა, თავი დანებონ და იმათგან ხელი აიღონ. აქამდინ რით ვერ შეიტყეს, რომ ისინი სიტყვის კაცები იყვნენ და არიან და ახალი თაობისა კი საქმის კაცები უნდა იყვნენ. დაძველებულ ახალთაობას ის ახალი აზრები ჯერ აქამდინ კარგა ვერ მოუ-

ნელებია: ღეჭავს, ღეჭავს და საქმემდინ მიყვანა ახალი აზრებისა ვერ მოუფიქრნია, ვერ ემარჯვება და აქამდინ ულონოდ დარჩენილა. იმას ამარტოლაპარაკი შეუძლია, მარტო ლაპარაკითა სცხოვრობს. ცხოვრებაში კი ისეთივე უქნელი და გამოუსადეგარია, როგორც იმის მამა-პაპა ყოფილა, უფრო ცხადათა ვთქვათ, იმათ კვალზე მიდის. ისინი ამბობენ, ეს სასარგებლოაო, ის სასარგებლოაო და ამითი ინთებიან და ცხოვრობენ წლის წლობამდის. იმათ იმდენი მოსაზრება არა აქვთ, რომ სიტყვა საქმეზე გადააქციონ. ავიღოთ უბრალო მაგალითი: რომლისამე წიგნის ბეჭდვა რომ უნდათ, ამ წიგნის ბეჭდვაზე ამდენს ილაპარაკებენ, ამდენს ილაპარაკებენ იმის გამოცემის სარგებლობაზე, რომ ბოლოს მართლა ნამდვილი ბეჭდვის მადა ეკარგებათ და ამ ლაპარაკით სრულიად კმაყოფილნი რჩებიან. რაც უნდა უბრალო რამ აიღოთ, სუყველა ესეა.

ახალი თავობა სულ სხვა ხასიათისაა. ლაპარაკი არ უყვარს და საქმის გაკეთებას ერთი

ვაი-ვაგლახით კი არ შეუდგება ხოლმე; რაც გასაკეთებელია, მოსაზრებული აქვს და ყოველს შემთხვევაში საცა რამ არის, თავის თავად, თითქოს მოუფიქრებლად აკეთებს. ყოველს შემთხვევაში პირდაპირ ეწაფება და აყალმაყალს არა მართავს. რასაც ხელს მოჰკიდებს, თითქოს დიდიხნის დახელოვნებული იყოსო, ისე ჰკიდებს ხელსა. დაბერებულ ახალ თავობას ეს ახალი თაობა წვრილმან კაცათ მიაჩნია, იმიტომ რომ მალალ-მალალი და დიდ-დიდი ლაპარაკი არ იცის. თავის საქმეს მშვიდათ აკეთებს, გულ დაჯერებით, უალიაქოთოთ და უაყალ-მაყლობით.

მაგრამ ამ ახალ თავობის თვისებას საზოგადოდ ვერ მივაწერთ ეხლანდელს თაობასა. ეხლანდელი თაობა უფრო დაბერებულ ახალ თავობას ეკუთვნის, დაბერებულ თავობის კვალზე მიდის და იმათ გავლენას ქვეშეა. ნამდვილი ახალი თავობა აქა-იქ თითო ოროლად იშვიათადა სჩანს და იმედია მომავალს დროში უნდა გამოსჩნდეს ძლიერათა.

ამიტომ კიდეცა ვთქვით, რომ ეხლანდელი

თავობა უფრო წარსულს ეკუთვნის, ვიდრე მომავალსა. ეს თავობა ისეთივე უძლურია, როგორც წარსული, ისეთივე ამაოდ თავი მოაქვს, როგორც წარსულს, და ამ ჟამად ისეთსავე წყილსა ჰშობს, როგოც წარსული თაობა. საქმის გაკეთებაში ისეთივე უინიციატივოა, ანუ მცირე ინიციატივიანია, როგორც წარსული.

ეს, რაცა ვსთქვით ეხლანდელს თავობაზე, მეტის-მეტათა სჩანს იმაში, რაც ამ კაცებს ერთობა აქვთ ერთმანერთში. დააპირებენ ხოლმე ერთად საქმის გაკეთებას. იმათ ძალიან კარგად არა აქვთ განსაზღვრული საქმე, კარგად არ არიან გახსნილები; კარგი მოქმედნი, გამჭრიახები არ არიან და ამისა გამო უმთავრესი მხარე საგნისა უმცირეს მხრისაგან ვერ გაურჩევიათ და ამისაგან ერთი მეორეს უშლის საქმის ასრულებას, ერთი მეორეს ებაასება, ერთი მეორეს ეცილება, ერთმანერთის ყურისგდება და დათმობა უმთავრესი მიზნის ასრულებისთვის არ არის. ამასთანავე ჩვენი პატარა საზოგადოება ხშირად ერთმანერთის ოჯახობას ჰხედავს და პროვინცია-

ლური, წვრილმანი ხასიათი თავს იჩენს. ყველას უნდა სხვის შინაურ ოჯახის საქმეში შეერიოს. როგორც ჩვენ პატარა ქალაქებში და სოფლებში იციან ხოლმე ერთმანერთის აფლების შეტყობა, მსახურ გოგო-ბიჭების გამოკითხვა, — დღეს რა სჭამეს თქვენმა ბატონებმაო, სტუმრათ ვინა გყავდათო, რა კაბა ეცვათაო, — სწორედ ამ გვარს თვისებაებს იჩენენ ჩვენი მწერლები და ლიტერატურის მონათესავენი. ერთმა რომ სისულელით რამე წამოროხოს სამხარეულოზე, მეორენი ყურს ხომ არ ასხლეტინებენ და არ დასცინებენ ამ ლაპარაკსა, თქვენც არ მამიკვდეთ! მოჰყვებიან ბაასს და იმის სამხარეულოს გადმოშლიან. არც ერთი იმათგანი არა ფიქრობს, მე რა მრჯის სამხარეულოსთანაო? — რაო? და ისა, რომ გაუგონიათ დიდად საჭიროა ლიტერატორი კაი კაცი იყოსო, ლიტერატორის ცხოვრება ეკუთვნის საზოგადო ცხოვრებასაო და აქედამ დასკვნა გამოჰყავთ, რომ ლიტერატორის სამზარეულოშიაც კი თავი უნდა შევყოთო. ყველამ უნდა მოვთხოვოთ ლიტერა-

ტორს და ხალხის წინამძღოლელსა, და საზოგადოდ ყოველს კაცს, რომ კარგი კაცი იყოს. არას დროს არ უნდა გვსურდეს, რომ გავყოთ კაცი ორათა: «ეს კაცი როგორც კაცი ასეთია, და როგორც მწერალი ასეთია». უნდა ვისურვოთ და ვეცადნეთ, რომ ყველა კაცი პატიოსანი კაცი იყოს და მწერალი ხომ უფრო უმეტესად. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ; რასა ჰქვიან პატიოსნება კაცისა და მწერლისა? მე რო ხორცს ვსჭამდე და მოვიდეს ვინმე, გამიჩხრიკოს სამზარეულო, დამიწყოს დავი-დარაბა, ხორცს რათა სჭამ, ლობიო უნდა სჭამოო,—ნუ თუ ესეც სალიტერატურო საქმედ მიგაჩნიათ. მაშასადამე უნდა ვიცოდეთ მიჯნა და საზღვარი, რაზე შეიძლება ლაპარაკი და რაზე არა; რომელს შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი და რომელს შემთხვევაში არა.—რაკი ესენი არ იცის კაცმა, რასაკვირველია, ვერას დროს სხვას ვერ შეუერთდება. ყოველივე ზემოხსენებული ამ ერთმანერთობაზე ჩვენი მწერლებისა და ლიტერატურის მოწათესავეებისა იმაზე დგას, რომ აქამდინ

ვერ გამოურკვევიათ კარგად, ცხადად:

რა არის ჩვენთვის უმთავრესი და რა უმცირესი?

აი ჩვენ ისევ თავად გამოთქმულს აზრს დაუბრუნდით, როდესაც უკანასკნელ ოცის წლის ლიტერატურაზე დავიწყეთ ლაპარაკი. ჩვენ შევეხეთ აქ ორსავე მხარეს ლიტერატურისას: რაც თვალად დასანახავია, რაც გარეგანი მხარეა ლიტერატურისა და მეორე მხარესაც, რომელიც უფრო ლიტერატურას შიგნით არის დაფარული. ესე იგი, გაკვრით ვილაპარაკეთ, ნამდვილ ლიტერატურაზე, მწერლობაზე, ნაწერზე, და იმ კაცებზე რომელნიც ლიტერატურას ახლოსა დგანან, ლიტერატურას გვერთ უყენია. აგრეთვე ვთქვით, რომ ეს კაცები მწერლები არიან თუ არა, სულ ერთია, (სუყველას ვერ მოვთხოვთ მწერლობასა), ყველანი თითქმის არაფერს არ აკეთებენ და ქართული ლიტერატურისათვის ნამდვილის ზრუნვით არა ზრუნავენ. თვით მწერლები ლიტერატურის საქმეზე არ ლაპარაკობენ, ყურადღებას არ აპყრობენ, არა შინჯვენ და მხოლოდ წვრილმან ნაწერებსა ჰქექენ.

სხვათა შორის ხანდის ხან რომ წარსულის დროს ლიტერატურისთვის თვალი გადაგვეველო და გაგვერჩია, რაც შესანიშნავი ყოფილა, ავი ან კარგი,—სასარლგებლოდ დარჩებოდა ჩვენთვისა. ჩვენ თუ ავს ვიპოვნიდით, იმისი გამოჩენა დაგვასწავლიდა იმ ავის გასწორებას, თუ კარგს ვიპოვნიდით ჭკუის სასწავლებლად გამოგვადგებოდა ეხლანდელს მდგომარეობაში.

ამ განზრახვით გვინდა თვალი გადავაველოთ უკანასკნელ ოცი წლის ლიტერატურის ვითარებასა. მაგრამ მკითხველს ნუ ჰგონია, რომ ჩვენ იმ ნაწერების გაჩხრეკას და დაფასებას ვაპირებდეთ, რაც ამ ოცის წლის განმავალობაში უწერიათ; არა, ეს არა გვაქვს აზრადა. ჩვენ თვით ნაწერს იმდენად მოვიხსენებთ, რამდენადაც საჭიროა ჩვენგან აღებულის აზრისათვის. თუ მოვახერხეთ როდესმე, იქნება ის ნაწერებიც გავარკვიოთ. მაგრამ ეხლა სულ სხვა განზრახვა გვაქვს.

ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ლიტერატურის იმ მხარეს, რაც ლიტერატურას აძლევს

დიდს ლონესა და შეადგენს სხვა უპირველესთ საჭიროებათა შორის, ერთს უმთავრესს საჭიროებასა: ეს საჭიროებაა შეერთება ლატერატორებისა და არა ლიტერატორებისა მწერლობის წინ წაყვანისათვის, გავრცელებისათვის, გამდიდრებისათვის და საეჭვო მდგომარეობისაგან გამოყვანისათვის. ვისაც სხვა ენის ლიტერატურის ვითარების ამბავი ცოტაოდე გაუგონია და შეუტყვია, იმას ეცოდინება, რომ მწერლობას გარს კაცები ახვევია, რომელთაგან ზოგი მწერალია და ზოგი, თუმცა მწერალი არ არის, თავისის შრომით ბევრს ეწევა. ეს კაცები ერთმანერთსა შველიან, ხელს უმარჯენ და ამხნევებენ. თუ გაზეთი და ჟურნალია, იქ შედგენილია წრე, პატარა ამხანაგობა, რედაქცია. ამ რედაქციებში მონაწილეობა აქვთ მრავალთა მწერალთა და არა მწერალთა იმ განზრახვით, რომ კარგა წინ წაიყვანონ ჟურნალი, ანუ გაზეთი. შემდეგ ეხედავთ სხვა და სხვა საზოგადოებათა, რომელნიც ლიტერატურას ეწევიან სხვა და სხვა ლონისძიებითა. ამისთანა საზოგადოებათა ეხედავთ რუსეთ

შიაც და სხვაქვეყნებშიაც. იმათზე ქართველი მკითხველები ხშირათ კითხულობენ ქართულ გაზეთში სხვა და სხვა წვრილ ამბებსა. არც ერთი ჟურნალი და გაზეთი არ გამოდის განათლებულ ქვეყნებში, რომ რამდენიმე ათიოდე, ოციოდე და ასიოდე კაცი არ ეხვიოს გარსა მუდამ დღე შრომისათვის. უბრალო წიგნის გამომცემისათვისაც კი რამდენიმე კაცი იყრება ერთადა და ისე ჰბეჭდავს წიგნსა.

ამისთანა ერთობით, ამხანაგობით უკეთებიათ ჩვენში ლიტერატურის საქმე, თუ არა ამ ოცის წლის განმავლობაში?

ამისათვის ვიდრე ამ უკანასკნელი ოცის წლის (1852-1872) ლიტერატურას დავაკვირდებოდეთ, ცოტაოდე წინა დროების მწერლობასაც დავხედოთ.

მეთვრამეტე სეუკუნის ჩვენი ლიტერატურა წარმოგვიდგენს ვრცელსა და მდიდარს მაგალითს. ჩვენი ლიტერატურის უმეცრება ისე ვრცელია, ისეთ უკიდურესს მდგომარეობამდის მიალწევს, რომ თუმცა სიტყვით ყოველთვის რტყვი-

ან, რომ ყოველმა განათლებულმა კაცმა და მეტადრე მწერალმა თავისი ხალხის ლიტერატურა კარგა უნდა იცოდესო, მაგრამ როდესაც ჩვენს ქართულ ლიტერატურაზე მივა საქმე, მაშინ ჩაიცინებენ და იტყვიან, რა საჭიროაო? რას შეეიტყობთ, რას გვასწავლისო? ცოტაოდე მაინც რომ წაეკითხათ ქართული ძველი ნაწერები, მაშინ შეიტყობდნენ რაც აზრის გამოტანა შეიძლებოდა. ამ გაცნობითგან შეიტყობდნენ, რა ვრცელი ლიტერატურა გვქონია და ამაში რა შესანიშნავი პერიოდია ვახტანგის და ერეკლე მეფის დრო, მეთვრამეტე საუკუნე? აქ ადგილი არ არის ვრცლათ მოხსენება ყველასი, რაც იმდროს დაწერილა, მხოლოდ თუ მწერლების სახელებს ჩამოვთვლით: მეფე ვახტანგ, ბატონიშვილნი ბაქარ და ვახუშტი (იმისი შვილები), სულხან საბა ორბელიანი, დაეით გურამის შვილი, სახლთ ხუცესი დიმიტრი ორბელიანი, მდივანი ვახტანგ ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი, იესე ქსნის ერისთავი, ანტონ კათოლიკოზი, დავით რექტორი, გაიოზ, ბესარიონ გაბაშვილი,

ომან მდივანი ხერხეულიძე და სხვანი და სხვანი; იმათი ჩამოთვლა არ შეიძლება. ვის შეუძლია, ვინც იმათი ცხოვრება იცის, გულ გრილად შეხედოს იმათს დაუძინებელს შრომასა? მრთელს თავის სიცოცხლეში რამდენი მშვენიერი რამ უწერიათ, რამდენი საშინელი შრომა გამოუვლიათ ამ წერისათვის, ვინ მოგვითხრობს, ვინ გვითხრას

მათი სასელი, მათ სმალნი, საქმენი სასელოვანნი?
ემანო, ეპტივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველად საუკუნეთა,
მათში სასენი ჭსჩანან ნათელნი,
გმირთა მამულის განმადიდეთა!

დავასახელოთ მარტო ერთი ანტონ კათოლიკოზი, რომელსაც რიცხვით 24 წიგნი აქვს დაწერილი და სივრცით ამათში რამდენიმე არის სამი და ოთხი «ვეფხვის-ტყაოსნის» ოდენები. შინაგან ღირსებას რომ არ დავაკვირდეთ, მარტო გარეგანი სივრცე შეაზარებს კაცსა, რამდენი დრო უნდა მოეხმარებინა წერისათვის? მაგ-

რამ შინაგანს თვისებას დააკვირდით: ლექსათ დაწერილია წყობილ-სიტყვაობა (უძვირფასესი მასალა ქართული ლიტერატურის ისტორიისა), პირველი ქართული გრამატიკა, ისტორიული თხზულებანი.—ავიღოთ კიდევ ვახტანგ მეფე იმისის «ქართლის ცხოვრებით», «სამართლის წიგნით და დასტულამით». დახედეთ რამ სიდიდე წიგნებია, რამ სიდიდე ღირსებაა იმათში, რამ სიდიდე მასალები უნდა გადაექექა და შეეკრიბა.—ამასთან სტამბასა მართავენ წიგნების საბეჭდავად, ხსნიან სასწავლებლებს, მოგზაურობენ სხვა და სხვა სახელმწიფოებში საქართველოს ბედის საშველებლად. როდესაც თვალს გადაავლებ ეხლანდელ პაწაწკინა ჩვენს ლიტერატურის მოღვაწეთა და შეადარებ ამ გმირებსა, საკვირველ საქმეთ მიგაჩნია იმათი შრომა.

მაგრამ რა ღონისძიებით ასრულებდნენ ამ უშველებელ შრომასა, ეს ხომ თითქმის დასაჯერებელი არ უნდა იყოს, რომ თითო კაცს ამდენი რამ დაეწერა, ამდენი საქმე გაეკეთებინა? საქმეც ეგ არის, რომ ერთი აკეთებდა და ერთი

კი არ იყო. მადლობა ღმერთს, ისტორიული ფაქტი გვაქვს ნათლად ნაჩვენები, რომ ვახტანგ მეფე გარს იხვევდა მწერლებსა და ერთათ შრომობდნენ. «ქართლის ცხოვრების» წინასიტყვაობაში ცხადათ მოხსენებულია, რომ კაცები შეკრიბა ვახტანგმა, ისე შეამუშავა და დასწერა ქართლის ცხოვრება; შემდეგ როდესაც ვახტანგ მეფე გაიპარა რუსეთში, იქაც, შვილებს გარდა, თანა ჰყვანდა წარჩინებული მწერლები და ერთადა მუშაობდნენ ლიტერატურისათვის: სწერდნენ, სთარგმნიდნენ ერთად; ანტონ კათალიკოზსაც თანამშრომელები ჰყავდა (გაიოს, დავით რექტორი.) ამას ვერავინ იტყვის და დიდი შეცდომა უნდა ყოფილიყო, რომ დაგვემტკიცებინა, ვითომც წიგნს ვისიც სახელი ადეს, ის ნაწერი იმ მწერლისა არ იყოსო. არა. შრომა იმისი იყო, მაგრამ სრულიად უანგაროდ ერთმანეთს მასალას აძლევდნენ, რჩევას აძლევდნენ და ერთმანერთს უადვილებდნენ შრომასა. ამ გვარად არდგენდნენ თვითო მჭიდროს საზოგადოებას, რომლის ღონისძიებითაც ლიტერატურამ ისე

ფრთები გაიშალა. ეს ერთმანეთის შემწეობის ძალა და ერთად შრომის ძალა ძვალში და რბილში უნდა ჰქონოდათ ჩვენ წინაპართა, რომ ისე დიდხანს, მრთელის ოცის წლობით, ერთმანერთს არა შორდებოდნენ თვით უცხოობაში (ვახტანგთან) ყოფნის დროსა. ყოველი იმათგანი კარგათა ჰგრძნობდა, რაც გამოვიდოდა ერთმანერთის დაშორებისაგან. ნათლად გამოხატა გურამიშვილმა, ვახტანგის თანამედროე პოეტმა, ამ ერთობაზე ქართველების პირობა:

ჩვენ სულ დიდთა და პატარათ, ცხოვრება გვაქვნ-
დეს ძმურად;
დავსდგეთ, თუ სადმე წავიდეთ ერთად ვიძებნოთ
პურად.

ამ გრძნობითა და ამ აზრებით განმტკიცებული ხასიათის კაცები, რასაკვირველია, ისე ვერ იცხოვრებდნენ, რომ მართლა და სარგებლობა არ მოეტანათ თავის სამშობლო ქვეყნისა დალიტერატურისათვის.

ამ ფეარი შრომა გავრცელდა ქალაქის დაქცე-

ვამდის. მას შემდეგ 1850 წლამდის ჩვენ ლიტერატურას არ მოჰკლებია მოღვაწენი: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლაოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი, პლატონ იოსელიანი, სოლომონ დოდაევი, ანტონ კათოლიკოზის თანა მშრომელი დავით რექტორი (მეტი სახელით ცუკია) და სხვანი. ყოველი ამათგანი ჰსწავლობდა ქართულ მწერლების ნაწერს, ერთმანერთის თხზულებასა. მაგრამ ამათი ნაშრომი სამწუხაროდ საზოგადოებამდის ძლივს აღწევდა, მკითხველები ცოტა ჰყავდათ და ათასში თუ ერთი ახერხებდა იმათ ნაწერის გადაწერასა, თორემ სხვა ფრიე იმათი შრომა ძალიან ძნელად ვრცელდებოდა. ძველი სტამბა თითქოს გაქრაო და ხსენებაც აღარ იყო თვით 1830 წლამდის.

თვითოეული ამ მწერლებისა ცალკე, თითქოს, საზოგადოებისთვის კი არა, თავისთვისა სწერდესო, თავის თავის შექცევისთვისაო და თითქოს ის მნიშვნელობა ჩამოურთმეკია ლიტერატურისათვის, რაც ადრე მნიშვნველობა ჰქონდა.

ამ მნიშვნელობის შემე კნებული კაცი ისევე ძველი დროს კაცი ყოფილა ერთად ერთი, დავით რექტორი, რომელსაც ზრუნვა გაუწევია, და დიდი შრომა დაუდვია წიგნების გადაწერითა, და თხზულებაების გავრცელებითა. იმისი ხელნაწერი წიგნები დღევანდლამდის დარჩენილა მრავალი, თუ საღმრთო, თუ საერო და სასწავლებელი, რომელთაგან ზოგი ერთისათვის მიურთმევია, ზოგი მეორისთვის. (იმისი ნაწერი და გადაწერილი წიგნები 1793 წლითგან 1823 წლამდე რამდენიმე შეგვხვედრია და, ვინ იცის, მასწინათ და მასუკან რამდენი უწერია).

იმ დროს წიგნებში გვხდება სხვა და სხვა მწერლებისა: არითმეტიკა, ალღებრა, გეომეტრია, გეოგრაფია, ბუნების მეტყველება, ვარსკლავთმრიცხველობა, მსოფლიო ისტორია და სხვანი. ამ სასწავლებელ წიგნებს გარდა მრავალი თარგმნილი მოთხრობები, ანეკდოტები, ზღაპრები გვხვდება, მრავალი დიდი ვეებაერთელა რვეულები ლექსებისა, რომელნიც იმის დამწერს იქნება ერთ ადამიანისთვისაც არ წაეკითხებინოს.

რაც კი რამ არის დაწერილი 1850 წლამდის, მცირე არ არის და შეადგენს ვრცელს პერიოდს ჩვენის ლიტერატურისას, რომლის გამოკვლევა და განხილვა ძრიელ საინტერესო საგანს უნდა შეადგენდეს ლიტერატურის ისტორიის ცოდნის მოსურნეთათვის.

მაგრამ ამ ვრცელის დროს მწერლობამ მოუტანა რამ სარგებლობა ჩვენ ქართველ მკითხველებსა, თუ არა? არ ვიცით. ჩვენის აზრით, მაგდენი არაფერი, ამიტომ რომ პირველად არც ერთი მწერალი არა ცდილა, რომ თავისი ნაწერი დაებეჭდა. (ეს ალა მამად-ხანის ჩვეულება დღევანდლამდინაც მოგვდევს.) ყოველ ზემოხსენებულს მწერალს, რაც თითონ, ან სხვას უწერია, ისეთი მნიშვნელობა არ მიუცია, რო საზოგადოთ გამოსადეგი იყოსო, როგორც ნამდვილს მწერალს უნდა ესმოდეს. როგორც ზემოთა ვთქვით, თითო მწერალს ისე უწერია, თითქოს თავის გასართობათა სწერდესო, როგორც ჩონგურის დამკვრელი თავის გასართობათ უკრავს. საზოგადო მნიშვნელობა არა სცოდნიათ არც

ლიტერატურისა, არც ბეჭდვისა და არც თავის თავისა. ამაების გაგება შეადგენდა დიდს ღირსებას წარსული საუკუნის მოღვაწეთა და ეხლა კი ესე უკან უნდა წასულიყო მწერლობა. ამ საუკუნის დასაწყისის მოღვაწეთ რომ კარგა შემეცნებული ჰქონოდათ ლიტერატურის მნიშვნელობა, ისინი შეაერთებდნენ თავის შრომასა, მეცემდნენ ხელს ერთმანერთსა, გაშართაედნენ სტამბასა; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მომხდარა.

მხოლოდ ერთხელ თუ ორჯელ ყოფილა ცდა სტამბის გამართვისა; ერთ სტამბას ერქვა, «სტამბა გამომცემელის კომიტეტისა.» რა იყო «გამომცემელი კომიტეტის სტამბა», არ ვიცით. ჩვენამდის მოუღწევია ერთ დაბეჭდილ წიგნს (1830 წ. შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, გამოცემული სოლომონ დოდაევის მიერ) და რამდენსამე პირველ და უკანასკნელ ნომრებს გაზეთისას «ტფილისის უწყებანი» 1832 წლისა. იმ დროში მოისპო სოლომონ დოდაევის «ტფილისის უწყებანი.» ამ გარემოებას დიდი სამ-

წუხარო გავლენა ჰქონდა საზოგადოდ ჩვენს მწერლობაზე და თუ შემდეგ უწერიათ ჩვენს მწერლებსა, ზოგი სადა ყოფილა გადავარდნილი და ზოგი სადა, ერთმანეთს დაშორებული ყოფილან. ამ ერთმანეთისაგან დაშორებამ ის მოიტანა, რომ 1850 წლამდის ბეჭედის ჭაჭანება არსად არ იყო, ორიოდ წიგნის გამოცემას გარდა (პლატონ ჴოსელიანისაგან: ჩახრუხაძისა და შავთელის ლექსებისა 1838 წ., და იმისივე ლრამმატიკისა და ანბანისა).

იმ დროს კაცებში ერთი არავინ გამოჩნდა, რომ მიბაძვით მაინც მიებაძნა სოლომონ დოდაევისთვის, ან იმ გარემოებისთვის, რომლის შემწეობითაც ლიტერატურას წარმატება ეძლევა ხოლმე, ესე იგი გამოკემა ჟურნალისა, ალმანახისა, ანუ გაზეთისა ეკისრნა და ერთ წიგნში შეეერთებინა სხვა და სხვა მწერლების ნაწერი. ჩვენი საზოგადოება იმ მშვიდობიანს ახალს დროებში სრულიად მოკლებული იყო ბეჭედის ნაყოფსა და ისევ ისე, როგორც ვახტანგის გამართულ სტამბის წინათ ყოფილა, რო-

დესაც ყოველი უბრალო წიგნები უნდა გადაეწერათ, იმავ გარემოებაში დარჩა. თვით ანბანიც კი რა არის, ისიც კი თითქმის ყმაწვილს ხელ ნაწერზე უნდა ესწავლა. ამისთანა მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი მწერლობა, სტამბა და წიგნის საქმე.

1850 წ. იმ დროს კაცებისაგან ერთმა, გიორგი ერისთავმა, დასწერა კომედია «გაყრა», და იმავ წელს წარმოდგენა იყო. აქეთგან დაიწყო ახალი მოძრაობა ჩვენს მწერლობაში. ამ შემთხვევას დიდი მნიშვნელობა უნდა მივსცეთ.

რაში მდგომარეობს ეს მნიშვნელობა?

იმაში, რომ დიდის ხნის შემდეგ პირველად შეიკრიბნენ რამდენნიმე ქალნი და კაცნი, რომელთაგანაც ზოგნი იყვნენ მწერალნი, ქართულის ლიტერატურის მცოდნენი; შეიკრიბნენ იმ განზრახვით, რომ ერთად რამდენისამე საათის განმავალობაში, ერთის აზრით, ერთის გრძნობით, ერთის მიხვრა-მოხვრით, ერთის ყოველისავე წვრილმანობით, ტანისამოსით, ლაპარაკით, ყოველივე თავისი კაცურის შინაგანის

და გარეგანის მხრით—ერთი საქმე გაეკეთებინათ, ესე იგი წარჩოედგინათ ქართული საზოგადოების წინ ერთი ნაწერი, და იმისი გონება დაემყარებინათ ამაზე და გაერთოთ ერთათ შეკრებილი საზოგადოება იმავე საქმით, რომლისათვისაც გამოდიოდნენ წარმომადგენელნი. აქ წარმომადგენელნი და მაყურებელნი შ ე ე რ თ დ ნ ე ნ რამდენისამე საათით ერთულიად, ერთის გულით, ერთის სულით, ფიქრით, გრძნობით, თვალითა და ყოველის ნახრითა.

რალასაც დიდს და გამოუთქმელს ნახარესა ჰგრძნობს ადამიანი ამ კაცის თვისებაში, როდესაც ჰხედავს, რომ, რამდენიმე ასი და ათასი კაცი ერთ რასმე ჰფიქრობს, ერთს რასმე ჰგრძნობს, ერთ რასმე ჰხედავს, ისმენს, და მლერის, ერთსა და იმავ ჟამს, ერთსა და იმავ წუთსა. ეს ყოველთვის მაღალი და გამაბრწყინვებელი მხარე იქნება კაცის ბუნებისა. ეს წამნი არ არიან კაცობრიობის წინ წამყვანი წამები და ის ერნი არ არიან წინ წასულნი და ბედნიერებასთან დაახლოვებულნი, რომელნიც უფრო ხშირად

ატარებენ ამისთანა წამებსა? ვის მიჰყავს ყმაწვილი წინა? შკოლას.—რა არის შკოლა, თუ არ ისევ ის თეატრი, საცა ოსტატი აქტორია და ყმაწვილები თეატრში მსხდომარე მსმენელები? ეი შეკრებილ ხალხს აღტაცებით უქადაგებს ბეიდანზე ქრისტეს სარწმუნოების პირველი საუკუნეს მოქადაგე; აღტაცებულნ ერი ნუ თუ ამდროს არა სდგამს წინ გონებით და გრძნობით დიდ ბიჯსა; აი სარდალი ჯარის კრებაში გამხნევების სიტყვის მთქმელი, რომლისაც ძალი ჯარს ამხნევებს, სულს ჩაუდგამს ვაჟკაცობისას; აი ორატორი მოლაპარაკე და ზღვასავით ამაღელვებელი მსმენელებისა. დიაღ ეს წამნი არიან კაცის წინ წამყვანი წამები, ამიტომ რომ ამ წამებში კაცი უფრო ფხიზლდება, ბევრსა ჰფიქრობს და ძლიერადა ჰფიქრობს. ყოველს ამ წამში თვითოეული კაცი ჰგრძნობს თავის ძალას ყველა ძალაზე უძლიერესსა, ამიტომ რომ შეერთებულია სხვასთან. მაგრამ კაცი ცალკე დააყენეთ ისე, რომ თავის თავს მარტოდ ჰხედავდეს, და ნახავთ რა საბრალო, უსუ-

სურ, მხდალ და ულონო არსებად უნდა მიაჩნდეს თავისი თავი?

«გაყრის» წარმოდგენისაგან ეს ძალა უნდა ეგრძნო გაურკვეველად, ბნელად, ინსტინქიურად საზოგადოებას და ჩვენის ლიტერატურის მოღვაწეთა. და მართლადაც აღტაცება მეტის მეტი იყო ჩვენს ქალაქის საზოგადოებაში. ვინც შესწრებია ყმაწვილობაში მაინც იმ დროსა, არ დაავიწყდება, რა სასიხარულო ლაპარაკი იყო საზოგადოებაში, რასახით იტაცებდნენ ამაღ წელს დაბეჭდილს პიესას, რასახით ერთმანეთს უგზავნიდნენ და ზეპირად სწავლობდნენ ნაწყვეტ ადგილებსა! გიორგი ერისთავისთანა გმირი იმ ჟამად და თითქმის დღევანდლამდე არავინ ყოფილა ჩვენს მწერლებში. ეს აღტაცება იყო მიზეზი, რომ მალე «დავაც» წარმოადგინეს და შემდეგ სხვა და სხვა პიესებიცა. ბოლოს დაწესდა ქალაქის თეატრში ქართული სამუდამო ტრუპპა რუსულსა და იტალიანურ ტრუპპებთანა. დირექტორად ქართულის თეატრისა ერისთავი დანიშნეს.

ამ გვარად წაქეზებულმა ერისთავმა დააფუძნა ჟურნალი «ცისკარი» 1852 წელსა, გამოდიოდა მუდამ თვე ორის წლის განმავლობაში და სამის წლის დასვენების შემდეგ, 1857 წლითგან დღევანდლამდე გამოდის უფ. ივანე კერესელიძის რედაქტორობით.

«ცისკრის» გამოსვლა ჩვენის ლიტერატურის ბნელს ცაზე მართლა დილის წინა-მორბედს ცისკრის ვარსკვლავსა ჰგავდა. მუდამ თვე თითო დაბეჭდილის წიგნის გამოსვლა ისეთს იშვიათს საქმეს შეადგენდა, რომ აქამდის არავის ენახა. ყველა მოხუცებული და ყმაწვილი, კაცი და დედაკაცი, ამ გარემოებით აღტაცებული, უგზავნიდა ერისთავს და კერესალიძეს ლექსად და პროზად ნაწერს შესხმასა და ქებასა. ეს კაცები უუსაკვირველეს კაცებად მიაჩნდათ ჟურნალის გამოცემისა გამო; აქეზებდნენ, ამხნევებდნენ და ძმობრივის და თანამემამულის სიყვარულს უცხადებდნენ. აი ერთ პირველს ნომერთაგანში 1852 წ. ერთი ქალი, კ. ე. წ. რა «უსტარსა» სწერდა ბ. ერისთავს.

ბუნებით შენში ისილვება გონიერება,
უშიტეს ოდენ ის განსაცვიფრო ნიჭიერება....
შრომითა შენით ძალნი სულის ჩვენ განდიდებულ,
რომლისაგამო კაცთა შორის იქმენ დიდებულ.
არა რად მიგაჩნს, ჭრაცხ წერტილად გრძნობადსა
სოფელს,
ურიცხვთ ნივთებათ სხვა და სხვათა თვით კაცთ
საუოფელს,
შენ მაისწრაფი, სად დიდებას ჭშეიმოს ნამდვილს...
მაგრამ დააკვირდით მეტადრე ამ ადგილს.

დიდ ღონიანი შენის ჭკვრეტით განკვირდებიან,
და ვით უსმონი შენს წინაშე დადუმდებიან;
გისილვენ იშვითს ფენომენსა, სრულს ორატორსა,
ამ საუკუნეს ვერ ჭეოებენ შენს თანასწორსა.
ესრეთ სარისს ხედ აღწევნილი აღმაღლებული
ილწვი მიჭვინო სხვათაც ცნობის ნათელი გულსა.

ამ გვარ ქებას კერესელიძესაც ბევრს უძღვნიდნენ პირველს წლებში და ეს საკვირველად არ უნდა მიგვაჩნდეს.

აქამდისინ დაფანტული ოხზულებაები ჩწერ-

ლებისა მკითხველს დაბეჭდილი წარმოუდგა თვალწინა, ერთად, შეგროვილი თითო წიგნში. ძველს საყვარელს თხზულებაებს აქ ხედავდნენ დაბეჭდილს და აღტაცებით უყურებდნენ, რომ უკუნითი უკუნისიმდე ბეჭდვის წყალობით დარჩებოდა უკვდავად და ისე არ დაიკარგებოდა და აღიხოცებოდა, როგორც ბევრს მწერლის თხზულებას მოსვლია. მწერლები ამ ბეჭდვით იმედ მიცემულნი იყვნენ, რომ მათი შრომა ტყვილად არ ჩაიკლის და ქამთა-ვითარება იმათს ნაწერს არ წაშლის. ახალს მწერლებსაც მოჰქონდათ თავისი ნაწერი და დგებოდნენ ძმურათ იმავ რაზმში, სადაც იდგნენ ჩვენი გათქმულნი მწერალნი: საცა ვახტანგის და თეიმურაზის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და ნიკოლაოზ ბარათა შვილის თხზულებანი იბეჭდებოდნენ, იქვე იბეჭდებოდნენ ახალი მწერლების თხზულებანი; აქვე იბეჭდებოდა უცხოენისაგან გადმოთარგმნები. ეს ყველა შეადგენდა ახალს უწყებას, ახალს პატივცემულს ამ-[illegible], ქვეყნის სასარგებლოდ გამოსულსა და

მშრომელსა. ყოველ მწერალს ეს გარემოება აქეზებდა და თავის თავს სალიტერატურო უდაბნოში მარტოდ არა ჰგრძნობდა, როგორც ადრე. აქ ერთმანერთის ნაწერსა ჰბაძავდნენ, ერთმანერთს ამხნევებდნენ, აქეზებდნენ და ახალისებდნენ. მკითხველს შეეძლო ადვილად წაეკითხა, რომელი მწერლის თხზულებაცა ჰსურდა; ისე ალარ უძნელდებოდა რომლისამე ახალად დაწერილის წაკითხვა, როგორც ადრე. მწერალსაც ადვილად შეეძლო თავისი ნაწერი წ-ეკითხებინა ხალხისათვის, ოლონც კი ნაწერი მიეტანა რედაქტორთან. ამ გვარად მოხდა ბეჭდვითი დაახლოება მწერლებისა, რომელნიც აქამდინ გაფანტულნი იყვნენ. ამაევ ბეჭედის მადლით მკითხველიც მწერლებს დაუახლოვდა.

უფრო დაკვირვებით დავხედოთ შინაგანს ერთობასა მწერლებისას და ჟურნალის რედაქტორისას. რაც ზემოდ მოვიხსენეთ მწერლების ერთობაზე, ეს მხოლოდ გარეგანი ერთობა იყო. მწერლებს თავისის თხზულებით სრულიად არ ეტყობათ, რომ ისინი შეერთებულიყვნენ წერი-

სათვის ანუ ჟურნალის გამოცემისათვის. გიორგი ერისთავი და შემდეგ ივანე კერესელიძე ერთად ერთნი ადგნენ ჟურნალსა, ყოველივე შრომა იმათ აწვათ კისერზე *) და მწერლების მონაწილეობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ როდესაც მოისურვებდნენ და რასაც მოისურვებდნენ, მაშინვე პირდაპირ მიუტანდნენ რედაქტორსა დასაბეჭდათ. მწერლებში სრულიად არავის არა ჰქონია მუდამი თანამშრომელობა არა თუ მარტო სტატიების ბეჭდვით, არამედ

---

*) აქ საჭიროდ არა ვრაცხთ მივაპყრათ ყურადღება, რა განსხვავება იყო ერისთავისა და კერესელიძის გამოცემულ «ცისკრებში». კერესელიძის ჟურნალში მეტადრე პირველ გამოცემის დროს დიდი შრომა დასდვა განსვენებულმა ალექსანდრე კასტანგის ძემ ბ. ორბელიანმა. «ცისკრის» განასლება იმისი მოშოდაწეობაა; მაგრამ რადგანაც აქ უფრო საზოგადოდ ჟურნალებზე ვლაპარაკობთ, იმ ტომ ალექსანდრე ორბელიანის ფრიად შესანიშნავ შრომაზე არას კამ-
ბეობთ.

უბრალო რჩევით და რედაქტორის შრომაში რომლისამე მონაწილეობის მიღებით. რაკი რედაქტორი ერთი იყო და ყოველი შრომა იმას აწვა, რასაკვირველია, რომ ჟურნალს ის ძალა არ ექნებოდა, რაც უნდა ჰქონდეს ყოველ ჟურნალსა.

დედა მიწის ზურგზე, ვგონებ, იმისთანა აზრისანი არსად არ იყვნენ ჟურნალის გამოცემაზე, როგორც ჩვენში არიან იმ თავათ ამ თავამდინ რედაქტორებიც და მწერლებიც. იმათ ასე ჰგონიათ, თუ რედაქტორი კარგია, ჟურნალიც კარგი იქნებაო. საქმით კი სულ სხვა გამოვიდა. «ცისკარში» იბეჭდებოდა ყოველ გვარი თხზულება, რომელთაგან მრავალი სრულიად ყოველსავე ლიტერატურულ ღირსებას იყო მოკლებული; არა ვითარი ღირსება არა ჰქონიათ თუ შინაგანი, თუ გარეგანი. ამის მიზეზს არ უნდა მივაწერდეთ მირტო რედაქტორის გემოვნებას, უნიჭობას, კრიტიკულის მხედველობის უქონლობას, არამედ იმას, რომ ერთი კაცის ხელთ იყო ყოველივე საქმე. რატო იმ გარემოებას

არ უნდა მიეაქციოთ ყურადღება, რომ იქნება დროც არა ჰქონდა კარგათ გაეშინჯა თხზულება, ან იქნება სტატიებიც შემოაკლდა. ბოლოს შეიძლებოდა ისიც ყოფილიყო, რომ მართლა რედაქტორი მარტო თავის გემოვნებას ემყარებოდა, რომელსაც ხშირად სასტიკს საზღვარს ვერავინ განუსაზღვრავს. ეს ყოველთვის ასეა, როდესაც ერთი რამ საზოგადო საქმე მუდამ ჟამს ერთის კაცის გონებას და გემოვნებას ემყარება.—1859 და 1860 წელში გამოჩნდა მწერლებში რამდენ ჯერმე სურვილი, რომ ჟურნალის საქმე კარგად წაეყვანათ რამდენსამე მწერალს, მაგრამ ეს უფრო სურვილად დარჩა და იქნება რამდენსამე ნომრის გადახედვას გარდა, სხვა შრომა არა ყოფილიყოს რა. ეს არ ვიცით, ვისი ბრალი იყო: მწერლებისა, თუ რედაქტორისა ან თუ ორთავე ერთად. და ვის კი ვიცით, რომ ეს ერთად შრომა მალე იშლებოდა და ისევ ისე ძველებურად ერთი კაცის შრომით გამოდიოდა ჟურნალი.

აი კიდეც ამიტომ ისე მდორეთ მიდიოდა

ჩვენი ლიტერატურის მღვრიე ნაკადული და ჩალა-ბულას მიაქანებდა მკითხველისადმი. მართალია ამ მოტანილ ნარკვევში მარგალიტის მარცვლებიც კარგათ განირჩეოდა, მაგრამ ნარკვევი მეტი იყო. მკითხველს დაწაფებაზედვე ეძინებოდა ამ ნაკადულის წყლის სმისაგან. რა არ იბეჭდებოდა მაშინ, ღმერთო ჩემო! ცრუ-პენტელა გონების დამაძინებელი ზღაპრები, მოთხრობები, ლექსები, ყოველ გვარი და ყოველ ფერი, წერილები ერთმანეთის ქებისა ხომ რალა. ამასობაში კრიტიკული არა ვითარი მხედველობა არა სჩანდა, და კრიტიკა ლანძღვად მიაჩნდათ იქამდინ, რომ წარსული საუკუნის მწერლებს სრულიადაც ვერ დაედრებოდნენ ჩვენი მწერლები. გურამი შვილის ლექსები მაგონდება, როცა შევადარებ იმ დროს კრიტიკასა:

მართალია, მძრასველს ძრახვა თვით კი ავად მოუსდების,
მაგრამ ფარგა სიავისა ქვეყანასა არ შოუსდებისა!
წამსდენელთა და მსაძველთა კიდევ ხსვაც რამ წუსდებისა;

ძრასკვაკე სჯობს საძრასკვათა, ძრახვას კაცი მოუ-
თეთხების.

მერე დაუმატებს თავის თავის შესარცხვენადა

რად გეშინის მართლის თქმისა, ფუ, შენ ჩემო
ულვაშ-ბიდო!

სჯობს ტყუილის თქმასა მართალი და

გაზის მრგვალთან ასარ გაქო, ვინც მის ნაცვლად
ძეძვი დარგო,

მაზედ სული არ წაგწყმიდო, რაგინდ ხორცით
დაგიკარგო.

შევადაროთ ამ სიტყვებს, რაც უწერიათ ჩვენს
მწერლებს კრიტიკის თაობაზე. ავიღოთ მაგა-
ლითად 1858 წლის «ცისკარი» № 10, «მოლაყ-
ბისადმი» უფ. ი. ბერიძისა. დასაწყისში ავტო-
რი ამბობს, რომ როგორც მამულის შვილი
«იძულებულ ვარ აღვამაღლო ხმა და წარმოვ-
სთქვა აზრი ანუ თუ მგრძნობელობა ჩემი, რო-
მელიცა მიგიღე კითხვისა ჟამს იმა (სალაყბოს)
ფურცლებისასა; მაგრამ კი ვიმედოვნებ, რომ
ამგვარისა კადნიერებისათვის არ ვიქ-
ნები შერისხულ თქვენგანაო.»—და ნეტა

იცოდეთ, რა არის საწყენი? ამ სტატიაში მოლაყბესა სთხოვს მომავალისათვის იშრომოს და სხვათა შორის დაპირებული ამბავი იტალიანურის ოპერისა მოუთხრას მკითხველსა. ამ სტატიას ეს სხოლიო აქვს რედაქციისაგან:

ამ სტატიასა დიდის კმაყოფილებით ვბეჭდავთ, გარნა უკეთუ მთხზველს ჰასუსი მისცა უ. მოლაყბემ, მაშინ ნუ დაგვემდურება უფ. ბერიძე. ადრეც გვიცნობია საყვარელთა «ცისკრის» მკითხველთათვის და ახლაც ვიცნობთ, რომელ ეოველსაგე სტატიასა ვბეჭდავთ სისარულით, უკეთუ არ იქნება კანონის წინააღმდეგი.

ამ გვარი აზრი ჰქონდათ მწერლებსაც და რედაქტორსაც. იმ ჟამად თვით ილია ჭავჭავაძემ თავის კრიტიკულ სტატიაში (ორიოდე სიტყვა თ. რევაზ ერისთვის შეშლილის თარგმანზე. ცირკ. 1861 წ. აპრილი) თითქოს ბოდიშს იხდიდა თ. ერისთავთანა, «იქნება გვიწყინოს ეს პირმოუფერებელი სტატია; არა გვგონია.»

კრიტიკა, რომელიც განმაცხოველებელი სულია ყოველის ჟურნალისა, ამ გვარს მდგომა-

რეობაში იყო იმ დროსა. რალა მოგვეთხოვება სხვა ნაწერების ღირსებისაგან? ერთ გარემოებას შეეძლო მდგომარეობის გასწორება: რედაქციაში რომ რამდენიმე კაცი შეერთებულიყო; მაგრამ, როგორცა ვთქვით, ეს ამბავი ვერ მოხდა.

უგემურობამ იქამდინ მიაღწია, რომ ველარ შეიძლებოდა იმაზე უაზრო წერა, როგორც აქამდინ იყო. მკითხველებს მობეზრდათ სულელური სტატიების და ლექსების კითხვა, ახალგაზდა მწერლები რუსულის ლიტერატურით და სწავლით გახსნილნი, ჟურნალისაგან მეტს ითხოვდნენ; იმათ უნდოდათ, რომ თხზულებაები უფრო არჩევით ებეჭდათ. ეს იყო ახალი მიმართულების მოძრაობა ჩვენის ლიტერატურისა.

ეხლა რომ წაიკითხოთ ზემოხსენებული კრიტიკული სტატია ილია ჭავჭავაძისა, გაგიკვირდებათ, ასე რათ უნდა გაეცხარებინა ჩვენი მწერლები ამისთანა მშვიდობიანის ვულით ნაწერსაო? ეს სტატია აძაგებდა თარგმნის ენასა და ერცლათ ლაპარაკობდა კაზლოვის უმნიშვნელობაზე რუსეთში და გამოუდეგრობაზე ჩვენ-

თვისა. მაშასადამე აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ დასაბეჭდავათ მარტო ის კი არა კმარა, ქართული ასოებით რომ იყოს ნაწერიო, არამედ შინაგანი და გარეგანი ღირსებაც უნდა ჰქონდესო. რასაკვირველია, «ცისკრის» იმ მწერალთ სიმრავლეში ბევრი არ გამოჩნდებოდა ამ სამართლიანის მოთხოვნილების ამსრულებელი, და რასაკვირველია ძალიან უნდა სწყენოდათ, რომ იმათ ღვაწლს ამაო ღვაწლათ აგდებდნენ. მოჰყვნენ კრიტიკულ სტატიების წერას და აბა ჰა. სრულიადი უმეცრება ჩვენის მწერლებისა აბა რომ მაშინ გამოჩნდა აი.

ამ გვარად ჩვენმა მწერლობამ ერთი ნაბიჯი წინწასდგა და 1863 წელს დაიწყო გამოსვლა ახალმა ჟურნალმა «საქართველოს მოამბემა».

«მოამბის» გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში შეესანიშნავ მოვლინებად დარჩება სამუდამოდ. მკითხველმა საზოგადოებამ პირველადა ნახა და შეიტყო, რა არჩევით უნდა იბეჭდებოდეს ნაწერი, რა სიცოცხლე უნდა ეტყობოდეს ნაწერსა და როგორ უნდა ელაპარაკებოდეს მწერალი

მკითხველსა. განსხვავება «ცისკარსა» და «მოამბეში» დიდი იყო. ერთი თითქმის არაფერს არ აფიქრებინებდა მკითხველსა, უფრო აძინებდა; მეორე კი აფხიზლებდა, სხვა და სხვა აზრებს ჰბადებდა მკითხველის თავშია და გასაგონის სიტყვით აგრძნობინებდა გულსა.

ილია ჭავჭავაძემ მისცა ამგვარად ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურასა. იმის კრიტიკულ სტატიამდინ არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურისა ანუ კაცისა 1).

რაკი ახალ საფუძველს უნდა დამყარებოდა ჩვენი მწერლობა და მწერლები, ამისთვის, რა საკვირველია, არ შეიძლებოდა, რომ სხვა მხრითაც ჟურნალი ისევ იმ საფუძველზე ყოფილიყო, ესე იგი მრთელი შრომა ჟურნალისა ერთ კაცს გაეწია. ეს ორივე მხარე ერთმანერთთან არის შეკავშირებული და ამისგამო ჭავჭავაძეს უნდოდა შეეერთებინა რამდენიმე კაცის შრომა

1) თვით ამ სიტყვის შემოღება, «მიმართულება», ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ერთადა, ისე იმ გვარად როგორც რუსეთში და ევროპაში შრომობენ ჟურნალ-გაზეთებისათვის, აი, ამისთვის «საქ. მოამბის» გამოცემის განცხადებაში იყო მოხსენებული, რომ «ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლაოზ ლოლობერიძემ, სხვადასხვა ამბავისა უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლიურ ეკონომიისა უფ. ივანე სერებრიაკოვმაო.» ამ გვარად რამდენიმე კაცი ერთად აპირობდა მუდმივ შრომასა. ამ გვარად ჟურნალს გარს უნდა მოხვეოდნენ ლიტერატურის კეთილ მოღვაწენი და ერმანერთის შემწეობით და თანა მშრომლობით ლიტერატურა დაეყენებინათ ღირსეულს ხარისხზე.

ჩვენ ზემოთა ვთქვით, რომ არც ერთი რედაქცია, არც რუსეთში და არც ევროპაში არარის, რომ გარს ხალხი არ ერტყას. ყოველს რედაქციასა ჰყავს წრე, ამხანაგობა, მწერლებისა და აგრეთვე არა მწერლებისა. ამათგანი ზოგი წერითა შრომობს, ზოგი რჩევას აძლევს, ზოგი ხალხში გავრცელებისა და მოფენისათვის იღვწის

და ზოგი ნივთიერის ლონისძიების მოპოვებისათვის. მოვიგონოთ მაგალითად, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსულ ლიტერატურაში სტანკევიჩსა. როდესაც პირველ რუსის კრიტიკოსზე ბელინსკზეა ლაპარაკი, არ შეიძლება რომ სტანკევიჩიც არ მოიგონონ, თუმცა კი არა დაუწერია რა. იმას გარს ერტყა წრე ახალის მწერლებისა და დიდი გავლენა ჰქონდა იმათზედა. ეს წრე სამეცნიერო და სალიტერატურო საგანს ერთათა სჯიდა, სწავლობდა, არჩევდა, ამ სწავლას და აზრებს საკუთარის ჟურნალით ავრცელებდა. სტანკევიჩი ახალი თაობის კაცებს ამ გვარად აკავშირებდა, და მჭიდრო წრე შეადგინა. სალიტერატურო საგანზე ლაპარაკს სანაზმკითხველნი ლიტერატურაში წაიკითხავდნენ, რამ დენისამე წლის წინათ ამხანაგებთან ლაპარაკით და წიგნების მიწერ-მოწერით ავრცელებდა სტანკევიჩი. ამ წრეს ეკუთვნის პირველი ადგილი რუსული ლიტერატურის წინწაყვანის შრომაში. შემდეგში კიდევ სხვა წრე გაიმართა და ორივ ერთათ შეერთდა 1841 წელსა გრანოვსკისა და

ოგარევის შემწეობითა. მრთელი რუსული ლიტერატურის უნიჭიერესი მწერლები ამ შეერთებულ წრეში იყვნენ. 1) ამ წრეს ჟურნალი იყო «*Отечественныя Записи.*» არასდროს ისეთი ჟურნალი არ გამოსულიყო რუსეთში, როგორც ესა; გაამრავლა მკითხველები, გაავრცელა მრთელს რუსეთში ახალი აზრები და აღზარდა რუსეთის ახალი მწერლები და ახალი თაობა.

ამ გვარი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგობის შედგენასა რუსეთის საზოგადოებისათვის და რუსული ლიტერატურისათვის.

ვინც ეს გარემოება იცის, რასაკვირველია, რომ უპირველესს საქმეთა სთვლის ქართულის

---

1) გრანოვსკი, ბელინსკი, გერცენი, გალასოვი, კატკოვი, კავტრარი, კორში, კუდრავცევი, ოგარევი, ალუჩნიკოვი, ალტოვი, ანენკოვი, გრიგოროვიჩი, კაველინი, კრასებერგი, გ მილიუტინი, ნეკრასოვი, პანაევი, ტურგენევი, და სხვანი ბევრნიცა. სტენკევიჩი ამ შეერთებიდან მოკვდა და ლერმანტოვი თუმცა ეკუთვნოდა, ამ წრეში არ იყო, რადგანაც კავკასიაში სცხოვრობდა.

ლიტერატურისათვის შეერთებულ შრომასა, და ამისაგამო «საქ. მოამბის» რედაქტორის აზრის ასრულება დიდი ღვაწლი იქნებოდა ჩვენთვის. მაგრამ, ჩვენ და საუბედურობ, იმისი აზრი დღევანდლამდე აზრათ დარჩა და ასრულება არ მიეცა.

თვით «საქართველოს მოამბე» ამ აზრის აუსრულებლობისაგამოთ მოისპო. წრე ვერ შესდგა, ის მწერლები რომელნიც აღტაცებულის გრძნობით გარს ეხვივნენ პირველს დროში ჟურნალსა, ნელ ნელა გაიფანტნენ, გავიდნენ ზოგი ადრე, ზოგი გვიან იმის დაგვარათ, აღტაცების ცეცხლი ვის როდის უქრებოდა. არამც თუ წრეს ჩამოეცალნენ, არამედ იმ მწერლების ხსენებასაც აღარსადა ვხედავთ ლიტერატურაში, ისე გაქრნენ

ვითარცა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი.

გადარჩა მხოლოდ თვით რედაქტორი.

გულს ეწუხება, როდესაც აგონდება ჩვენი მწერლობის ვითარება, რომ 1863 წლითგან ეს

გარემოება რჩება ასე აუსრულებლადა და ლიტერატურა ისევ იმ ძველ საფუძველზე დგას, როგორც წინათ იყო. განსხვავება იმაშია, რომ სტატიები უფრო შინაგანის ღირსებისანი არიან. მაგრამ ეს გარემოებაც ყოველთვის ასეა? გკითხავთ ყველა მწერლებსა. აბა დაფიქრდით: არას დროს არ შეგცდენიათ მეტი, უსარგებლო და უაზრო ნაწერი მიგერთვათ მკითხველისათვის?

— რაქვნათო, რომ საფანელი შემოგვაკლდებაო.

კიდეც ეგ არის, რომ მარტო თქვენი თავის იმედი გაქვთ. იმედი კარგი რამ არის, საჭიროა; მაგრამ თითოს რა შეგიძლიათ, თუ კი გვერდით მუდამ ამხანაგი არ გეყოლებათ? რაც უნდა განათლებული გონება გქონდესთ, რაც უნდა მშრომელი იყოთ, რაც უნდა კეთილი განზრახვა გწადოდესთ, უძლურები ხართ მარტონი. როგორ არ უნდა ესმოდეს ეს გარემოება ამდენს ხანს, ამ ათი წლის განმავლობაში, დაწინაურებულ კაცსა, განათლებულ კაცსა, რომელიც ხშირად, იქნება, ვრცელს და უუვრცელესს სტატიებს

გვიწერს შეერთებულ შრომაზე, მწარმოებელთ ასოციაციაზე, ამხანაგობაზე, არტელზე, კომპანიებზე და სხვანი, და სხვანი, და სხვანი? აი, აქა სჩანს აზრებისა და საქმის განყოფა, ერთმანერთთან მოუთავსებლობა. ნუ თუ ასე გაუხსნელები არიან ჩვენი მწერლები? სჩანს რომ ასეა.

სჩანს, რომ აქამდინ ვერ მოუხერხებიათ ორ სამ კაცზე მეტი შეიერთონ რედაქციის წრეში რედაქტორებმა, და თვით მწერლები ისეთები არიან, რომ ვერ მოუხერხებიათ თვითონ შეუერთდნენ იმათა. ნუ თუ იმდენი არ ესმით, არ უყვართ, არ აფასებენ ლიტერატურის ბედსა, რომ ასე დაქსაქსულან და ყველა თავის კუთხეში მიმჯდარა?

შარშან «მნათობში» ლაპარაკობდნენ, რომ ჩვენს ლიტერატურაში პარტიები სდგებაო; ამის გამოისობით წუწუნებდნენ. ჰ, რა საქმის გაუგებრობაა! პარტიების შედგენა მოასწავებს საკუთარის აზრების ქონვასა, რომლისათვისაც კაცები ერთდებიან. ამისთანა მოვლენა დიდად სასიხარულო პროგრესს უნდა მოასწავებდეს ლიტერატურაში. საცა გინდა და-არ გინდა დარეინდა

სპენსერს წამოსჩხირებენ და ის დარვინის და სპენსერის აზრები დაავიწყდათ, რომ ყოველი პროგრესის ნიშანი და თვით პროგრესსი მდგომარეობს განსხვავების აღმოჩენაში (დიფფერენტივობაში). მაგრამ ეს აზრი პარტიების შედგენაზე ტყვილია, სად არის მართლა პარტიები? არიან თითო ოროლა კაცნი, რომელთაგან ზოგი აქა კუნტია და ზოგი იქა. აქ პარტიები კი არ არიან აზრებისა და საქმისათვის ერთმანერთთან მებრძოლნი; აქ არიან ჭორებისათვის მებრძოლნი, ორიოდ მნიშვნელობას მოკლებულ აზრების გამოთქმისა და დაცვისათვის მებრძოლნი, ფელეტონის ოხუჯობისათვის მებრძოლნი და არა ნამდვილ კრიტიკის საფუძველზე მებრძოლნი. პარტიები რომ ყოფილიყო, უეჭველად წრეები გამოჩნდებოდა და მაშინ ესე წვრილმანი ლაპარაკი არ იქნებოდა. ისინი დაადგებოდნენ უმთავრესს საგანსა და ბოლომდინ გაჰყვებოდნენ. ჟურნალ-გაზეთის საქმეც სულ სხვა რიგად წავიდოდა.

ჟურნალ-გაზეთები კი «ცისკრის» კვალობაზე მიდიან და თავის მოუხერხებელ საქმეს მკა-

თხველებსაბრალებენ. უფროსი ერთად ის აზრი აქვთ, მკითხველები ცოტა გვყავსო. ეს მართალია, მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ: საქმის გამკეთებელზე არ არის დამოკიდებული მუშტრის შოვნა? ვინა ცდილობს თავის საქონლის გასაღებას, ხალხში მიტანას, თუ არ თვით ხელოსანი და ვაჭარი? ალებ მიცემის კაცი რომ თავის საქონელს მოუჯდეს და დაუწყოს ჩივილი, წუწუნი და ყვედრება ხალხსა, საქონელს არ ყიდულობთო, ვისი ბრალია, იმისი გაუმჭრიახობისა, თუ ხალხისა? უფრო კარგა დაკვირდით: ხელოსანი და ვაჭარი მარტო ხელი ერთად ერთი სად გინახავთ ხელოვანი საქმის ბატონი, არა-რომ იმას კაცები, ამხანაგები ჰყავს, რომელნიც ერთმანერთის ხელის შეწყობით, შემწეობით ერთად ანგარიშების გამართვით იქმენ საქმესა? ლიტერატურის საქმეს უფრო მრავალი მხარე არა აქვს? ვიდრე ხელოსნობას და ვაჭრობასა? (ვაჭრობა და ხელოსნობაც ლიტერატურის ერთი 'შემადგენელი საქმეა. მაგალითად ვაჭრობა წიგნებისა).

ჩვენმა მწერლებმა მგონია კარგა უნდა იცოდნენ, რომ მწერლობა წინ მიდის ხუთსა და ექვს წელიწადს კი არა, მრთელი ათი და ოცი წლები უნდება, რომ ერთ რამ შემადგენელი საქმე ლიტერატურისა კარგა გაიმართოს; იმასაც მუდმივი, შეუწყვეტელი და დაუძინებელი შრომა უნდა. აბა მოდით და იფიქრეთ? ერთი რედაქტორი და თითო ოროლა კაცი განა წინ წაიყვანს ამისთანა მძიმე საქმესა. რაც უნდა თქვათ კაცის მშობელობაზე, კაცს ღონე ელლება, დასვენება უნდება, დრო უნდა წერასა; ამას გარდა საკუთარი თავის რჩენის ზრუნვა აწუხებს, (ლიტერატურა ჯერ იქამდინ არ გაკეთებულა, რომ მწერალი არჩინოს); მწერალს აგრეთვე ეჭირება მუდამ თავის თავის განსწავლა და ხშირად კითხვა წიგნებისა და სწავლა საგნებისა, რომ მასალა არ გამოელიოს, ან გაიხახლოს, რომ მუდამ ფხიზლად დარჩეს. გკითხავთ: შესაძლებელია ერთსა და ორ კაცს ამისთანა შრომისაგან, როდესაც ჟურნალ-გაზეთს მარტო ადგია, რომ ნიჭის ძალი არ შემოაკლდეს, ჯა-

ნის სიმრთელე არ შემოაკლდეს, ხასიათის მედგროობა არ მოაკლდეს და ერთის სიტყვით შეიძლება რომ ზნეობითი, გონებითი, ფიზიკური და ყოველგვარი ღირსება დაიცვას კაცმა?

ეხლა გესმისთ თუ არა, რა არის კაცების შეერთება ერთ ანხანაგობად, ერთ უღელში შებმა, ერთის ტვირთის გასაწევათა.

იქნება მითხრათ: რა სულელები გგონია მწერლებს, განა ეგ ქადაგება, რომ არ წაიკითხო არავინ იცისო?

როგორ გიპასუხოთ იციან, მაგრამ თითქოს უფრო არ იცოდნენო.

სჯობია, აქ ისევ მოვიხსენოთ, რაც ყოფილა და გვინახავს წარსულს დროებში. ერთი რიმლისამე ჟურნალის ახლოს, ვთქვათ, შესდგა რედაქციის ამხანაგობა. როგორი ერთობა ჰქონიათ მწერლებსა და რა კაცები იყვნენ ამის შემადგენელ ნი? პირველად, რასაკვირველია, რომ ერთი განსაზღვრული აზრი და სურვილი უნდა ჰქონოდათ ლიტერატურის შესახებ. რაკი ერთ აზრი და სურვილი მართლა და კარგად განსა-

ზღვრული ექნებოდათ, რასაკვირველია უპირველესს საქმეში თანხმანი უნდა ყოფილიყვნენ და მცირე საქმეებზე კი სხვა და სხვა აზრის მქონებელნი საზოგადო წრის აზრს უნდა დამორჩილებოდნენ. ყოველი წევრი უნდა ყოფილიყო გამჭრიახე და საქმის მკეთებელი და არა მარტო მოლაპარაკე და აზრების მღეფველი დოყლაპია. უნდა ყოფილიყო თანასწორობა ერთმანერთში, პატივისცემა ერთმანერთის აზრისა, ერთმანერთის პიროვნობისა; აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა ლაპარაკს ჩემ ტვინზე და შენ ტვინზე. აქ არ უნდა ყოფილიყო მბრძანებლობა ერთის მხრით და მონობა მეორეს მხრით. აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა წყენას, როდესაც ნაკლულევანებას უჩვენებდა კაცი, თუ პიროვნებითს, თუ საზოგადო აზრის შეცდომილებას; უნდა ყოფილიყო სურვილი ყოველის ნაკლულევანებისაგან გამოსვლისათვის და არა თავის-თავის შეუცოდებლობის დაჭინება. აქ ბუტიობას, შემოწყრობას, ჭორს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. მარტივის, ყმაწვილურის ერთ-

გულებისა საზოგადო აზრისადმი, ერთმანერთის პატივის ცემისა, სიყვარულისა და ძმობრივის გრძნობის მეტს სხვას გრძნობას რა ხელი უნდა ჰქონოდა, წვრილმანს თავმოყვარეობას აქ რა ხელი უნდა ჰქონოდა?

მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ იყო ხოლმე და სრულებით წინააღმდეგი ამბავი ჰხდებოდა. წევრები ხშირად სულ სხვა და სხვა აზრებისანი იყვნენ, უზრუნველები, შრომას შეუჩვეველნი, წვრილმანი თავის მოყვარეობისანი, ანუ პატივის მოყვარეობისანი. თავ კაცებს თითქოს ყოველივე ეს თვისება აკლდათ, რომელიც აერთებს და მჭიდროდ აკავშირებს თანამშრომელებს ერთმანერთთან; თანამშრომელნიც ამავე თვისებას მოკლებულნი იყვნენ სრულიად, და რასაკვირველია, რომ ყველანი თავ-თავისაკენ იწევდნენ, სანამ თავ-თავის ბუდეებისაკენ გაფრინდ გამოფრინდებოდნენ.

ამ თვისების კაცები ჰგრძნობენ, რომ კარგი იქნებოდა, წრე ყოფილიყოვო, რომელსაც ეკუთვნებოდა რედაქცია, ზოგჯერ კიდეც სცდი-

ლობდნენ შედგენას, მაგრამ რაც ზემოთ თვისებაები ჩამოვთვალეთ, იმ თვისების კაცები განაწრეს შეადგენენ როდისმე? წრის შესადგენათ ხომ უეჭველი საჭირება იქნებოდა, რომ ყოველი წევრი მომზადებული ყოფილიყო საკმაოდ, თუ სწავლითა და თუ გონების გახსნითა. აგრეთვე აქ საჭირო იყო ის ზნეობითი მხარე, რომელიც მარტოდ ერთია, მეტადრე ჩვენში, კაცის წინ წამყენებელი თვისება: ეს არის ის დაუძინებელი შრომა კაცისა თავის თავის ხასიათის გაუმჯობესობისათვის, თავის თავის წინ წაყვანისათვის და მუდამი სურვილი და შრომა, რომ თავიდგან მოიშოროს ყოველი ნაკლულევანება, რაც ალზდით შეჰყოლია, ან ჩვეულებრივ ცხოვრებაში მიუღია. წრეში რო შევა კაცი, რასაკვრველია, იქ ვინმე გამოჩნდება და უჩვენებს ნაკლულევანებას, იმის პიროვნობისთვისაც და საზოგადო საქმისთვისაც მავნებელსაც; თუ ეს თავის თავის ნაკლულევანებისაგან დახსნის სურვილი არა აქვს კაცსა, მაშინვე აიბრუზება, გაიბუტება და ამ ნაკლულევანების ჩვენებას თავის თავის

უპატიურობად მიიღებს. ამისთანა მხედველობის პატრონი ეცდება ამ გაუპატიურებისათვის ჯავრი ამოიყაროს, ან კიდევ თუ ჯავრს არ ამოიყრის, გულში მძიმეთ ჩაიჩნევს. ბოლოს ამ გვარს ერთმანერთის ბუზღუნში და ცილობაში რასაკვირველია უნდა გაიფანტნონ ერთმანერთისაგან.

ეხლანდელის თავობისაგან შეიძლება მოველოდეთ წრის შედგენასა? როდესაც დაწინაურებული კაცები ეს ადგანან საზოგადო საქმესა, ამ გვარის თვისებისანი არიან, და როდესაც იმათს სიზანტესა და უშრომლობასა ვხედავთ, განა შეგვიძლია მოველოდეთ იმათგან წრის შედგენასა?

აი ასე ეხლანდელმა თავობამ ვერ მოახერხა და ვერცა სცნა საჭიროება წრის შედგენისა თავის თავდაუდებლობისა, გაუმჭრიახობისა და ზემოხსენებულ თავის თვისებისაგამო. ვინც უფრო მშრომელი და საზოგადო საქმის (საკუთრად ლიტერატურის) წინ წაყვანის მოწადინე იყო ამ თავობაში, რა კი ნახეს დანარჩენების უქნე-

ლობა, იმათ თავი დაანებეს და მოისურვეს ცალ ცალკეობით თვითოეულად ეშრომნათ, რამდენათაც თითო ორ კაცს შეუძლია შრომა.

ეს ცოტანი შრომობენ, მაგრამ თითქოს ის აზრი უკუღგდიათ, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ ცალკე შრომაზე და ის ჯზრიცა, რომ ყოველს შრომას მაშინ ექნება ფესვები გამდგარი და თავის სარგებლობას მაშინ მოიტანს, როდესაც ერთ ორ კაცის სიცოცხლესთან არ მოისპობა და ერთ-ორ კაცის სიცოცხლეზედ არ არის დამყარებული. საქმე მაშინ არის ისტორიულად მოპოებული, ისტორიის ქვაკუთხედი, — როდესაც გარს ახლევია საკმაოდ მოღვაწენი, რომელთაც შრომა ერთისა და ორის კაცის სიკვდილით არ შეჩერდება. თითო კაცის შრომა უფრო შემოხვევითს მოელინებასა ჰგავს, უფრო ბზობის ყვავილსა ჰგავს, რომელსაც ფრიად მცირედი სუსხის ქარის ქროლა აჭკნობს და არა რათა ჰხდის. გულ დამშვიდებით, არ ვიცი, რომელ მშრომელს შეუძლია საქმის მომავალს შეხედოს: იმას, ვისაც ამხანაგები ჰყავს, თუ იმას, ვისაც

ეჭვი გაუვლის ხშირად, ვაჲ თუ ამა და ამ შრომას ხელი არავინ მოჰკიდოს დიდის ხნის განმავალობამდინაო?

მივხედოთ კიდევ წარსულ დროსა და მოვიგონოთ ერისთავი და კერესელიძე. რაც უნდა თქვან და დაგვძრახონ, ამ ორთავე შრომისა დიდი პატივისცემა გვაქვს, ეს ორნივე ჯერ ერისთავი და მერე 1854 წლითგან უფ. კერესელიძე მარტოთ მარტონი იყვნენ, როგორც ჟურნალის გამოცემაში, აგრეთვე თეატრის გამართვაში. იმ დროში ხომ უეჭველად უფრო ცოტა დამხმარებელი ეყოლებოდათ ამ ორსავე შრომაში, ვიდრე ეხლა. ეხლა ჩვენ ბევრჯელ გვესმის და გვინახავს, რა ძნელია თითო წარმოდგენის გამართვა, რამდენი დრო და წვალება უნდება ტრუპპის შედგენასა, წარმოსადგენ ადგილის შოვნასა და სხვა წვრილმან საქმესა; აბა დააკვირდით, და ნახავთ, მაშინ რა იქნებოდა. რაკი ტფილისის თეატრი დაიკეტა, უფალს კერესელიძეს ტრუპპაცა ჰყავდა და მრთელი ორი წელიწადი ქართული თეატრი ჰქონდა გამართული,

ქირით დაჭერილ სახლში. მასუკან ჟურნალი «ცისკარი» განაახლა. როგორც ვთქვით, ამ ახალ დაწყებულ საქმეში მარტონი იყენენ ერისთავიც და კერესელიძეცა: რა ბოლო ჰქონდა ან ქართულ სცენასა, ან «ცისკარსა»? — მარტოობაში ისინი მოიღალნენ, როგორც ნივთიერად, აგრეთვე ზნეობითის ძალით.

იმათ უეჭველია თავისი თავისა დიდი იმედი უნდა ჰქონოდათ და იქნება ფიქრათაც არც კი მოსვლოდეთ, ამხანაგები ვიშოვნოთო, წრე შევადგინოთო, რომ საუკუნოდ კარგათ წავიდეს ლიტერატურის და თეატრის საქმეო. უეჭველია, ასე უნდა ეფიქრათ, რომ თითო კაცისაგან დაწყებულს საქმეს არასოდეს ბოლო არ მოეღებაო. შრომა დიად პატივსაცემი შრომა იყო, მაგრამ რა ბოლოცა ჰქონდა, ყველამ ვიცით. გნაა ის ბოლო ექნებოდა საქმესა, რომ გვერდით წრე ‖ყოლოდა?

აქ იქნება მაინც და მაინც ეჭვი შემოიტანონ მკითხველებმა ერისთავის და უფ. კერესელიძის საქმის თავოსნობაზე. ძალიან კეთილი. მაგრამ გვა-

ჩვენეთ იმათზე დაწინაურებული კაცები, საზოგადო საქმისათ,ის მზრუნველნი. თქვენ, რასაკვირველია, ჩაჩუმდებით, რადგან ვერავის იპოვნით. მაშასადამე ისინი იმ დროს ისე ეკუთვნოდნენ, როგორც ეხლანდელი დაწინაურებული კაცები ეხლანდელს დროსა.

ამის გამოთ ვიმეორებთ და გკითხავთ: ის ბოლო ექნებოდა ამ ორ კაცის შრომასა, რო გვურდით წრე ჰყოლოდა?

ესეთი სამწუხარო აზრი მოსდის კაცსა, როდესაც ჩვენის დროს უკეთესი კაცების განცალკევებულ შრომასა ჰხედავს, რომ ამ შრომასაც იმგვარი ბოლო უნდა მოელოს. ჩვენი დაწინაურებული კაცები კი თითქოს ამას არა ჰფიქრობენ და თავის უსაჭიროესსვალად არა ჰრაცხვენ, რომ მოხსენებული ბოლო თავიდგან აიცილონ შეერთებულის შრომითა; ესე იგი თავის აუცილებელ საჭიროებად არა ჰრაცხვენ, რომ ნაწილი თავისის შრომისა მოანდომონ წრის შედგენასა.

მოკლეთ გამოვთქვათ, რაც ვვინდოდა გამო-

გვეთქვა: ჩვენ რაკი ლიტერატურის მზრუნველებად მიგვაჩნია თავი, ამისათვის ნამდვილ მრავალ გვარ საფუძვლიან ზრუნვას უნდა შეუდგეთ იმის გაუმჯობესებისათვის და არა სიტყვით ლაპარაკსა. ამისათვის პირველი და უსაჭიროესი საქმეა შეერთებული შრომა. ამ საგნისათვის სრული ისტორია ჩვენის მწერლობისა საკმაო მასალებს გვაძლევს: ლიტერატურა გაძლიერდა მეთვრამეტე საუკუნეში მწერლების შეერთებულის შრომისაგან; დაეცა როდესაცა განაწილდნენ მწერლები 1852 წლამდინ. ამ წელს დაფუძნდა ჟურნალი, რომელშიაც ბეჭდვით შეერთდნენ მწერალნი საზოგადო შრომისათვის. მაგრამ ეს შეერთება იყო გარეგანი და არა შინაგანი. როგორც შინაგანის ღირსებისა, აგრეთვე მწერლების წრის შედგენის აზრი ილია ჭავჭავაძის კრიტიკითგან და იმის ჟურნალითგან იწყება. შინაგანის ღირსებით ლიტერატურა წინ მიდის, მაგრამ, მეორე მხარე, ეს იგი წრის შედგენა ჟურნალთან, დღევანდლამდე აუსრულებელი რჩება.

არ ვიცით, რამდენად კარგა გამოვთქვით ეს აზრები ოცის წლის შესრულებისა ჟამო ჟურნალის დაფუძნებისა, მაგრამ თუ დავაკვირდეთ კარგად, ეს აზრები უნდა გამოვვეტანა და საკუთრად ისა, რომ ჩვენი ლიტერატურის წინწაყვანისათვის შეერთებული შრომაა საჭირო წრისა, ანუ წრეების შედგენითა.

ეს უნდა იყოს ჩვენი დღიური, არსებითი საზრუნველი საქმე.

მ. ჰეტრიძე.

22 მაისს.

სატრფოსადმი

თვალის ჩინო გულისა,
სატრფიალო და ძვირო;
ჩარხო სიხარულისა,
სიცოცხლისა კავშირო.

ღმერთს ვსთხოვ შენსა მშვიდობას
ას წელ დღეთა განგრძობას;
ქეიფს მხიარულებას
სურვილის აღსრულებას,

ნუ მოაკლოს სიკეთე
მაგ შენს პირსა მთვარულსა,
ტანს ტურფ სინაკვეთე
კეკლუცად მოარულსა.

ნუ შეგიცვლის გონებას,
ტკბილსა შეუდარებელს;
ნურც ეშხისა ჭონებას
ტრფიალთ განმალებელსა,

იმ სინაზეს საკვირველს,
მჭვრეტელთა მიმხედავსა;
ამპარტავნად სახილველს,
თამამთა დამტუქსავსა.

რალა გინატრო მეტი,
ქონება, თუ ფულები;
გწყალობდეს ათორმეტი
ქრისტეს მოციქულები.

სიმდიდრე თუ გინდოდეს,
მათვე მოგცენ კრეზისა;
დღითი-დღე მოგდიოდეს
მილიონი ვერცხლისა.

აწ ნატვრასა გაუშვებ
ლოცვას თავს მივანებებ;
გულს ნებაზე მიუშვებ
და ტუჩებში გაკოცებ.

ყელზედ შემოხვეული
თეთრს მკერდს დავიანებორებ,
ახლოს ჯდომით ჩვეული

წამ თვალს არ მოგაშორებ.

აღტაცებული გრძნობით
მოგეხვევი დავბნდები;
თავის მკლავზე დადებით
ვაზრობ, 'შენცა დასდნები.

სიცილით, ხან ცრემლობით
ტკბილ ცრემლს დაგაღვრევინებ;
მეტის-მეტი ცელქობით
დაგეჯ, გათქმევინებ.

ღმერთო, როდის იქმნება,
წინ გიჯდე, პირს გიჭვრეტდე;
კვალად თუ მელირსება,
შენთან ერთად ვიმღერდე.

ვიცი, მეცა მიკითხავ,
შენს კეთილს გულს ასრე ვსცნობ;
ამ წიგნს რომ წაიკითხავ,
დაწვრილებით შეიტყობ:

როგორა ვარ რას ეშვრები

ხამს, დარდებით ვჰკვდებოდე;
თითონც კარგად მიხვდები,
მცირედ დაჰფიქრდებოდე.

მაგრამ მაინც რიგია,
ანბავი რამ მოგწერო;
რაცა რამ გამიგია,
გამცნო, ვიხმარო პერო.

აი, ჩვენი საქმობა:
საზამთროთ თივის ხმობა,
ტყის ჭრა, ზიდვა შეშისა
შენება კარვებისა.

ნახე შენსა მწერალსა
როგორ იმსახურებენ?
შენს ბულბულს, შენს მღერალსა
შეშას აზიდვინებენ!

ესეც არაფერია,
რადგან დრონი მეფობენ;
ჩვენს გარშემო მტერია,
არ ვარდნი იეფობენ.

დრო არს, საღამოს ჟამსა
საყვარელთან განვსცხრებით;
უფუშავთ დაწნილ თმასა
მისის ხკევნით დავსტკბებით.

დრო არს, ვსხედვართ, ხილსა ვსჭამთ,
მწვანეზედ დღეს ვატარებთ;
ეხლა შაფსუღებსა ვკლავთ,
ყარაშათირს ვაჯავრებთ.

წავალთ სოფლებს ავიკლებთ,
დავსწვათ ნამუშევარსა;
მრავალ ჯოგებს წაუღებთ,
ვიშოვით საშოვარსა.

ტყვეებს ჩავს ამთ ურმებში
მოგვყავს, მოვმახარაობთ;
ზოგსა გამოვსცვლით ცხვრებში,
ზოგზედ ვლაზღანდარაობთ.

ყოველ დღე გვაქვს სროლები,
თუმცა მცირე, უენები;
შორს დგანან გვიყურებენ,

წინ ცხენს მოიხტუნებენ.

გავლენ კარგნი მსხდომელნი
ჯირითობას იწყებენ;
გამარჯვების მნდომელნი
სიკვდილს დაივიწყებენ.

ხან მოგვიკვლენ ერთს კაცსა,
ხან ორსა დაგვიჭრიან;
თავს უხმობენ მამაცსა
და მით ჯაბრსა იყრიან.

ეგ ჩვენთვისცა ლხინია,
ომი და მტერი ბევრნი;
არვისი გვეშინია,
თან გვახლდეს გრენადერნი.

დრო არის, დავეთხოვო
ვეჭვ, კიდევაც მოგწყინდა;
რაც უნდა საუცხოვო
იყოს, შენ არად გინდა

სამხედრო საქმეები;

მართალია სცენები
მოგწონს ისტორიისა:
მეფეები განთმულნი,

დიდად სახელ წართქმულნი
და არ მარჯვენა მხრისა.
მაშ მშვიდობით ნახვამდის,
ჩემო დაუვიწყარო!

ნუ გშურს მანდ ჩემს მოსვლამდის
შენის ანბით მახარო;
გახსოვდე ძველებურად
ამ ბარათის მხაზველი.

უმორჩილეს ერთგულად
მარად შენი ფაზელი.

ალგისტო, 1860 წ.

3 825
1872

სასამსახურო ბანკები

იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება

—

წინა სიტყვაობა

თებერვლის და მარტის თვეებში თუ ქარი არ იქნა, გაზაფხულის სიცხემ ტკბილათ იწყო თბობა, დღისით მზე და ღამით ჟუჟუნა წვიმა, მაშინ ვიტყვით მოსავალს დარი დაუდგაო. დედამიწის ქერქი დალბება, დაიძვრის ნაყოფიერებისთვის და, აი, რამდენსამე კვირის შემდეგ ჩვენს თვალს ახარებს მწვანით შეფოთლილი ბუნება. ის დღესასწაულობს და მასთან ყოველი ქმნილებაც ემზადება საცხოვრებლათ. ბუნების მაჯა იწყებს მხიარულად ფეთქვას და იმისი გა-